

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქვეყნის შოშიაშვილი

თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის
კულტურის ძეგლები

თბილისი
2019

კულტურულ მემკვიდრეობას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების პროცესში. წიგნი — „თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის კულტურის ძეგლები“ სწორედ ამ კონცეფციას ეფუძნება — დაგვანახოს საქართველოსა და კერძოდ, თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური დანიშნულება მსოფლიო გლობალიზაციის ურთისეს პირობებში; მით უფრო, რომ ეროვნული იდენტიტეკიაციის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად დღეს კულტურაა აღიარებული. იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ის უმთავრესი ფასეულობები, რითაც ვიზიდავთ მსოფლიოს დღეს ჩვენებენ, აუცილებელია, ვიცნობდეთ და ვზრუნავდეთ მასზე! წიგნში განხილულია საქართველოს უძველესი დედაქალაქების თბილისისა და მცხეთის მოკლე ისტორია, კულტურის ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი და ის ეთნოკულტურული და ეტნოკონფესიური კავშირები რაც აქ საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და ყალიბდებოდა. ამ წიგნით გვსურს, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის როლს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული მომავლის ჭრილსა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების გზაზე, რათა „უამთა სიგრძემ და ცვალებამ არ შეარყიოს ეს ადგილი და უკუნისამდე შეუძვრელად ყოს“.

ავტორისგან

- რედაქტორები:** ნინო თომაძე, ისტორიის დოქტორი
ეკა თხილავა, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
- რეცენზენტები:** მიხეილ ბახტაძე, ისტორიის დოქტორი
მერაბ ძელაძე, ისტორიის დოქტორი
- რეზიუმეს თარგმანი:** ეთერ ლათიბაშვილი

© ქეთევან შოშიაშვილი, 2019

ISBN: 978-9941-8-1739-7

შინაარსი

თავი I

თბილისის და მისი შემოგარენის კულტურულ-ისტორიული
მემკვიდრეობა. თბილისის ისტორია (მოკლე მიმოხილვა)

რედაქტორისგან	7
ძველი თბილისის ციხეები	23
თაბორის ციხე	23
ნარიყალა	23
მეტეხი	28
ანჩისხატი	32
ორმოცი სებასტიელ მოწამეთა ეკლესია	36
აბოს ნიში	37
სიონი	39
მთაწმინდა	43
ქაშვეთი	46
ლურჯი მონასტერი	50
ჯვრისმამა	52
კლდისუბანი	53
კლდის უბნის წმ. გიორგის ეკლესია	54
ათეშგა	55
დარეჯან დედოფლის სასახლე	56
ერეკლეს ციხე და ბარბარეს ეკლესია	58
დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესია	59
კათოლიკური ეკლესიები	60
სინაგოგა	64
მეჩეთი	67
იეზიდების სალოცავი	70

სომხური ტაძრები	71
აბანოები	75
ოპერა	77
თეატრალური თბილისი	79
საცხოვრებელი სახლები	82
დასასვენებელი ბაღები	88
მწერალთა სახლი	92
საქართველოს ეროვნული მუზეუმი	94
სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი	94
ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი	96
სმირნოვების მუზეუმი	99
გიორგი ჩიტაის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი	
ლია ცის ქვეშ	100
კოჯარის ციხე	103
დიდგორის ველი	105
ბეთანია	106

თავი II

მცხეთა-მთიანეთის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა. მცხეთის ისტორია (მოკლე მიმოხილვა)

მცხეთა	109
ანტიკური პერიოდის მცხეთა	112
პომპეუსის ხიდი	114
ბებრიციხე	116
ანტიოქია	118
სვეტიცხოველი	119
ჯვარი	124
სამთავრო	126
მაყვლოვანი, წმინდა ნინოს ეკლესია	129
შიომღვიმე	130
ზედაზენი	133

წილკანი	135
საგურამო	137
ქსნის ციხე	141
მჭადიჯვარი	142
სამუხრანბატონო	143
ანანური	147
ქოროლო და ცეცხლისჯვარი	150
ლომისა	152
ლაშარის ჯვარი და თამარლელე	154
ჩარგალი	156
თვალივი	158
შატილი და მუცო	159
მდინარე თერგი და თრუსოს ხეობა	163
სიონი, ფანშეტი, სნო	167
ბეთლემი	170
გერგეთის სამება	172
დარიალის კარიბჭე	174
წყაროები და ლიტერატურა	178
resume	183

რედაქტორისგან

კულტურა, როგორც კაცობრიობის უნივერსალური მახასიათებელი, თავის თავში მოიცავს ისტორიული გამოცდილების მემკვიდრეობითობას. შესაბამისად, ის არის ადამიანური გამოხატულების სამყარო, რომელიც დროზე მაღლა (უფრო სწორედ, წინ) დგას. ქეთევან შოშიაშვილის წიგნი — „თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის კულტურულ ძეგლთა ისტორია“ სწორედ ამ მეკვიდრეობითობას „გვიყვება“ საქართველოს ისტორიითა და ქართული კულტურით დაინტერესებულ პირებს. ეს არ არის მხოლოდ მშრალი ფაქტები! ისტორია გამდიდრებულია თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის კულტურულ ძეგლებზე ძეველი ლეგენდებით, მითებითა და თქმულებებით, რაც კიდევ უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს ხდის ნაშრომს. შევიცარიელი ლინგვისტისთვის — როლან ბარტისთვის — „მითი წარმოადგენს ლაპარაკის ტიპს“. მითი, ლეგენდა და თქმულება ყვება ისტორიას, რომელიც ღრმად, ქვეცნობიერშია დამალული. ავტორი ცდილობს, ამ „დამალულ“ შრეებში იპოვოს ნამდვილი ისტორია და წარსულის ნაკვალევი.

ცნობილია, რომ კულტურის სხვადასხვა გაგება არსებობს. ქეთევან შოშიაშვილი გვთავაზობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოკლე ანთოლოგიას კონკრეტულ მაგალითზე-თბილისისა და მცხეთა მთიანეთის რეგიონზე დაყრდნობით.

თანამედროვე არქიტექტური პოსტმოდერნიზმის ეპოქაში საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას გამორჩეული ადგილი უჭირავს. ავტორის მიერ სწორედ ეს რაკურსია „დაჭრილი“ — სხვა „თვალითაა“ დანახული უძველესი ქართული ძეგლები, როგორც გარევეული „ალეგორიები“. ავტორი მიგვანიშნებს, რომ არქიტექტურა წარმოაჩენს დიალექტიკას, რომელიც ბევრი კულტურული სფეროსთვის არის დამახასიათებელი. ნაჩვენებია სვეტიცხოვლისა თუ ჯვრის მონასტრების მნიშვნელობა არა მარტო ისტორიულ, არამედ არქიტექტურულ ჭრილშიც; ნაშრომში წარმოდგენილია ქართლის (იბერიის) სამეფოს უძველესი დედაქალაქის — მცხეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სასულიერო და საერო არქიტექტურის ნიმუშები, რომელთაც განვითარების მრავალი ეტაპი განვლეს და უდიდესი სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდათ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებისთვის — უფრო მეტიც, ერთგვარი იდეოლოგიური როლიც კი გააჩნდათ.

ნაშრომში, თბილისის მაგალითზე, ნაჩვენებია, რომ ქალაქმა მოიტანა პიროვნული ურთიერთობებისა და სოციალური კონტროლის ფორმების რღვევა. განხილულია ქალაქის მოკლე ისტორია, ის ეთნოკულტურული და ეთნოკონფენსიური კავშირები, რაც აქ საუკუნეების მანძილზე არსებობდა. თბილისის ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო სხვადასხვა ეპოქაში განვითარებულ ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა. სამწუხაროდ, აქ უძველესი ისტორიული ძეგლების მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი, თუმცა მრავალი განადგურებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, სასულიერო და საერო შენობა-ნაგებობა უკანასკნელი 20-25 წლის პერიოდში აღდგენილი და განახლებული იქნა. დღეისთვის არსებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ნაგებობანი ძირითადად XIX ს.-ს განეკუთვნება. ქალაქის ეს სტილისტიკა კარგად აჩვენებს საქართველოში მომხდარ პოლიტიკურ, სოციალურსა და ეკონომიკური ცვლილებებს.

ქეთევან შოშიაშვილი წიგნში ერთგვარი „კულტურული ალეგორიებით“ წარმოგვისახავს საქართველოს ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პროცესს, მიზეზებსა და შედეგებს; გვიჩვენებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის „კონსენსუსს“ თანამედროვეობასთან და მის მომავალთან.

წიგნი ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს, გიდებს, ტურისტებსა და ქართული კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას დაეხმარება ერთი მხრივ, საქართველოს ისტორიული ძეგლების წარსულისა თუ ანტყოს შესახებ არსებული ინფორმაციის მიღებაში და მეორე მხრივ, იმის შემეცნებაში, რომ კულტურა ადამიანური სამყაროს განცალკებული სამყაროა და მასზე დგას კაცობრიობის განვითარების გზა!

ისტორიის დოქტორი ნინო თომაძე

თავი I

თბილისი

„ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა და ისნი“ —
გახუშტი ბატონიშვილი

თბილისი V საუკუნიდან საქართველოს დედაქალაქია. მისმა ბუნებრივად მოხერხებულმა სტრატეგიულმა მდებარეობამ, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით წამყვან რეგიონებთან სიახლოვემ, მეზობელ ქვეყნებთან მოხერხებული გზებით დაკავშირების შესაძლებლობამ, განაპირობა ის, რომ ქართლის (იბერიის) მეფე ვახტანგ გორგასალმა სატახტო ქალაქი მცხეთიდან აქ გადმოიტანა. ლეგენდის თანახმად, თბილისის ტერიტორია ტყით ყოფილა დაფარული, მეფე ვახტანგ გორგასალს ნადირობის დროს შველი დაუჭრია, რომელიც ცხელ წყაროში განბანილა და განკურნებული გაქცეულა. მეორე ლეგენდის მიხედვით, მეფის მიმინო და ხოხობი ცხელ წყაროში ჩავარდნილან და გაფუფქულან. ამ ფაქტით გაოცებულ მეფეს მოსწონებია ეს ადგილი და იქ ქალაქის აშენება უბრძანებია.

ჩატარებული არქეოლოგიური კვლევებით დგინდება, რომ ვახტანგ გორგასლამდე თბილისი დიდი ხნით ადრე დასახლებული პუნქტი იყო. არქეოლოგიური აღმოჩენები ხელითის, ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. უძველესი „დელისის ნამოსახლარი“ პარალელს პოულობს სამხრეთ კავკასიის ადრესა-მინათმოქმედო კულტურის კერებთან. უძველესი ნამოსახლარები აღმოჩენილია თბილისის სხვადასხვა რაიონებშიც — ღრმაღელე, ნაძალადევი, ორთაჭალა და სხვა. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ნამოსახლარია „თრელიგორები“, რომელიც მდებარეობს დილმის ველის სამხრეთ ნანილში და საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ არსებულ ბორცვებზეა განფენილი. ძეგლი მრავალფენიანია და დაახლოებით 220 კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული. სავარაუდოდ, ეს სატაძრო ტიპის ნაგებობა ან რომელიმე ტომის ბელადის საცხოვრებელი დარბაზია, რაც გარკვეული სოციალური ფენებისა

და წინასახელმწიფოებრივი პერიოდის არსებობაზე მიგვითითებს. ნასახლარზე აღმოჩენილია ტაძრის გარშემო განლაგებული ქვევრები. ყველაზე ძველი ფენა ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება, ხოლო გვიანბრინჯაო ადრერკინის ეპოქაში ტერიტორია მჭიდროდ დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა.




თრელიგორები

დიღმის ველი კარგად იყო დასახლებული ანტიკურ ეპოქაშიც [22,1]. ამ პერიოდის არტეფაქტებიდან აღსანიშნავია ძვ. წ. IV-III საუკუნეების ბერძნული მონეტა, ასევე რომაული ორი მონეტა, რომელიც იმპერატორ ავგუსტუსის დროსაა მოჭრილი. მონეტების სიმრავლე მიანიშნებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ფართო სავაჭრო პროცესებში იყო ჩაბმული, რაც ძირითადად თბილისის და მისი შემოგარენის სტრატეგიული მდებარეობით იყო განპირობებული [15,1]. თბილისი რომ სერიოზულ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნიდან, ამას ადასტურებს რომაული აბანო და IV-V საუკუნეთა დროინდელი საუკუნის მარანი, რომელიც დიდი ტევადობის ქვევრებით არის წარმოდგენილი [39,1]. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ ამ ადგილას

დიდი დასახლება ყოფილა. აღსანიშნავია IV საუკუნის რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ შედგენილი საგზაო რუკა, ე. წ. „პევტინგერის ტაბულა“, სადაც დატანილ დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებს შორის, არმაზის ციხის სიახლოვეს, აღნიშნულია გამაგრებული პუნქტი I (ფილადო), რომელიც ტფილდას ლათინური ფორმაა. პუნქტი მდებარეობითაც და სახელწოდებითაც სწორედ თბილისი უნდა იყოს. კასტორიუსის რუკა მოგზაურებისა და ვაჭრებისათვის იყო განკუთვნილი. თბილისი „ტფილისადს“ მოიხსენიება ქართულსა და უცხოურ წყაროებში, თუმცა სომხურ წყაროები თბილის „ფაიტაკარანად“ — ხის ქალაქად მოიხსენებს. (არაბთა შემოსევევის შედეგად VII-VIIIს-ში, ქალაქის სწრაფი აღდგენის მიზნით, ხის საფორტიფიკაციო და საცხოვრებელი ნაგებობები აშენდა). 1936 წლიდან, მთავრობის დადგენილებით, ქალაქს ძველი სახელის — „ტფილისის“ ნაცვლად „თბილისი“ ეწოდა.

საგზაო რუკის ვრაგმენტი. IV ს. (კასტორიუსის მახდევით)



ქართულ საისტორიო წყაროებში თბილისი თავდაპირველად IV საუკუნის 60-იანი წლებიდან მოიხსენიება, როდესაც სასანიდური ირანი პოლიტიკური ბატონობისთვის იბრძოდა. სასანიდებმა აქ ააშენეს ციხე-სიმაგრე, რომელიც თავის რეზიდენციად აქციეს და ქართველ მეფეთა რეზიდენციას — მცხეთას დაუპირისპირეს. იბერიის მეფე ვარაზ ბაკურის დროს ლეონტი მროველის თანახმად „და აღაშენა ერისთავმა სპარსთამან ტფილისის კართაშორის ციხედ მცხეთისად“ [4.1]. V ს. II ნახევრიდან ვახტანგ გორგასლის (443-502 წწ.) მიერ დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადატანის გადაწყვეტილება სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებით იყო გაპირობებული. როგორც მკვლევარი მერაბ ძნელაძე თვლის, ვახტანგ გორგასალმა გაითვალისწინა რელიგიური ფაქტორი — მცხეთაში ქრისტეს კვართისა და სხვა დიდქრისტიანულ სიწმინდეთა დაცვის საკითხიც. ვახტანგ გორგასალი იბრძოდა ქართლის (იბერიის) — გაერთიანებისთვის და ირანის აგრესის წინააღმდეგ. დიდი მეფის მიზანს წარმოადგენდა სვანეთის, ეგრისის, კლარჯეთის, კახეთის, ჰერეთის შემოერთება, ხოლო ეს უკანასკნელი კი იქნებოდა მნიშვნელოვანი ფორპოსტი ირანელ დამპურობლებთან ბრძოლაში. ვახტანგ გორგასლის მემატიანე გადმოგვცემს — „ვახტანგი აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ და-ედვა“, თუმცა თბილის ქალაქის ზღუდე-გალავნის აგება დაამთავრა ვახტანგ გორგასლის ძემ — დაჩიმ (VI ს-ის დამდეგი), რომელმაც „განასრულა ზღუდენი ტფილისისანი და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოდ“ [4,2]. დედაქალაქის თბილისში გადმოტანას მოჰყვა ქალაქში დიდებულებისა და სამეფო კარის გადმოსვლა და მოსახლეობის მატება და მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სავაჭრო — სახელოსნო ცენტრად გადაქცევა.

მოგვიანებით, როდესაც 523 წელს ირანელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს, თბილისმა შეინარჩუნა პოლიტიკური ცენტრის მდგომარეობა, თუმცა ქალაქი ირანელი მოხელე-მარზპანის სამყოფი ადგილი გახდა. დამპურობელთა მიმართ მოსახლეობის ყველა ფენის უკმაყოფილება იზრდებოდა: „ნელად შეკრბა ქართლი“ და „განაჩინეს ერისთავად გუარამი“ (VI ს. 70-90 წლები), რომლის სამყოფელი ქალაქიც თბილისი იყო. ეს მოვლენა ბიზანტიის ხელი-სუფლების დამსახურებაც იყო და ამიტომ გუარამს მაღალი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული — კურაპალატობა ებოძა. ქართლის ცხოვრების თანახმად „ამანვე გუარამ კურაპალატმან განახლა საფუძველი ტფილისისა სიონისა“ [4,3]. ამავე პერიოდში აშენდა


მარიამწმინდას ეკლესია (ანჩისხატი). სტეფანოზ ერისთავის დროს კი, როგორც ჯუანშერი გადმოგვცემს „მცხეთას მოაკლდებოდა და ტფილისი განძლიერდებოდა, არმაზი აღოხრდებოდა და კალა აშენდებოდა“ [4,4]. VII საუკუნიდან ირანელთა ბატონობა შედარებით შესუსტდა, თუმცა თბილისს მძიმე დღეები დაუდგა ჰერაკლე კეის-რისა და ხაზართა ლაშქრობების შედეგად (627-628 წწ.). ბიზანტია ვერ ეგუებოდა „აბრეშუმის გზის“ ირანის ტერიტორიაზე გავლას და სურდა, კასპიის ზღვის შემოვლითა და კავკასიონის უღელტეხილზე გადმოსვლით ალტერნატიული საშუალება გამოენახა, რისთვისაც იგი ხაზართა ხაკანატს დაუკავშირდა. თბილისი კი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო და მისი დაუფლება ჰერაკლე კეისრის ერთ-ერთი მიზანმიმართული ქმედება იყო. კეისარმა ხაზრებთან ერთად მოახხრა ირანულგავლენიანი თბილისი, გააძლიერა ქრისტიანობა და როდესაც წინა აზიაში არაბთა გამოჩენის გამო ქართლს გაეცალა, თან წაიღო „ფეხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესნი, რომელი მოცემულ იყვნენ კონსტანტინესგან მირიანისადა“ [4,5]. ჰერაკლე კეისრის ლაშქრობების შემდეგ საქართველოს არაბები მოადგნენ.

არაბთა მფლობელობის დასაწყისში. VII ს-ის შუა ჰერიოდიდან, თბილისის პოლიტიკური აღმავლობა შემცირდა. კავკასიონის უღელტეხილების ხელში ჩაგდებისა და კონტროლის მიზნით არაბი სარდლები ქართლში შემოვიდნენ, შემდეგ დარიალის ციხე ხელში ჩაიგდეს, იქ თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს და ქართველ ხალხს დააკისრეს მათი სურსათ-სანოვაგით მომარაგება. არაბების მიერ საქართველოს ტერიტორიის დაპყრობების შედეგია თბილისის საამიროს ჩამოყალიბება VIII საუკუნის II ნახევარში. წყაროთა მოწმობით, თბილისი დაარსებიდან X საუკუნემდე ძირითად მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებული ქალაქი იყო. არაბი ისტორიკოსის ალ-ტაბარის (IX ს.) ცნობით, მას ხუთი კარი ჰქონდა: მაიდნისკარი (გვიანდ. შუასაუკუნეების აბანოსკარი), კარისკარი (მიესადაგება განჯისკარს, აქედან ხდებოდა ინტენსიური სავჭრო ურთიერთობა აღმოსავლეთთან), მცირეკარი (უცნობია), რაბადის კარი (კალას აკავშირებდა გარეთუბანთან), სოლდებილისკარი — ქალაქის გარეუბანი, მტკვრის მარცხენა სანაპირო (დაახლ. მეტების ძირში), სადაც იოანე საბანისძის თანახმად, საგოდებელი ადგილი იყო. სწორედ აქ დაწვეს ქრისტიანობისთვის წამებული აბო თბილელი 786 წ. [21,1]. ე. წ. საგოდებელი, როგორც თბილისის უბანი, არაბთა ბატონობის დროს უნდა შესულიყო ქალაქის შემადგენლობაში.

სოლდებილი-საგოდებლის გამაგრება მოხდა ამირა საპაკის დროს, როდესაც აქ მან გარნიზონი ჩააყენა, ვიდრე ბუღა თურქი (853 წ.) თბილისს მოადგებოდა.

თბილისის კარების შესახებ ზუსტ ცნობებს ძირითადად XVII-XVIII სს. მოგზაურთა ჩანახატები და ვახუშტის თბილისის გეგმა გვაწვდის. უკვე ამ დროიდან ჩანს კოჯირისკარი, დილმის ანუ შუაკარი, წყლისკარი და ავლაბრისკარი. გარდა ამისა, ქალაქში იყო კიდევ

თბილისის გეგმა ვახუშტი გატონიზვილის მიხედვით. 1735.



ორი ციხისკარი. იმ ადგილზე კი, სადაც დღეს კოტე აბხაზის ქუჩა (ძველი ლესელიძის ქუჩა) ერწყმის მოედანს, არსებული მოსაზრებით, ქალაქის ერთ-ერთი მთავარი კარიბჭე — „კოჯორისკარი“ — იყო გამართული (მ. ძნელაძის მოსაზრებით კი ეს კარი შედარებით ქვემოთ იდგა). აქედან ორი გზა იწყებოდა. ერთი ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა (ამჟამინდელი რუსთაველის გამზირის ხაზზე), მეორე კი — კოჯორისკენ კოტე აბხაზის ქუჩის გაყოლებით.

მინდორს სოლოლაკისხევი (იგივე ავანანთხევი. კარგი იქნება თუ აღდგება ძველი სახელი) კვეთდა. ხევს მტკვრისკენ სოლოლაკის ქედის ფერდობიდან წამოსული ნიაღვარი ჩაუყვებოდა. ქალაქის ურბანიზაციისთვის მდინარე და ასევე ხევიც კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის ბრძანებით XIX საუკუნის 40-იან წლებში აგურის კოლექტორით გადახურეს და ადგილი მოასწორეს, რითაც ქალაქის ერთ-ერთი მთავარი მოედანი (დღევანდელი თავისუფლების მოედანი) შეიქმნა. სოლოლაკის ხევს ჩამოუყვებოდა ისტორიული მნიშვნელობის „დიღმისკარი“, რომელიც რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად და მას ხშირად „შუა კარის“ სახელით მოიხსენებენ ისტორიული წყაროები. აღნიშნული კარით ხდებოდა კალას გარეთუბანთან დაკავშირება და მიემართებიდა გზა მცხეთისკენ. „დიღმისკარი“ საკმაოდ მაღალი გალავან-კოშკებით იყო წარმოდგენილი. უძველესი ფენა, სავარაუდოდ VIII—IX საუკუნეებით თარიღდება. შემორჩენილი გალავანი(გალავნის კარის შესასვლელს არაბული წარწერა ამშვენებს) და სხვადასხვაზომის ხუთი კოშკის ფრაგმენტი XI—XVIII საუკუნეებს განეკუთვნება. დიღმისკარისა და, საერთოდ, თბილისის საფორტიფიკაციო სისტემის მოშლა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდგომ პერიოდს ემთხვევა. თბილისისთვის დიდი მნიშვნელობა პქონდა აგარებს-უბნებს, რომლებიც გამირჩეოდნენ თავიანთი სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო საქმიანობით. ტაბახმელა, კოჯორი, სოდანლუდი, ჩუღურეთი, კუკია, დიდუბე, კალოუბანი, ავჭალა და ა.შ. თბილისის სანახების აგარები იყო.

IX საუკუნიდან არაბი ამირების სეპარატისტული ტენდენციების გამო გაძლიერდა არაბთა დამსჯელი ექსპედიციების ქართლში შემოსვლა. „თბილისი ამირები IX ს-ის დამლევიდან ფაქტიურად აღარ ემორჩილებოდნენ ხალიფას. მორჩილება გარეგნულად გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთი პერიოდი თბილისის ამირები ფულს ხალიფას სახელზე სჭრიდნენ“ [26.1]. სახალიფოს უფლებების აღსადგენად, 853 წელს, თბილისში ბუღა თურქმა ილაშქრა თბილისის ამირა

საპაკის წინააღმდეგ. 5 აგვისტოს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დაბანკებულმა ბუღა თურქმა ცეცხლი წაუკიდა სოლდებილს (ქალაქის გარეუბანი, მეტების ძირთან, საგოდებელი ადგილი). ამირა საპაკი შეიპყრეს. არაბი ისტორიკოსის — ალ-ტაბარის ცნობით, ამ ლაშქრობისას 50 ათასი ადამიანი დაიღუპა, თბილისი კი გადაიწვა და განადგურდა. ასევე არაბი ისტორიკოსების ცნობით, უკვე X საუკუნიდან „თბილისი გორათა შორის სიმაგრეა, კვეთს მდინარე მტკვარი, ორივე ნაპირზეა გადაჭიმული და ხიდითაა შეერთებული“ [12.1].

VIII-IX საუკუნეებში საქართველოში ძლიერი პოლიტიკური ერთეულები ყალიბდება: აფხაზეთის სამეფო, კახეთის საქორეპისკოპოსო, ჰერეთის სამეფო და ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფო, რომელებმაც შექმნეს საფუძველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის. 978 წელს გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფედ გამოცხადდა ბაგრატ III (980-1014 წწ.), რომლის ტიტული იყო „მეფე აფხაზთა და ქართველთა“. კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ, 1014 წლიდან, საქართველოს მეფის ტიტული გახდა “მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა კურაპალატი“. ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში თბილისი არ შედიოდა, მას ისევ არაბი ამირები მართავდნენ. თბილისის საამირო კვლავ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. საქართველოს გაერთიანების შემდეგ დადგა საკითხი თბილისის შემოსაერთებლად, რაც კლდეკარის ერისთავამა — ლიპარიტ ბაღვაშმა ითავა ბაგრატ IV (1027-1072 წწ.) მეფობის დროს, თუმცა ლიპარიტის მონინააღმდეგე ერისთავებმა ბაგრატს თბილისზე ალყა მოახსნევინეს, ამას დაემატა თურქ-სელჩუკთა გამოჩენაც და თბილისის შემოერთების საკითხი კიდევ დიდი ხნით გადაიდო [30.1].

უკანასკნელი თბილისის ამირა ჯაფარის გარდაცვალების შემდეგ (XI ს.40-ანი წლები) დაიწყო ბრძოლა ამირას მემკვიდრეებსა და თბილისელ ბერებს შორის. საბოლოოდ „ტფილელმა ბერებმა“ ამირას შთამომავლები გააძევეს და ქალაქის თვითმმართველებად იქცნენ [26.2]. ვინაიდან ქალაქში მძიმე სოციალ-ეკონომიური მდგრადირეობა იყო, ბერებმა თბილისი გადასცეს კახთა მეფეს, რომელმაც იგი ბაგრატს IV მიჰყიდა. გაურკვეველი მიზეზების გამო ბაგრატმა ქალაქი არ შემოიერთა. მალე თურქ-სელჩუკთა გამოჩენამ მას თბილისზე გავლენა დააკარგვინა. ამ დროს ქალაქს თორმეტი თბილელი ბერი (თბილელი უხუცესი) განაგებდა, რომელთაც ებარათ საკუთრივ ქალაქი, მტკვრის მარჯვენა ნაპირის ციხე და კლიტენი. თბილისი დამოუკიდებელი მმართველობითი სისტემით შუა საუკუნეების

ქალაქ-კომუნაა. ბერები მოქალაქეთა ზედა ფენიდან იყვნენ არჩეულნი. XI საუკუნის 80-იანი წლებიდან ისინი თბილისის სრულუფლებიანი გამგებლები გახდნენ [26.3].

1122 წელს დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) თბილისი შემოიერთა, „პირველსავე ომსა“ აიღო ქალაქი და გახადა არამარტო საქართველოს, არამედ კავკასიის ცენტრი. ჭრელ ეთნოკონფესიურ ქალაქში დაცული იყო ეროვნულ-რელიგიური უფლებები. ქალაქის ტერიტორია გაფართოვდა ახლო მიმდებარე სოფლების ხარჯზე. თბილისი ერთ-ერთ უდიდეს ქალაქად იქცა მთელ წინა აზიაში.

XIII საუკუნემდე თბილისი მშვიდად ვითარდებოდა, მაგრამ ჯერ მონდოლების გამოჩენამ 1220 წ. (ლაშა-გიორგის მეფობის დროს 1213-1223 წწ.), შემდეგ 1225 წელს გარნისის ბრძოლაში ხორქზმშაჲ ჯალალ-ად-დინთან დამარცხებამ ქვეყნის განვითარება შეა-ფერხა. მემნა და ბოცო ჯაყელების მედგარმა ბრძოლამ ჯალალ-ად დინს თბილისის აღება გაურთულა, მაგრამ ქალაქის ისლამურმა მოსახლეობამ მას კარები გაუღო და დედაქალაქში შემოუშვა (1225 წ.). ჯალალ ად-დინი გაუგონარი სისასტიკით გაუსწორდა მოსახლეობას, არ ინდობდა არც მაპმადიანებს. მისი ბრძანებით მეტების ხიდთან, სიონის ტაძრიდან გამოტანილი ღვთისმშობლის ხატი დაასვენეს და უბრძანეს თბილისელებს რჯულის დატევება და „დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა“. ვინც ბრძანებას არ აღასრულებდა თავს კვეთდნენ. ამ დღეს ასი ათასი თბილისელი შეეწირა, რომელთა მოკვეთილი თავები მტკვარს გაატანეს. ეს იყო უმაგალითო საარწმუნოებრივი და ეროვნული მოვლენის აღსრულება. 2014 წლიდან ხიდს სახელი შეეცვალა და იგი წმინდა ასიათასი მოწამის მეტების ხიდის სახელს ატარებს. ხორქზმის შაპმა ქართველთა გამაპმადიანება და საბოლოო დამარცხება ვერ შეძლო და იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო 1227 წელს.

1235 წელს თბილის მონდოლები მოადგნენ. მეფე რუსუდანმა (1223-1245 წწ.) მტერს ქალაქი უბრძოლველად ჩააბარა და იმერეთში გადავიდა, საიდანაც საგარეო მოკავშირეების ძებნა დაიწყო მათ წინააღმდეგ. მან დახმარება რომის პაპ გრიგოლ IX-საც კი სთხოვა, მაგრამ პაპმა ჯარის გამოგზავნაზე უარი უთხრა და მხოლოდ ლოცვა-კურთხევით შემოიფარგლა.

XIV ს-ში, გიორგი V ბრწყინვალის მეფობის (1318-1346 წწ.) უამს საქართველოში დამთავრდა მონდოლთა ბატონობა. ქვეყანა გაძლიერდა, თბილისი აღდგა, პირვანდელი იერსახე დაიბრუნა. გიორგი ბრწყინვალის გარდაცვალების შემდეგ აქ შავი ჭირის ეპიდე-

მია გავრცელდა, რასაც დაემატა თემურ ლენგის ლაშქრობები. 1386 წელს თემურლენგმა ალყა შემოარტყა თბილისს. საქართველოს მეფე ბაგრატ V (1360-1393 წწ.) შეუპოვრად ებრძოდა მტერს, თუმცა თემურლენგმა ქალაქი აიღო და ბაგრატი ტყვედ ჩაიგდო. დამპყრობელმა გადარჩენილი მოსახლეობის ხოცვას მიჰყო ხელი. ხალხურ გადმოცემაში დარჩა ცნობა საშინელი ტრაგედიისა, თემურლენგის მიერ კალოუბანში გადათელილი ბავშვების შესახებ. ოქროს ურდოს ყაენის თოხთამიშის დამარცხების შემდეგ თემური ინდოეთისკენ გაემგზავრა. საქართველოს მეფე გიორგი VII-მ (1393-1407 წწ.) გააძლიერა ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. 1400 წელს ინდოეთიდან დაბრუნებული თემურ ლენგი კვლავ შემოესია საქართველოს, მოახრა მთელი ქვეყანა და თბილისისკენ წამოვიდა. გიორგიმ ვერ შეძლო ქალაქის დაცვა. თემურ ლენგის რვა ლაშქრობამ აურაცხელი ზიანი მიაყენა ქვეყანას, მაგრამ ვერ მიაღწია მიზანს. საქართველომ მაინც შეინარჩუნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ქრისტიანული რელიგია. თემურლენგის მიერ დანგრეული ქვეყნისა და ქალაქების აღდგენა-მშენებლობა დაიწყო ალექსანდრე I-მა (1412-1442 წწ.) [31.1].

XV ს-ში მსოფლიოში პოლიტიკური ვითარება შიცვალა. ოსმალთა იმპერიის გაძლიერებამ ბიზანტიის იმპერიის (1453 წ.) დაცემა გამოიწვია. საქართველოს რთულ საერთაშორისო მდგომარეობას შიდა პოლიტიკური დაპირისპირებაც დაემატა. ქართველი ფეოდალები პირადი ინტერესებიდან გამომდინარე იბრძოდნენ, რამაც გამოიწვია საქართველოს დაშლა სამ სამეფოდ და ერთ სამთავროდ. თბილისი ქართლის სამეფოს დედაქალაქი გახდა. აქედან მოყოლებული იგი ოსმალთა და სპარსთა შემოტევის ობიექტია. ხშირ შემთხვევაში მტრისთვის ქალაქის გადაცემა მოღალატეთა მიერ ხდებოდა. ირანის შაჰ თამაზ I-ის ლაშქრობისას (1541 წ.) ქართლის მეფე ლუარსაბ I (1527-1556 წწ.) მცხეთაში იმყოფებოდა. ციხის-თავმა გულბათმა სპარსელებს ჩააბარა თბილისი. თუმცა ირანში შაჰ აბას I-ის ხელისუფლებაში მოსვლამდე თბილისი ოსმალებს ქონდათ დაკავებული, რომელთა წინააღმდეგ ქართლის მეფე სიმონ I იბრძოდა (1556-1569 და 1578-1599 წლებში). ქართველთა თავგანწირული ბრძოლის შედეგად თბილისი ოსმალთაგან გათავისუფლდა 1606 წელს, მაგრამ მალევე ირანის შაჰ აბას I-მა თბილისის ციხეში ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენა. ისქანდერ მუნშის გადმოცემის თანახმად, ქართლის მეფე ლუარსაბ II-ს (1606-1616 წწ.) შაჰმა „დიდებული ხალათებით და მრავალი საჩუქარით და ხელმწიფური

წყალობის შეპირებით დააიმედა. თბილისის გამგებლობა და ციხის უფროსობა ... შაჲ ად-დიმლუს ჩააბარა“ [3.1]. გამუდმებულმა შემოსევებმა თბილისი დააცარიელა. მოსახლეობა დაახლოებით ათიათა-სი იყო ანუ ორიათას კომლამდე.

მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა ქართლის ვალის, როსტომ ხანის მმართველობისას (1633-1658 წწ.). ქართლის ვალმა გამოიყენა ირან-ოსმალეთის დროებითი დაზავება (1639წ. ზოპაბის ზავი) და დაიწყო ქვეყანაში აღდგენითი სამუშაოები, ქალაქისპირა სოფლებისა და უბნების დასახლება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა. თბილისი კვლავ გამოცოცხლდა, თუმცა, აქ, ისევე როგორც მთელ ქართლ-კახეთში, სპარსული წესების დამკვიდრება და ირანიზაციის პროცესი დაიწყო.

XVII საუკუნეში თბილისში კათოლიკე მისიონერთა მიერ დაარსდა სკოლები, ხოლო ვახტანგ VI-ის (1703-1724 წწ.) მიერ 1709 წელს გაიხსნა სტამბა. ვახტანგ მეფე ირანს მხოლოდ ფორმალურად ექვემდებარებოდა და ცდილობდა ქართლში ქრისტიანობისა და ქართული სულისკვეთების შენარჩუნება-განმტკიცებას. როცა ვახტანგ VI მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთისკენ გაემგზავრა, თბილისი და ქართლი ოსმალთა 12 წლიან ბატონობაში გადავიდა. ამას დაერთო რუსეთ-თურქეთის 1724 წლის ზავი, რომლითაც რუსეთმა ოსმალეთს მთელი საქართველო დაუთმო. ოსმალებმა თბილისის გამაგრებას მიჰყვეს ხელი, ისინი აპირებდნენ სიონის ტაძრის მეჩეთად ქცევას და ქართველი მოსახლეობის სრულ გამაპმადიანებას. თბილისში აჯანყება დაიწყო გივი ამილახვრისა და კახეთის მეფის კონსტანტინე II-ის (1722-1733 წწ.) ძმის, თეიმურაზ II-ის მეთაურობით, რაც ოსმალების განდევნით დამთავრდა.

1745 წელს თეიმურაზ II ქრისტიანული წესით ქართლის მეფედ აკურთხეს. თეიმურაზ II-ისა (1745-1762 წწ.) და ერეკლე II-ის (1762-1798 წწ.) მმართველობის პერიოდში თბილისი კვლავ გადაიქცა ამიერკავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად, შეკეთდა მტრისგან დანგრეული და განადგურებული სასულიერო და საერო შენობა-ნაგებობანი. ევროპელ მოგზაურთა თვალთახედვით თბილისი „სპარსული და ევროპული სახის დედაქალაქი და რეზიდენციაა ქართლის მეფისა“ [1.3]. ამავე პერიოდიდან გაიზარდა ქალაქის ტერიტორიაც „გარეთუბნის“ ხარჯზე (გარეთუბნი კალას დასავლეთითა და ჩრდილოეთით არსებული ტერიტორია იყო და ქაშუეთამდე ვრცელდებოდა. აქ რამდენიმე მიკროუბანი არსებობდა: წყლისკარის, ვანქის, ბოშის, კალოუბანი და სხვა).

XVIIIს-ს II ნახევრიდან გაძლიერდა რუსეთის იმპერიის ინტერესები კავკასიისა და საქართველოს მიმართ. ქართველ მეფე-ებსაც ისლამური სახელმწიფოებისაგან განთავისუფლების იმედი გაუჩნდათ, თუმცა ეს იმედები მაღევე გაუცრუვდათ. ამიტომ ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე II-მ ავსტრიის იმპერატორ იოსებ II-ს გაუგზავნა წერილი, სადაც დახმარებას ითხოვდა და უხსნიდა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი ქვეყანა მუსლიმური სამყაროსგან. ამავე შინაარსის წერილი მისნერა ერეკლე II-მ პრუსიის მეფე ფრიდრიხ II-სა და საფრანგეთის მეფე ლუი XVI-ს. ზოგადად, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე ერეკლემ განსაკუთრებით გააქტიურა მიმოწერა ევროპასთან. სამწუხაროდ, ვერც ერთმა წერილმა ვერ (არ) ჩააღწია დანიშნულების ადგილამდე. მცდელობა ევროპასთან კონტაქტისა რუსეთის სამსახურების მიერ მყაცრად კონტროლდებოდა. რუსეთმა დაინახა რა ერეკლეს ყოყმანი პრორუსული ორიენტაციისადმი მასთან მოსალაპარაკებლად გამოაგზავნა გერმანელი იაკობ რაინეგსი, რომელსაც იგი უნდა დაერწმუნებინა რუსეთთან ურთიერთობის აუცილებლობაში. რაინეგსის დიპლომატიური მუშაობის შედეგად ერეკლემ რუსეთის მფარველობაზე თანხმობა განცხადა.

1783 წელს დადებულმა გეორგიევსკის ტრაქტატმა კავკასიის მუსლიმურ მოსახლეობაში ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ავტორიტეტი შეარყია. ამას მოჰყვა ერეკლე II-ისგან ვასალური სახელმწიფოების (განჯა, ერევანი, ნახქევანი) განდგომა და 1785 წელს ხუნძანის ბატონის ომარ ხანის ლაშქრობა. საბოლოოდ კი, 1795 წელს, სპარსეთის შაჰ ალა-მაჰმად ხანის შემოსევა, რომლის შედეგად თბილისი გადაიწვა, დაინგრა და განადგურდა.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით რუსეთმა დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი, ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და თბილისი საგუბერნიო ქალაქად აქცია, თუმცა იგი კავკასიის მთავარი ქალაქის სტატუსს კვლავ ინარჩუნებდა, რამაც XIX ს-ში განსაზღვრა მისი ეთნიკური და კონფესიური სიჭრელე. კიდევ უფრო გაიზარდა ქალაქის ფართობიც. თბილისი რჩებოდა კავკასიის პოლიტიკურ, კულტურულ და სავაჭრო ცენტრად. ქალაქი გაიზარდა, შეიცვალა, მოხდა მისი არქიტექტურული იერსახის ცვლილება. ტრადიციული ქართული არქიტექტურული ფორმები ჩანაცვლდა ე. ნ. ქალაქური (ევროპული) არქიტექტურით. აშენდა ადმინისტრაციული და სასწავლო დაწესებულებები, ყაზარმები, სასტუმროები, ოპერა, საცხოვრებელი სახლები. თბილისი ევროპული სტილის ქალაქი ხდებოდა [9].

XIX საუკუნის თბილისში ეთნიკურსა და კონფესიურ მრავალ-ფეროვნებას ხელს რუსეთის ხელისუფლებაც უწყობდა. ძირითა-დი სასაუბრო ენა ქართული იყო, მაგრამ რუსული მმართველობა ქართულს „საოჯახო“ ენად მოიხსენებდა, ცდილობდა მის განვითარებასა და ხმარებიდან ამოღებას. ამას ხელს უწყობდა ადგილობრივი არისტოკრატული საზოგადოებაც, რომელთათვისაც საურთიერ-თობო ენა თანდათან რუსული გახდა. წინა საუკუნეებში ქართველ მეფეთა მიერ შეფარებული სომხები ყველა დოკუმენტს ქართულად ადგენდნენ და სომხური არ იცოდნენ, XIX საუკუნის 30-იანი წლები-დან ჩამოსახლებული სომხების ახალი ტალღა (პასკევიჩმა 1828 წ. ირანიდან 40 ათასი სომები ჩამოსახლა საქართველოში, 1830 წელს თურქეთიდან 90 ათასი სომები სამცხე-ჯავახეთში) უკვე ძირითა-დად რუსულ ენაზე საუბრობდა. მსოფლიოში გაფანტული სომხუ-რი სავაჭრო კაპიტალი თბილისში იყრიდა თავს. თბილისში გაჩნდა რუსებისა და გერმანელების დასახლებაც, სადაც ძირითადად ჩი-ნოვნიკები და ჯარისკაცები იყვნენ. ცოტა მოგვიანებით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებიც დაემატნენ. თბილისში სახლობდნენ პოლონელები, დაღესტნელები, ყაზანელი თათრები, სპარსელები, თურქულენოვანი ხალხები. თბილისელები ყოველთ-ვის გამოირჩეოდნენ რჯულთშემწყნარებლობითა და სხვათა პატი-ვისცემით. თუმცა გაძლიერებული რუსული კოლონიური პოლიტიკა დიდ დარტყმას აყენებდა ქართულ კულტურასა და ეროვნულ ღირ-სებას. ქართველი ხალხი ვერ ეგუებოდა რუსულ კოლონიალიზმს და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ტალღა მუდმივად ძლიერდებოდა, გასაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც XIX ს-ის 60-იან წლებში დაარსდა საზოგადოება „ახალგაზრდა საქართველო“ და თერგდალეულები გამოვიდნენ ასპარეზზე. რუსული კოლონიუ-რი პოლიტიკა მძმე დარტყმას აყენებდა ქართველ ხალხში ეროვნუ-ლი თვითშეგნების ამაღლებას.

XX საუკუნიდან თბილისი მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრად გადაიქცა. ცარიზმის დამხობისა და ბოლშევიზმის გამარჯვების შემედეგ რუსეთის არისტოკრატის დიდმა ნაწილმა საქართველოს შეაფარა თავი. თბილისში ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის კომისარი-ატი, ხოლო 1918 წელს ამიერკავკასიის სეიმი. ამიერკავკასიის ფე-დერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობაც აქვე გამოცხადდა.

1918 წლის 26 მაისს თბილისში ხელი მოეწერა საქართველოს და-მოუკიდებლობის აქტს (დამოუკიდებლობა გამოაცხადეს სომხეთმა და აზერბაიჯანმაც). დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის

პერიოდში თბილისში გაიხსნა პირველი ეროვნული უნივერსიტეტი (ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), კონსერვატორია, დაიბადა ქართული ოპერა, ეროვნული სამხატვრო გალერეა და მის ბაზაზე შემდგომში საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

1921 წლის 25 თებერვლის — საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ თბილისი ჯერ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რომელიც მოიცავდა სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს), 1936 წლიდან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი გახდა. საბჭოთა მმართველობის პერიოდში (1921-1991 წწ.) კი ქართული ეროვნული მოძრაობის ეპიცენტრად იქცა. დამოუკიდებლობის კომიტეტისა და სამხედრო ცენტრის (1922), 1956 წლის 9 მარტისა და 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები ამისი მკაფიო დასტურია.

1989 წლის 9 აპრილს რუსმა ჯარისკაცებმა თბილისში მშვიდობიანი აქცია დაარბიეს. 1991 წლის 9 აპრილს, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, თბილისში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამ პერიოდიდან თბილისი უკვე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქია. დამოუკიდებლობის გამოცხადებას მალევე მოჰყვა დაპირისპირება მთავრობასა და ოპოზიციას შორის, რაც ხელისუფლების დამხობითა და თბილისის ომით დამთავრდა. სამოქალაქო ომის დროს დაინგრა თბილისის მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები, დაიღვარა სისხლი და რაც მთავარია, პირველი ეროვნული ხელისუფლება იარაღის ძალით იქნა დამხობილი. სამოქალაქო ომის შედეგად დაზიანებული ქალაქი მალევე აღდგა, ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები დაზიანებულ ისტორიულ ძეგლებზე. თბილისი საქართველოს მთავარი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრია, იგი კვლავ ვითარდება, იზრდება, ინარჩუნებს ტოლერანტობას, რელიგიურ შემწყნარებლობას, არის მულტიკულტურული კავკასიური მეგაპოლისი.

ძველი თბილისის ციხეები

თბილისი დაარსების დროიდან სამი ციხით იყო წარმოდგენილი. ესენია: თაბორის ყორჩი-კალა, მეტების ციხე ეკლესიითურთ და დედაციხე-ნარიყალა.

თაბორის ციხე

თაბორის ციხე კონტროლს უწევდა განჯისკარს და აღმოსავლეთიდან იცავდა ქალაქის კარიბჭის მისადგომებს. ციხე წყაროებში პირველად იხსენიება 1045 წელს, როცა მეფე ბაგრატ IV-მ ქალაქი და ციხე-სიმაგრე დაიკავა. 1630-იან წლებში მეფე როსტომმა აღადგინა 1618 წელს სპარსეთის შაჰს აბას I-ის შემოსევის დროს დანგრეული თაბორის ციხე და ეკლესია. ამის შემდეგ თაბორი დიდხანს აღარ იხსენიება და გვხვდება 1723 წლის ჩანაწერში, როდესაც იგი კახეთის მეფემ — კონსტანტინე II-მ, მამადყული-ხანმა დაიკავა თუმცა, მალე დაკარგა. 1735 და 1743 წლებში თაბორის ციხე სპარსელებმა ისევ დაანგრიეს — „დააქცია ციხეგორისა, ქალაქს თაბორი“. 1747 წლამდე ქართველებს მხოლოდ თბილისის ვაკე ადგილები ეკავათ. მისი ციხეები — მეტები, ნარიყალა და თაბორი ყიზილბაშებს ეპყრათ. თაბორი ერეკლე II-მ იერიშით აიღო, გალავანი შემოავლო და ჯარი ჩააყენა. აღა-მაჭად ხანის შემოსევის დროს თაბორის ციხეც დაინგრა. რუსული მმართველობის დროს ის აღარ აღუდგენიათ, ამჟამად მისგან მხოლოდ საძირკვლის ნაშთებია შემორჩენილი [12.2].

ნარიყალა

ნარიყალა თბილისის მთავარი თავდაცვითი ნაგებობაა და IV-XVIII საუკუნეების ქართულ და უცხოურ წყაროებში გვხვდება „დედაციხის“, „კალას“, „შურისციხის“, „მალლაციხის“ სახელწოდებებით. ციხე აქ IV საუკუნეში დაარსდა ვარაზ-ბაკურის მეფობის დროს. ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში დაცულ ცნობებში ის „ტფილისის ციხედ“ ან „კალასციხედ“ მოიხსენიება. სიტყვა „კალა“ არაბული წარმოშობისაა და ციხეს ნიშნავს, თუმცა, მას, ამავე დროს, დასახლებული ადგილის აღსანიშნავადაც იყენებდნენ. კალა ციხეს სახელი მოგვიანებით, მონღლოლთა ბატონობის დროს

ეწოდა, თუმცა ისტორიულ წყაროებში ნარიყალა უფრო მოგვიანებით — XVII ს-დან გვხვდება, კერძოდ, ისქანდერ მუნშთან თბილისის აღების თხრობისას: „თბილისის ციხე მდებარეობს ერთი მაღალი მთის კალთაზე, ერთ მხარეზე, სადაც ნარინ-ყალა არის“ [3.3]. თავდაპირველად ნარიყალა (მცირე ციხე, რომელიც ყველაზე გამაგრებული და მიუდგომელი იყო) ციტადელის ყველაზე მაღალ ნაწილს ერქვა და შემდგომ „ზემოციხედ“ იწოდა. ნარიყალას ციხეში გამორჩეული იყო ე. წ. „სტამბოლის“ გოდოლი, რომელიც დღეს ნანგრევების სახითაა შემორჩენილი და ძველად კი სამხრეთიდან ქალაქში შემოსასვლელ გზას უწევდა კონტროლს. ციხეს ორი მიწისქვეშა გასასვლელი ჰქონდა დატანებული მტკვრისა და ნავესის წყლისკენ.

V საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მომძლავრებასთან ერთად გაიზარდა ამ ციხის სტრატეგიული მნიშვნელობაც. იგი წარმოადგენდა ქალაქის ძირითად თავდაცვით ნაგებობას. სპარსთა ბატონობის უამს დაზიანებული კალა ციხე ვახტანგ გორგასალმა აღადგინა და მას ქვის ზღუდე შემოავლო მას შემდეგ, რაც მცხეთიდან სატახტო ქალაქი თბილისში გადმოიტანა. სავარაუდოდ, ამ დროს გაჩნდა მიკრო ტოპონიმი „დაბლაციხე“ (მ. ძ).

ნარიყალას ქვის გალავანი კარგად ყოფილა გამაგრებული და ძლიერ თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენდა მაღალი კედლებით, კოშკებითა და ბასტიონით გამაგრებული. 627 წელს თბილისს ბიზანტიის კეისარი ჰერაკლე და ხაზარები მოადგნენ, მათ ციხეში გამაგრებული სპარსელთა ლაშქრის დამარცხება გაუჭირდათ.

თბილისისთვის განსაკუთრებით მძიმე არაბთა ოთხასწლოვანი მმართველობა აღმოჩნდა. არაბებმა თბილისი საამიროს დაარსების შემდეგ დედაციხე გადაწვეს, მაგრამ შემდეგ სიმაგრეს ალიზის ორმაგი ზღუდე შემოავლეს. არაბული წყაროების თანახმად, კალა ციხეზე ობსერვატორია არსებობდა 930 წელს. სავარაუდოდ, ობსერვატორია ციხის იმ ნაწილში უნდა ყოფილიყო, რომელსაც „შაჰჰატატი“ ეწოდება. ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ბაგრატ IV-მ არაეთხელ სცადა თბილისის გათავისუფლება და 1045 წ-ს მან მთავარი ციტადელიც კი აიღო, თუმცა მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა თბილისის შემოერთება. დავით IV-მ 1122 წელს თბილისი აიღო და კვლავ საქართველოს დედაქალაქი გახადა. ამ დროს აღდგა და განმტკიცდა მისი მთავარი ციხეც — „აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა და დაუმკვიდრა... საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“ [4.6]. (სპარსთაში დავითის ისტორიკოსი მაჰმადიანთა ბა-

ტონობას გულისხმობს. ქ. შ.) საქართველოსთვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა დავითისა (1089-1125 წწ.) და თამარის (1184-1213 წწ.) შემდგომი ეპოქები. 1226 წელს ხვარაზმაჲს-ჯალა-ად-დინს თბილისის მაჲმადიანმა მოსახლეობამ გაუღო კარები, ღალატით მოკლეს ციხისთავი მემნა ბოცოს ქ. ხვარაზმაჲის ლაშქრობის შემდეგ მალევე თბილის მონღლოები მოადგნენ, რომელთა ბატონობის შედეგად საქართველო პოლიტიკურად დაქუცმაცდა. დაინგრა და განადგურდა ქალაქები. 1386 წ-ს კი ნარიყალას ციხე აიღო თემურ-ლენგმა, რომელსაც ძალიან გაუჭირდა ძლიერად გამაგრებული ციტადელის აღება.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, XVI საუკუნიდან, ნარიყალას ციხე ხან სპარსელების, ხან ოსმალების ციტადელს წარმოადგენდა. 1522 წელს ციხე ირანის შაჲმა ისმაილმა აიღო. ქართლის მეფე დავით X-მ (1505-1525 წწ.) მალევე მოახერხა ციხის დაბრუნება და „მოსრნა ყიზილბაში“ [5.3]. 1541 წელს თბილის შაჲ თამაზი მოადგა. ამ დროს მეფე ლუარსაბ I (1527-1556 წწ.) შვილის დაკრძალვაზე იმყოფებოდა მცხეთაში. მოღალატე გულბათ ციხისთავმა მტერს კარები გაუღო და ქალაქი ჩააბარა. ლუარსაბ I-მა პარტიზანული ბრძოლებით შეძლო მტრის ძალების განადგურება. ირანის შაჲი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. ამ ლაშქრობით შაჲ თამაზ I-მა შეძლო თბილისის დაკავება, მაგრამ ვერ დაიმორჩილა ვერც ქართლი და ვერც მეფე ლუარსაბი. ლუარსაბ I დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მედროშედ იქცა და როგორც ბერი ეგნატაშვილი ალნიშნავს — ...და რაოდენცა დღეს სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველივე ხრმლისისა მისგან არიან“ [5.1]. ირანის პოლიტიკური დასუსტებით ოსმალეთმა ისარგებლა, დაარღვია 1555 წლის ამასიის ზავის პირობები და ლალა მუსტა ფაშას ლაშქარი აღმოსავლეთ საქართველოს შემოუსია. 1578 წ. ოსმალებმა ნარიყალას ციხე დაიკავეს 1606 წლამდე [21.2].

ისქანდერ მუნშის ცნობით, ნარიყალას ციხის დაკავება და იქ სპარსული გარნიზონის ჩაჲენება შაჲ ააბას I-ის ლაშქრობისას მოხდა [3.2]. სავარაუდოდ, ამ დროს უნდა დანგრეულიყო შაჲტახტიც. მდგომარეობა შედარებით სტაბილური გახდა როსტომ ხანის (1633-1658 წწ.) მმართველობისას. როსტომმა ხიდისყურიდან კალის ციხემდე ზღუდე ააგო და ქალაქი და ციხე გაყო. სამეფო რეზიდენცია, რომელიც ნარიყალას ციტადელის ეზოში იდგა, ქართლის მეფემ ქვევით, სიონსა და ანჩისხატს შორის არსებულ ტერიტორიაზე ჩამოიტანა. ასე ჩაეყარა საფუძველი თბილისის ერთ-ერთ მიკროუ-

ბანს [40.1]. მეფის სასახლე მონღოლთა ბატონობის დროიდან უნდა ყოფილიყო მთავარ ციხეში. რატომ მიიღო როსტომ მეფემ ნარიყალადან კალოუბანში სასახლის ჩამოტანის გადაწყვეტილება, ამის შესახებ ისტორიული საბუთები დუმან. როსტომ მეფის მმართველობის დროს გაჩნდა მიკროტოპონიმები „მაღლა ციხე“ და „დაბლა-ციხე“, რაც აღნერა იმ ხანებში თბილისში მყოფმა ოსმალმა მემატიანებ ევლია ჩელებმა [2.1].

ნარიყალას ციხიდან სპარსელთა განდევნა ერეკლე II მოახერხა და იქ ქართველთა ჯარი ჩააყენა 1747-1748 წლებში. შეიტანა თუ არა მან ნაგებობაში რამე ცვლილება, უცნობია. ნარიყალამ კიდევ ერთი ნერევა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს განიცადა. იოსებ გრიშაშვილი „ძველი თბილისი ლიტერატურულ ბოჭემაში საინტერესო ლეგენდას გადმოგვცემს ნარიყალას ციხის შესახებ: „აღა-მაჰმად ხანთან მიიყვანეს მშვენიერი ტყვე ქალი, რომელსაც მეუღლე ბრძოლის დროს დაეღუპა. მისი ბავშვი კი ყიზილბაშებმა ქვაზე დაანარცხეს და მოკლეს. შაჰმა ქალზე უარი თქვა და ვინმე მდიდარ ჯაფარ-ბეგს მიჰყიდა. ჯაფარმა მას მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა და ნარიყალას ერთ-ერთ კოშკი მიიყვანა. ქალმა თავის გადარჩენის მიზნით პატრონს ხელისგული გაუსინჯა და უთხრა, ხელისგულის ხაზი მეუბნება ამაღამ საუთარი ხანჯლით სიკვდილი გინერია, მომეცი ხანჯალი შევულოცავ და არაფერი მოგივაო. ქალმა ხანჯალს შეულოცა, მერე ხანჯლის წვერი გულზე მიიღო და ჯაფარ-ბეგს უთხრა: დაჰკარი და დარწმუნდები, რომ არ დავიჭრებიო. ჯაფარ-ბეგმა თხოვნა შესასრულა და ტყვე ქალი გულ-განგმირული დაეცა მის ფეხთაქვეშ“ [43.1]. ნარიყალას ციხე აღა მაჰმად ხანის სარდლებმა თბილისის აღების შემდეგ დაანგრიეს. თუმცა 1796 წელს სარაიდარებმა — ფარსადანმა და სტეფანემ აღადგინეს დანგრეული ციხის კედლები [40.1].

ნარიყალას ციხემ ჩვენამდე მოაღწია XII-XIII საუკუნეებისა და XVII საუკუნის ნაგებობათა სახით. ციხის ციტადელის ნაწილად ითვლება ე. წ. „სტამბოლის გოდოლი“, რომელიც ციხის დასავლეთ ნაწილში დგას და უან შარდენის ცნობით იგი ოსმალების მიერაა აშენებული, ოსმალები სპარსელებმა ჩაანაცვლეს, ხოლო სპარსელების შემდეგ თბილისის მთავარი ციხე რუსებმა დაიკავეს. თუმცა მათ რესტავრაციის ნაცვლად იგი დაანგრიეს. 1827 წლის მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზიანა ციხის კედლები, ბურჯები და კოშკები. თბილისის ციხემ დაკარგა სტრატეგიული მნიშვნელობა.

ნარიყალაზე წყლის აკვედუკიც არსებობდა და ეს კარგად ჩანს ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე. წყლით მარაგდებოდა ციხე და ქალაქის გარკვეული ნაწილი. წყალი მილებითა და აკვედუკით ოქრო-ყანიდან და წავკისიდან მოდიოდა. შაჰტახტის სასიმაგრო სისტემის გავლით, სასმელი წყლით შედაციხეც მარაგდებოდა და თბილისის მოსახლეობის ნაწილიც. ამ წყალს შადრევნებისთვის და ბალების მოსარწყავადაც კი იყენებდნენ.

ციხის კედლებში შემორჩენილია ორი კარის ნაშთი, ერთი, „განჯისკარად“ წოდებული, „სტამბოლის გოდოლის“ გვერდით, ახლანდელი ბოტანიკური ბალის მხარეს, მეორე უფრო დიდი, ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. ამ კართან თბილისის ციხის ადრე შუასაუკუნეების თლილი ქვის დიდი კვადრატებით ნაგები კედლის ნაშთია. თბილისის ციხის დანარჩენი ნაწილი ნაგებია კვადრატული ფორმის ქართული აგურით და ნატეხი ქვით გაჯისა და კირის ხსნარზე [18.1].

ნარიყალას ციხეში მდგარა წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, რომელიც XIII საუკუნეში მეფე დემეტრე II-ის (1270-1289 წწ.) მეფობის დროს მეტეხის ეკლესიის თანადროულად ყოფილა აშენებული. ეკლესიის შესახებ ცნობებს ბერი ეგნატაშვილი გადმოვცემს, რომლის თანახმად, როსტომ მეფის მიერ ნარიყალას დატოვებისას ციხის შიგნით ეკლესია მდგარა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით „მაღალს ციხეში არს ეკლესია გუმბათიანი წმიდის ნიკოლოზისა“. 4/7ოსმალობის პერიოდში ციხე დამპყრობ მეციხოვნეთა ხელში იყო. არქეოლოგიური გათხრებით დგინდება, რომ ეკლესია მედრესად იყო გადაკეთებული. სავარაუდოდ, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდგომ ნარიყალას ციხეში განთავსებული დენთის საწყობის აფეთქებისას ეკლესიაც დაიზგრა. XX ს.-ის 90-იან წლებში ეკლესიის ძველ ფუძეზე ახალი ეკლესია აშენდა [46.1]. ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანია.

თბილისის მნიშვნელოვან სათავდაცვო ნაგებობას წარმოადგენდა ერეკლეს ციხეც, რომელიც ამჟამად ნანგრევებადაა ქცეული. ციხე ერეკლე II-ს ბრძანებით აიგო ქალაქის ერთ-ერთი ძველ უბან ნავთლულში.

მეტეხი

თბილისის ერთ ერთი ძველი არქიტექტურული ძეგლი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, კლდოვან ადგილას, ღვთისმშობლის სახელზე აშენებული მეტეხის ტაძარია. იგი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა. ტაძრის კომპოზიცია დახვეწილია. XIII ს.-ს ნაგებობიდან მხოლოდ აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედლებია შემორჩენილი. აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლის კამარები, გუმბათის ყელი, პატრონიკე XVI-XVII ს-შია აღდგენილი. სამხრეთ კედლი — XVIII ს-ში. ტაძარს, გარდა ძირითადი ფუნქციისა, სიმბოლური დატვირთვაც აქვს — ის იერუსალიმის გეთსიმანიის ბაღში ღვთისმშობლის საფლავზე აგებული ტაძრის მსგავსია [21.3]. საუკუნეთა განმავლობაში შენობა რამდენჯერმე საფუძვლიანად შეაკეთეს და აღადგინეს. ამიტომ იგი სხვადასხვა ფენებისაგან შედგება და ეტყობა საუკუნეების რეკონსტრუქციის კვალი. ტაძარში ამდენი შემოსევებისა და გადაწვის შედეგად მხატვრობის კვალი არ შეიმჩნევა. მეტეხი ნაშენია აგურით, გარედან კი მოპირკეთებულია მომწვანო რუხი ქვის თლილი კვადრებით. ტაძრის უმთავრეს სიწმინდეს წარმოადგენს წმინდა შუშანიკის საფლავი, აბო თბილელის ხატი. VII საუკუნის დასაწყისში, სომეხ-ქართველთა შორის საეკლესიო განხეთქილების დაწყების შემდეგ, კათალიკოსმა კირიონმა წმინდა შუშანიკის ნეშტი დაბა ცურტავიდან მეტეხის ტაძარში გადმოასვენებინა. დედოფლის საფლავი ეკლესიის სადიაკვნეშია.

როდის აშენდა ტაძარი, ზუსტი ცნობები არ გვაქვს. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, „იტყვიან ამის აღშენებას გორგასლისასათ“ [6.1], თუმცა ამ ადგილას უფრო გვიან პერიოდში ვახტანგ გორგასლის შემდეგ მოხსენებულია საგოდებელი ადგილი და არა სასახლე და ეკლესია.

იოანე საბანისძის თქმით — „...არს აღმოსავლით ციხესა მას ქალაქსა, რომელსა პრქვიან სადილეგო, პირისა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდეი...“ [35.1]. არაბთა ბატონობის დროს, VIII საუკუნეში, არაბებმა ქრისტიანობისთვის ანამეს და თავი მოჰკვეთეს არაბ აბოს. წმინდანის გვამი (ეს მოხდა 786 წელს, წმინდა ორმოც სეპასტიელ მონამეთა ეკლესიის კარიბჭესთან) დადეს ურემზე, გაიტანეს „გარეშე ქალაქსა“ და მიიტანეს დასაწველად ადგილსა მას, „რომელსა საგოდებელ ენოდების“, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათა“ [35.2]. როგორც ირკვევა, საგოდებლის სპარსული სახელია „სოლდებილი“. არაბ ისტორიკოსს ბუღა თურქის

(853 წ.) ლაშქრობასთან დაკავშირებით მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ნახსენები აქვს „სოლდებილის მედინა“, რომელიც ამ დროს გადაიწვა და შეიმუსრა. შემდგომ საუკუნეში აქ ააგეს ძნელად ასაღები ციხე-სიმაგრე ისან-ჰისამი. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: „ისანს არს კლდესა მტკურისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა ეკლესია მეტები, ღვთისმშობლისა, გუმბათიანი, დიდშუენიერი, საარქიმანდრიტო. აქ განვალს ხიდი კალიდამ ისანს, ციხედან ციხესა, ხოლო ხიდისყურის სამხრით არს საფლავი წმიდისა აბოსი, რომელი იწამა სპარსთაგან ტფილის“ [5.2].

პირველად მეტები-მეტებინი სახელწოდება ლაშა-გიორგის მემატიანესთან არის ნახსენები დემეტრე I-ის წინააღმდეგ აჯანყებული ივანე აბულეთის ძის სიკვდილით დასჯის თხრობისას. მემატიანეს ცნობით მეფემან ივანე „მეტებთა დადვა ფიცის არ გატეხისთვის“ [4.8]. თამარ მეფის დროს მეტების მიმდებარე ტერიტორიაზე — ისანში არსებობდა უკვე საქართველოს მეფეთა სასახლე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით თამარ მეფეს მამის გარდაცვალების ამბავი აუწყეს“ ქალაქსა შინა ტფილისა, საჯდომსა მათსა ციხესა ისანს“ [5.2]. ბასილ ეზოსმოძღვარი კი გადმოვცემს, რომ შამქორის ბრძოლის დროს, ჯარის გასტუმრების შემდეგ “თამარამა წარიხადნა სამოსელი ფერხთანი და ფერხივ შიშველითა მიინია ტაძარსა ღვთიმშობლისასა მეტებთა“ [5.3]. ამ ცნობებიდან ირკვევა, სამეფო სასახლე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე იდგა, მაღალ კლდეზე და მას თავისი კარის ეკლესია-მეტეხი ჰქონდა. თამარის გარდაცვალების შემდეგ თბილისს ხვარაზმის შაჳი ჯალალ-ად-დინი მოადგა. მისი ლაშქრობის დროს ქალაქი მთლიანად განადგურდა, დაინგრა უამრავი ტაძარი და მაღალ მონღოლთა ბატონიბაც დამყარდა. დანგრეული ციხე დავით ულუს დროს მესტუმრე ჯიქურმა „აღაშენა ისანთა პალატი განვებითა დიდითა“ მესტუმრე ჯიქური მანდატურუსუცესის ხელქვეითი მოხელე იყო საქართველოს სამეფო კარზე XIII ს-ში. იგი დავით ულუს (1247-1270 წწ.) დიდი ნდობით სარგებლობდა. ილხანთა საყაენოში დავითის გამგზავრების შემდეგ ქვეყანას ფაქტობრივად ჯიქური მართავდა. ჯიქურმა ალადგინა მეფის სასახლე ისანში და ქვეყანაში წესრიგი დაამყარა. მისი აღზევებით უკმაყოფილო დიდებულებმა ჯიქურს ცილი დასწამეს. მეფემ ღალატად ჩათვალა ჯიქურის საქციელი და სასახლის ქარაფიდან მტკვარში გადააგდებინა მოხელეებს. უამთააღმნერლის თქმით, 1278-1289 წლებს შორის დავით ულუს შვილმა დემეტრე II-მ „აღაშენა პალატსა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტებთა

ღმრთის მშობელისა, და შეამკო განგებითა დიდითა და შესწირნა სოფელი და ზუარნი, და განუჩინა მონაზონთასა ზრდელი და სამოსელი.“ [5.3]. ტაძრის აშენებისას გამოიყენეს მანამდე არსებული ტაძრის გეგმა ოთხ გუმბათ ქვეშა ბოძითა და აღმოსავლეთის მხარეს სამი შვერილი აფსიდით. თბილისის ძველი ნაწილი და ისანი ერთმანეთს ხის ვიწრო ხიდით უკავშირდებოდა, რომელიც მეტების ვიწრობში უნდა ყოფილიყო. XIV ს-ის დავთრების მიხედვით მეტები საკათალიკოსო მამული იყო და ფლობდა დიდალ ქონებას. ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ (1478-1505 წწ.) მეტებს შესწირა წისქვილი, საზეთე და ვენახები.

XVI საუკუნეში მეტებისა და მისი შემოგარენის შესახებ ცნობები მწირია. ქართლის მეფე ლუარსაბ I (1527-1556 წწ.) მეტებს სწირავს ყმებს. ბერი ეგნატაშვილის გადმოცემით, შაპ თამაზის ლაშქრობისას: „მოიწია მრავალი ბოროტი ტფილისასა ზედა, შეიპყრეს და განძარცვეს ხატი იგი მეტებისა“ [5.4]. აქ საუბარია მეტების ღვთის მშობლის სასანაულმოქმედ ხატზე.

მეტების ტაძარში ცნობილი ქართველი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი) მოღვაწეობდა. რომში ყოფინის პერიოდში მან გამოსცა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. 1629 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ, იგი მეტების ტაძრის წინამდღვარი გახდა. იმ დროინდელი მიმოწერები მისიონერებს, პაპსა და მეფე თეიმურაზ I-ს შორის ადასტურებს, რომ ნიკიფორე ირბახი მონაწილეობდა რომის პაპ ურბან VIII-სა და თეიმურაზ I-ს შორის მოაპარაკებებში [20.1].

ოსმალობისა და ყიზილბაშობის პერიოდში თბილისში თითქმის გამუდმებით ხდებოდა თავდაცვითი ნაგებობების შენება. კალასა და მეტების გალავანს დამპყრობლები აშენებდნენ და ანახლებდნენ, მათი განდევნის შემდეგ კი — ქართველები.

თბილისის გრაფიკული გამოსახულება პირველად შექმნა ფრანგმა მოგზაურმა და მისიონერმა უან შარდენმა. ჩანახატის მიხედვით ვგებულობთ, რომ მეტების ეკლესიას გალავანი ჰქონდა შემოვლებული. გალავანი გრძელდებოდა ჩრდილო-დასავლეთით, მტკვრისკენ. ვახუშტის რუკაზე აღმოსავლეთით გაჭრილი კარით იწყებოდა „ავჭალის გზა“ და შიგნით რამდენიმე ნაგებობა იდგა.

ქართლის ტახტზე მაპმადიანი მეფეების მართველობისას მეტების ტაძარი მიტოვებული ჩანს. სამეფო სასახლეები თბილისში — ისანში, მეტების პლატოსა და ნარიყალაში ციხის ტერიტორიაზე

იდგა. ნარიყალაში არსებული „სასახლე მეფისა პალატნი დიდ-დიდნი და შუენიერნი“ როსტომ ხანმა „კუალად დაუტევა სასახლე ისნის ციხისა და ჰერ მტკვრის კიდესა ზედა ანჩისხატსა და სიონის ეკლესიათა შორის და მისცა ციხე სრულიად ყიზილბაშთა“ [6.4]. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, როსტომამდე ქართველ მეფე-ებს სასახლე ისან-მეტებში ჰქონდათ, როსტომმა კი სამეფო სასახლე „ყიზილბაშთა რიგში“ გადმოიტანა და ასე შეიქმნა სამეფო უბანი თბილისში. უან შარდენი თბილისში ყოფნის დროს სწორედ „ყიზილბაშთა რიგში“ მყოფ სასახლეს აღწერს [1].

მეტების ტაძარი ამ პერიოდიდან მიტოვებულია. ვახტანგ V-ის ეკლესიის შენობაში თოფის წამლის საწყობი მოაწყო, ერეკლე I-ეს ნაზარალიხანმა (1688-1703 წწ.) კი მეტების ეკლესია სპარსელებს გადასცა. ვიდრე მეტების ტაძარი უცხოელთა ხელთ იყო, მის აღდგენაზე არავინ ფიქრობდა. ასე გრძელდებოდა ერეკლე II-მდე XVIII საუკუნის 40-50 წლებიდან, მას შემდეგ, რაც აღდა ქართლ-კახეთის მეფეთა ქრისტიანული წესით კურთხევა, ერეკლე II-მ დაიწყო ურთიერთობის მოგვარება ირანთან და ბრძოლა ქვეყნის განსათვისუფლებლად. დაამარცხა სამეფო ტახტის პრეტენდენტი, გამაჰმადინებული იქსეს ვაჟი აბდულა ბეგი და ბრძოლის ცენტრი თბილისში გადმოიტანა. 1747 წელს დაუნდობელი ბრძოლები გაჩაღდა თაბორისა და მეტების ციხის გარშემო. თაბორზე ერეკლეს მიერ დადგმული დიდი ზარბაზანი ანგრევდა მეტების კედლებს.

დიდი იყო მსხვერპლი. თბილისის ციხეები საბოლოოდ განიმინდა ყიზილბაშთაგან და იქ ქართველი მეომრები ჩადგნენ. ერეკლე II-მ დაიწყო მეტების კედლების შეკეთება და აღდგენა. ამას მიუთითებს აღმოსავლეთის ფასადზე შემორჩენილი წარწერა — „მეფემ ირაკლიმ ეს ციხე მტერსა წაართო ძალადო, აიღო ჯვარი ქრისტესი წინ მიიმდლურა ფარადო, და იხსნა ეკლესიანი, ახლა აქუს სახლის კარადო, ლთის მოყუარე ხელმწიფეს ასე სჭირს ამის გვარადო“ [21.3]. აღა მაჰმად ხანის ლაშქრობების შედეგ თბილისი კიდევ

1. უან შარდენის თხზულების: „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ გარკვეული ნაწილი საქართველოს ეხება, სადაც მან 1672-1673 იმოგზაურა. მან მოიარა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო, ვრცლად აღწერა საკუთარი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი და მოვლენა, პირადი შთაბეჭდილებები შეაგსო საქართველოს წარსულის შესახებ ცნობით, რომლებიც ამოერიბა ბერძენ, რომელ და სპარსელ ისტორიელთა თხზულებებიდან და წინამორბედები ევროპელ მოგზაურთა და მისიონერთა ჩანანერებიდან. აქევე გზვდებით ძველი თბილისის პირველ გრაფიკულ ჩანახატს, რომელიც შარდენის თანამგზავრის მხატვარ გრელოს მიერ უნდა იყოს შესრულებული.

ერთხელ გადაიწვა. დაინგრა მეტების ეკლესია, დაიკარგა ტაძრის სასწაულმოქმედი ხატიც. რუსეთში გადასახლებული იულონ ბატონიშვილის მეუღლემ — სალომემ პეტერბურგიდან ტაძრისთვის ახალი ხატი გამოგზავნა.

XIX საუკუნეში რუსული მმართველობის დამყარებისა (1801 წ.) და ავტოკეფალის გაუქმების (1811 წ.) შემდეგ მეტების ტაძრის მიმდებარე ტერიტორია სამხედრო ბანაკად და ყაზარმად გადაკეთდა. მთავარმართებელ ერმოლოვის დროს მოხდა ძველი ციხე-სიმაგრის დანგრევა და ეკლესიის გალავანში მცხოვრები ყმა-გლეხების გამოსახლება. აშენდა დიდი სატუსალო, ტაძარი სატუსალოს შიდა ეკლესიად გადიქცა. ამ ფუნქციას იგი XX ს.-ს 30-იან წლებამდე. საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის ანექსიის დროს (1921 წ.) მეტების ტაძარი ეროვნული მოძრაობის წამომადგენელთა სატუსალოდ გადაიქცა. ტაძარს დღესაც ამჩნევია ბოლშევიკების მიერ 1921-36 წლებში დაპატიმრებულ პოლიტპატიმართა გვარები.

ლავრენტი ბერიამ ეკლესიის დანგრევა გადაწყვიტა, ამ გადაწყვიტილებას წინააღმდეგობა მხატვარმა დიმიტრი შევარდნაძემ გაუწია. ლავრენტი ბერიამ შესთავაზა საზოგადოებას ეკლესიის მცირე ზომით შექმნა მუზეუმისთვის, რაზედაც უარი მიიღო. დიმიტრი შევარდნაძე დააპატიმრეს და მოგვიანებით დახვრიტეს. [50-1] მეტების ტაძარი დანგრევას გადაურჩა. ეკლესიაში მოგვიანებით თეატრი დაარსდა.

1980-იან წლებში კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ინიციატივით დაიწყო ეკლესიის საქართველოს საპატრიარქოსთვის დაბრუნების პროცესი. ტაძარში წირვა-ლოცვა განახლდა და ამჟამად მოქმედი ტაძარია. ტაძართან ახლოს მეტების კლდეზე დგას მოქანდაკე ელგუჯა ამაშუელის მიერ შექმნილი ვახტანგ გორგასლის მონუმენტური ქანდაკება.

ანჩისხატი

ანჩისხატის ტაძარი თბილისის ერთ-ერთი უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლია. იგი თავდაპირველად მარიამწმინდის სახელით იყო ცნობილი.

მარიამწმინდის ეკლესია აშენებულია VI საუკუნეში — მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალმა მცხეთიდან დედაქალაქი თბილისში გადმოიტანა და მისმა ძემ დაჩიმ „განასრულა ზღუდენი თბილისისა-

ნი“. [4.9] ამას ადასტურებს ტაძარზე შემორჩენილი წარწერა „უფა-ლო, მეფე დაჩის შეენიე.“ „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ქალაქის გარეუბანში მდებარე ეკლესია მარიამწმინდის სახელობისაა: „თბილის კაცნი დასხდებოდეს და მარიამწმიდად ეკლესიად აღაშენეს.“

ქართლის კათალიკოსმა ბაბილამ 634 წელს ტაძარი შეაკეთა და იქვე სასახლეც ააშენა, რომელშიც „მცხეთით ტფილისად მოს-რულთა კათალიკოსთათვის“ რეზიდენცია ყოფილა. კათალიკოსთა საცხოვრისი „ეპისტოლეთა წიგნის“ თანახმად სიონის გალავანში იყო. აქ ცხოვრობდა კირიონი, რომელმაც დიდი გავლენა და სახე-ლი მოიპოვა როგორც სასულიერო, ისე საერო საქმიანობით. მან შეძლო პოლიტიკური კურსის ბიზანტიისკენ წარმართვა და დიო-ფიზიტობის საბოლოო გამარჯვება. ტაძარს არაბთა ბატონობის დროს ზარების რეკვის უფლება ჰქონდა შენარჩუნებული. ამის გამო მოსახლეობამ მას სიყვარულით „ზარის საყდარი“ შეარქვა. საისტორიო წყაროებში ამ ძეგლის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ შემონახულა. იგი მხოლოდ საკათალიკოსო ეკლესიად მოიხ-სენიება [36.1].

ანჩისხაგის სახელით ტაძარი გვიანშუასაუკუნეებიდან მოიხ-სენიება „ანჩისხატი დიდი, უგუმბათო, კათოლიკოზისა [6.5]. სახე-ლი ტაძრისა დაკავშირებულია მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატთან ანუ პირილვთისხატთან, რომელიც ქრისტიანობის უდიდეს სიწმინ-დეს წარმოადგენს. ამ სასწაულთმოქმედი ხატის შექმნა უშუალოდ უფალს უკავშირდება. მხატვარმა, რომელიც ცდილობდა მაცხო-ვრის სახე ტილოზე გადაეტანა, ეს ვერაფრით შეძლო, მაშინ იქსო ქრისტემ ტილო სახეზე მიიფარა და მასზე მისი სახე სასწაულებრი-ვად აღიბეჭდა. ხელთუქმნელი ხატი ედესაში ჩააბრძანეს. ედესაში სპარსელების შეჭრის შემდეგ ხატი კონსტანტინოპოლიში გადააპ-რძანეს და წმინდა სოფიას ტაძარში დაასვენეს. VIII-IX საუკუნეებ-ში ბიზანტიაში ხატმებრძოლება დაიწყო, რის გამოც მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი კლარჯეთში, კერძოდ, ანჩის საეპისკოპოსო ტაძარში გადმოასვენეს. თამარ მეფის ბრძანებით ხელთუქმნელი ხატი ცნობილმა ოქრომჭედელმა ბექა ოპიზარმა მოჭედა, რასაც ხა-ტის არშიაზე მიწერილი წარწერაც გვამცნობს: „ბრძანებითა და ნი-ვთის ბოძებითა ღვთიურ გვიგვინოსანის დიდისა დედოფალთ-დე-დოფლისა თამარისათა, მე იოანე ანჩელმან რკინაელმან ხელვჰყავ საშინელსა ამის ხატის პატივითა მოჭედად. მფარველ-მცველ არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიჭედა ხელითა ბექასითა, ქრისტე შეიწყალე“ [48.1].

ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ოსმალებმა საქართველოს სამხრეთ პროვინციები დაიკავეს. 1555 წლის ამასიის ზავით კი ირან-ოსმალების მიერ საქართველო შუაზე იქნა გაყოფილი და მისი მთელი სამხრეთი და დასავლეთი ოსმალთა გავლენის ქვეშ მოექცა. სხვა სიწმინდეებთან ერთად ხელთუქმნელი ხატი ანჩიდან ახალ-ციხეში გადმოაბრძანეს. 1660 წელს დომენტი კათალიკოსმა 120 თუმნად ჩამოატანინა გორელ ვაჭარს — ამირჯანა ივანგულიშვილს სამცხედან ათი ხატი, რომელთა შორის უპირველესი იყო ხატი ანჩისა. იგი ჯერ გორში დააბრძანეს, შემდეგ კი სოფელ ჭალაში, თავად იოთამ ამილახვრის ბინაში, სადაც დარჩა როსტომ მეფის გარდაცვალებამდე. იოთამის შვილს — გივი ამილახვარს ანჩისხატისთვის კარედის კარები მოუჭედავს. ამას გვამცნობს კარებზე გაკეთებული წარწერა. ხატი დომენტი კათალიკოსმა 1664 წელს ლიტანიობით ჩამოაბრძანა ჯერ მცხეთაში, შემდეგ კი თბილისში და დააბრძანა მარიამწმინდას ეკლესიაში. სავარაუდოდ, მარიამწმინდას ეკლესიას სახელი ამ დროს გადაერქვა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „შემუსვრილი აღაშენა კათოლიკოზმან დომენტიმ, [6-6] როგორც ჩანს, დომენტი კათალიკოსის დროს მარიამწმინდას ტაძარი დანგრეული ყოფილა და ვიდრე თბილისში ჩამოაბრძანებდნენ წმინდა ხატს, მანამდე მოხდა ტაძრის რესტავრაცია, რომელსაც ამიერიდან ანჩისხატის ეკლესიის სახელი დაერქვა. [32.1] (ხატი ამჟამად დაცულია თბილისის ხელოვნების მუზეუმში).

1675 წელს კათალიკოს დომენტის ლოცვა-კურთხევით ანჩისხატის დაზიანებული ტაძარი შეუკეთებიათ: აგურის წყობით შეუვსიათ კედლების ჩამონგრეული ზედა ნაწილები, ტაძარში აღუმართავთ აგურის მრგვალი ბოძები და მათზე დაყრდნობილი თაღები. ამავე წელსაა აგებული ორსართულიანი სამრეკლოც, რომელიც ტაძრის გალავნისა და ქუჩის ორგანული ნაწილია. 1683 წელს ეკლესია მოიხატა ნიკოლოზ კათალიკოსის თაოსნობით. XVII საუკუნეში წარმოიშვა ტაძრის შემოგარენის სახელწოდებაც — „ანჩისხატის უბანი“.

ანჩისხატის ეკლესია სასულიერო და კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. 1755 წელს ერეკლე II-ის ხელშეწყობით ტაძართან საერო სკოლა და სასულიერო სემინარია ჩამოყალიბდა. პოლიევეტოს კარბელაშვილის თანახმად „ანტონმა I 1755 წ. იანვარში ანჩისხატის ეზოში გახსნა განახლებული სემინარია და სამხრეთის შესავალ კარების მაღლა კედელში ჩასვა მარმარილოს ქვა ხუცურის ასომთავრულის ქართულის წარწერით“ [23.1]. 1763 წ. რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებულმა ანტონ კათალიკოზმა

გადააკეთა სასულიერო გამგეობა და სახელად დიკასტერია უწოდა. სემინარიაში საღვთო სჯულსა და საეკლესიო ისტორიასთან ერთად გრამატიკას, რიტორიკას, ლოგიკას, ფილოსოფიას, არითმეტიკას, ქართულ ენას ასწავლიდნენ. ხშირად იმართებოდა საჯარო დისპუტები სამეცნიერო საკითხებზე. განსაკუთრებით გავრცელებულიყო „კითხვა-მიგების“ მეთოდი. თვით ერეკლე II ხშირად მიდიოდა ხოლმე სემინარიაში და წარჩინებულ მოსწავლეებს აჯილდოებდა. სემინარია აღა-მაჰმად ხანის შემოსევამ გაანადგურა [21.4].

პოლიეგეტოს კარბელაშვილი სინანულით გადმოგვცემს: „სპარსთაგან ტფილისის აოხრების შემდეგ (1795 წ. 11-13 სექტემბერი) ანტონ II კათალიკოზმა მალე განაახლა სემინარიაც და სტამბაც. მაგრამ დიდ-დიდნი უბედურებანი და აღრეულობანი ამ დროს დაატყდნენ თავსა საქართველოს ერსა და ეკლესიას. ჯერ მიიცვალა მეფე ერეკლე (11 იანვარს 1798 წ.) და მერე მეფე გიორგიც (27 დეკემბერს 1800 წ.). რაღაც იდუმალმა მანქანებამ არია ქვეყანა და უიმისოდ ან წელში განწყვეტილი ერი ქართველთა გონს ვეღარ ეგებოდა. ამ დროს ვიღას ეცალა საეკალესიო საქმეებისთვის? ანტონ კათალიკოზი განაგებდა საეკლესიო საქმეებსა როგორც კი ამ დროებას შეეფერებოდა. გაიმართა ენა-ტანიობა, ბეზღება, ერთმანეთის დასმენა. აიმღვრა წყალი და ადვილად იჭერდნენ აღალ-მართალ თევზებსა. ამ აურზაურისა გამო ანტონ II იძულებული იყო გამგზავრებულ იყო პეტერბურგისაკენ 10 ივნისს 1811 წ. და აღარც მობრუნებულა სამშობლოში...“ [23.2]. ანჩისხატის ეკლესიაში მოღვაწეობდა ალექსი-მესხიშვილთა საგვარეულო, რომელიც ცნობილი მწიგნობრები, კალიგრაფები და მხატვრები იყვნენ.

ანტონ II კათალიკოსის წასვლის შემდეგ დაცარიელდა ანჩისხატის ეზო, შემცირდა ტაძარიც. 1819 წ. ანჩისხატის ტაძარს დაენიშნა — ერთი დიაკონი, ერთი მღვდელი, მთავარდიაკონი და ორი მეფისალმუნე. ტაძარი ხელახლა მოიხატა. XIX საუკუნის 70-იან წლებში ანჩისხატი ისევ შეაკეთეს. დაადგეს გუმბათი და დასავლეთიდან მრავალსართულიანი სამრეკლო მიაშენეს, რომელიც XX ს.-ში ჩატარებული რესტავრაციის დროს მოაშორეს. ასევე მოიხსნა მხატვრობის ნაწილი (შიდა კედელზე). სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ნაგებობის უძველესი შრეები, მისი პირვანდელი იატაკი და XVII საუკუნის ფრესკების ფრაგმენტები. შენობას დაუბრუნდა ისეთი სახე, როგორიც XVII საუკუნეში ჰქონდა.

ანჩიხატი ქართული კულტურული მემკვიდრეობისა და თბილისის უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლია.

ორმოცი სებასტიელ მოწამეთა ეკლესია

წმინდა ორმოცი სებასტიელი მოწამე სებასტიის ტბაში ქრისტეს სარწმუნოებისთვის 320 წელს იმპერატორ ლიცინიუსის დროს აწამეს. ისინი კაბადოვიელი ქრისტიანი მეომრები იყვნენ. წმინდანებმა ერთ-ერთ წარმართულ დღესასწაულზე კერპებისთვის მსხვერპლ-შეწირვაზე უარი განაცხადეს. ისინი ერთი დღით გაყინულ სებასტიის ტბაში ამყოფეს. ერთ-ერთმა მეომარმა წამებას ვერ ვაუძლო და წყლიდან ამოსული ნაპირზევე გარდაიცვალა. მის ნაცვლად ტბაში იქ მყოფი დარაჯი ჩავიდა, რომელიც მოწამეთა თავზე გვირგვინებს ხედავდა. უვნებელად გადარჩენილები მეორე დღეს საშინლად აწამეს.

იმ ადგილას, სადაც „კალასა“ და „თბილისს“ ყოფს „სალალაკის წყალი“ — „წავკისის წყალი“, დაბლაციხის ტერიტორიაზე წმ. ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის „ციხის პატარა ეკლესია“ იყო აშენებული. ისტორიული საბუთები ტაძრის დაარსების შესახებ დუმან. მეცნიერთა ვარაუდით, ტაძარი ვახტანგ გორგასლის დროს უნდა აშენებულიყო [36.1], ფაქტია, რომ ტაძარი VIII საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული გალავნის ტერიტორიაზე დასტურდება. წმ. ორმოცი სებასტიელი მოწამის ეკლესია VIII საუკუნეში არაბთა ბატონობის უამს ჯერ კიდევ მოქმედი იყო. იმანე საბანისძე „აბო ტფილელის მარტვილობაში“ აღნიშნავს, რომ: „რამეთუ, სადა იგი მოჰკვეთეს თავი წმიდასა მას მოწამესა, კართა ზედა იყო წმიდისა ეკლესიისათა, რომელი სახელად წმიდათა ორმეოცეთა დაფუძნებული იყო“ [35.3] სწორედ ამ ტერიტორიაზე — ტაძრის კარიბჭესთან აწამეს არაბებმა არაბი აბო. შემდგომ წმინდანის გვამი დადეს ურემზე და გადაიტანეს „გარეშექალაქსა“ და მიიტანეს დასაწველად ადგილსა მას, „რომელსა საგოდებელ ენოდების“ და დაკრძალეს „ქვეშე ხიდსა მას ქალაქისასა“ და აღმართეს პატიოსანი ჯვარი. ადგილმა მიიღო „ძალა კურნებისა“ და ქართველთათვის წმინდა ადგილად იქცა.

მოგვიანებით გაჩნდა პრობლემა ეკლესიის კუთვნილებისა. დ. კარიჭაშვილის ცნობით, ეკლესია ბერძნებს ეკუთვნოდათ, იგი 1792 წელს მიითვისეს (ზ. ძ.) და აღადგინეს თბილისელმა სომხებმა. 1923-24 წლებში ეკლესია, როგორც ბევრი სხვა სალოცავი, კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაანგრია. 1998-2011 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შემდგომ ეკლესიამ აღდგა და დაიბრუნა თავისი პირვანდელი მფლობელი — ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია.

ნმ. ორმოცი სებასტიიელ მოწამეთა ეკლესია ძველთაგანვე ქართულ მართლმადიდებლურ სალოცავს წარმოადგენდა და მავან სომებ „მეცნიერთა“ ცრუ და ყალბი „წყაროები“ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებენ. სომხები ეყრდნობიან ვითომდაც 1226 წელს თბილისში ჩამოსული ვინმე ვანაკან ვარდაპედის ჩანაწერებს, რომელსაც ორმოც მოწამეთა ეკლესიაში (ჯალალ-ედინის მიერ გადამწვარ-დანგრეულ თბილისში 1225 წ.) სახარება გადაუწერია. გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფის — გიორგის VIII 1459 წელს გაცემულ სიგელში საუბარია ამ ეკლესიაზეც. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის — გიორგი XII დროს ეკლესიაზე პრეტენზია უკვე ბერძნებს გამოუცხადებიათ. მ. ძნელაძის კვლევის საფუძველზე ეს ეკლესია, სავარაუდოდ, ვახტანგ გორგასლის მეუღლის — ბიზანტიის კეისრის ქალიშვილის — ელენეს სახელს უნდა უკავშირდებოდეს [42.1]. ალა-მაჰმად ხანის შემოსევების შედეგად 1795 წელს თბილისში ყველაფერი განადგურდა. როდესაც დაიწყო ძველი თბილისის არქეოლოგიური შესწავლა, აღმოჩენილი ეკლესიის ნანგრევებზე უწმინდესი და უნეტარესი ილია II ლოცვა-კურთხევით ორმოც სებასტიიელ მოწამეთა სახელზე ტაძარი კვლავ (1998-2011 წწ.) აშენდა. ტაძრის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც თბილისის კვლევის დროს აღმოჩნდა.

ეკლესიის საძირკველში არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების პროცესში აღმოჩნდა I-III საუკუნეების რომაული აბანო, რომელიც მაღალი სამშენებლო ტექნიკითაა შესრულებული. ცნობილი რომაული აბანოებისგან განსხვავებით, მას არ სჭირდებოდა წყლის გამაცხელებელი სათავსო, რადგან ბუნებრივად ცხელი გოგირდოვანი წყლებით ივსებოდა. აბანო სამი აუზითა და ერთი სათავსოთა წარმოდგენილი. შემორჩენილია რიყის ქვით ამოყვანილი სამხრეთისა და ჩრდილოეთის საძირკვლის ნაშთი. წყლის აუზები როგორც ფორმით, ისე ზომით ერთმანეთისგან განსხვავებულია. დატანილია წყლის სადინრებიც. აბანოს კვლევა კვლავ მიმდინარეობს.

აბოს ნიში

ვახუშტის ცნობით, „ხიდის ყურის სამხრით არს საფლავი წმიდის აბოსი“ ე. ი. მცირე სამლოცველო მტკვრის მარცხენა სანაპიროზე იდგა მეტეხის ხიდთან, სადაც ჯვარიც იყო აღმართული. აბოს ნიშის

ჯვარზე ცნობები ერეკლე II-ს პერიოდიდან გვაქვს. გადმოცემით, კრწანისის ბრძოლის ველიდან გამოყვანილი მეფე ხიდთან შეჩერდა და წმინდა აბოს დაკრძალვის ადგილს და იქვე აღმართულ ჯვარს თაყვანი სცა. ამის შემდეგ მეფე ერეკლე თბილისში აღარ გაჩერებულა [31. 2].

XIX ს. დასაწყისში აბოს ნიშასთან ჯვარი კვლავ იყო აღმართული. 1829-1830 წლებში გენერალ პასკევიჩ-ერევანსკიმ (ერევანსკი ენოდა ერევნის ელების გამორუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომის დროს) ნიში ორნამენტებით გააღამაზა, დადგა პორტიკი, ნიშას კარები შეაბა, მასში დაასვენა წმინდა იოანეს ხატი და დადგა ყულაბა. 1848-1850 წწ. საიდუმლო მრჩეველი, სენატორი ს. ვ. საფონოვი იწყებს წმინდა აბოს ნიშის განახლება-გამშვენიერებას. მან აქ წმინდანის ხატი დაასვენა და მინის კარი გააკეთებინა კლდეში. გრიგორ გაგარინმა (რუსი მხატვარი, რომელიც მ. ვორონცოვს ჩამოჰყვა თბილისში. საქართველოში ყოფნის დროს დიდი სამუშაო შეასრულა ძველი ძეგლების აღსადგენად). აბოს ნიშას თავისი დაწერილი ხატი შესწირა. მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო მეტეხის ტაძრის შეკეთება. აქ აბო თბილელის ნიშიდან გამობრძანებული იქნა ხატები, ხიდის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით (აქ დიდი ლითონის ხიდი ააგეს, რომელსაც ავლაბრის ხიდი ეწოდა, აქვე იყო მეორე პატარა ხიდი ფეხით მოსიარულეთათვის. მას კი მეტეხის ხიდს ეძახდნენ — იგივე ვირის ხიდი) გაიცა ბრძანება, რომ, პორტიკის დანგრევისას, წმინდა აბოს ნანილების განსასვენებელი, როგორც საყოველთაო თაყვანისცემის ადგილი, ხელუხლებელი დარჩენილიყო. 1850 წელს პეტრე-პავლობის დღესასწაულს წმიდა აბოს ნიშასაზე მიმოდი იკურთხა. მიხეილ საბინინმა ნიშას თავისივე დაწერილი ხატი შენირა. მეტეხის ძირში აგებულმა ლითონის ხიდის მშენებლობამ დააზიანა აბოს სამლოცველო. ავლაბრის ხიდისკენ მიმავალი გზა ნაყარი მიწით ამოივსო და მოსწორდა. ნიშს მალე რკინის გისოსი შემოავლეს [50. 1].

XX ს-ის დასაწყისიდან ალავერდელი მიტროპოლიტი კირიონი (საძაგლიშვილი) ცდილობდა, რომ აბოს ნიშასთან ტაძარი აეგო, მაგრამ იგი მალე როგორც პოლიტიკურად არასაამედო პიროვნება, რუსეთში გადაასახლეს და 1903 წელს ორიოლის ეპარქია ჩააბარეს. [32.2]. აბოს ნიშასა და მეტეხის ხიდს, რომელსაც მოგვიანებით „მონამეთა ხიდი“ შეარქვეს, საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა. ხიდზე 1225 წლის 13 ნოემბერს ხვარაზმაჲმა ჯალალ-ად-დინმა 100 000 ქართველი აწამა წმინდა ხატების არშეურაცხყოფისათვის. იგივე

გაიმეორა 1522 წელს თბილისში შემოჭრილმა ირანის შაჰმა ისმაილ I-მა, რომელმაც სიონის ტაძრის ღვთისმშობლის ხატი გაძარცვა და მტკვარში გადააგდო, შემდეგ კი მეტეხის ხიდის ყურეში მეჩეთი ააგო.

1951 წ. მეტეხის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებულმა რეკონსტუქციამ იმსხვერპლა მეტეხის კლდის იერსახე და მისი სინმინდეები. წმ. აბოს „სადილეგო-სამლოცველო“ და „მოწამეთა ხიდი“ ახალი ხიდის მშენებლობის გამო ააფეთქეს, ხოლო ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის აშენების შემდეგ „მოწამეთა ხიდის“ ბურჯი წყლით დაიფარა. აბო თბილელის ნიშის ადგილი მიწით ამოავსეს და გაამწვანეს, დარგეს ხეები, რამდენიმე ათწლეულის შემდეგ მესიერებიდან საერთოდ წაშალა ნიშის ადგილსამყოფელი. კომუნისტებმა აბო თბილელის თავის კვეთის ადგილას მიაკრეს წარწერა „აქ ეწამა აბო თბილელი“. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია — II-ის ლოცვა-კურთხევით მეტეხის კლდის ძირში, წმინდა აბო თბილელის სახელობის ეკლესია და ნიშა აშენდა და 2007 წლის 13 იანვარს იკურთხა.

სიონი

სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობაა. ნაშენია ალგეთის თლილი ქვით. ფასადი სადაა და მოყვითალო ქვიშისფერი. სიონის ტაძარში ბევრი სინმინდე ინახება: მადლის ქვა, თომა მოციქულის თავის ქალა და წმინდა ნინოს ჯვარი. ჯვარი მემკვიდრეობით ქართველ მეფებს გადაეცემოდა და სვეტიცხოვლის ტაძარში იყო დაპრძანებული. ვაზის ჯვრით მეფე მირიანმა სიკვდილის წინ მეფედ თავისი შვილი ბაქარი აკურთხა [4.10]. V საუკუნეში ჯვარი აღმოჩნდა წმიდა შუშანიკთან და სიკვდილის წინ გადასცა თავის მოძღვარს ანდრიას თბილისში წამოსაღებად, მაგრამ ანდრიამ ჯვარი სომხეთში წაიღო და XII ს-მდე ქართველთა მთავარი სინმინდე საქართველოში არ იმყოფებოდა. ანისის (1124 წ.) განთავისუფლების შემდეგ მეფე დავით IV-მ ჯვარი საქართველოში — მცხეთაში დაპრუნა. მეფე ვატანგ III-მ (1301-1307 წწ.) ჯვარს სახატე გაუკეთა, რომელზედაც აღბეჭდილია წმინდა ნინოს ცხოვრების დეტალები. XVII-XVIII საუკუნეებში, როდესაც ქართლი ირან-ოსმალეთის მუდმივი შემოსევების ობიექტი გახდა, ჯვარი გადაიტანეს ყაზბეგის წმინდა სამების ეკლესიაში, მერე

კი იქიდან ანანურის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში ჩააბრძანეს. 1749 წელს ჯვარი წმიდა ნინოს ხატით წაიღო თბილისის მიტროპოლიტმა რომანოზმა (ერისთავმა) და მიართვა თავის დას მოსკოვში, ვახტანგ VI შვილის — ბაქარის მეუღლეს. სხვა ცნობის მიხედვით კი, წმიდა ჯვარი ქართველთა მეფე არჩილს გაუტანია საქართველოდან 1688 წელს. იმავე ცნობით, ჯვარი მოსკოვში ქართველ მეფეთა სასახლეში ესვენა. შემდეგ წმიდა ნინოს ჯვარი სოფელ ლისკოვოში ქართველ დიდებულთა მამულში ვახტანგ VI-ის შთამომავალს, გიორგი ალექსანდრეს ძეს გადაუბრძანებია. ამ უკანასკნელს ჯვარი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრესთვის მიურთმევია 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის გამოცემის აღსანიშნავად. რუსეთის იმპერატორმა 1802 წელს ვაზის ჯვარი საქართველოში დააბრუნა. აქედან მოყოლებული წმინდა ნინოს ჯვარი სიონის ტაძარშია დაბრძანებული. მისი გამობრძანება წელიწადში ორჯერ ხდება ნინობას.

სიონის ტაძრის ერთ-ერთი დიდი სიწმინდე მადლის ქვაა, რომელზეც ასეთი გადმოცემა არსებობს: წმინდა მამა დავით გარეჯელი მონაფეხბთან ერთად იერუსალიმის მოსალოცად გაემგზავრა. იერუსალიმის კარიბჭესთან მდგარმა საკუთარი თავი ქალაქში შესვლის ღირსად არ ჩათვალა, იქვე გაჩერდა და მხურვალედ ილოცა. უკან დაბრუნებისას წმიდანმა იერუსალიმიდან სამი ქვა წამოიღო, რომელთაც მისი სიწმინდის გამო იმხელა მადლი გამოჰყვათ თან, რომ იერუსალიმის პატრიარქს უფლის ანგელოზი გამოეცხადა და ამცნო ქალაქიდან დიდი მადლის გადინება. პატრიარქმა დავით გარეჯელს დაადევნა მდევარი, ორი ქვა დააბრუნებინა, მესამე კი მან საქართველოში ჩამოიტანა. მადლის ქვა დღესაც კურნავს სარწმუნოებით მვედრებელთ [36.2].

სიონის ტაძარი თბილისის დაარსებასთან ერთად უნდა აშენებულიყო, ამაზე მეტყველებს ჯუანშერის ცნობა, რომელიც გვამცნობს, რომ „გუარამ კურაპალატმან განაახლა საფუძველი ტფილისისა სიონისა“ 4/11 (VI ს.). ტაძრის დასრულება ადარნესე ერისთავის დროს მოხდა VII საუკუნეში. გადმოცემის თანახმად, გუარამი და ადარნესე აქვე არიან დაკრძალულები.

ტაძარი მრავალჯერ დაუნგრევია და დაურბევია მტერს, ამიტომ პირვანდელი სახით არაა მოღწეული. 1226 წელს, როცა ხვარაზმის შაჰმა ჯალალ-ად-დინმა თბილისი აიღო, მისი ბრძანებით, სიონის გუმბათს თავი მოხადეს და იქ მისი ტახტი დადგეს. სიონის ტაძრიდან გამოტანილი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები მეტების

ხიდზე დაასვენეს. თბილისის მოსახლეობას ებრძანა ხატებზე გადავლა. იმ დღეს ასიათასზე მეტი ქართველი ეწამა ქრისტესთვის, უამთააღმწერლის ცნობით „ათბევრი მიაღწია რიცხვი მოკლულთა“. სიონის ტაძარი მალევე შეაკეთეს. თემურლენგის პირველი ლაშქრობის დროს თბილისი ძალიან დაზიანდა. დარბეული იქნა სიონის ტაძარიც. დამპყრობელმა უნიკალური ბიბლიოთეკა წაიღო თბილისიდან. სავარაუდოდ, დიდი სააღმშენებლო პროცესი რომელიც XV საუკუნეში დიდმა მეფემ — ალექსანდრე I-მა (1412-1442 წნ.) დიდმა წამოიწყო, სიონის ტაძარსაც უნდა შეხებოდა. აქვე, 1425 წელს იქნა აგებული სამიარუსიანი სამრეკლოც (აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს სამრეკლო დაინგრა).

XVI საუკუნიდან სიონის ტაძარი რამდენიმეჯერ გაიძარცვა და დაზიანდა ირანის შემოსევების შედეგად. 1522 წელს შაჰ ისმაილმა სიონის ღვთისმშობლის ძვირფასი თვლებით შემკული ხატი გაძარცვა და მტკვარში გადააგდო. კახელმა მწყემსებმა ხატი იპოვეს და კახთა მეფე ლევანს გადასცეს, რომელმაც იგი შეამკო და კვლავ სიონის ტაძარში დააბრუნა. 1657 წელს, როსტომ ხანის მმართველობის პერიოდში, ეპისკოპოსმა ელისე საგინაშვილმა სიონს სამხრეთის მხრიდან მცირე სამლოცველო (ეგვტერი) მიაშენა და ტაძარს ახალი გუმბათი დაადგა, ხელახლა მოახატვინა და მოართვევინა ჯვრის მკლავები და კარიბჭე. ელისე საგინაშვილი თბილელი მთავარებისკოპოსი და მიტროპოლიტი იყო და ამავე დროს დედოფალ მარიამის „სულიერი მამა“. ელისემ მეფე როსტომისგან სიონს მუდმივი შემოსავალი გაუჩინა. [23.2]. როსტომ ხანმა სიონის გვერდით ქარვასლა ააშენა და მისი შემოსავლიდან ყოველწლიურად ას მარჩილს სწირავდა ტაძარს. ელისე თბილელის დროს, 1657 წელს, მცირე სამლოცველოს მიშენება მოხდა სიონის ტაძრისთვის სამხრეთის მხრიდან. ტაძრის ჩრდილოეთ ფასადზე არსებული წარწერა გვაუწყებს, რომ 1710 წელს ვახტანგ VI-მ ტაძრის გარეთა კედლები ბოლნისის ტუფის ქვით მოაპირეთა.

1723 წელს კახთა მეფემ — კონსტანტინე II-მ ლეკებთან ერთად აიღო თბილისი. სიონის ღვთისმშობლის ხატი დაიკარგა. როდესაც ვახტანგ VI-მ ქართლი დატოვა, ამ დროს რუსეთსა და თურქეთს შორის კონსტანტინოპოლის ხელშეკრულება დაიდო, რომლის თანახმად რუსეთმა ქართლი თურქეთს დაუთმო. დაიწყო ოსმალობის 12 წლიანი პერიოდი. ოსმალთა სულთანმა სიონის ტაძრის მეჩეთად გადაკეთება ბრძანა. ქართლის დიდმა თავადმა გივი ამილახვარმა თავისი გავლენა გამოიყენა და ოსმალებისგან ტაძრის ხელუხლებლობის

პირობა მიიღო. აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობის დროს სიონის ტაძარი გადაიწვა, განადგურდა მისი კედლის მხატვრობა და კანკელი.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების (1801 წ.) შემდეგ, XIX საუკუნეში, სიონის ტაძარი რამდენჯერმე შეაკეთეს. საქართველოს მთავარმმართებელმა პავლე ციციანოვმა მისი რესტავრაცია დაიწყო და ტაძარი მოიხატა. სამწუხაროდ, ტაძარში ნელ-ნელა ხდებოდა ქართული კვალის დაკარგვა, რაც გამოიხატა რესტავრაციის დროს რუსული არქიტექტურული სტილის შემოტანით. ტაძრის სადიაკვნეში წმინდა პეტრესა და პავლეს სახელობის სამლოცველო ყოფილა, რომელიც პ. ციციანოვის თხოვნით ალექსანდრე ნეველის სახელზე აკურთხეს. 1812 წელს აიგო სამიარუსიანი სამრეკლო, რომელიც აშენდა პეტერბურგიდან გამოგზავნილი პროექტის მიხედვით ეგზარხოს ვარლამის დროს. სამრეკლო აშენებული იქნა მაშინ, როდესაც რუსებმა აიღეს ქალაქი განჯა. კავკასიის მეფისნაცვლის — მიხეილ ვორონცოვის გადაწყვეტილებით 1851-1855 წლებში გრიგოლ გაგარინმა დაიწყო სიონის ტაძრის კანკელის აღდგენა და მოხატვა თავისივე პროექტით. საქართველოში მყოფი ალექსანდრე დიუმა გადმოგვცემს: „როცა თავადმა გაგარინმა მორთო ჯოჯოხეთის ტალანი, როგორც ამას თეატრს უწოდებენ, მან ხელი მიჰყო სამოთხის კარის შესრულებას, როგორც ეკლესიას ეძახიან. თბილისის კათედრალური ტაძარი მთლიანად მოხატულია ამ დიდი ხელოვანის მიერ და მსგავსად თბილისის თეატრისა, რომელიც თუ ყველა ზეუკეთესიარა, ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი საუკეთესო თეატრია დედამიწის ზურგზე, სიონის ტაძარიც ერთ-ერთი ელეგანტური ეკლესია მთელს რუსეთში.“ სამწუხაროდ, გაგარინისეული მოხატვის დროს დაიკარგა შემორჩენილი ქართული მხატვრობის ნაშთები [11.1].

სიონის ტაძრის გალავანში იდგა საქართველოს-კათალიკოს პატრიარქის რეზიდენცია. რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ კათალიკოს-პატრიარქთა ადგილი ეგზარხოსებმა დაიკავეს. 1917 წელს, როდესაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა, სახლი ისევ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ადგილსამყოფელი გახდა. 1990 წელს მას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისის ეკლესიებს მათი კუთვნილი ქონება ჩამოერთვათ, მათ შორის იყო სიონის საპატრიარქო ტაძრის ზარები, რომლებიც უკანასკნელად დაირეკა 1931 წლის 27 იანვარს, ნინობას.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის — ილია II-ის აღსაყდრების შემდეგ ინტენსიურად წარიმართა სიონის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები. ძველი ქართული ნიმუშების მიხედვით გაკეთდა კანკელი. სიონის საკათედრო ტაძარი თბილისის ისტორიული მოვლენების თანაზიარი და განუყოფელი ნაწილია.

მთაწმინდა

მთაწმინდა თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთი განშტოებაა. ძველად მთაწმინდა ერთ-ერთი გარეუბანი იყო და საეკლესიო ბალებისა და ქალაქელების კუთვნილებას წარმოადგენდა.

წმინდამთა, განდეგილთა მთა, მამა დავითის მთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა წმინდა მთა — ასე უწოდებდნენ მას საუკუნეების განმავლობაში.

მთაწმინდის ისტორია საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს. მთა დასახლებული ყოფილა გვიანბრინჯაოსა და ანტიკურ ხანაში. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ქართლში, VI საუკუნის შუაწლებში, კათალიკოს ევლავის დროს ასურელი მამები ჩამოვიდნენ. ქართლი სასანიდური ირანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. სასანიდები მაზდეანობასთან ერთად მონოფიზიტობის გავრცელებასაც უწყობდნენ ხელს (ბიზანტიის საწინააღმდეგოდ). სირიიდან მოსულ ცამეტ ასურელ მამათა მიზანი ქრისტიანული დიოფიზიტური რელიგიის დაცვა-განმტკიცება იყო. წმინდა მამათა მოთავე იოანე ზედაზნელი ყოფილა. პირველად ანტიოქიიდან დავით გარეჯელი მოსულა ქართლში. თბილისის დასავლეთით აღმართული მთის ფერდობზე, პლატონ იოსელიანის ცნობით, კლდეში სენაკი გამოუკვეთავს მამა დავით გარეჯელს და მის ახლოს პატარა სამლოცველოც გაუმართავს. აქვე მოედინებოდა წყარო, რომელიც მამა დავითს ლოცვით გამოუთხოვია უფლისთვის სწეულთა განსაკურნებლად. ასურელ მამას მრავალ ლეგენდასა და სასწაულს მიაწერს ქართველი ხალხი. ხუთშაბათ დღეს მამა დავითი ჩამოდიოდა იმ ადგილას, სადაც ქაშვეთის ტაძარია და სადაც ადრე დედათა მონასტერი ყოფილა. ამ მონასტერში ღირსი მამა ქადაგებდა, იცავდა მართლმადიდებლობას, რასაც მონოფიზიტი ქრისტანები და მაზდები მოგვები უპირისპირდებოდნენ. მამა დავითი მალე წავიდა თბილისიდან, მაგრამ ქალაქის მკვიდრთ მისდამი მოწინება და სიყვარული დიდხანს არ განელებიათ, ამიტომაც მის სამკვიდრო

უსახელო მთას მამადავითის სახელი უწოდეს [33.1]. ზუსტი ცნობები მამადავითის ეკლესიის შესახებ მემატიანეს არ შემოუნახავს. ცნობილია, რომ აქ შუა საუკუნეებში ათონის მთაზე მდებარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესია იდგა, ქართველი მეფეები და დიდებულები დიდი მონიწებით ეპყრობოდნენ ამ ადგილს. ბერად ალკვეცის შემდგომ „ტფილისავე მონასტერსა შინა“ აქ ქართლის მეფე დავით X დამიანეს სახელით ცხოვრობდა, აქვე გარდაიცვალა რუსის ეპისკოპოსი ნიკოლოზიც (XVI ს.). ტაძარი დროთა განმავლობაში დაინგრა და მის ადგილას, 1542 წელს ათონიდან ჩამოსულმა ბერებმა დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებმა ააგეს წმინდა დავითის ახალი მონასტერი, რომელსაც მთის ძირში არსბული მიწები და შემოგარენი შესწირეს.

XVIII ს-ის ისტორიულ საბუთებში აღარ გვაქვს რამე ცნობა მთაწმინდის შესახებ. ვახუშტის ცნობით, „დასავლით, იშეტუტრუქის კლდესა შინა არს მონასტერი მთაწმინდა სადა ან ცარიელი“ [6.338]. პლატონ იოსელიანი თვლის, რომ იშეტუტრუქი სომხური სიტყვაა. იგი თბილისში სომხების ჩამოსახლების დროიდან, ვახუშტამდე ერთი საუკუნით ადრე გვხვდება. ჩამოსულ სომხებს ჰყავდათ სახედრები და გამოსაკვებად ამ მთისკენ გარეკავდნენ ხოლმე. პროფ. მელქისეთ-ბეგს მიაჩნდა, რომ იშეტუტრუქი იმ მცენარის სახელწოდება იყო, რასაც სახედრები მიირთმევდნენ და ამ ადგილსაც ამიტომ ეწოდა ასე. 1735 წლის თბილისის გეგმაზე იშეტუტრუქი 44 ნომრითაა აღნიშნული, ხოლო მთაწმინდა — 45-ით. ვახუშტის ცნობა იშეტუტრუქთან დაკავშირებით ბევრ მკვლევარს საეჭვოდ მიაჩნია, ვინაიდან სხვადასხვა ზემომოყვანილ და ასევე 1800, 1802 წლის რუკებზე იგი თაბორის სამხრეთითაა აღნიშნული და სოლოლაკის მთისა და მისი ერთი ნაწილის სახელწოდება უნდა იყოს.

მთაწმინდაზე მოგვიანებით განმარტოვდა ერეკლე II, როდესაც მას შვილი — სოლომონი გარდაეცვალა (1765 წ.). აქაურობას ხშირად სტუმრობდა ქართლ-კახეთის უკანასკენელი მეფე გიორგი XII, რომელსაც სურვილი ჰქონდა, აღედგინა ტაძარი და მიმდებარე ტერიტორია გაეწმინდა ჩირგვისაგან. 1809 წელს კათალიკოს ანტონ II-ს დავალებით ეკლესიის განხალება დაევალა მღვდელ თომა გრიგორიევს. ხალხის მიერ შეგროვილი თანხით ეკლესია გადაიხურა, შეიიღესა და ანტონ კათალიკოსის ლოცვა-კურთხევით ფერისცვალების სახელზე იკურთხა, რადგან მამა დავითი გარეჯში ფერისცვალების ეკლესიაში იყო დაკრძალული. 1817 წელს კავკასიის მთავარმმართებლის — ალექსანდრე ერმოლოვის ბრძანებით

ეკლესიისაკენ მიმავალი გზა ბუჩქრანისაგან გაიწმინდა და გაფართოვდა. ეკლესიის ეზოც ქვის გალავნით შემოიღობა და მცირე ზომის სამრეკლო აიგო. XIX ს-ის შუახანებისთვის ტაძარი დაშალეს და მის ადგილას ახალი ეკლესია ააშენეს თბილისის საზოგადოების შემოწირულობებით. უსახსრობის გამო ტაძრისთვის კანკელი ანჩისხატიდან წამოიღეს, კედლები კი შედარებით გვიან მოიხატა ძირითადად ქართველი წმინდანებით. ეკლესიასთან დაარსდა სამრევლო სკოლა. ტაძრის მახლობლად მდებარეობს მამა დავით გარეჯელის სენაკი, აგრეთვე, საკურნებელი თვისებების მქონე წყარო. ასურელი მამის სახელზე აღდგომის მეშვიდე კვირას დიდი დღესასწაული — მამადავითობა იმართება.

მამადავითის ეკლესიის ეზო დათმობილი აქვს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს, რომლის დაარსების იდეა 1915 წელს, აკაკი წერეთლის გარდაცვალების დღეებში გაჩნდა. აქ უკვე განისვენებდა ილია ჭავჭავაძე. მთაწმინდის პანთეონის ოფიციალური გახსნა 1929 წელს მოხდა, როდესაც აქ 100 წლის წინ გარდაცვლილი ალექსანდრე გრიბოედოვის (მწერალი და დიპლომატი) ნეშტი გადმოასვენეს თეირანიდან. პანთეონში საქართველოს ლირსეული შვილები არიან დაკრძალულნი.

მთაწმინდის პარკი გეოგრაფიული მდებარეობითა და საინტერესო ინფრასტრუქტურით თბილისის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ნაწილია. ადგილი ერთნაირად იზიდავს როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებს, ისე ტურისტებს. მთაწმინდაზე პარკი 1930 წელს გაშენდა. პარკამდე ორი გზა მიდის: ფუნიკულიორის რკინიგზა და სამანქანო გზა. ასევე არსებობდა საბაგირო გზაც, რომელიც „ზემელიდან“ გონდოლების საშუალებით პარკში ადიოდა. საბაგირო 1958 წელს გაიხსნა, მაგრამ 1990 წელს მოხდა საშინელი ტრაგედია — გაწყდა ბაგირი, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. ბოლო პერიოდში დღის წესრიგში კვლავ დგას საბაგირო გზის განახლება. ფუნიკულიორის რკინიგზას სამი გაჩერება აქვს. რკინიგზის შუა გაჩერებით მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადავდივართ. ზედა სადგურზე თავის დროზე კოშკურებიანი ორსართულიანი ნაგებობა „როტონდა“ აიგო, სადაც იმავდროულად კაფე-ბარი და რესტორანი იყო განთავსებული. ძველი რესტორანი 1936-38 წლების რეკონსტრუქციის შედეგად შეიცვალა და მას მესამე სართული დაემატა. ფუნიკულიორის საბაგირო რკინიგზა 1900 წლის ივლისში ფრანგი ინჟინრის — ბლანშის მიერ დაპროექტდა. რკინიგზის სიგრძე 501 მეტრია. მშენებლობა 1905

წელს დასრულდა. მთანმინდის პარკის რეკონსტრუქციასთან ერთად მოხდა ფუნიკულიორის განახლებაც. პარკს დაემატა მრავალი ატრაქციონი და თანამედროვე ტიპის კულტურული ღონისძიებების ჩასატარებელი ინფრასტრუქტურა.

ქაშვეთი

ქველი თბილისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი გარეთუბანი იყო (კალას გალავნის ჩრდილოეთი და დასავლეთი ტერიტორია). უბნის განვითარებას ხელი შეუშალა საქართველოს საგარეო პოლიტიკურმა მდგომარეობამ XIII-XV საუკუნეებში. მისი ქალაქის უბნად გადაქცევა მომდევნო საუკუნეებში დაიწყო და აქ ძირითადად წვრილი ვაჭრები და ხელოსნები ცხოვრობდნენ. ვახუშტის გეგმის თანახმად XVIII ს-ის პირველ მეოთხედში გარეთუბნის ზღვარი ქაშვეთის ეკლესიის მიდამოებამდე აღწევდა. გაჩნდა თავადთა სახლები, რომლებიც ერთმანეთისგან დიდი მანძილით იყო დაშორებული (ეროვნული მუზეუმის ადგილას არაგვის ერისთავის სახლი იდგა, ოფიციერთა სახლის ადგილას თავად ციციმვილის და ა. შ.) [12.4]. გარეთუბანსა და ქალაქს შორის მთავარი გამყოფი გზა დიღმის კარზე ავანნაანთხევით გადიოდა. ვახუშტის მიერ შედგენილ თბილისის გეგმაზე ხევი იხსენიება სალალაკის წყლის სახელით, რომელსაც XIX ს-ში სოლოლაკის ხევი ეწოდა. ხევს ჩაუყვებოდა კოშკებითა და ბურჯებით გამაგრებული ქალაქის ჩრდილოეთ კედელი (დიღმისკარი). ავანნაანთხევზე თბილისისა და გარეთუბნის დამაკავშირებელი ორი ხიდი იყო გადებული „მეიდნისკარი ხიდითა“ და „მუხრანისხიდით“ (წყლისკართან).

გარეთუბანში, იმ ადგილას, სადაც ახლა ქაშვეთის ეკლესიაა, VI ს-ში უკვე ეკლესია იდგა. ისტორიულ საბუთებს მისი სახელი არ შემოუნახავთ. VII საუკუნეში, როდესაც ქართველი ხალხი მაზდეანთა და მონოფიზიტთა იდეოლოგიური ზეწოლას განიცდია, საქართველოში ჩამობრძანდა ცამეტი ასურელი მამა, რათა ხელახლა ექადაგათ მართლმადიდებლობა და რწმენაში გაეძლიერებინათ ქართველი ერი. წმინდა ბერებმა ქართლის თითო კუთხე აირჩიეს საქადაგებლად. მათგან ერთ-ერთმა, დავით გარეჯელმა, მთანმინდაზე დაიდო ბინა და საფუძველი დაუდო გარეთუბანში მდებარე ახალი ეკლესის — ქაშვეთის დაარსებას. არსებობს ლეგენდა ქაშვეთის დაარსების შესახებ.

იმ ადგილას, სადაც ამჟამად ქაშვეთის ტაძარია, ადრე დედათა მონასტერი იყო. მონასტერში ხშირად დადიოდა მამა დავითი და ქადაგებდა ქრისტეს მოძღვრებას. მან უამრავი ადამიანი მოაქცია ჭეშმარიტ რჯულზე. მოგვებს სურდათ, დავითი თბილისიდან განედევნათ, ფეხმიმე დედაკაცი მოისყიდეს და წმინდა მამას მასთან მრუშობა დასწამეს. მამა დავითი უფალს შეევედრა ხალხისთვის სასწაული ეჩვენებინა. აიღო ჯვრიანი კვერთხი, შეეხო დედაკაცის მუცელს და უფლის სახელით ჩვილს უბრძანა, ეუწყებინა ნამდვილი მამის სახელი. მოხდა სასწაული. ჩვილმა მყისვე ამოიღო ხმა დედის მუცლიდან და თქვა, რომ მამამისი მჭედელი იყო. მამა დავითმა დედაკაცს უთხრა: „შენ ქვას შობ“ და ასეც მოხდა, დედაკაცმა ქვა შვა. შემდეგ კი ამ ადგილას ააგეს ტაძარი, რომელსაც ქვაშვეთი — ანუ ქაშვეთი ეწოდა. მამა დავითი ამ ამბების შემდეგ განერიდა თბილისს და გარეჯის უდაბნოში დასახლდა.

ქაშვეთის შესახებ ისტორიული ცნობები მნირია. პირველად ის XIV საუკუნის დოკუმენტში, „ძეგლი ერისთავთა“ გვხვდება. XV საუკუნის რამდენიმე ცნობაში მისთვის მიწების შენირვაზეა საუბარი. სესნია ჩხეიძე მოგვითხრობს, რომ 1723 წელს, თბილისიდან წასულ მეფე ვახტანგ VI მოქალაქეები დახვდნენ ქაშვეთს და ეხვეწნენ, რათა ქალაქი არ დაეტოვებინა [31.3]. ვახუშტის რუკის თანახმად, ქაშუეთან ერთდებოდა თბილისის სამივე კარიდან გამოსული გზა: კოჯურის, დიღმისა და წყლისკარის. ქაშვეთიდან კი იწყებოდა მთავარი სატრანზიტო გზები როგორც სამხრეთისკენ, ისე ჩრდილოეთისკენ.

ქაშვეთის ეკლესიის შესასვლელთან არსებული წარწერით ვიგებთ, რომ 1754 წელს ეკლესია აღადგინა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ქართლის სადროშოს სარდალმა და გორის მოურავმა გივი ამილახვარმა, 1755 წელს კი დავით ამილახვორმა მოახატვინა ნიკოლოზ აფხაზს. საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ეგზარქოსმა ვარლამმა ქაშვეთში ააშენა კარიბჭე, რაზეც გვამცნობს ქვედა ეკლესიის შესასვლელთან არსებული წარწერა. გივი ამილახვრის აშენებულმა ეკლესიამ 1864 წლამდე იარსება. ვ. ბერიძე ვარაუდობდა, რომ ძველი ქაშვეთის ეკლესია ძველი გავაზის მსგავსი უნდა ყოფილიყო [36.4].

1837 წელს, საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I სამხედრო გარნიზონის დასათვალიერებლად. იმპერატორი ქაშვეთის ეკლესიაში წირვას უნდა დასწრებოდა და სპეციალურად ამისთვის სასწრაფოდ დაიწყეს გალავნის შეკეთება, ნაწილი აგურითა და გაჯით, ხოლო ნაწილი წვრილად დახერხილი, შეღები-

ლი ფიცრის ბადურით განაახლეს. რუსულმა ადმინისტრაციამ ქაშვეთის ეკლესიის სამხრეთით მდებარე ძველი ყაბახის ტერიტორიაზე მოაწყო სამხედრო წრთვნები და საკმაოდ ვრცელი ადგილი სამხედრო სწავლების მოედნად გადააქცია. 1856 წელს თბილისში ჩამოვიდა კავკასიის ახალი მეფისნაცვალი ალექსანდრე ბარიატინსკი, რომლის გადაწყვეტილებით ქაშვეთის ტაძრის მიმდებარე ფერდობზე დაიგეგმა საზოგადოებრივი ბაღის მშენებლობა. ბაღი, რომელიც პრივილეგირებული მოსახლეობის სასეირნო ადგილს წარმოადგენდა, საზეიმოდ გაიხსნა 1865 წელს და მას იმპერატორი ალექსანდრე II-ის საპატივსაცემოდ „ალექსანდრეს ბაღი“ ეწოდა [36.5].

ქაშვეთის ეკლესიის გვერდით მდგარი სამხედრო სასწავლებლის ზარბაზნების სროლებით გამოწვეულმა ვიბრაციამ დროთა განმავლობაში ტაძრის კედლების დაბზარვა და დახეთქვა გამოიწვია. ტაძარში, სადაც წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ლვთის მსახურება შეწყდა. რუსეთის სინოდმა არ დააფინანსა დაზიანებული კედლების აღდგენა. მალევე შეიქმნა კომისია, რომელმაც დადო დასკვნა, რომ ტაძარი საშიში არ იყო წირვა-ლოცვის წარმართვისთვის და ლიტურგია კვლავ განახლდა.

1897 წელს ქაშვეთის ეკლესიაში წინამდლვარად დანიშნულმა დეკანოზმა მარკოზ ტყემალაძემ გადაწყვიტა ახალი ეკლესიის აშენება და დაუკავშირდა გივი ამილახვრის შთამომავალ გენერალ ივანე ამილახვარს, რომლისგან თანხმობის მიღება იმ პირობით მოხდა, რომ ახალი ეკლესია სამთავისის ეკლესიის გეგმით იქნებოდა აშენებული. მარკოზ ტყემალაძემ მოახერხა საქართველოს ეგზარქოსის — ფლაბიანეს დაყოლიება, რომ მშენებლობისთვის საჭირო თანხა სესხად აეღოთ რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდისგან. თუმცა მოულოდნელად ვითარება შეიცვალა — ფლაბიანე საქართველოდან გადაიყვანეს, რის გამოც სესხის მიღების საქმე გართულდა. მიუხედავად ამისა, დეკანოზმა მარკოზ ტყემალაძემ ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა, მან ისარგებლა თბილისში რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის სამეურნეო ნაწილის დირექტორის — ოსტროუმოვის ჩამოსვლით, რომელიც დახმარებას დაპირდა. თუმცა, მალე იგი ქაშვეთის ეკლესიის წინამდლვრის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და სიონის ტაძრის დეკანოზად გადაიყვანეს, ქაშვეთის წინამდლვარი კი გახდა დეკანოზი ესტატე ელიაშვილი (შემდგომში — ეპისკოპოსი ექვთიმე). ხოლო 1903 წელს წინამდლვრად დაინიშნა მღვდელი კალისტრატე ცინცაძე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქაშვეთის ეკლესიის მშენებლობაში. 1901 წელს საქართველოში

ჩამოვიდა ახალი ეგზარქოსი, მთავარეპისკოპოსი ალექსი, რომელ-საც ქაშვეთის ტაძრის პროექტი არ მოეწონა და მისი გადაკეთება ბრძანა. ეგზარქოს ალექსის პოზიციაშ საქმე გააჭიანურა. 1903 წელს ეს უკანასკნელი შეხვდა ქაშვეთის ეკლესიის სამშენებლო კომიტეტს დაპირდა და განუცხადა მათ — ეკლესიას რუსული გუმბათი უნდა დაედგას! როცა ახალი გუმბათის პროექტი წარუდგინა ეგზარქოს-მა სამშენებლო კომიტეტს, ივანე ამილახვარს ჰკითხა: „განა ეს არ სჯობს?!“ ამილახვარმა უპასუხა: „შეიძლება, ეს ჯობდეს კიდევაც, მაგრამ, ჩვენ ეს გეგმა ავირჩიეთ, როგორც ჩვენს მამა-პაპათაგან გამომუშავებული და გადმოცემული“. განრისხებულმა ეგზარქოსმა ამილახვარს სიტყვა გააწყვეტინა: „თუ თქვენი წინაპრები სისულე-ლეს სჩადიოდნენ, ჩვენ ის არ უნდა გავიმეოროთ!“ ივანე ამილახვა-რი ძალზე აღშფოთებულა, მაგრამ ეგზარქოს აღარ შეპასუხებია და ლეოპოლდ ბილფელდისთვის უთქვამს: ლეოპოლდ პეტრეს ძევ, შეუნდეთ ჩვენს მეუფეს (იგულისხმება რუსი ეგზარქოსი — ავტო-რი) ის, ალბათ, ჩვენთან შეხვედრამდე ვინმემ გააბრაზაო, თუმცა, საბედნიეროდ, მალე ეგზარქოსი სხვაგან გადაიყვანეს. ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის მამულების გამგე კომიტეტის გადაწყ-ვეტილებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ივანე ამილახვარი, ტა-ძრის გეგმა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა ლეოპოლდ ბილფელდს დაევალა. კომიტეტმა ტაძრის მშენებლად მოიწვია იტალიელი ანუელო ანდრეოლეტი, რომელმაც ხუროთმოძღვრად დანიშნა ედუარდ ანდრეოლეტი. ტაძრის მშენებლობის ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა დააკისრეს დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს.

დღევანდელი ნაგებობის მშენებლობა 1904 წლის 12 ნოემბერს დაიწყო. საყრდენთან არსებული პრობლემების გამო მიიღეს გა-დაწყვეტილება, რომ ორსართულიანი ეკლესია აშენებულიყო, ერთი — ღრმა საძირკვლის ხარჯზე, ხოლო მის თავზე სამთავისის ეკლე-სიის ანალოგი ყოფილიყო. ქვედა ეკლესია 1909 წელს, მთავარი ტა-ძრის დასრულებამდე მოეწყო. თავდაპირველად ის სული წმინდის სახელობაზე ყოფილა ნაკურთხი, მაგრამ 1945 წელს ჩატარებულა სარემონტო სამუშაოები და ტაძარი წმინდა მთავარმონამე ირინეს სახელზე იკურთხა. 1919 წლიდან აქ დგას ორბელიანთა ყოფილი სა-სახლის ეკლესიის კანკელი, რომლის კორპუსი და ხატები მხატვრის გ. გაგარინის მიერაა შესრულებული.

ტაძრის ფასადის ჩუქურთმების ესკიზები არქიტექტორმა ე. ანდრიოლეტიმ შეასრულა საქართველოს სხვადასხვა ეკლესიების ნიმუშების საფუძველზე, ხოლო ნეოფატე აგლაძემ მოაჩუქრთმა.

1904 წელს დაწყებული ეკლესიის მშენებლობა 1910 წელს დაასრულა. 1910 წლის 31 ოქტომბერს საზეიმოდ აკურთხეს ქაშვეთის ეკლესია. კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო. ზაქ. ფალიაშვილმა ეკლესიის კურთხევის დღეს გიმნაზიისა და ფილარმონიის მომღერალთაგან გაერთიანებული, ძლიერი გუნდი გამოიყვანა. ეკლესიაში მოვიდა საქართველოს მაშინდელი ეგზარქოსის რუსული გუნდიც. ეგზარქოსმა მოსთხოვა ზაქარიას ადგილის გათავისუფლება თავისი გუნდისათვის. ზაქარია ფალიაშვილმა არასაგზით არ დაუთმო, თავის გუნდს ფეხი არ მოაცვლევინა და იქვე ლოტბარობდა ბოლომდე. უნაყოფო უსიამოვნებისა და შეჯახების შემდგომ ეგზარქოსის გუნდი იძულებული გახდა, სხვა ადგილი მოექებნა. ისინი რუსულად გალობდნენ, ზაქარიას გუნდი კი — ქართულად. 1947 წ. ქაშვეთის ტაძარი მოხატა ლადო გუდიაშვილმა კალისტრატე ცინცაძის დაკვეთით.

ლურჯი მონასტერი

ძველი თბილისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანში — ვერაზე, რომელიც ადრე შუასაუკუნეებსა და შემდგომ პერიოდშიც სოფელს წარმოადგენდა ეკლესია — ლურჯი მონასტერი დგას. ეკლესია XII-XIII ს-შია აშენებული. ლურჯი მონასტრის კარის თავზე არსებული ცხრასტრიქონიანი წარწერა გვამცნობს, რომ ტაძარი ანდრია პირველწოდებულის სახელზე აუგია ქართლის ამირთ-ამირა აბულა-სანის ძმას, ქართლის მთავარეპისკოპოსყოფილ ბასილ იობისძეს თავის საძვალედ [12.4]. არსებობს ვარაუდები, რომ ტაძრის აგების დროს ვერა ქალაქის ფარგლებში იყო მოქცეული, თუმცა ამის დამადასტურებელი ისტორიული წყარო არ გაგვაჩნია. ამირთ-ამირა შუასაუკუნეების საქართველოში ერთ-ერთი დიდი თანამდებობაა, რომელიც დაწესდა XII საუკუნის ბოლოს და XV საუკუნამდე ასე ეწოდებოდა თბილისის გამგებელს — ქალაქის თავს. ამირთ-ამირა იყო მეჭურჭლებულუცესის „ქვეშე დანესებული“ მოხელე. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ მას ხელი მიუწვდებოდა ქალაქის შემოგარენსა და სოფლებზე. ვერეს ადრინდელი სახელი კვირეთ-სკორეთია. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ „კოშრით ჩრდილოთ კერძარს კვირეთის მდინარე. ან წოდებული ვერე [6.10]“. სკვირეთის ხევი თრიალეთისკენ მიმავალი უმოკლესი გზა იყო. XVIII ს-ში ვერე უკვე სოფელია და გაბაშვილთა მამული. გაბაშვილთა საგვარეულო

ამ ტერიტორიაზე დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც დავით და ნიკო გაბაშვილებმა 1542 წელს მთაწმინდაზე მამადავითის ეკლესია ააგეს.

ლურჯი მონასტერმა მრავალჯერ შეიცვალა სახელი. ვახუშტი გადმოგვცემს: „ტფილისის ჩრდილოთ არს ლურჯი მონასტერი, ეკლესია წმიდისა გიორგისა, უგუმბათო, დიდი ან ხუცისამარ“ [6.8]. გუმბათის ლურჯი შორენკეცით მოპირკეთების გამო ტაძარს ლურჯი მონასტერი შეარქევს.

XIX ს-ში ტაძარს იოანე ღვთისმეტყველის სახელით მოიხსენიებდნენ. ტაძარში წირვა-ლოცვა ამავე საუკუნის 20-ან წლებში შეწყდა მისი ძლიერი დაზიანების გამო. მიტოვებულ ეკლესიაში რუსეთის ხელისუფლებამ თოვის წამლის საწყობი მოაწყო. ვერეს მრევლი ლურჯი მონასტრის ახლოს მდგარ მცირე ეკლესიაში დადიოდა, რომელიც დაუნგრევიათ XIX ს. 70-იან წლებში. პლატონ იოსელიანის თანახმად, ეკლესია სპეციალურად ლურჯი მონასტრის მრევლის-თვის იყო აგებული. უურნალ „დროებაში“ ამ ეკლესიის შესახებ საინტერესო ცნობაა, საიდანაც ვიგებთ, რომ „დენერალ ყორდანვის“ სახლის გვერდით მდგარა უკვე ჩამოქცეული და დანგრეული ეკლესია, სადაც უპოვნიათ ქვაზე შესრულებული წარწერა: „აშენდა ეს წმინდა ესტატეს ეკლესია ღვთისა განკურთხეულისა და ამაღლებულისა საქართველოს დედოფლის თამარის ბრძანებით“. აღნიშნული წარწერა მიუკვლეველია.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დადგა ეკლესიის აღდგენის საკითხი. სამხედრო უწყებამ საბოლოოდ გაათავისუფლა ტაძარი და დაიწყო მისი რესტავრაცია საეპარქიო არქიტექტორ ალ. ჩიჟოვის მიერ. გუმბათის დადგმამ იერსახე შეუცვალა ტაძარს. 1873 წელს აქ წირვა-ლოცვა განახლდა.

ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ დაინგრა და დაიხურა ეკლესიების უმრავლესობა. სხვა მრავალი ეკლესია-მონასტრის მსგავსად ლურჯი მონასტერიც სხვადასხვა ფუნქციის მქონე ნაგებობად იქცა. ცოტა ხანში ტაძრის შენობაში ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი ფუნქციონირებდა [22.3].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ლურჯ მონასტერში აღდგა ღვთისმსახურება. მოხატა კედლები, დაიდგა კანკელი, რომელიც ძირითადად ეროვნული თემატიკითაა გაჯერებული. შეიცვალა ძველი გუმბათი. ლურჯი მონასტერი საქართველოს ისტორიის უახლესი პერიოდის მნიშვნელოვანი მატერიალური კულტურის ძეგლია.

ჯვრისმამა

ჯვრის მამა მცირე ზომის, აგურის წყობით ნაგები, გუმბათოვანი ეკლესია XVI საუკუნისა. ვახუშტის თანახმად, თბილისის ეკლესიათა შორის, სიონის შემდეგ მოხსენიებულია „ეკლესია ჯვარის, გუნბათიანი, შვენიერი, რომელიც განაახლა იმერლიშვილმა“ [6.9]. არსებობს მოსაზრება, რომ ტაძარი აშენდა მაშინ, როდესაც ვახტანგ გორგასალმა თბილისი დააარსა და დაინგრა თემურლენგის შემოსევების დროს. ვ. ბერიძე თვლის, რომ ტაძარი XVI ს-ის ძეგლია. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით, „ჯვარისმამა“ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამდღვარს ნიშნავს. ტაძარი ერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკუთრება-მეტოქი იყო და თავისი სახსრებით ინახავდა იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერს. ტაძარი ოდიფგანვე ითვლებოდა იერუსალიმში მყოფი ქართველთა მონასტრების ბერების სადგომად. მოსე ჯანაშვილი აღნიშნავს, რომ ჯვარის მამის ტაძარს მეფე სვიმონმა 1611 წელს შესწირა სამღებრო სოფელ დირბში. სხვა მეფეთაგანაც შენირული ჰქონდა სოფლები, ყმები და ულუფა, ხოლო მისი წინამდღვარი შემოსავალს უგზავნიდა იერუსალიმის ქართულ ტაძარს. „ჯვარისმამა“ პირველად მოიხსენიება გიორგი მეფის წყალობის წიგნში, რომელიც 1678 წელს მიეკუთვნება და ამ მონასტრისადმია ბოძებული. ქართველი მეფეები ტაძარს ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ, როგორც ქრისტიანთა მთავარი ქალაქის საყდრის მეტოქს. იგი ყოველთვის ეკუთვნოდა იერუსალიმის სამი ეკლესიის — წმ. ელიას, წმ. ჯვრისა და წმ. იაკობის ბერებს. აღა მაჲმად ხანის მიერ თბილისის აოხრებისას, ჯვრის მამის ტაძარიც დაზიანდა და 1825 წელს წინამდღვარ ბენედიქტეს მიერ იქნა აღდგენილი, ამ დროს მას მინაშენიც დაემატა. 1921 წლამდე ტაძარი იერუსალიმის საპატრიარქოს ეკუთვნოდა. ქართველთა გავლენა იერუსალიმში შესუსტდა XVII საუკუნის დასასრულს, ყველა ქართული სავანე ბერძენთა ხელში გადავიდა და იერუსალიმის საპატრიარქოს დაექვემდებარა. საქართველოში ჩამოსული ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები ძირითადად ჯვრისმამას სტუმრობდნენ [16.1].

საბჭოთა პერიოდში ეკლესიის მოხატული კედლები შეათეთრეს. 1983 წელს ჯვრის მამის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია განხორციელდა: აიღეს ეკლესიის გარშემო არსებული საცხოვრებელი სახლები და დუქნები. 1989 წლიდან მოყოლებული ტაძარი კვლავ მოქმედია. ჯვრისმამა ერთადერთი ტაძარია, სადაც ფრესკაა

წმინდა მოწამე ხათუნასი. წმინდა ხათუნა ერთ-ერთი იმ ასიათასი მოწამეთაგანი უნდა იყოს, რომელიც ჯალალ-ად-დინის შემოსევის დროს ეწამა.

კლდისუბანი

სოლოლაკის ქედის ფერდობზე მდებარე უბანს კლდოვანი რელიეფის გამო ძველად კლდის უბანს უწოდებდნენ. ძნელად მისადგომი უბანი ძირითადად ქალაქის ღარიბი მოსახლეობით იყო დასახლებული და ბანურ-ტერასული სახლებით წარმოდგენილი. მას ორ წანილად ყოფენ — ქვემო და ზემო ბეთლემად. ამიტომ ხშირად კლდისუბანს ბეთლემის უბანსაც უწოდებენ. მიკროუბანში ბევრი ისტორიული ღირებულების მქონე ძეგლია შემორჩენილი.

კლდისუბანის მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია ბეთლემის ეკლესია, რომელსაც ძველად „ფეთხაინსაც“ უწოდებდნენ. ტაძარი მაცხოვრის შობის სახელზეა ნაკურთხი, თუმცა ძველად ღვთისმშობლის მიძინების სახელის იყო. გადმოცემის თანახმად ბეთლემის ეკლესიას საფუძველი ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს ჩაყრია და დედაც აქ დაუკრძალავს. თუმცა წერილობითი წყაროებით ვერ ვახტანგებთ ამის დადასტურებას. სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად გამოვლინდა ძველი ეკლესის აფსიდის ნაწილი, ხოლო კედლები ამჟამინდელი ეკლესის იატაკის ქვეშა მოქცეული.

1437 წლის ერთ-ერთ ანდერძზე ვიღაცას მიუწერია, რომ ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესია აღუშენებია ბერ კარაპეტს „ტფილისში, ბეთლაპამის უდაბნოში, წმ. ღვთისმშობლის კარზე“. ისტორიკოსთა ანალიზით აღნიშნული ცნობა არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ტაძრის სომხური წარმომავლობა ვაღიაროთ. ჩამოსახლებული თუ გადამოსახლებული სომხები ძირითადად სომხეთში მიტოვებული ტაძრების სახელობის ძეგლებს აშენებდნენ. არმენოლოგი პროფ. ბონდო არველაძე თვლის, რომ სომხეთში ბეთლემის სახელზე ეკლესია არაა აგებული და ძნელი დასაჯერებელია ჩამოსახლებისთანავე ბეთლემის ღვთისმშობლის სახელზე აეგოთ ახალი ტაძარი [7.6]. მტრის შემოსევების შემდეგ მრევლისგან დაცარიელებულ ქართულ ეკლესიებს სომხები იკავებდნენ და როგორც წესი, თავდაპირველ სახელს უცვლიდნენ. ხოლო მოგვიანებით, ახალ ისტორიასაც უქმნიდნენ [7.2]. ქართლის თავადმა —

გივი ამილახვარმა 1740 წელს ტაძარი გადააკეთა. 1884 წ. ეკლესია კაპიტალურად შეაკეთეს, განაახლეს ფასადი და აღმართეს ახალი გუმბათი. საბჭოთა პერიოდში ეკლესია აღარ მოქმედებდა. 1991 წლიდან ტაძარი საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა და აღდგა მართლმადიდებლური ლვთისმსახურება. ბეთლემის მაცხოვრის შობის ტაძრიდან იწყება კლდისუბნისთვის დამახასიათებელი კიბე-ქუჩა, რომელსაც ბეთლემის (ფეხთაინის) კიბეს ეძახიან. იგი 1850 წელს არქიტექტორმა ტიმოთე ბელოიმ დააპროექტა.

კლდის უბნის წმ. გიორგის ეკლესია

კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესია ნარიყალას-დედაციხის წმინდა ნიკოლოზისა და ზემო ბეთლემის ეკლესიებს შორის მდებარეობს. მის შესახებ ადრეული ინფორმაცია ვახუშტი ბატონიშვილის თბილისის გეგმაზეა მოცემული. მასზე კარგადაა გამოკვეთილი ბაზილიკის ტიპის ქართული ეკლესია სამრეკლოთი. ეკლესიის შესახებ მნირი და ისიც აშკარად ტენდენციური მონაცემებია გამოქვეყნებული. ეკლესიის დათარიღების ძველი ვერსია დავით კარიჭაშვილს (1862-1927 წწ.) ეკუთვნის. შემდგომში ეს ცნობა ყოველგვარი კრიტიკული ანალიზის გარეშე გამოაქვეყნა არმენოლოგმა ლეონ მელიქეშვილეგმა, რამაც შემდგომში ბევრ უზუსტობას დაუდო საფუძველი. 2007 წელს ეკლესიაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა და ხელოვნებათმცოდნეობითმა კვლევამ მისი თარიღი XVII-XVIII საუკუნებიდან V-VI საუკუნეთა სილრმეში ჩაიტანა. დაფიქსირდა ეკლესიის ექვსჯერ გადაკეთების ფაქტი. თბილისის სომხურ მოსახლეობაში ეს ეკლესია ცნობილი იყო „ხიხოსჟამის“ სახელით. „ხიხოს“ თბილისის სომეხი მკვიდრი დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულებს ეძახდნენ მეტყველების გამო. ტაძრის ჩრდილოეთ სარკმელთან ქართულ-სომხური ნარჩერა გვამცნობს არა ეკლესიის აღშენების, არამედ მის განახლება-გადიდების თარიღს. 1735 წლის ვახუშტის რუკაზე იგი აღნიშნულია როგორც ქართული, მართლმადიდებლური ტაძარი. ამდენად, სომეხ მკვლევართა მცდელობა, ტაძარი სომხურად წარმოაჩინონ, სრულიად უსაფუძვლოა.

ათეშგა

კლდისუბანში მდებარეობს მაზდეანური ტაძარი — ათეშგა. III-VII საუკუნეებში სასანიანები ძალით ცდილობდნენ აღმოსავლეთ საქართველოში ირანის სახელმწიფო რელიგიის — ზოროასტრიზმის დამკვიდრებას. აღნიშნული კონფესია ამ დროს ქართლში ქრისტიანობის უძლიერესი კონკურენტი იყო. ადრექრისტიანულ ხანაში ქართველობა განუწყვეტლივ იბრძოდა ირანის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის კვალი კარგად ჩანს იმდროინდელ ქართულ წერილობით წყაროებში (ნანარმოებები შუშანიკისა და ევსტათი მცხეთელის მარტვილობის შესახებ, ლეონტი მროველის, ჯუანშერის ცნობები).

თბილისში საქალაქო ცხოვრების დაწყებისთანავე ზოროასტრიზმის გაძლიერებისათვის ხელშემწყობი პირობები შეიქმნა. ესაა IV-VI საუკუნეები, როდესაც ქართლი ირანის გავლენის სფეროში მოექცა. მეფის კარზე ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად იმყოფებოდა მოგვთა მეთაურიც, რომელსაც ქართული საისტორიო წყაროები „სპარსთა ეპისკოპოსს“ უწოდებენ. ცეცხლთაყვანისმცემელთა პოზიციები განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც თბილისი სპარსთა მარზპანის რეზიდენცია გახდა. ასეთი განსაცდელის ჟამს მოევლინა იძერის სამეფოს ცამეტი ასურელი მამა, რომლებიც საქართველოში ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი გაძლიერებისთვის ქრისტიანული აღმოსავლეთიდან ჩამოვიდნენ. მაზდეანობის კვალი დღემდეა შემორჩენილი ათეშგას სახით კლდისუბანში. ისტორიულ საბუთებში ათეშგას შესახებ ცნობები საკმაოდ მნირია. ამ მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლის შესახებ ჟან შარდენისა და ტურნეფორის ჩანახატებით ვგებულობთ. ისინი წერენ, რომ ათეშგა წააგავდა დაბალყელიანი, სფერული გუმბათით დასრულებულ კუბს და ჰქონდა თავისუფალი ფართობი [45.1]. 1724 წელს, როდესაც რუსეთთან ზავის მერე თურქეთმა მთელი საქართველო დაიკავა, ათეშგაც, სავარაუდოდ, მეჩეთად იქნა გადაკეთებული. 1735 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ნადირ-შაჰი დაეუფლა და ოსმალური მეჩეთები, მათ შორის მეჩეთად გადაკეთებული ათეშგაც დაანგრია. თბილისის „ათეშგა“ უაღრესად საყურადღებო ისტორიული ძეგლია; იგი ორგანული წარმონაქმნია ამიერკავკასიაში მომხდარი პოლიტიკური პროცესებისა [45.2].

გადმოცემით, მას, როგორც უძველეს ძეგლს, ქართველი მეფები მფარველობდნენ. პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, რომ ამ ადგილზე ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი უძველესი დროიდან

მდგარა. XIX საუკუნეში გ. გაგარინის ჩანახატების მიხედვით, შენობას აგურის გალავანი ჰქონდა. მოგვიანებით შენობა საწყობად, ხოლო შემდეგ საცხოვრებლად ყოფილა გამოყენებული. ათეშგა დღესაც კერძო საკუთრებაშია და წარმოადგენს ტურისტთა მოსანახულებელ ადგილს.

დარეჯან დედოფლის სასახლე

ავლაბრის კართან, ძველი ციხის ნანგრევებზე XVIII-ის 70-იან წლებში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ მეუღლეს, დარეჯან დედოფალს სასახლე აუგო აპარტამენტებით, დამზმარე სათავსოებითა და კარის ეკლესით. სასახლის კოშკები, ბურჯები და კედლები რიყის ქვითა და ქართული აგურით ამოიყვანეს. სასახლის მრგვალი ბურჯი კი ხის მრგვალივე აივნით დააგვირგვინეს. ავლაბარი გარეუბანს, მეტეხის ზღუდის იქით არსებულ ტერიტორიას წარმოადგენდა. აქ თავს იყრიდა ავლაბრის ორი კარით ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან წამოსული გზები, სადაც იდგა მებაჟე და მეკარე. თავად ავლაბარი XVII ს-ში როსტომ მეფის მიერ სახასო მამულ წოდორეთიდან ჩამოყვანილი გლეხებით იყო დასახლებული. ამავე ხანებში ზარაფთუხუცესმა ხოჯა ბეჭბუდმა მეფის ნებართვით მასათას მთის ძირას, სასაფლაოსთან, ეკლესიის ადგილი შეიძინა და აქ ტაძარი ააგო. შემდეგ ეს ეკლესია ხოჯა-ვანქის სახელით გახდა ცნობილი. ავლაბარი იყო სასოფლო-სამეურნეო და მრავალდარგობრივი სახელოსნო უბანი, რომელიც 1723-1735 წლებში ოსმალობის დროს გაუკაცრიელდა. პიშჩევის მიერ ფრანგულ ენაზე შედგენილ 1785 წლის თბილისის გეგმაზე ავლაბარი ცალკე შემოზღუდულია და მტკვრიდან იწყება, ხოლო აღმოსავლეთიდან იქ მოხვედრა მეტეხის გალავანზე დატანებული კარიდან შეიძლებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ მის დროს „ისანს“ „ავლაბარს“ უწოდებდნენ. როდის გაჩნდა ისნის სინონიმად ავლაბარი, ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება.

დარეჯან დედოფლის მიერ შედგენილ სადედოფლო შემოსავლების ნუსხაში (1800 წელი) აღნიშნულია, რომ 1774 წლისთვის მისი ბრძანებით ავლაბრისთვის გალავანი შემოუვლიათ. ავლაბრის ზღუდეში დატანებული მცირე კარიდან იწყებოდა ავჭალის გზა. ავლაბრის კარით იწყებოდა ბაღების გზა, კახეთის გზა. გალავნიდან ავლაბრის დიდი ხიდით, რომელზეც ურმები და სხვა ტრანსპორ-

ტი გადადიოდა და ე. წ. ვირის ხიდით (ფეხით მოსიარულეთათვის იყო განკუთვნილი) ქალაქში შეიძლებოდა მოხვედრა. ქალაქის აღ-მოსავლეთ კარიბჭის შემოზღუდვის შემდეგ დარეჯან დედოფალს ერეკლე II-მ საზაფხულო რეზიდენცია-სასახლე „საჩინო“ აუგო კა-რის ეკლესიითურთ, რომელიც „მონამეთა ირაკლისა და დარიას“ სახელზე ყოფილა აშენებული. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებისას სასახლე და ტაძარი ძლიერ დაზიანდა და აღდგენილი იქნა. ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ (1798 წ.) დარეჯან დედოფალმა სამშობლოში ყოფნის უკანასკნელი წლები აქ გაატარა. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, დედოფალი 1803 წელს პეტერბურგში გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც და ალექსანდრე ნეველის ტაძარში დაკრძალეს.

დარეჯანის სასახლე ეკლესიითურთ შეიძინა ეგზარქოსმა თეო-ფილაქტემ და იქ სასულიერო სემინარია და სამრევლო სკოლა გა-მართა. 1824 წელს ეგზარქოსმა იონამ ტაძარი მაცხოვრის ფერისც-ვალების სახელზე აკურთხა. მოგვიანებით აქ მამათა მოანსტერიც გაიხსნა. მონასტერში დაცული იყო მრავალი სიწმინდე. მღვდელი მიხეილ ხელაშვილი აღგვინერს მონასტრის ქონებას და მათ შო-რის ასახელებს ხის პინაკის ნაწილს, „რომელსა ზედა გარდამოცე-მისამებრ იესო ქრისტემ აღასრულა საიდუმლო სერობა. პინაკი ესე, როგორც იტყვიან, გარდამოტანილ არს იერუსალიმითგან კონსტან-ტინოპოლში, ხოლო იქითგან გარდამოტანილ არს საქართველოში“. დროთა განმავლობაში ეს სიწმინდეები სხვადასხვა მიზეზით მო-ნასტრიდან გაიტანეს. 1864 წლიდან აქ სამაზრო-სამრევლო სასწა-ვლებელი და სემინარია არსებობდა სამღვდელო პირთა შვილები-სათვის. 1922 წელს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის წმინდა ამბროსის ლოცვა-კურთხევით, მონასტრული ცხოვრება ტაძარში კვლავ აღდგა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კომპლექსი არა-ერთხელ გადაკეთდა, დაემატა მინაშენები. ეკლესია და სასახლის ტერიტორია სხვადასხვა დანიშნულების სათავსოებად იყო გამო-ყენებული, აქვე იქნა დაარსებული ერთი მსახიობის თეატრიც. 1990 წლიდან ეკლესია საპატრიარქოს გამგებლობაში გადავიდა და ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მასთან დედათა მონასტერი დაარსდა.

ერეკლეს ციხე და ბარბარეს ეკლესია

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი ნავთლული. სიტყვა ნავთლული ორი ნაწილისგან შედგება „ნავთი“ და „ლული“, რომელიც სანავთე ადგილს აღნიშნავს. ვახუშტის ცნობით, „მუნ დის ნავთი კიდესა მტკურისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავალი არ აიღების“. ნავთლულის ჭებიდან ამოღებული წიაღისეული მხოლოდ ტიკებისა და რუმბების მოსაკუპრად გამოიყენებოდა [12.5]. ნავთლული, როგორც ჩანს ადრე სოფელი იყო და მის ტერიტორიაზე მდებარეობდა „ერეკლეს ციხე“, რომელიც დატანილია პიშჩევის 1783 წლისა და 1800 წლის კაპიტან ჩუიკოს რუკებზე. იოპან გიულდენშტეტი აღნიშნავს, რომ: „სოფელი ნავთლული... შედგება დაახლოებით 50 სახლისგან. აქაური ჩვეულების მიხედვით ბევრი მიწურისგან, მოსახლეობა ქართველებია. ახლანდელმა მეფემ შემოარტყა ოთკუთხა კედელი ადგილს... დაატანა მრგვალი კოშკი. ამიტომ მას დაარქვეს ერეკლეს ციხე [1.1]. მოგზაური 1772 წელს იყო თბილისში. ე. ი. ერეკლე II-ს ციხე მანამდე აუგია და მტრის მიერ განადგურებული ადგილი აღადგინა, სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოყვანილი ყმებით დაასახლა. დღეს სასაფლაოზე „ერეკლეს ციხის“ გოდოლის კედლის ნანგრევები და კედლის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ციხის ტერიტორიაზე დგას ძველი წმინდა ბარბარეს ეკლესია, რომელიც წარმოადგენს ერთნავიან შენობას. ეკლესიისთვის მინაშენი მეფე ერეკლეს XVIII საუკუნეში გაუკეთებია. ტაძარი 1779 წლიდან მოიხსენიება. იგი თავდაპირველად წმინდა გიორგის სახელზე ყოფილა ნაკურთხი.

ბარბარეს კულტი საქართველოში წინაქრისტიანული ხანიდან იღებს სათავეს, მას ქართულ ღვთაებათა პანთეონში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ქართულ მითოლოგიაში ბარბალე მზის განმასახიერებელი ქალღმერთი იყო. ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დგინდება, რომ ყველა ქართველურ ტომში ბარბალე წარმოდგენილია, როგორც ნაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაება. მისდამი მიძღვნილი დღესასწაული ზამთრის მზებუდობას ემთხვეოდა [8.1]. ბარბალეს სახელზე აცხობდნენ რიტუალურ კვერებს (ქადებს, ნიგვზიანსა და ლობიან პურებს ზედ გამოსახული მზით ან ჯვრით), ბარბალეს თაყვანს სცემდნენ, როგორც მკურნალს. მოსე ჯანაშვილი წერს: „ტაძარი წმინდა ბარბარესი ქვემო ნავთლულში, აგებული ძველ დროს, დიდი თაყვანის-საცემელია, დღეობას აქ

იკრიბება დიდალი მლოცველი, წმინდა ბარბარეს მოსალოცად აქ მუდამ მოჰყავთ სახადით მოსარჩენალი ბავშვები“. თბილისში არსებობდა უძველესი ტრადიცია, ყველა ოჯახს ბავშვი ამ ეკლესიაში მიჰყავდა დასალოცად და წმინდა ბარბარეს მამალსაც სწირავდა.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ბარბალეს ღვთაების ქრისტიან დიდმოწამე ბარბარესთან სინკრეტიზაცია მოხდა. 17 დეკემბერს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენებას აღნიშნავს. ბარბარე მუდამუამ მარხვასა და ლოცვაში იყო, მან სიწმიდისა და ქალწულობის აღთქმა დადო და ღმერთს შესწირა თავი. ქრისტეს ერთგული მხევალი მუდმივ დევნას განიცდიდა. მისი ცხოვრება გამორჩეულია მრავალი სასწაულით. წმინდანს თავი მოჰყვეთეს 305-311 წლების შუალედში, იმპერატორ მაქსიმიანეს დროს. ნამებულ ბარბარეს წმინდა ნეშტი თავდაპირველად ღვთისმოსავმა ვალენტიანემ დაკრძალა ქალაქ ილიოპოლისში. შემდეგ იმ ადგილას ეკლესია ააგო. VI ს.-ში წმინდა ნაწილები კონსტანტინეპოლში გადასვენეს, სადაც საკმაოდ დიდხანს იმყოფებოდა. ქართული სამღვდელოების რწმუნებით საქართველოს ეკლესია უძველესი დროიდან ფლობდა წმინდა ბარბარეს წმინდა ნაწილს და იგი სვეტიცხოველის ტაძრის კანკელის მარცხენა მხარეზე არსებულ სანაწილეში იყო დასვენებული. 1983 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის თხოვნით, უკრაინაში ჩასულ ქართველი სამღვდელოების დელეგაციას კიევის მიტროპოლიტმა ფილარეტმა საჩუქრად გადასცა წმინდა ბარბარეს ნეკა თითის ნაწილი. აღნიშნული სიწმინდე ამჟამად დასვენებულია ბარბარეს სახელობის ეკლესიაში.

წმინდა ბარბარეს ეკლესია 1880-1883 წლებში შეაკეთა და განაახლა მღვდელმა თეოფანე ჩიჯავაძემ. წმინდა ბარბარეს ეკლესია სუმბათაშვილების საგვარეულო და საძვალე ადგილი იყო.

წმინდა ბარბარესა და „ერეკლეს ციხის“ ტერიტორია თბილისის ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესია

დიდუბე ფეოდალური ხანაში იყო თბილისის სიახლოვეს არსებული სოფელი იყო, სადაც საქართველოს მეფეებს სასახლე ჰქონდათ. ვახუშტი ამ ადგილს „ცხენის ტერფს“ ეძახის და „ქრისტიანთა დაბად“ მოიხსენებს. ღვთისმშობლის ეკლესია XII ს-ის ძეგლია და

გადმოცემის თანახმად იგი გიორგი III-მ ააგო სასახლესთან ერთად. თამარ მეფის ისტორიკოსი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი გადმოგვცემს, რომ მეფე თამარმა დავით სოსლანზე ჯვარი ამ ტაძარში დაიწერა. ტაძარი მრავალჯერ დაინგრა და აღდგა. 1800 წლის თბილისის გეგმაზე კაპიტან ჩუიკოს დიდუბესთან დატანილი აქვს წარწერა — „დანგრეული ეკლესია“. პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, რომ სამეფო სასახლე მონღლობთა შემოსევას ემსხვერპლა, ძველმა ეკლესიამ კი ბოლო დრომდე მოაღწია.

XIX ს-ში ეკლესიას თაღი ჰამონგრეული, თუმცა ტაძართან მლოცველები კვლავ მოდიოდნენ, განსაკუთრებით ქალები, რადგან სწამდათ, რომ ღვთისმმობლის ეკლესია ნაყოფიერებას მიანიჭებდათ.

საქართველოს ეგზარქოსის — პავლეს დროს დიდუბის ეკლესიის განახლების საკითხი დადგა. ამ პროცესში აქტიურად ჩაება დეკანოზი ბესარიონ ზედგინიძე. ტაძარი თავიდან უგუმბათოდ აშენდა და მასთან სკოლაც გაიხსნა [45.1]. ტაძარში შემონახულია ბესარიონ ზედგინიძის საფლავის ორენოვანი ქვა (ქართულ-რუსული), რომელიც გვამცნობს განსვენებული დეკანოზის ღვანლს.

1884 წელს, რუსული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი სტილით არქიტექტორმა ჩიუოვმა ახალი ტაძარი ააგო და მოხატა [44].

კათოლიკური ეკლესიები

საქართველოში კათოლიციზმის ისტორია იწყება XIII ს-დან, როდესაც დედოფალმა რუსუდანმა (1223-1245 წწ.) დახმარება სთხოვა რომის პაპს გრიგოლ IX-ს. მნიშვნელოვანი საერთაშორისო ცვლილებების გამო საქართველო-ევროპის ურთიერთობა მისიონერული საქმიანობით შემოიფარგლა. ფრანცისკანელ ბერებს დომინიკელთა ორდენის წევრები მოჰყვნენ, რომლებმაც 1240 წელს თბილისში კათოლიკური მონასტერი დაარსეს [28.1]. მ. თამარაშვილის ცნობით, მონასტერი შემდეგ საუკუნეებშიც არსებობდა [20.2]. კათოლიკური ეკლესიის გაძლიერება საქართველოში განსაკუთრებით XIV საუკუნიდან — გიორგი ბრწყინვალის მეფობის (1318-1345 წწ.) დროიდან დაიწყო. რომის პაპი იოანე XXII არა მარტო რელიგიური საკითხებით იყო დაინტერესებული, არამედ ფართო პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა, რათა გაეფართოებინა რომის ეკლესიის ინტერესები.

ამ მიზნით იოანე XXII გიორგი ბრწყინვალეს დაუკავშირდა. პაპმა კარგად გაითვალისწინა იმდროინდელი საქართველოს მზარდი სა-ერთაშორისო ავტორიტეტი და მას თბილისის საეპისკოპოსო ცენტ-რად გადაქცევა შესთავაზა. საქართველოს მეფემ საკათალიკოსო ცენტრი სმირნიდან თბილისში გამოიტანა და 1329 წელს თბილისის კათოლიკეთა ეპისკოპოსად იოანე ფლორენციელი დაინიშნა. რო-გორც ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, კათოლიკური ტაძარი ამ დროიდან ცხეუმშიც (სოხუმი) არსებობდა. სად მდებარეობდა და რა ბედი ეწვია პირველ კათოლიკურ ტაძარს თბილისში, უცნობია. სავა-რაუდოდ, იგი თემურ ლენგის ლაშქრობების დროს უნდა დანგეული-ყო. რომსა და თბილისს შორის მჭიდრო კონტაქტები გრძელდებოდა თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე, რის შემდეგაც საქართველო ევროპული სამყაროსგან თითქმის სრულ იზოლაცია-ში აღმოჩნდა.

რომის პაპის ინტერესები საქართველოს მიმართ გვიანშუასაუ-კუნებშიც პოლიტიკური იყო. გაძლიერებული ოსმალეთის იმპერია საფრთხეს უქმნიდა ევროპას. მის შესაჩერებლად საჭირო იყო არა მარტო დასავლეთის, არამედ აღმოსავლეთის პოლიტიკური ძალე-ბის გამოყენებაც. თუმცა, თბილისში კათოლიკური მრევლი შემ-ცირდა და საეპისკოპოსო გაუქმდა 1507 წლის შემდეგ.

XVII ს-ში აზის კათოლიკეთა შორის მხარდაჭერით სარ-გებლობდნენ ე. წ. სომეხი „უნიტორი“ კათოლიკები, რომლებმაც ბრძოლა გააჩაღეს ლათინი ბერებისა და ქართველი კათოლიკების წინააღმდეგ. ზოგჯერ მათ მხარს ქართველი მეფეებიც უმაგრებდ-ნენ, რითაც ანგარიშს უწევდნენ სომხურ ვაჭრულ ფენას. ამას მო-ყვა სომხური კონდაკის შემოღება, რასაც ქართველი კათოლიკე-ბი აპროტესტებდნენ. ამავე პერიოდში საქართველოში მრავალი სხვადასხვა ორდენის (კაპუცინები, დომინიკელები, თეატინელები) კათოლიკე მისიონერი ჩამოვიდა, რომელთაც აქ მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გააჩაღეს (ჟან შარდე-ნი, არქანჯელო ლამბერტი, ქრისტეფორე კასტელი და ა. შ.). ქარ-თველი მეფეები დიდი პატივით ექცეოდნენ მისიონერ ბერებს. 1740 წლისთვის ისპაპანის კათოლიკე ეპისკოპოსი ცდილობდა, აღედგინა თბილისის ეპარქია. რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის გაუქმების შემ-დეგ კათოლიკეთა მდგომარეობა სტაბილური გახდა და ქართველი კათოლიკები იბრძოდნენ ქართული კონდაკის აღსადგენად. სა-ქართველოში აშენდა კათოლიკური ტაძრები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში.

პირველი კათოლიკური ეკლესია თბილისში აშენდა 1804 წელს, ეს იყო მარიამ ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების სახელობის კათედრალური ტაძარი, მაშინდელ კაპუცინების ქუჩაზე. რუსეთის მეფე ალექსანდრე I-მა კაპუცინთა ორდენის თბილისის პრეფექტს, ფრანჩესკო პადუელს, ეკლესის აშენების ნება დართო. კათოლიკებს მშენებლობისთვის ქუჩაზე ფართი და 6 000 მანეთი გამოუყვეს. აქ აიგო ეკლესია გოთიკური არქიტექტურული ელემენტებით. მშენებლობაში ავსტრიის მონარქმაც შეიტანა წვლილი — მშენებლობა 1286 პიასტრით დააფინანსა. 1829 წლიდან თბილისში სომეხ-კათოლიკეთა რიცხვმაც იმატა. სომხები ცდილობდნენ ამ ტაძრის ხელში ჩაგდებას. რუსეთის ხელისუფლება ქართველ კათოლიკებს უკრძალავდა ქართულ ენაზე ღვთისმსახურების ჩატარებას, ის შეიძლება მხოლოდ სომხურად ან ლათინურად შესრულებულიყო 13/1. 1937 წელს ეკლესია გააუქმეს. 1999 წელს გაიხსნა თბილისის ღვთისმშობლის ამაღლების კათედრალური ტაძარი, რომლის აღდგენაშიც ქართველ კათოლიკეთა მეუფე ჯუზებეს მშობლიურმა ქალაქმა, ვერონამაც შეიტანა წვლილი. 15 აგვისტოს, ღვთისმშობლის ამაღლების დღეს, საზემოდ ეკურთხა ტაძარი, 1999 წლის 8-9 ნოემბერს, საქართველოს მთავრობისა და საპატრიარქოს თხოვნის გათვალისწინებით, საქართველოს ესტუმრა რომის პაპი იოანე-პავლე II.

თბილისში წმინდა პეტრესა და პავლეს სახელობის მეორე კათოლიკური ეკლესიაც დაარსდა 1870 წელს, მის მშენებლობას სათავეში ჩაუდგა ცნობილი მეცენატისა და საზოგადო მოღვაწის ვაჟი — კონსტანტინე ზუბალაშვილი, რომელიც მრევლის მამასახლისი გახლდათ. კონსტანტინეს თხოვნითა და თანადგომით დაიწერა მიხეილ თამარაშვილის წიგნი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“. კათედრალის არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი იყო, რომლემაც ეკლესია ადრინდელი ბაროკოს სტილში დააპროექტა. ეზოს მოაჯირი და კარიბჭე 1891 წელსაა გაკეთებული ჯიმშეროვთა ოჯახის სახსრებით, რასაც გვაუწყებს ეკლესის ეზოში შესასვლელის თავზე არსებული ქართული და რუსული წარწერა. 1999 წელს ტაძარი რომის პაპმა იოანე პავლე II-მ მოინახულა და მასში ლოცვა აღავლინა.

საქართველოში ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიაც არსებობდა. რუსული კოლონიალიზმის დროს დაიწყო საქართველოს დემოგრაფიული ექსპანსია, რის შედეგად ქვეყანაში სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ჩამოსახლება ხდებოდა. 1817-1818 წ-ში ვიურტენბერგიდან იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით საქართ-

ველოში რამდენიმე ათასი გერმანელი ჩამოასახლეს. მთავარმმართებელ გენერალ ერმოლოვს დაევალა მათ დასახლებაზე ზრუნვა. გერმანელებმა თბილისში ორი კოლონია დაარსეს: ნოი ტიფლისი — კუკიაზე და ალექსანდერსდორფი — დიდუბეში. 1894 წელს ნოი ტიფლისის დასახლებაში (მარჯანიშვილის მოედანი), წმინდა პეტრესა და პავლეს ლუთერული ტაძრის მშენებლობა დაიწყო.



წმინდა პეტრესა და პავლეს ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია

სამი წლის შემდეგ კირხე საზეიმოდ გაიხსნა. პასტორად რიპარდ მეიერი აკურთხეს (მეიერების გვარს მნიშვნელოვანი სავაჭრო ობიექტები — აფთიაქები ჰქონდათ). ნეოგოთიკური სტილის ტაძრის პროექტი გერმანელ არქიტექტორს, ლეოპოლდ ბილფელდს ეკუთვნოდა. ნიუ ტიფლისის დასახლებაში მდგომი კირხეს გამო ძველი თბილისელები ამ ადგილს კირიჩნს ეძახდენენ [29]. 1930-იანი წლებიდან ბოლშევიკებმა გერმანელი კოლონისტების შევიწროება და დევნას დაიწყეს. 1933 წელს ხელისუფლებამ პეტრე-პავლეს კირხე დახურა, პასტორი მეიერი კი დახვრიტა. კირხე, რომელიც ერთ დროს მნიშვნელოვან კულტურულსა და საზოგადოებრივ ცენტრს წარმოადგენდა, მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილ გერმანელებს დაანგრევინეს.

სინაგოგა

ებრაელები საქართველოში მცხოვრები უძველესი ერია. ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე VII საუკუნეში იერუსალიმიდან დევნილ ებრაელთა ნაწილი ქ. მცხეთაში მოვიდა და დასახლდა „ნაბუქოდონისორ მეფემან წარმოსტყუნენა იერუსალიმი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდნენ ქართლსა და მოითხოვეს მცხეთელი მამასახლისისგან ქუეყანა ხარკითა“ [4.12]. საქართველოში განსახლებული ებრაელები პერიოდულად იცვლიდნენ თავიანთ სამოსახლოს ზოგჯერ საკუთარი სურვილით, ზოგჯერ კი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ებრაელებს საკუთარი უბნები ჰქონდათ საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში და, ძირითადად, ვაჭრობას მისდევდნენ. თბილისში ებრაელობა უნდა დასახლებულიყო მას შემდეგ, რაც ისინი მცხეთას მოვიდნენ. ამაზე მიუთითებს აქ „ურიათ უბნის“ არსებობა [44.1]. თბილისში მცხოვრებ ებრაელთა შესახებ მრავალი ისტორიული წყარო და მოგზაურთა ჩანაწერები გვამცნობს (მარკო პოლო, ალ-ფარიკი). კომპაქტურად მცხოვრები იუდეველები აგებდნენ თავიანთ სალოცავებს — სინაგოგებს (სალოცავის სინონიმად დამკვიდრებული ტერმინი). საქართველოში დასახლებისთანავე უკვე არსებობდა ებრაული სალოცავები „ბაგინი ჰურიათა“. ქართველი ებრაელებისალოცავის შენობას „ლოცვას“ უწოდებენ [38.1]. ებრაულად სინაგოგა ნიშნავს ბეთ-ჰაქნესთ „სახლი თემისა“. ვახუშტის რუკაზე თბილისის სინაგოგა არ არის მოცემული. 1785 წლის გეგმაზე კი 44 ნომრითაა დატანილი სავარაუდოდ კლდისუბნის ეკლესიების მიმდებარედ. ზაქარია ჭიჭინაძე თვლის, რომ „ძველად ებრაელნი თფილისში ცხოვრობდნენ სიონის ახლოს, ბეთხაინის აღმართზედ, დღესაც მათი ძველი თორა ამ კუთხეში სძევს. ამბობენ, რომ ძველი ბეთხაინი ამ კუთხეს ერქვაო, რადგან აქეთ ებრაელთა სასაფლავო იყო და ებრაელთა ბეთხაინიც ამას ნიშნავს“ [44.2]. „მოკლე ებრაულ ენციკლოპედიაში“ აღნიშნულია, რომ აღა-მაჟმად ხანის შემოსევის შედეგად სინაგოგაც დაიწვა. თბილისში ასევე იყო ე. წ. „გუმბათოვანი სინაგოგა“, რომელის XX ს.-ს დასაწყისში აიგო რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთათვის და მას „სალდათსკის“ ეძახდნენ. სინაგოგა ბოლშევიკებმა გააუქმეს, შემდგომში აქ განთავსდა ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ებრაელთა მუზეუმი თბილისში დაარსდა 1933 წელს და მის დაარსებაში უდიდესი წვლილი აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მიუძღვის. მუზეუმი თვრამეტი წელი ფუნქციონირებდა და შემდეგ



დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ეპრაელთა მუზეუმი

დაიხურა. ამ ხნის განმავლობაში აქ გამოიცა რამდენიმე სამეცნიერო კრებული. 1992 წელს მუზეუმი კვლავ აღდგა და დავით ბააზოვის სახელობისაა.

XX ს.-ს დასაწყისისთვის თბილისში ოთხი მოქმედი სინაგოგა არსებობდა. დღეს ორი სინაგოგა მოქმედებს: დიდი-ახალციხის ლოცვა და ბეთ-რახელის სინაგოგა. ბეთ-რახელის ანუ იგივე ცხინვალის სინაგოგა 1910 წელს აშენდა ირანიდან და ქურთისტანიდან (ლახლუხები) შემოსული ებრაელებისთვის, რომელთა დიდი ნაწილი საბჭოთა პერიოდში გადაასახლეს. სინაგოგა აშენენაზე ებრაელთა საკუთრებაა. ვინაიდან შენობა დაზიანებული იყო, დადგა მისი რესტავრაცის საკითხი. სარესტავრაციო თანხები გაიღო თბილისისა და მოსკოვის ებრაელობამ. ალექსანდრე მასკევიჩმა, გაბრიელ მირილაშვილმა, თემურ საპირმა და დავით იაკობაშვილმა დიდი როლი შეიტანეს სინაგოგის რეკონსტრუქციაში. აშენენაზების ბეთ-ქედესთს, ბეთ-რახელის სახელი დაერქვა (ალექსანდრე მაშკევიჩის დედის საპატივსაცემოდ, ხოლო სინაგოგის არონ ჰაკოდეშს (სეფერთორების შესანახი წმიდა სავანე) მიხაელ მირილაშვილის სახელი. 2009 წელს რომელიმენის დღეებში სინაგოგა საზემოდ გაიხსნა.

დიდი, ანუ ახალციხის სინაგოგა თბილისში 1903 წელს გაიხსნა. სინაგოგის მშენებლობას ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი ქართული პრესა, საიდანაც ვიგებთ, რომ რაბინი ლევინი და აბრამ გორელაშვილი ჩაუდგინ სათავეში მშენებლობის დაწყებას. ქართველმა ებრაელებმა თხოვნით მიმართეს გენერალ-გუბერნატორს, რათა თავიანთი ხარჯებით სალოცავი აეშენებინათ. გენერალ გუბერნატორმა ნება დართო მაგრამ დაავალა, რომ ისინი ქართველ ებრაელებად კი არა, ადგილობრივ ებრაელებად დაწერილიყვნენ. (რა თქმა უნდა, ეს ფაქტიც ყოველივე ქართულთან დაკავშირებულის დისკრიმინაცია იყო რუსული მმართველობის მიერ). სინაგოგა ქართველმა ებრაელებმა თავიანთი ხარჯებით ააგეს. 1911 წელს სინაგოგა სრულიად დამთავრებული იყო და მასში შედიოდა: დიდი ლოცვა, პატარა ლოცვა, მაცის საცხობი, ფრინველისა და პირუტყვის საკლავი, მიკვე (რიტუალური განბანვის ოთახი), სამეურნეო სათავსები. 1976 წლამდე სინაგოგაში იყო რაბინის იმანუელ დავითაშვილის საცხოვრებელი. სინაგოგის კომპლექსში შედიოდა თალმუდ-თორა (ებრაული სკოლა), რომელიც დღევანდელი პატარა ლოცვის მეორე სართულზე იყო განთავსებული. გასული საუკუნის 50-იან წლებში შენობის მეორე სართული ჩამოინგრა და აღარ აღუდგენიათ.

თბილისი დიდი სინაგოგა „დიდი ლოცვა“ რომანულ სტილს განეკუთვნება-მისთვის დამახასიათებელია შეულესავი აგურის წყობა და დეტალები, ფასადის ტრაპეციული დაგვირგვინება, გარეთა ფა-

სადს მაგენდავითის ფერადი ვიტრაჟი ამშვენებს. სინაგოგის დარბაზის ცენტრში თება (ლოცვის წარმოსათქმელი შემაღლებული ადგილი) დგას და მის მოპირდაპირე მხარეს კი არონ-ჰაკოდეში (წმინდა კიდობანი სეფერ-თორასთვის). სალოცავის მეორე სართულზე განთავსებულია ტრადიციულად „ქალთა გალერეა“, (ქალები და კაცები ცალ-ცალკე ლოცულობენ), რომელსაც დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს. დარბაზის ინტერიერი მთლიანადა მოხატულია მცენარეების ვარიაციებითა და სიმბოლოებით. სინაგოგას პერიოდულად უტარდება რესტავრაცია. სინაგოგა თბილისის მნიშვნელოვანი რელიგიური და კულტურული ძეგლია.

მეჩეთი

თბილისის მეჩეთი წარიყალას ძირში, ბოტანიკური ბაღის ქუჩის ბოლოს მდებარეობს. ის ერთადერთი დღეისთვის შემორჩენილი მუსლიმური სალოცავია ქალაქში. მუსლიმი მოსახლეობა თბილისში არაბების მიერ ქალაქის დაპყრობის შემდეგ, VII საუკუნის II ნახევრიდან გაჩნდა. არაბების მიერ თბილის დაკავების შედეგად ქალაქში აუცილებლად იარსებებდა საკულტო ნაგებობაც, რის საფუძველსაც გვაძლევს თბილისის ამირას კარზე ყადის (სასულიერო მსაჯული) სახელოს არსებობა და XIII ს.-ის ერთ-ერთი ხელნაწერი (დაცულია რუსეთის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში). VII-VIII ს.-ში თბილისში მეჩეთი — ჯამე უნდა მდგარიყო დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ახლა დგას მეჩეთი. როდის დაინგრა, ან ვინ მოშალა ჯამე ამის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. არაბობის დროს თბილისში თანდათან მომრავლდნენ მაჰმადიანი ვაჭარ-ხელოსნები, მეცნიერები და კულტურის წარმომადგენლები. არაბი ისტორიკოსების ცნობებით, თბილისელი მაჰმადიანები სუნიტები ყოფილან.

შიიტი მაჰმადიანები საქართველოსა და თბილისში მოვიანებით — XVI ს.-ში გამოჩდნენ. ერთ-ერთ უძველეს მეჩეთად ითვლება მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან, ხიდის ყურესთან შაჳ ისმაილ I-ის მიერ დაარსებული შიიტური მეჩეთი. „ხიდის ყურს აღაშენა მეჩეტი შაისმაილ“ — გადმოგვცემს ვახუშტი.

თბილისი ხან სუნიტი თურქ-ოსმალების, ხან კი შიიტი ირანელების ხელში იყო. ქალაქის დამპყრობლები არა მარტო ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს ანგრევდნენ, არამედ მაჰმადიანურ სალოცავებსაც. შიიტები სუნიტებისას და პირიქით. შაჳ ისმაელის მეჩეთი


დანგრეული იქნა ოსმალების თითქმის 30 წლიანი ბატონობის დროს. შაჰ აბას I-მა, 1606 წელს, ახალი მეჩეთი ააშენა, ამის შესხებ ცნობებს გვაძლევს უან შარდენი. ცნობილია, რომ ახალ მეჩეთს საკმაოდ დაპალი მინარეთი ჰქონდა. გადმოცემის თანახმად, დიდი მინარეთი სპარსელებს ქართველებმა არ ააშენებინეს. მეჩეთი სიონზე დიდი რომ არ გამოჩენილიყო. როსტომ ხანის დროს სამი მეჩეთი აშენებულა. XIX ს.-ს დამდეგისთვის თბილისში არსებობდა ხუთი მეჩეთი.

მეჩეთი, რომელიც ნარიყალას ძირში დგას, ერთადერთია თბილისში. იგი ააშენეს ოსმალებმა 1724-27 წლებში, როდესაც ისინი ქართლში ბატონობდნენ. ნადირ შაჰის ლაშქრობებისა და ქართლში ყიზილბაშობის დამკვიდრების შემდეგ აღნიშნული მეჩეთი დაანგრიეს. 1785 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე ხუთი მეჩეთია დატანილი. XX ს-ში მათგან ერთი დარჩა. ბევრი მეჩეთი, ჯამე და მედრესე, რომელთაგან ზოგიერთი ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა, საბჭოთა რეჟიმის დროს განადგურდა.

1846-1851 წლებში მეჩეთი აღადგინეს არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის პროექტით, მაგრამ XIX საუკუნის ბოლოს, 1895 წელს ბაქოელმა მილიონერმა და მეცენატმა ჰაჯი ზეინალ აბდინ თაღიევმა მეჩეთი მთლიანად შეაკეთა, რამაც მისი აღმოსავლეთი ნაწილი შეცვალა. რაც შეეხება როსტომის მიერ სასახლესთან აგებულ მეჩეთსა და ხიდის ბურჯთან არსებულ მაჰმადიანთა საკულტო ნაგებობას, ისინი დაანგრიეს. შიიტების მეჩეთი ერთ-ერთ ულამაზესად ითვლებოდა, რაც კარგად ჩანს რიჰარდ კარლ ზომერის ნახატზე.

1952 წლამდე შიიტურ მრევლს დღევანდელ მეტეხის ხიდთან ჰქონდათ მეჩეთი, რომელიც დაანგრიეს ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით. მისი უნიკალური ორნამენტებიანი და წარწერებიანი ფილები საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული. მაჰმადიანმა მორწმუნებმა გადაინაცვლეს სუნიტურ მეჩეთში. თბილისის ჯუმა მეჩეთი იმით გამოირჩევა, რომ აქვს ორი მეჰრაბი (მეჰრაბი არის ადგილი სადაც იმამი-წინამძღვარი დგას და აღასრულებს ლოცვას) — სუნიტური და შიიტური. ანალოგიური შემთხვევა მსოფლიოს არცე რთ მეჩეთში არ გვხდება.

ამჟამად თბილისში მცხოვრები მუსლიმი მორწმუნენი სუნიტები და შიიტები არიან. სუნიტების მეჩეთი თბილისის ერთადერთი მოქმედი მეჩეთია. ის, როგორც აღვნიშნეთ, ემსახურება როგორც სუნიტი, ისე შიიტ მაჰმადიანებს. თავდაპირველად მეჩეთი გაყოფილი იყო შავი ფარდით, რომლის ერთ მხარეს სუნიტები ლოცულობდნენ, მეორე მხარეს — შიიტები. დღეს მეჩეთი ყველა მლოცველისთვისაა გახსნილი [36.6].



შიომური მეჩეთი

იეზიდების სალოცავი

იეზიდები საქართველოში მცხოვრები მცირე ეთნოკონფესიური ჯგუფია. საუბრობენ კურმანჯიზე. საქართველოსთან იეზიდების პირველი დაკავშირება მე-18 საუკუნეში მოხდა, როდესაც ასურელმა ეპისკოპოსმა ისაიამ და იეზიდების მეთაურმა ჩობან-ალამ წერილი მისწერეს მეფე ერეკლე II-ს საქართველოში თავშესაფრის თხოვნის შესახებ. ერეკლე II-მ ამ წერილის საფუძველზე 1772 წელს გადმოასახლა 72 ასურელი და 201 იეზიდი ოჯახი ყარსისა და ვანის ვილაიეთებიდან და კახეთში დაასახლა. მათ შემდეგ ქრისტიანობა მიიღეს. იეზიდები ძირითადად თბილისის ძველ უბნებში დასახლდნენ: სოლოლაკში, ვერაზე, ზემელზე, დიდუბეში, მეიდანზე, ვორონცოვზე და ა. შ. თბილისის გარდა იეზიდების რამდენიმე კომლი დასახლდა კახეთში (თელავში, წნორში, ყვარელში), თიანეთში (ერნოში, სონბში), ოზურგეთსა (ნასაკირალში, გურიანთაში) და ბათუმში.

იეზიდები XIX საუკუნეშიც შემოსულან საქართველოში სომხეთიდან და თურქეთიდან. მათ მიმართ როგორც ქართველ ხალხს, ისე ხელისუფლებას, კარგი განწყობა ჰქონდა. იეზიდთა ბოლო შემოსვლა უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდს (1919 წელს) უკავშირდება. იეზიდებს საქართველოში ტაძარი არ ჰქონდათ, ამიტომ რელიგიურ რიტუალებს ოჯახებში აღასრულებდნენ.

იეზიდები ერთ ღმერთს აღიარებენ და თაყვანს სცემენ მთავარანგელოზ მალაქ-ტაუსს, რომელიც ფარშევანგის სახით ჰყავთ წარმოდგენილი და შამსს, რომელიც მზის ღვთაებაა იეზიდთა მითოლოგიაში. განსაკუთრებით პატივს სცემენ მზის ამომავალ მხარეს. იეზიდების რელიგიური დოქტრინა განთავსებულია ორ წმინდა წიგნში — „წიგნი აღსარებისა“ და „შავი წიგნი“. იეზიდიზმში სავსებით გარკვეულად არის მითითებული, რომ მხოლოდ ღმერთია შემოქმედი სამყაროსი, ხოლო სამყაროს მართვა დაკისრებული აქვს შვიდ ანგელოზს.

2011 წელს დაფუძნდა იეზიდთა სასულიერო კრება საქართველოში (საჯარო სამართლის იურიდიული პირი), რომელიც არის ერაყში არსებული უმაღლესი სასულიერო ორგანოს წარმომადგენლობა საქართველოში და იეზიდურ თემს იეზიდური კულტურის ცენტრის აშენების ნებართვა მიეცა. ამავე წელს, საქართველოში რეგისტრირების შემდეგ, სასულიერო საბჭომ რებარად, ანუ წინამძღვრლად, აირჩია შეიხი ნადრი. იეზიდთა მთავარი სალოცავი ჩრდილოეთ ერაყში ლალიშის ტაძარია და ქართულმა იეზიდურმა

თემმაც ააშენა ლალიშის მსგავსი მცირე ტაძარი ვარკეთილში. ტაძარზე გამოსახული ფარშევანგი ანგელოზის სიმბოლოა.

სომხური ტაძრები

სომხური ეთნოსის საქართველოს ტერიტორიაზე დასახლების პროცესი რამდენიმე ეტაპად იყოფა, მაგრამ ის განსაკუთრებით ინტენსიური გახდა გვიან შუა საუკუნეებში. ამ დროს მათ დიდი ხნის დაკარგული ჰქონდათ სახელმწიფობრიობა (ეს მოხდა XI ს.-ში) და ეროვნულ-პოლიტიკური და რელიგიური ნიშნით შევიწროვებას განიცდიდნენ. ამიტომ ხშირად თავშესაფარს საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლში, ეძებდნენ, რათა ხელსაყრელი გარემოს შექმნისთანავე თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ერეკლე მეფემ 1780 წელს ერევნის სახანოდან თბილისში გადმოასახლა სპარსელთაგან შევიწროებული სომხები. უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე II-ს მონინააღმდეგე ქართული ფეოდალური საზოგადოების ნაწილი პრეტენზიას უყენებდა სომხების ჩამოსახლების გამოც. ადრე საქართველოში მოსული სომხები ირანისა და ოსმალეთის ქვეშევრდომობის მოიმედენი იყვნენ, XVIII საუკუნიდან კი გარეშე ძალის მფარველობასა ეძებდნენ და მათვის დახმარების გაწვით საქართველოში თავიანთ საქმეს იკეთებდნენ.

XIX საუკუნიდან თბილისში მიმდინარე რუსულმა დემოგრაფიულმა ექსპანსიამ სომხური მოსახლეობის მომრავლება გამოიწვია. თბილისში მიგრირებული სომხები არა მარტო თავიანთ ეკლესიებს აშენებდნენ, არამედ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასაც სომხურად აკეთებდნენ, რაშიც მხარს რუსეთის ხელისუფლებაც უჭერდათ, რადგან ამ ერის წარმომადგენლების მატერიალურად შეძლებული ნაწილი რუსეთის მთავრობამ პოლიტიკურ მხარდამჭერად და საყრდენ სოციალურ ბაზად აირჩია და ყველანაირად უწყობდა ხელს თბილისში მის გაძლიერებას. სომხები ყველანაირ დოკუმენტს მხოლოდ ქართულ ენაზე ადგენდნენ, ასე გრძელდებოდა XIX ს.-ს 70-იან წლებამდე, ვიდრე საქართველოში სომხების ახალი მიგრაციული ტალღა არ გამოჩნდა და თბილისელ სომხებში რუსულმა ენამ არ დაიწყო გავრცელება. უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისელ სომხებს შორის ბევრი ეთნიკურად ქართველი იყო, რომლებიც სომხებად იწოდებოდნენ, რადგან აღიარებდნენ სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას.

დღეს ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის არსებობს და-პირისპირება ტაძრების კუთვნილებასთან დაკავშირებით. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შექმნილ თბილისის რუკაზე მხოლოდ 5 სომხური ტაძარია დატანილი მიმდებარე სასაფლაოებით, ხოლო 1785 წელს რუსი ოფიცრის, ალექსანდრე პიშჩევის მიერ შედგენილ თბილისის გეგმაზე დართულ განმარტებებში ქართული მართლმა-დიდებლურ ტაძრები სომხურ ეკლესიებად არის მოხსენებული. იმ სომხური ტაძრების წარმოშობა, რომლებიც თბილისშია განთავსე-ბული, ძირითადად XVII-XIX საუკუნეებს უკავშირდება.

ნორაშენი-ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია XVIII ს.-ში ის-ტორიული ძეგლია. სომებს მკვლევარებს (ს. კარაპეტიანი) მიაჩინათ, რომ ტაძარი 1467 წელს აშენდა, თუმცა ამის შესაბამისი დამამ-ტკიცებელი დოკუმენტური მასალა არ არსებობს. ნაზარალიხანის (ერეკლე I) მეფობის დროს გამოიცა ბრძანება, რომლის თანახმად ჯვრის მამის ეკლესიის გარშემო დასახლებული სომხები აუყრიათ და სხვაგან გადაუსახლებიათ. ეს ბრძანება მიუთითებს, რომ, რო-გორც ჩანს, ჯვრის მამის ტაძარსაც ემუქრებოდა გრიგორიანული ეკლესიისგან მისაკუთრების საფრთხე. დოკუმენტში საუბარი არ არის ტაძართან ახლოს მდგომი ნორაშენის შესახებ. თუმცა არის ერთი ფოლკლორული ჩანაწერი, სადაც მთხორპელი თავისი წინაპ-რის გადმოცემაზე დაყრდნობით ამბობს, რომ ტაძარი ქართული იყო და შემდეგ, ძნელბედობის უამს, ჩაიგდეს სომხებმა ხელში. სა-ვარაუდოდ, ნორაშენი ქართული მართლმადიდებლური ტაძარი იყო და ძნელბედობის უამს სომხურმა გრიგორიანულმა ეკლესიამ მოახ-დინა მისი მითვისება და სომხურად გადაკეთება.

ნორაშენი-ახალშენს ნიშნავს. ამავე სახელწოდებით ეკლესია მოხსენებიული აქვს უან შარდენს (XVIII). ალა მაჰმად ხანის შემოსე-ვების დროს ტაძარი დაზიანდა. ცენტრალურ — გუმბათოვანი ტაძა-რი რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ აღდგა და მოიხა-ტა თბილისელი სომეხი მხატვრის — მერტუმ ოვნათანიანის მიერ. ეკლესიის შიდა კედლებში ჩადგმულია XVII ს.-ს ხაჩკარები. ეკლე-სიაში დაკრძალულია ცნობილი სომეხი ვაჭარი და მეცენატი მიხეილ თამამშევი [7.3].

სურბ-გევორქი ანუ იგივე ციხისდედის ეკლესია იმ ქართულ ტაძართა რიცხვს განეკუთვნება, რომელსაც შემდეგ სომხური ეკლესია დაეპატრონა. წმინდა გიორგის სახელზე აშენებულ ტა-ძარს ვახუშტი — ციხის საყდრად მოიხსენებს. ტაძარი არასრული ცნობებით XIII-ში არის აშენებული მდიდარი სომეხი უმეკის მიერ,

არსებობდა ტაძრის წარწერა, რომელიც შემონახული არ არის. სომები ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ უმეკმა ტაძარი 1251 წელს ძველი ტაძრის საფუძველზე ააშენა და სომხური გახადა (გ. ალაიანცი). ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში საქართველოში მონღლოლთა ბატონობა იყო დამყარებული და საეჭვოა რომლიმე კონფესიის ეკლესიის მშენებლობა. ტაძარი დაბლა ციხის გალავანში მდებარეობდა, ციხისძედის სახელიც აქედან მომდინარეობს. XVIII ს.-ში, როდესაც ერეკლე II-მ სპარსელები განდევნა, შენობა სომხურ ეკლესიას დაუბრუნა. დღეს ტაძარი გრიგორიანული საეპისკოპოსო ეკლესიაა. არსებობდა ლეგენდა, რომლის თანახმად 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს სუბრ-გევორგის ტაძართან საიათნოვა მოუკლავთ, მაგრამ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ საიათნოვა 1801 წელს გარდაიცვალა ახტაპის მონასტერში. რაც შეეხება საიათნოვას საფლავს, იგი 1915 წელს გაკეთებული სიმბოლური დაფაა. თამაზ ბერაძე აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნიდან ციხის ტაძრის დიდი ეკლესია იმავე სუბრ-გევორქი თუმანიშვილებისა ყოფილა, რასაც მონმობს XVIII საუკუნის II ნახევრის შედგენილი საბუთი, რომლის თანახმად მდივან გოჯასპას თეიმურაზ მეორემ და ერეკლემ იგი დიდი „ნაჭირნახულევის გამო უბოძეს“; სიძველეთა ნუსხაში, რომელიც 1835 წლითაა დათარიღებული, ტაძარი ღვთისმშობლის სახელზეა მოხსენებული. სუბრ-გევორგის ტაძრის არქიტექტურული დეტალები და დეკორაციული მორთულობა ნათლად წარმოაჩენს ქართული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს [7.4].

სუბრ-ნშანის ეკლესია ითვლება სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიად. ტაძრის აშენების პერიოდი დაუდგენელია. ზ. ჭიჭინაძე ამტკიცებს, რომ სომხებმა „შეისყიდეს ოქრომჭედლის ქუჩაზე ქართველების დიდი საყდარი — წმინდა ნიკოლოზის, რომელსაც დღეს სუბრ-ნშანს უწოდებენო“. საარქივო საბუთებით დგინდება, რომ ტაძრი უკვე სომხურ-გრიგორიანულია XVII ს.-ში. ვახუშტი თბილისის აღნერისას გვაცნობს რა უგუმბათო და გუმბათიან ეკლესიებს, აღნიშნავს, რომ (სუბრ-ნშანი) „უპყრავ სომეხთა“. პ. იოსელიანი კი აზუსტებს, რომ თბილისში შვიდი ეკლესია, აქედან კი სამი გუმბათიანი, რომელსაც სომხები დაეპატრონნენ და მათ შორისაა სუბრ-ნშანი. ამასვე ადასტურებს სომები მკვლევარი გ. ალაიანცი [7.5]. სუბრ-ნიშნი სომხურ ტაძრად აქვს მოხსენებული ი. გიულდენშტედს, და დასძენს, რომ რვა ტაძარი სომეხთა გარეთუბანში მდებარეობდა და ქალაქში ერთი სომხური მონასტერი [1.6].

ეკლესიაზე წარწერა გვამცნობს, რომ 1703 წელს ეკლესია აგებულია წმინდა ნიკოლოზის სახელზე. წარწერა სომხურ ენაზეა შესრულებული. ეკლესიაზე არის ქართული ორი წარწერა — 1781 წლით და სამხრეთ შესასვლელის თავზე არსებული 1833 წლით დათარილებული. პლატონ იოსელიანი და მოსე ჯანაშვილი თვლიდნენ, რომ წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელზე აგებული ტაძარი მართლმადიდებელთა საკუთრება იყო, ამას ადასტურებს ეკლესიის გუმბათის წახნაგზე არსებული წმინდანის რელიეფური გამოსახულება. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოა და თბილისში წმინდა ნიკოლოზის სახელზე უამრავი ტაძრებია აშენებული, რასაც ვერ ვიტყვით სომხეთზე, სადაც წმინდანის სახელზე მხოლოდ სამი ეკლესიაა (ბტარიაჩის მონასტერი, ზამარას ეკლესია და დივანქის ეკლესია). როგორც კვლევიდან ირკვევა, სომხებს 1703 წლის შემდეგ მართლა აქვთ გავლენა წმინდა ნიკოლოზის ტაძარზე, იგი რამდენიმეჯერ გადააკეთეს, ფასადზე ხაჩკარი (ქვაჯვარი) ჩაამატეს, მინაშენი გაუკეთეს, აღწერეს ტაძრის ქონება, მამასახლისთა ვინაობა. ეკლესიის ეზოში საფლავთა წარწერები ქართულ, სომხურსა და რუსულ ენაზეა შესრულებული [7.7]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერცხლის ქუჩაზე მდგარი სუბრ-ნშანის ეკლესია ისტორიული დილმის კარსა და კოჯრის კარს შორის მდებარეობს და ვახუშტის რუკაზე დატანილი არ არის. სუბრ-ნშანის ეკლესია ქალაქის დასავლეთ და ჩრდილოეთ კარს შორის იყო მოქცეული და ქალაქის შესავლელთან მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენდა. თუ გადავხედავთ საქართველოს საზღვრებს და სხვა ქალაქებში (გორი, ქუთაისი, თელავი) შემავალ კარებებს, ნათლად დავინახავთ, რომ საზღვრებთან და ქალაქების შესასვლელებთან მხოლოდ ქართული მართლმადიდებლური ტაძრებია დაფიქსირებული. უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით კვლავ აღდგა ეს ტრადიცია და ქვეყნის საზღვრებთან სამონასტრო ცხოვრება უფრო აქტიური გახდა. სუბრ-ნშანის ეკლესია კვლევის ობიექტია. ჩვენი აზრით, სომხურად გამოცხადებული ტაძრები ყველა ქართულია, რომელიც ჟამთა სიავის გამო მათ ხელში მოხვდა. საქართველოს საპატრიარქოს მიაჩნია, რომ შექმნას ერთობლივი კომისია, ჩატარდეს არქეოლოგიური კვლევები და სათანადო დასკვნები გაკეთდეს.

აბანოები

აბანო ცივილიზირებული სამყაროს მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ძველ აღმოსავლეთში აბანოები საცხოვრებელ სახლებსა და სასახლეებში იყო განთავსებული. ძველ საბერძნეთსა და რომში აბანოები, გარდა სახლებისა, ცალკე შენობა-ნაგებობაშიც გვხდება. გვიანანტიკური პერიოდიდან საქართველოში ჩნდება ე. წ. „რომაული აბანოების“ ტიპის აბანოები. თბილისში თაბორის მთებიდან გამომავალი თერმული წყლები წავკისისწყალში ჩაედინება, რამაც განაპირობა, როგორც ჩანს, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გოგირდოვანი აბანოების დაარსება და მიმდებარე უბანსაც აბანოთუბანი შეერქვა, რომელიც კალა-ქალაქისგან წავკისის წყლით (სალალაკის წყალი) იყო გამოყოფილი. წავკისის წყალს ხშირად ლელვთა ხევსაც უწოდებენ ამ ადგილებში ლელვის ხეების სიმრავლის გამო. ლელვთახევი წყაროებში პირველად მოიხსენიება 1429 წელს. იგი გამოყოფდა ქალაქის უძველეს უბანს — კალას — საკუთრივ თბილისისგან. შუა საუკუნეებში ეს უძველესი უბანი ჯერ სეიდაბადის, შემდეგ ხარფუხის ნაწილი გახდა. ვახუშტის ცნობით, თბილისის ცხელ წყლებზე გამართულ აბანოებს მთელი უბანი ეჭირა. მრავალი უცხოელი მოგზაური თუ ისტორიკოსი აღნიშნავდა თბილისის აბანოების განსაკუთრებულობას.

არაპი გეოგრაფი იბნ-ჰაუკალი (X ს.) საუბრობს რა თბილისზე, აღნიშნავს, რომ აქ წყალი ცხელია უცეცხლოდ. ირანელი ისტორიკოსები ალ-ყაზვინი (XIII-XIV სს.), ისქანდერ მუნში (XVI-XVII ს.), ევროპელები უან შარდენი (XVII-XVIII სს.), უ. ტურნეფორი (XVII-XVIII სს.), ი. გიულდენშტედტი (XVIII ს.) საინტერესო ცნობებს გვანვდიან თბილისის აბანოების შესახებ. „მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან გამოდის დიდი თბილი წყაროები და მიემართებიან აბანოს ხუთი შენობისკენ. წყალი ძალიან თბილია, არ შეიცავს რკინას. თბილისის მცხობრები იყენებენ მას მხოლოდ ტანის დასაბანად და საცვლების გასარეცხად“ [1.5]. გოგირდის აბანოების სამედიცინო თვალსაზრისით გამოყენება ი. გიულდენშტედტის დამსახურებაა. საქართველოში მოგზაურობის დროს ჯონ უორდროპი აღნიშნავს, რომ თბილისური აბანო თურქულზე ბევრად საოცარია, აქ მექისე სპარსელია — „შენთან ერთად ატარებს გიმნასტიკის მთელ კურსს, დახტის შენს გულ-მეერდზე, წელზე, გგრიხავდს და ისე გატრიალებს თითქოს შესაწვავი ქათამი იყო“. თბილისის სტუმარი მოვალეობად მიიჩნევდა აბანო მონახულებას. 1859 წელს ალექსანდრე დიუმა

თბილისში ყოფნის დროს ორი რამით აღფრთოვანდა — აბანოთი და ოპერით. დიუმამდე რამდენიმე წლით ადრე დიდი რუსი პოეტი ალექსანდრ პუშკინი იმდენად გააოგნა თბილისურმა აბანომ, რომ იქ ყოფნა სამუდამო მოგონებად გაჰყვა [12.6].

თბილისის აბანოები არაერთხელ დაუნგრევიათ და აღუდგენიათ, თუმცა არქიტექტურული სტილით არსებითი ცვლილება არ განუცდია. აბანოებს სპარსული არქიტექტურის გავლენა ეტყობა. ყველა აბანო აშენებულია ქვისგან, დარბაზების გადახურვა გუმბათოვანი კამარებია, საიდანაც სინათლე ჩამოდიოდა, ზოგიერთი აბანო მარმარილოთი იყო მოპირკეთებული, ზოგი კი — ფერადი შორენკეცებით. უნდა აღინიშნოს, რომ აბანო ნარიყალას ტერიტორიაზეც ყოფილა და იგი ხელოვნურად ცხელდებოდა 40/2. აბანოებში კედლებზე მაშალა ეკიდა გასანათებლად.

ძველი თბილისის აბანოები ეკუთვნიდათ ქართლის მეფეებს, დიდ ქართველ ფეოდალებს — ორბელიანებს, სუმბათაშვილებს, მელიქიშვილებს, ასევე თბილისის მოქალაქეებს. თითოეულ აბანოს თავისი მფლობელის სახელი ერქვა. აბანოებს იჯარით გასცემდნენ. ცნობილია ორბელიანების „ჭრელი აბანო“, გოგილოს, ერეკლეს, ბებუთას, ბატონიშვილის აბანოები. აბანოთუბნის გარდა, აბანო ნარიყალას ციხეშიც იყო. როსტომ მეფემ (1633-1658 წწ.) თავის სიონსა და ანჩისხატს შორის არსებულ სასახლეში გამართა აბანო. „მეფის აბანო“ საგანგებო წყალსადენით გამოყვანილი გოგირდის წყლით მარაგდებოდა. XVII-XVIII ს-ის ისტორიულ დოკუმენტებში მას „ჩარხის აბანოს“ სახელითაც მოიხსინებენ 15/1. XIX ს-იდან აბანოებს იჯარით გასცემდნენ, ამიტომ თითოეულ აბანოს სახელი ხშირად იცვლებოდა მესაკუთრეობიდან გამომდინარე.

ძველ თბილისში აბანოებს არამარტო ჰიგიენური დანიშნულება ჰქონდა, არამედ საკრებულოს როლსაც ასრულებდა. აბანოში ყოფნის დრო არ იყო განსაზღვრული. აბანოში ერთი დღე ქალების იყო, მეორე — მამაკაცების. ამიტომ ქალებს ხშირად სარეცხიც თან მიჰქონდათ. გასათხოვარი გოგოების ბედიც ხშირად აბანოში წყდებოდა. პატარძლის წყალზე გაყვანის ადათი უკავშირდება ნაყოფიერებისა და სიცოცხლის კულტს და ის მსოფლიოს ხალხთა კულტურაში საქორნილო რიტუალის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. თბილისელ ქალებს თავიანთი აბანოც ჰქონდათ, და მას „ხოჯის აბანოს“ ეძახდნენ [43.3]. თბილისელ ქალებს თავიანთი აშულიც ჰყოლიათ — „გერაგერმიშაანთ“ უსინათლო მაია, რომელიც აბანოში მყოფ ქალებს ართობდა [43.4]. თბილისურ აბანოებში ხშირად ლხინ-

საც მართავდნენ. ჩაის სმა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რის გამოც სამოვარი მუდმივად დუღდა. ხშირად თბილისში ჩამოსული გლეხებისთვის აპანო სასტუმროს ფუნქციასაც ითავსებდა. თბილისურ აპანოებს დღესაც აღფრთოვანებაში მოჰყავს მნახველი. აპანოთუ-ბანი თბილისის სავიზიტო ბარათია.

ოპერა

თბილისმა იერსახე XIX საუკუნიდან საგრძნობლად იცვალა. შედარებით მშვიდ ცხოვრებაზე გადასვლამ ქალაქის ეკონომიკური და კულტურული განვითარება გამოიწვია. კულტურისა და გარ-თობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ძველი თბილისის მოსახლეობისთვის ოპერა გახდა. პირველი ოპერა აქ ე. წ. „ერევანსკის“ (დღევანდელი თავისუფლების მოედანი, მას 1828 წელს ერევნის ამღები გრაფი პასკევიჩის საპატივცემულოდ „ერევანსკის“ მოედანი ეწოდა) მოედანზე აშენდა. ეს ტერიტორია თავად ციციშვილს ეკუთვნოდა. თავადმა ეს მამულები სალალკის ხევის იგივე ავანანთ ხევითურთ ძალიან იაფად დიდ სოვდაგარს — გაბრიელ თამამშევს მიჰყიდა. საქართველოს მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა ქართველების გულის მოსაგებად და ქართველთა ცხოვრების წესის შესაცვლელად გადაწყვიტა, თეატრი დაერსებინა. გ. თამამშევმა ოპერის მშენებლობისთვის თანხის გაღებას იმ პირობით დასთანხმდა, თუ იქვე ქარვასლაც განთავსდებოდა. თანხმობა სოვდაგარმა მეფისნაცვლისგან მიიღო. ქარვასლა-ოპერის ასაშენებლად იტალიიდან არქიტექტორი ჯოვანი სკუდიერი მოიწვიეს. თეატრის მშენებლობა 1851 წელს დასრულდა. ამიერკავკასიაში პირველი ოპერის თეატრი 800 მაყურებელს იტევდა. ფასადითა და შიდა ინტერიერით გამოირჩეოდა. თეატრი მხატვრულად თავადმა გაგარინმა გააფორმა. ოპერის გარშემო დაიგო ქვაფენილები, ვინაიდან წვიმიან ამინდში შემოდგომას ან გაზაფხულზე სოლოლაკიდან წამოსული ნიაღვარი ატალახებდა ამ ადგილებს. იტალიურმა ოპერამ კულტურული ცხოვრების წინსვლა გამოიწვია ქალაქში. ოპერაში საბალეტო ჯგუფიც ჩამოყალიბდა და 1852 წელს თბილისელ მაყურებელს წარუდგინეს მეორე მოქმედების ნაწყვეტი ბალეტიდან „სილფიდა“. საქართველოში საბალეტო სკოლის ფუძემდებელი იყო იტალიელი მოცეკვავე და პედაგოგი მარია პერინი. 1856 წელს თბილისში ჩამოსული ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა თავის

ნიგნში „კავკასია“ წერდა: „უნდა გამოვტყდე, რომ ვესტიბიულში შესვლისთანავე განცვიფრებაში მომიყვანა ორნამენტის სადა და დახვეწილმა სტილმა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს პომპეუსის თეატრის ვესტიბიულში შევედი. ზემოთა ფოიეში ორნამენტი არა-ბული ჩუქურთმით შეიცვალა.“

ოპერაში ეროვნული სული ტრიალებდა. იტალიის გამანთავი-სუფლებელმა მოძრაობამ და ჯუზეპე გარიბალდიმ დიდი პოპულა-რობა მოიპოვა ქართველ ახალგაზრდებში. 1857 წელს როდესაც ოპერა „ტრუბადურის“ პრემიერა დამთავრდა ქართველმა გიმნა-ზიელებმა საქართველოს სამეფო დროშა ააფრიალეს და პატრიო-ტული ლოზუნგები გააქციერეს. უანდარმერიამ შეაჩერა წარმოდგე-ნები და დასი დაშალა. 1874 წლის 11 ოქტომბერს თბილისის ოპერის თეატრი ხანდარმა გაანადგურა 27/1. ხანდრის გაჩენაში ეჭვმიტანი-ლი ვაჭარი ყაზაროვი დაიჭირეს და ცხრა წლით გააციმბირეს, თუ-მცა, სავარაუდოდ, ამაში უმაღლესი ადმინისტრაციის ხელი ერია. ოპერამ 22 წლით „საზაფხულო თეატრის“ სცენაზე ე. წ. „ინჟინერთა ბალში“ გადაინაცვლა. ამ პერიოდში თბილისში სასცენო ნათლობა მიიღო დიდმა რუსმა მომღერალმა ფიოდორ შალიაშინმა.

მაღლევე დადგა ახალი ოპერის მშენებლობის საკითხი. 1896 წელს გოლოვინის პროსპექტზე (დღევანდელი რუსთაველის გამზირი) დამთავრდა არქიტექტორ ვიქტორ შრეტერის მიერ „მავრიტანულ“ სტილში დაპროექტებული, 1200 კაცზე გათვლილი, ახალი საოპერო თეატრის მშენებლობა. ოპერის ე. წ. „სახაზინო თეატრი“ 1896 წლის 3 ნოემბერს რუსულმა საოპერო დასმა გახსნა მიხაილ გლინკას ოპე-რით „ცხოვრება მეფისთვის“. სხვადასხვა დროს ამ სცენაზე ცნობი-ლი საოპერო და საბალეტო დასები გამოდიოდნენ: იტალიური ოპე-რა (1897-98 წ., 1910 წ.), ვენის საიმპერატორო ოპერეტა (1903 წ.), მოსკოვისა და პეტერბურგის კომიკური ოპერები (1907 წ.), პეტერ-ბურგის საიმპერატორო ბალეტი (1907-08 წ., 1913 წ.); მღეროდნენ შესანიშნავი მომღერლები.

1905 წელს თბილისში დაფუძნდა ფილარმონიული საზოგადოე-ბა, რომელმაც განახორციელა რუსული და იტალიური ოპერების ქართულ ენაზე თარგმნა, რამაც მომავალში ხელი შეუწყო ქართუ-ლი ეროვნული ოპერის შექმნას. პირველი ქართული ოპერა, რომე-ლიც სცენაზე სრულად დადგა, რ. გოგნიაშვილის „ქრისტინე“ (1918 წ.) იყო, თუმცა კლასიკურ ნიმუშად მიიჩნევა დიმიტრი არაყიშვი-ლის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1919 წ.), ზაქარია ფალიაშ-ვილის „აბესალომ და ეთერი“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“.

ამ ოპერებმა პირველი წარმოდგენებიდანვე განსაზღვრა ქართული საოპერო თეატრის ეროვნული სახე.

ოპერაში (1916 წ.) საბალეტო სტუდია გაიხსნა, სადაც აღიზარდა ცნობილი ქართველი ქორეოგრაფი და ბალერონი ვახტანგ ჭაბუკიანი. 1936 წელს ანდრია ბალანჩივაძის მუსიკაზე შეიქმნა პირველი ქართული საბალეტო სპექტაკლი „მზეჭაბუკი“. სწორედ ჭაბუკიანის სახელს უკავშირდება ქართული ბალეტის შემდგომი წარმატებები, მან ბრნყინვალე ეპოქა შექმნა ქართული ბალეტის ისტორიაში. დღეს ვახტანგ ჭაბუკიანის გზას აგრძელებს მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ვარსკვლავი — ბალერინა ნინო ანანიაშვილი, რომელიც საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელია 2004 წლიდან.

1937 წლიდან ოპერისა და ბალეტის თეატრი ზაქარია ფალიაშვილის სახელს ატარებს. ქართული საოპერო ხელოვნების შესანიშნავი წარმომადგენლები არიან ვანო სარაჯიშვილი, დავით ანდლულაძე, პეტრე ამირანაშვილი, დავით გამრეკელი, დავით მჭედლიშვილი, ბათუ კრავეიშვილი, ნადეჟდა ხარაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ ანდლულაძე, ლამარა ჭყონია, თემურ გუგუშვილი, ზურაბ სოტკილავა, ლადო ათანელი, თამარ ჯავახიშვილი (თამარ ივერი), ნინო სურგულაძე და სხვანი, რომელნიც მსოფლიო საოპერო დასის ვარსკვლავები არიან.

თეატრალური თბილისი

თბილისის თეატრალურ ცხოვრებას უძველესი ისტორია აქვს. ქართულ სანახაობრივ კულტურას ჯერ კიდევ XII ს-ში სათავეში ედგა მეფის დაცვის უფროსი ჩუხჩარხი. ამ დროს ქართულ სახიობა მრავალუანრიანი იყო. წარმოდგენები იმართებოდა სანახაობრივი დანიშნულების შენობებში — „სახლი სათამაშო“, „სახლი სალხინო“. ბარალელურად ვითარდებოდა ხალხური თეატრალური სანახაობა — ბერიკაობა და ყენობა. XVIII ს.-ში ერეკლე II-ის დროს, სასახლის კარის სახიობას ცნობილი საზანდარი მაჩაბელა მეთაურობდა. ერეკლე II ელჩთა ამალიდან ვინმე მაიორმა გაბრიელმა სასახლის ახლოს თეატრი გამართა. დასწრება ბილეთებით ხდებოდა, რომელსაც ჰქონდა წარწერა „შაური ორი, გაბრიელი მაიორი“. თბილისში დრამატული მწერლობაც შეიქმნა და გიორგი ავალიშვილმა ახალი დასი ჩამოაყალიბა. საჯარო წარმოდგენები ე. წ. პალატაში იმართებოდა. საუკუნის დასასრულისთვის თბილისში უკვე არსებობდა

რუსული თეატრალური წრეებიც, რომელშიც ქართველებიც მონაწილეობდნენ. აღა-მაჰმად ხანის ლაშქრობამ თბილისური თეატრი მოშალა [21.5].

რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდგომ ქართული საზოგადოება სალონური ცხოვრებით შემოიფარგლებოდა. 1845 წლიდან კი უკვე გაჩნდა სცენისმოყვარეთა წრეები. გაიხსნა რუსული თეატრი. საქართველოს მეფისნაცვლის — მ. ვორონცოვის ხელშეწყობითა და ქარული არისტოკრატის მხარდჭერით თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობაში 1850 წელს გიორგი ერისთავმა პირველი ქართული სპექტაკლი „გაყრა“ წარუდგინა საზოგადოებას. თბილისში ქართული პროფესიული თეატრის აღორძინებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, დიმიტრი ყიფანს, ივანე მაჩაბელს, რომელთაც „დრამატული საზოგადოება“ ჩამოაყალიბეს და 1879 წელს ქართული თეატრი ააღორძინეს. 1898 წელს გოლოვინის პროსპექტზე საძირკველი ჩაეყარა „არტისტული საზოგადოების სახლს“. 1901 წლის 7 თებერვალს გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: „6 თებერვალს, ნაშუადლევს 2 საათზე აკურთხეს გოლოვინის პროსპექტზედ ახლად აგებული შენობა ტფილისის „საარტისტო საზოგადოებისა.“ ამავე წლის 5 მარტს აქ წარმოადგინეს ავქსენტი ცაგარელის „ხანუმა“. არტისტული საზოგადოებისთვის „შენობა არქიტექტორებმა — კ. ტატიშვილმა და ა. შიმკვიჩმა დააპროექტეს. თეატრი ორი დარბაზის, ვესტიბიულის, ფორესა და სათავსოებისგან შედგებოდა. შენობა მდიდრულად იყო დეკორირებული. პირველ სართულზე განთავსებული იყო მაყურებელთა, ხოლო მეორეზე — საკონცერტო დარბაზი: სარდაფი ეკავა რესტორან „ანონას“, რომელიც მოგვიანებით, 20-იან წლებში, გადაკეთდა „ცისფერყანწელთა“ კაფე-რესტორან „ქიმერიონად“, სადაც თავს იყრიდა ქალაქის მოწინავე ახალგაზრდობა. 1915 წლიდან აქ იკრიბებოდნენ „ცისფერყანწელები“. ტიციან ტაბიძე წერდა: „ალბათ მთელს ქვეყანაზე არ არის კაფე, რომელიც იტევდეს იმდენ შთაგონებას და შემოქმედებას, როგორც „ქიმერიონი“. კაფეს კედლები მთლიანად მოხატული იყო მხატვრების — ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, მოსე თომიძის, სერგეი სუდეიკინის, ასევე ცნობილი პოლონელი ხელოვანის სიგიზმუნდ ვალისევსკის მიერ. კაფე მოგვიანებით რუსთაველის თეატრის ფორედ და გარდერობად იქცა. კედლები არაერთგზის გადაიღება და შესანიშნავი მხატვრობა დაიკარგა. სამოცდაათიანი წლების ბოლოს ნაწილობრივ აღდგა კაფე „ქიმერიონის“ უნიკალური ფრესკები. 1921 წელს შენობას

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ენოდა. 1949 წელს რუსთაველის თაეტრი მთლიანად დაიწვა. მაგრამ ალადგინეს არსებული ნახაზების, ნახატებისა და ფოტოსურათების საფუძველზე.

რუსთაველის თეატრის დასზე დიდად აისახა საბჭოური რეპ-რესიები. დახვრიტეს ალექსანდრე ახმეტელი, ივანე აბაშიძე, გა-დასხლებაში იმყოფებოდა დასის დიდ ნაწილი. მიუხედავად მძიმე პერიოდისა, თატრში დაიდგა შექსპირის „ოტელო“, რომელმაც სენ-საცია მოახდინა.

რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა დიდი რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი. მან შემოიკრიბა ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფი, რომელიც ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ „შვიდკაცას“ სახელით გაიცნო: მიხეილ თუმანიშვილი, მედეა ჩახავა, რამაზ ჩხიკვაძე, გიორგი გეგეჭკორი, ეროსი მანჯგალაძე, გურამ საღარაძე და ბადრი კობახიძე. სწორედ თუმანიშვილის სახელს უკავშირდება მცირე სცენის გახსნა სპექტაკლით „ჭინჭრაქა“ (1963 წ.). სამოციანელთა თაობამ (რობერტ სტურუამ, თემურ ჩხეიძემ, გიზო უორდანიამ) თეატრს მსოფლიოში გაუთქვა სახელი.

1975 წელს რეჟისორმა მიხეილ თუმანიშვილმა თავის სტუდენტებთან და თანამოაზრებთან ერთად ჩამოაყალიბა ახალი თეატ-რალური დასი სცენით ძველი კინოსტუდიის ბაზაზე, რომელსაც მოგვიანებით კინომსახიობთა თეატრი ენოდა. თეატრმა დაარსებიდანვე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ თეატრალურ სამყაროში. უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ თუმანიშვილის უკვდავსაყოფად ყოველწლიურად თბილისში იმართება თეატრალური დღესასწაული „საჩუქარი“, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ცნობილი დასეპი ღებულობენ მონაწილეობას.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ქუთაისში დაარსდა 1928 წელს, 1930 წელს მან თბილისში გადმოინაცვლა. თეატრის დამაარსებელი იყო კოტე მარჯანიშვილი, რომელსაც გვერდით ედგა თეატრალების, ლიტერატორების, მხატვრების ძლიერი გუნდი: მსახიობები — ვ. ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე. მწერლები — იოსებ გრიშაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე, სიმონ ჩიქოვანი, შალვა დადიანი, მხატვრები — პ. ოცხელი, ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი და სხვები.

თეატრი განთავსდა კ. ზუბალაშვილის საქალაქო სახალხო სახლში, რომელიც პეტერბურგელმა არქიტექტორმა ს. კრიჩინსკიმ ააგო 1902-07 წლებში. კონსტანტინე ზუბალაშვილმა შვილებთან

ერთად, კირკის ქუჩაზე გახსნა სახალხო სახლი, სადაც ქართული დასის გარდა ფუნქციონირებდა რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური, ასურული სექციები და ერთი მუსიკალური წრე. სპექტაკლებზე დასასწრებად იყიდებოდა იაფფასიანი ბილეთები. სახალხო სახლში სპექტაკლების გარდა ენყობოდა ლექციები, ლიტერატურული დილა-საღამოები, ხალხურ მომღერალთა გუნდის კონცერტები სხვადასხვა ენაზე.

კოტე მარჯანიშვილი — ეპოქის უდიდესი რეჟისორი საბჭოურ რეპრესიებს შეეწირა.

მარჯანიშვილის თეატრში განსაკუთრებული ადგილი შექსპირის დრამატურგიას ეკავა. თეატრში სხვადასხვა დროს წარმატებით იდგმებოდა „ოტელო“ (რეჟ. კოტე მარჯანიშვილი 1932 წ.), „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ (რეჟ. შალვა ლამბაშიძე, 1944წ), „რომეო და ჯულიეტა“ (რეჟ. ვახტანგ ტაბლიაშვილი, 1949წ), „მეთორმეტე ლამე“ (რეჟისორი რამაზ ჭიაურელი, 1950 წ.), „ანტონიუსი“, „რიჩარდ III“ (რეჟ. ვასო ყუშიტაშვილი, 1957წ.), „აურზაური არაფრის გამო“ (რეჟ. ლილი იოსელიანი, 1963წ.), ოტელო“ (რეჟ. თემურ ჩხეიძე, 1982 წ), „ანტონიუსი და კლეოპატრა“ (რეჟ. ინგლისელი ჰილარი ვუდი, 1991 წ.). მარჯანიშვილის თეატრში მოღვაწეობდნენ დიდი რეჟისორები — გიზო უორდანია, გიგა ლორთქიფანიძე, ლილი იოსელიანი, თემურ ჩხეიძე.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში თეატრალური ცხოვრების მრავალფეროვნებას ზემოჩამოთვლილის გარდა, უამრავი თეატრალური დასი ქმნის, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს ქართული კულტურის პოპულარიზაციაში საქართველოს ფარგლებს გარეთ. ქართული თეატრი ეროვნულ სულისკვეთებას გამოხატავდა დაარსების დღიდან და დღიდ როლს ასრულებდა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

საცხოვრებელი სახლები

თბილისი დაარსების დროიდან მთის ფერდობზე შეფენილ ქალაქს წარმოადგენდა და ამის განმსაზღვრელი რელიეფი იყო.

თბილისი, სხვა ფეოდალური ქალაქების მსგავსად იყო უბნებად დაყოფილი, სადაც არისტოკრატია „ციხის უბანში“ ცხოვრობდა, ხოლო დაბალი ფენა, ვაჭრები და ხელოსნები გარეთუბანსა და კლდისუბანში იყვნენ დასახლებულნი. გარდა ამისა თბილისში არ-

სებობდა რელიგიური და ეთნიკური უბნებიც — „მოგვთა უბანი“, „ურიათ უბანი“, „ქართველთა უბანი“ და ა. შ. სოციალურ-ეკონომიკურად დაყოფილ უბნებში საცხოვრებელი ნაგებობანიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. IX-X საუკუნის უცხოურ წყაროებში (სომხური) თბილისი „ხის ქალაქად“ არის მოხსენებული [21.6]. მოგზაურთა ცნობების თანახმად, თბილისში სახლების განლაგება ტერასული იყო, სახლებს ბანიანი გადახურვა ჰქონდათ. ზაფხულის ცხელ დღეებში თბილისის მოსახლეობას ბაზზე ეძინა. ბანიანი სახლის მეშვეობით ჩამოყალიბდა ის ურთიერთობა, რასაც „თბილისურს“ უწოდებენ, ადამიანები ახლოს იყვნენ და ერთმანეთის ყველაფერი იცოდნენ. თბილისური წვიმების პერიოდში ერთი სახლიდან მეორეზე გადასვლა ისე ხდებოდა, რომ შეიძლება არც კი დასველებულიყავი. სოციალურად დაბალი ფენის სალხის სახლები ძირითადად ორი ტიპის იყო: დარბაზული (დარბაზული საცხოვრებელი ერთოთახიანი კი არ იყო, როგორც ქართლის სოფლური დარბაზების უმეტესობა, არამედ მრავალნაწევრიანი) და მიწურ-ბანიანი. ვახუშტი აღნიშნავს: „სახლნი ნაშენი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯით“, XVII-XVIII ს.-ის მოგზაურებიც თითქმის იმავეს ადასტურებენ. XVIII საუკუნის თბილისურ საბუთებში გვხვდება ასევე შირვანული სახლი. სახელიდან გამომდინარე, ამ ტიპის სახლის გადახურვა შირვანიდან უნდა იყოს შემოსული. როგორც ჩანს, გვირგვინის ნაცვლად სახლს ბრტყელი ჭერი ჰქონდა, ზემოსარკმლის ნაცვლად კი — კედლის სარკმლები. ასეთ სახლს აღნერს გიულდენშტედტი: „სახლები ნაგებია აგურისა და ფილაქნებისგან, თიხანარევი კირით, ერთსართულიანია, დაახლ. 15 ფუტის სიმაღლის; სახურავები სწორი თიხით დაფენილი, ოთახებს აქვთ ბუხარი და ფანჯრებზე, შუშის მაგირ, გაქონილი ქალალდებია. ყველაფერი არის მსუბუქი, ცუდი, ტლანქი და ძალიან შეუხედავად ნაშენი [1.2]. “შირვანული სახლი უფრო მარტივი და უფრო ღარიბული იყო, ვიდრე დარბაზი. ამას ადასტურებს გიულდენშტედტის აღნერაც.“

1782 წლის გეგმიდან ირკვევა, რომ ფეოდალური არისტოკრატიის სახლები, რომელიც ანჩისხატისა და სიონის უბნებში მდებარეობდა, საკმაოდ ლამაზ და დახვენილ შენობებს ნარმოადგენდა. ვახუშტის გეგმის თანახმად, ძველი თბილისის დომინანტები: დაბლაციხე, მალლაციხე და მეტეხი უცვლელია. თუმცა ფუნქციური ცენტრი XVIII ს.-ში მეფის მოედანია, რადგან აქ იყო განლაგებული სამეფო სახლი, პატრიარქის რეზიდენცია და ა. შ. ამ პერიოდიდანვე დასტურდება ორსართულიანი სახლებიც, რომლის პირველ

სართულზე ხშირ შემთხვევაში დუქნები იყო განლაგებული. XVIII ს.-ის თბილისისთვის აივნიანი სახლებიც ყოფილა დამახასიათებელი „წამოკიდებული ყავრული“, „აფიცრული გადმონაკიდი“. აივნი თბილისელთა ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა 17/5. იგი ზაფხულში ოთახებს იცავდა სიცხისგან. აივნები ძირითადად ქუჩის მხარეს ჰქონდათ და აქედან ადევნებდნენ თვალს ქუჩის ცხოვრებას. XIX ს.-ის სახლებში ევროპულმა ფასადებმა თბილისური აივნები ეზოს მხარეს შეატრიალა. აღა-მაჟმად ხანის შემოსევის შედეგად არისტოკრატიისა და ქალაქის მცხოვრებთა საცხოვრებლები მთლიანად განადგურდა, გადარჩა მხოლოდ დარეჯან დედოფლის სასახლე „საჩინო“.

თბილისის იერსახე XIX საუკუნიდან შეცვლა. ქალაქი გაიშალა ძველი გალავნის გარეთ. მთავარმმართებლის რეზიდენციისთვის გარეთუბანი აირჩიეს. ქალაქმა განვითარება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით დაიწყო. კალაში ძველი საძირკვლის გამოყენებით დაიწყო სახლების მშენებლობები. ჩამოყალიბდა ე. წ. „თბილისური სახლი“ თავის არქიტექტურულ-მხატვრული მახასიათებლებით. 1830 წლამდე აშენებული აივნიან სახლების არქიტექტორები უცნობია, ამიტომ ამ სახლებს ე. წ. „ანონიმურ თბილის უნოდებენ“. 1802 წ. გარეთუბანში ადმინისტრაციული შენობა — «Правительственныie места» (ახლანდ. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ადგილას) ააშენეს. იგი შედა ეზოს პერიმეტრზე მდგარი ორი კორპუსისაგან შედგებოდა. 1807 წ. ამ ადგილას საქართველოში რუსეთის მთავარსარდლის ახალი სასახლის მშენებლობა დაიწყეს. ამ დროს ამ ქუჩას არაოფიციალურად „რუსეთისკენ მიმავალ გზას“ უწოდებდნენ. 1810-იან წლებში ამ გზის ინტენსიური განაშენიანება დაიწყო. 1840-იანი წლებიდან „რუსეთისკენ მიმავალ გზას“ კავკასიის მთავარმმართებლის, ევგენი გოლოვინის სახელი უწოდეს. მიწის ნაკვეთები გოლოვინის პროსპექტის გასწვრივ მხოლოდ მეფისნაცვლის განკარგულებით რიგდებოდა. ეს წესი არ შეცვლილა ქალაქის თვითმმართველობის დადგენის შემდეგაც. პროსპექტზე სახლდებოდნენ იმპერიის მოხელეები, არისტოკრატია, სამხედრო პირები. არისტოკრატიის საცხოვრებელ უბნად გარეთუბანი იქცა. ყველაზე უფრო მოდურ საცხოვრებლად კი სოლოლაკი გახდა.

XIX ს.-ს 40-იანი წლებიდან პროექტების უმრავლესობას ასრულებდა ქალაქის არქიტექტორი ი. ივანოვი და შემდეგ უკვე — ა. სოკოლოვი. მათ პროექტებში კვლავ არსებობდა დაკიდული აივნები, რაც ფასადებს თბილისურ იერს უნარჩუნებდა. გამდიდრებულსა და

გაევროპელებულ თბილისურ ბურუუზიას აღარ აკმაყოფილებდა ხის აივნიანი გოთურ-რენესანსური ფასადები და „დედაქალაქური“ სახლების დაპროექტება უცხოელ არქიტექტორებს — იაკობ სიმონსონსა და ალბერტ ზალცმანს დაავალეს. პირველი ახალი ტიპის შენობაა სიმონსონის პროექტით აგებული გრიგოლ თამამშევის სახლი (გ. ტაბიძის 20) [9.2], თბილისის კოლორიტულ შენობებს წარმოადგენს ბოზარჯიანცისა და მირზა რეზას სახლები ჭონქაძის ქუჩაზე. მირზა რეზას სასახლე ეკუთვნოდა თბილისში სამუშაოდ ჩამოსულ გერმანელ ინჟინერს, რომელმაც ის 1889-1894 წლებში საქართველოში ირანის კონსულს, მირზა რეზა-ხანს მიჰყიდა. მირზა რეზა-ხანი საინტერესო ბიოგრაფიის მქონე, უაღრესად განსწავლული ადამიანი იყო. მისი ოჯახი თავრიზიდან საქართველოში გადმოსახლდა. 1876-1878 წლებში პატარა მირზამ რამდენიმე უცხო ენა და სხვადასხვა მეცნიერება თბილისის შიიტურ სასწავლებელსა და მადამ სტასულევიჩის ფრანგულ პანსიონში შეისწავლა. თბილისშივე დაიწყო მისი პროფესიული კარიერაც, როდესაც, ირანის მაშინდელი კონსულის, მაჰმუდ-ხან დიპას ინიციატივით, კურიერად დაიწყო მუშაობა. სულ მაღე ჯერ თარჯიმნის, შემდეგ კი კონსულის თანაშემწის თანამდებობაზე დაწინაურდა. შემდგომ წლებში მას სხვადასხვა ოფიციალური პოზიცია უკავია: იყო ნასერ ად-დინ შაჰის პირადი თარჯიმანი, რუსულ-ირანული სადემარკაციო კომისიის წევრი, ირანის სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთში, ირანის ოფიციალური წარმომადგენელი ერთა ლიგაში. 1933 წელს მირზა რეზა-ხანი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე იყო წარდგენილი.

მირზა-რეზას „ალმასის სასახლე“ ოფიციალურად 1892 წლის 16 ივნისს გაიხსნა. საქართველოში საგანგებოდ ჩამოყვანილი ირანელი ოსტატების მიერ შესრულებული სამუშაოების დასრულების შემდეგ შენობამ აღმოსავლური იერი მიიღო. სადარბაზოს კარსა და შენობის ფასადზე ირანული წარწერები და სიმბოლოებია გამისახული. მირზა რეზა-ხანს ეკუთვნოდა ასევე საზაფხულო რეზიდენცია ბორჯომში — „ფირუზას“ სასახლე.

ბოზარჯიანცის სახლი ერთ-ერთი ულამაზესი, სპეციალური არქიტექტურული პრემიით „საუკეთესო ფასადი“ დაჯილდოებული სახლია. ბოზარჯიანცი თამბაქოს საწარმოს ფლობდა. ის იყო პირველი თბილისელი, რომელსაც პარიზიდან გამოწერილი საკუთარი ავტომანქანა ჰყავდა. შენობის არქიტექტორი ოგაჯანოვი გახლდათ. ეს შენობა, მოდერნის არქიტექტურული სტილის ერთ-ერთი ყვე-

ლაზე საინტერესო მაგალითია. სახლი შემოსაზღვრულია თაღით, რომელიც ღია-რუხი ფერის მსხვილი ქვისაგანაა აწყობილი. ფოიე კაფელითაა მოპირკეთებული. ამ სახლს დღესაც ამშვენებს ბროლის მინები. 1917 წელს ბოზარჯიანცის ოჯახმა ევროპას მიაშურა. პატრონის გარეშე დარჩენილი ძვირფასი სახლი კი მუნიციპალიზებული ბინების რიცხვს მიემატა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელიტის „უბინაო“ ნაწილის საცხოვრებელ სახლად გადაიქცა. ერთი ოჯახის მყუდრო ცხოვრებისთვის გამიზნული სახლი, რომელსაც თბილისელები „მადამ ბოზარჯიანცის სახლს“ უწოდებდნენ, საერთო საცხოვრებლად გადაიქცა.

თბილისური საცხოვრებელი ნაგებობებიდან განსაკუთრებული ე. წ. „მაქმანებიანი სახლია“, რომელიც კ. ტატიშჩევის პროექტით აშენდა 1897 წელს და ეკუთვნოდა ცნობილ იურისტსა და კომერსანტს ვასილ გაბაშვილს. შენობის ფასადი გადაწყვეტილია ბაროკოსა და როკოკოს სტილში. შენობა უხვადა დეკორირებული და ორიარუსიანი აივანი განსაზღვრავს მის მაღალმხატვრულობას. „მაქმანებიან სახლს“ თბილისური სახლებისთვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი აქვს: აივანი, მოხატული ეზო-ბალი მრგვალი შადრევნით, ალაყაფის ჭიშკარით.

XIX ს.-ს ბოლოს თბილისელმა დიდმა ვაჭარმა ალექსანდრე მელიქ აზარიანცმა (კაზარიანცი) სახლის აშენება გადაწყვიტა და ნებართვა ქალაქის მერს (თავს) სთხოვა. მერმა ასაშენებელ ადგილად გოლოვინის გამზირის დასასრულსა და ვერის დასწყისში არსებული ნაგავსაყრელი გამოუყო. აზარიანცი დიდი ყოფილი შემდეგ დასთანხმდა და აქ უდიდესი სამუშაოები ჩაატარა. იქვე ჩამომავალი დელე კალაპოტში ჩასვა, ტერიტორია დაატერასა და 1911 წელს შენებლობა დაიწყო. ტერიტორიის გარშემო მდებარე ჯიხურები შეისყიდა, მაგრამ ერთი ჯიხური, რომელიც ფეხსაცმლის შემკეთებელს (საპომინვი) ეკუთვნოდა, ვერაფრით აიღო, რადგან მისი პატრონი იძახდა: ქართულ მინას არ გავყიდიო. ჯიხური დარჩა იმ ადგილას, ვიდრე ოსტატი ცოცხალი იყო. მოდერნის სტილის შენობა 1915 წლისთვის სრულდებოდა, როდესაც მელიქ აზარიანცს ქალიშვილი გარდაეცვალა, ამიტომ სახლის ფასადზე, გლოვის ნიშნად თაიგულები გამოსახეს. კორიდორული სისტემის სახლი მეპატრონეს გასაქირავებლად უნდოდა. აზარიანცი არ იყო მეძვირე და მისი სახლის დაქირავება დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებსაც შეეძლოთ. სახლის პირველ სართულზე დარიბთა სასადილო და სავაჭრო ცენტრი იყო. შენობას ჰქონდა მრავალი სარდაფი და

გვირაბი, რომლებიც ამჟამად დალუქულია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახლი, როგორც კერძო საკუთრება, მეპატრონებს ჩამოერთვა. ერთი პერიოდი მისი დანგრევაც უნდოდათ, თვლიდნენ, რომ განაშენიანებას ხელს უშლიდა, თუმცა იგი დანგრევას გადაურჩა. ბოლშევიკებმა ამ დიდებულ სახლში აზარიანცს მხოლოდ ერთი ოთახი მიაკუთვნეს. მელიქ აზარიანცი სიღარიბეში გარდაიცვალა. მისი სახლი თბილისის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ძეგლია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლამაზ ევროპულ სახლებს ქართული იერსახე არ ჰქონდათ დაკარგული. სახლების ფასადები გოთურ, მავრიტანულ ანდა რუსული კლასიციზმის სტილს იმეორებდა; სახლების უკანა — ანუ ეზოს მხრის ფასადები ქართული აივნებით იყო შემკობილი. გარდა ზემოჩამოთვლილისა, თბილისის საცხოვრებელ ნაგებობათა დიდი ნაწილი საკმაოდ დაზიანებულია და საჭიროებს აღდგენა-გამაგრებას. სოლოლაკისა და ძველი თბილისის უბნებში შემორჩენილი XIX ს.-ის სახლები მნიშვნელოვანია არქიტექტორული სტილით.

ძველ თბილისში ეზოების ტრადიცია XIX ს-იდან დამკვიდრდა — აივნიანი და ორსართულიანი სახლების აშენების შედეგად, თუმცა ბანიანი სახლებიც ეზოს ფუნქციას ასრულებდა. ეზო წარმოადგენდა ერთგვარ საკრებულოს. აქ იმართებოდა სჯა-ბაასი, თამაშობდნენ ნარდს, ჭადრაკს. ეზო სახლის მაცხოვრებლების ძირითადი დასასვენებელი ადგილი იყო. ეზოებში ადრე მოწყობილი ჰქონდათ ბაღებიც, სადაც იდგა მრგვალი შადრევანი, რომელიც გასაბჭოების შემდგომ ონკანით შეიცვალა. თბილისური ეზოებისთვის ძველად უცხო არც ჭები ყოფილა, რომელიც ერთგვარ მაცივარსაც წარმოადგენდა. ეზოსთვის დამახასიათებელი იყო ასევე საპირფარეშო და ლამაზი დიდი დახვეული კიბეები [17.2]. თბილისურ ეზოს იტალიურ ეზოდ მოიხსენიებენ. ტერმინი „იტალიური ეზო“ გვხვდება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როდესაც თბილისური ეზოებიდან კერძო მფლობელები გაასახლეს და მათში სხვადასხვა ეროვნების ოჯახები შეასახლეს. ეს ეზოები საკმაოდ ხმაურიანი იყო და ხმაური იტალიას დაუკავშირებული ჩვენში დამკვიდრებული „იტალიური ეზო“ სინამდვილეში თბილისური ეზოა.

დასასვენებელი ბალები

მტკვარზე არსებულ ბუნებრივად შექმნილ კუნძულზე ძველ თბილისში დასვენებისა და გართობის ადგილი — ორთაჭალის ბალები იყო განთავსებული. ვახუშტის რუკაზე იგი კრწანისის ბალების სახელითაა დატანილი. კუნძული დაფარული იყო ლამაზად მოწყობილი ბალებით, რომლებიც ერთმანეთისგან პატარ-პატარა, ვიწრო ქუჩებით იყო გამიჯნული. ორთაჭალის ბალები მეფის ოჯახის, თავადაზნაურობისა და ქალაქის მაღალი საზოგადოების კერძო საკუთრება იყო. ორთაჭალის ბალებში გაიხსნა რესტორნები, გასართობი სახლები. ქალაქის საზოგადოება ჩამოსულ სტუმრებს აქ უმასპინძლდებოდა. მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან დაკავშირება ორთაჭალის კუნძულიდან ხის ხიდით ხდებოდა, ამიტომ ბალების სახელი ამ სანაპიროზეც ვრცელდებოდა. თბილისელი მამაკაცები მეგობრებთან ერთად ზაფხულის ცხელ დღეებში ეტლით, ფეხით, ნავით ორთაჭალის ბალებისკენ მიაშურებდნენ თოკშებმული ცხვრითა და კახური ღვინით სავსე ტიკებით. ამ დარბაისლურ, ქალაქურ პურმარილზე ისმოდა მოსწრებული სიტყვა-პასუხი, სადღეგრძელოები. ორთაჭალის ბალები, გ. ლეონიძის ხატოვანი თქმით — „ყარაჩოლელთათვის ერთი იმ გასართობთაგანი იყო, სადაც ჯანსაღ ბუნების წიაღში დაგუბებულ გრძნობას სრულ თავისუფლებას აძლევდნენ და მთელი სამი დღის განმავლობაში ჯიგრიანად ლოთობდნენ.“ აქაურობის ხშირი სტუმარი იყო გრიგოლ ორბელიანიც, რომელმაც ლექსში — „მუხამბაზი“ გადმოგვცა ქალაქური ბალის ეშხი და ლაზათი [17.3]. ორთაჭალის ბალებში მოყვანილი ხილ-ბოსტნეული ნავით ან ხიდზე ჯორებზე აკიდებული გადაჰქონდათ ქალაქში. **XX საუკუნეში** აშენდა ორთაჭალპესი, კუნძული წყლით დაიფარა. თბილისის კოლორიტმაც არსებობა შეწყვიტა.

ორთაჭალის ბალების გარდა თბილისელთა საყვარელი სასეირნო ადგილი იყო „სატიო“, რომელიც ვერეს ქვემო წელიდან მტკვრამდე გახლდათ განფენილი. ბორჯომიდან ტივებად შეკრული ხის მორები აქ ჩერდებოდა და შემდეგ ქარხნებში გადაჰქონდათ. სატიო, როგორც უბანი, თბილისში გაჩნდა **XIX** ს-ის II ნახევარში. მანამდე კი „პატარა სატიოს“ ეძახდნენ ტერიტორიას, რომელიც მადათოვის კუნძულთან მტკვრის ნაპირზე ტივების მისაბმელი ადგილი იყო. აქ უყვარდა ნიკოლოზ ბარათაშვილს საარული. აქაური შთაგონებით დაწერა მან „ფიქრნი მტკვრის პირას“. „პატარა სტიოში“ **XIX** ს-ის 70-იან წლებში იდგა საზაფხულო თეატრი, სადაც იტალიური ოპერის დაწვის შემდეგ იმართებოდა წარმოდგენები.

ავლაბარში არსებობდა „ბეჭბუდას ბაღი“, რომელიც სასაფლაოს გვერდით ხოჯა ბეჭბუდას გაუშენებია. ბეჭბუდას მიწა იჯარით ჰქონდა აღებული როსტოკომ მეფისგან და ბაღის მოსარწყავი წყალიც მეფის თანხმობით მახათის მთიდან გამოუყვანია. ბაღს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ლილოსკენ მიმავალი გზა ჩაუდიოდა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით ხევი საზღვრავდა.

ძველ თბილისში, გარეთუბანში ორბელიანთა მამულში ყაბახი იყო გამართული. ეს ტერიტორია თეიმურაზ მეორემ თავის სიძეს — სარდალ ლევან ორბელიანს უწყალობა XVIII ს.-ის II ნახევარში და XIX-ს.-მდე გარეთუბანში შედიოდა. ორბელიანების საკუთრება იყო ასევე კუნძული მტკვარზე, რომელიც შემდეგ მაღათოვს მიჰყიდეს.

ყაბახი თასის მოსაპოვებლად გამართული შეჯიბრებაა. ფეოდალური არისტოკრატიისთვის სავალდებულო იყო მასში მონანილეობა. სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, ყაბახი ერქვა არა მთელ მოედანს, არამედ იმ ნაწილს, სადაც ძელი იყო აღმართული. გრიგოლ ორბელიანი ყაბახის დიდი მოყვარული ყოფილა. მისივე გადმოცემით“, სადაც ახლა არის სასეირნო ბაღი ალექსანდროვსკისა იყო დიდი საჯირითო მოედანი, სახელად ყაბახი. ყაბახის თავსა და ბოლოს იდგნენ ორნი ქვანი, რომელთა ზედაც დაასობდნენ თას-სა და ესროდნენ ჯირითს და ვინც მოარტყაყადა, თასი მისი იყო ჯილ-დოდ გამარჯვებისა“. ყაბახს უმღეროდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი.

XIX ს.-ის დასაწყისში ბაღის ზედა ნაწილში სასაფლაო იყო, ხოლო ქვედა ბაღში იმართებოდა ყაბახი, რომელმაც მაღე დაკარგა პირვანდელი დანიშნულება. 1859 წელს მეფისნაცვალ ბარიატინ-სკიმ ყაბახის ადგილას დასასვენებელი ბაღი გააშენა და რუსეთის იმპერატორის საპატივცემულოდ ალექსანდრეს ბაღი უწოდა. ახალი გასართობი ადგილი სპეციალურად მოწვეულმა არქიტექტორმა ოტო სიმონსონმა დააპროექტა. ბაღის მოსაწყობად მოიწვიეს ბოტანიკოსი, მებაღე ჰენრიხ კარლ შარერი, მისი დარგული ხეების უმეტესობა ბაღში დღესაც არის შემორჩენილი. ბაღის მოწყობა და განაშენიანება ოფიციალურად 1865 წელს დასრულებულა. ბაღს ამშვენებდა ლამაზი შადრევანი (შადრევანი დღემდევა შემორჩენილი და ერთ-ერთ ძველ შადრევნად ითვლება), რომელსაც წყალი მტკვრიდან, წყალსაქაჩების საშუალებით მიეწოდებოდა. შემდგომ ბაღის ზედა ნაწილში აშენდა კავკასიის არმიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმი — დღევანდელი ცისფერი გალერეა. მუზეუმის აშენებამ და ხეების გაჩეხვამ თბილისური ბომონდი გაანაწყენა და

ახალ გასართობ ადგილას მუშტაიდის ბაღში გადაინაცვლეს. ალექსანდრეს ქვედა ბაღში იდგა ალექსანდრე ნეველის ეკლესია, რომელიც ბოლშევიკებმა დაანგრიეს. ბაღი კი ორად გაიყო მას შემდეგ, რაც ტრამვაის ხაზი გაიყვანეს. ბაღში იდგა ნ. გოგოლის ქანდაკება რომელიც თბილისის ომის დროს განადგურდა. ალექსანდრეს ბაღი საქართველოს ისტორიის ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენების ცენტრი იყო. აქ 1918 წლის 10 თებერვალს გაიმართა ბოლშევიკების მიტინგი, რომელსაც სტეფანე შაუმიანი ხელმძღვანელობდა; ამიერკავკასიის სეიმის სახალხო გვარდის მიერ მიტინგი დარბეული იქნა ტყვიამფრქვებითა და შაშხანებით. დარბევის დროს რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. ამის აღსანიშნავად ქვემო ბაღში „ხსოვნის კედელი“ დადგეს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბაღს სახელი შეუცვალეს და 26 კომისრის სახელის უკვდავსაყოფად „კომუნარების ბაღი“ უწოდეს. 1989 წლის 9 აპრილის ღამეს რუსი ჯარისკაცების მიერ მომხდარი საზარელი რბევის დროს გაქცეულმა მომიტინგებმა ბაღის მეშვეობით შეძლეს სამშვიდობოს გასვლა. ძველი ალექსანდრეს ბაღის ზედა ნაწილს 9 აპრილის ბაღი ეწოდა. ხოლო ქვედა ბაღს გიორგი ლეონიძის (აქვე დაიდგა მისი ქანდაკება) სახელი მიენიჭა.

„ძველად ქალაქ გარეთ მხოლოდ ორი დროის გასატარებელი ადგილი არსებობდა: მდაბიო ხალხისათვის — ორთაჭალის ბაღები და ევროპულად გაზრდილთათვის — მუშტაიდი“ [43.2]. 1828 წელს, რუსეთ-ირანის ომის დამთავრების შემდეგ, თავრიზის შიიტური სამღვდელოების მსახურს — მუჯთაჟიდს, რომელიც თბილისში გადმოსახლდა რუსეთის მთავრობამ მიწის სოლიდური ნაკვეთი უბოძა. მირ-ფეთე აღას თბილისელები მუშტაიდის სახელით იცნობდნენ. ქალაქში დასახლებულმა ირანელმა თავის გარდაცვლილი ქართველი ცოლის — ნინოს საპატივსაცემოდ დიდი პარკი გააშენა, გაიყვანა სარწყავი არხი, კეთილმოაწყო ტერიტორია [7.4]. XIXს-ის შუა პერიოდიდან პარკი საქალაქო ხაზინამ შეიძინა, სადაც საზაფხულო თეატრი და რესტორანი აშენდა. პარკი თბილისელთა გართობისა და თავშეყრის საყვარელი ადგილი იყო. ბაღის ტერიტორიაზე ნიკოლოზ შავროვის თაოსნობით დაარსდა კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური, რომელიც დიდ კომპლექსს წარმოადგენდა, ვინაიდან მის დაქვემდებარებაში შედიოდა კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურები. დროთა განმავლობაში დაინგრა კომპლექსის დიდი ნაწილი. მთავარი შენობა კი, სადაც დღეს აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმია მოთავსებული, თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი. პარკს,

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლშევიკური ხელი-სუფლების დამყარების შემდეგ ორჯონივიძის სახლობის კულტურისა და დასვენების პარკის სახელი დაერქვა, თბილისელები მაინც მუშტაიდს ეძახდნენ. 1935 წელს მუშტაიდში გაიხსნა საბავშვო რკინიგზა. პარკი კეთილმოწყობილია, აქ განლაგებულია თანამედროვე ატრაქციონები. მისი დეკორატიული კომპოზიცია წარმოდგენილია მარადმწვანე და ფოთოლმცვენი მცენარეებით. სამწუხაროდ, მუშტაიდის ტერიტორია საგრძნობლადაა შემცირებული, თუმცა იგი დღესაც თბილისელებისა და ჩამოსული სტუმრებისთვის მიმზიდველ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს [22.4].

თბილისურ ბაღებს შორის ერთ-ერთი უძველესი — XVII საუკუნის ბოტანიკური ბაღია, რომელსაც სხვადასხვა დროს „ციხის ბაღს“, „სეიდაბადის ბაღს“, „სამეფო ბაღს“, „სააფთიაქო ბაღს“ ეძახდნენ. 1845 წლიდან საქართველოს მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის განკარგულებით მას თბილისის ბოტანიკური ბაღი ეწოდა. ის, რომ ბოტანიკური ბაღი ერთ-ერთი უძველესია ამას ადასტურებენ ჟან შარდენი, ჟ. ტურნეფორი და ვახუშტის 1735 წლის თბილისის გეგმა. ბოტანიკურ ბაღს ორად ყოფს წავკისის წყალი, რომელზეც ხიდებია გამართული. ერთ-ერთ უძველესად ითვლება თაღლვანი „ოქუანთ ხიდი“, რომელსაც თამარის ხიდსაც ეძახიან. ხიდი ამჟამად დაზიანებულია და რეკონსტრუქციას საჭიროებს. 1914 წელს ბოტანიკურ ბაღში ჩანჩქერის თავზე თაღლვანი ხიდი აშენდა.

თბილისის ბოტანიკური ბაღი XIX ს.-ში ბოტანიკის დარგში ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულება იყო მთელს კავკასიაში. სამეცნიერო დაწესებულებად ბაღის გადაქცევაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ბოტანიკოსებმა ჰენრის შარერმა და ადოლფ როლოვმა, რომელიც ბაღის პირველი დირექტორი გახდა, ასევე ნიკო კეცხოველმა [22.5]. ბაღის ფლორა 3500-მდე სახეობის მცენარეს ითვლის. აქვე ფუნქციონირებს მცენარეთა და საორანჟერიე მეურნეობები.

ბოტანიკურ ბაღში მოხვედრა მთავარი კარიბჭით შეიძლება. არსებობდა კიდევ ერთი შესასვლელი ლ. ასათიანის (ენგელსის) ქუჩიდან რომელიც 1909-1914 წლებში სოლოლაკის ქედში გაიჭრა და წარმოადგენდა გვირაბს. დღეს გვირაბი აღარ ფუნქციონირებს.

თბილისის ერთ-ერთი ახალი „გამარჯვების პარკი“ ვაკეში მდებარეობს. თავად ვაკის უბნად ჩამოყალიბება XX ს.-ს დასაწყისიდან იწყება. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო „გამარჯვების პარკის“ მშენებლობა. პარკი მთაწმინდის ქედის ფერდობზე გაშლილი და წარმოადგენს დიდ მწვანე მასივს. მის ტერი-

ტორიაზე დგას დიდების მემორიალი. ვაკის პარკი თბილისელთა და სტუმართა ერთ-ერთი საყვარელი დასასვენებელი ადგილია.

მწერალთა სახლი

ცნობილმა მეცენატმა, ქართული კონიაკის ფუძემდებელმა დავით სარაჯიშვილმა მამისეული სახლის ადგილზე 1903-1905 წლებში, სოლოლაკში სახლი ააშენა. მშენებლობისთვის გერმანიიდან მოიწყია არქიტექტორი კარლ ცაარი, რომელსაც დახმარებას ალექსანდრე ოზეროვი და კორნელი ტატიშჩევი უწევდნენ. მოდერნისა და ბაროკოს სტილის სასახლე თბილისური ღია, ხის ჩუქურთმებიანი აივნებით თბილისელმა ხელოსანმა ილია მამაცაშვილმა მორთო. სახლის ვერანდა მოპირკეთდა „ვილეროი დე ბოხის“ კერამიკული ფილებით.

სარაჯიშვილების გვარი თბილისის ცნობილი ვაჭარ-მრეწველები, ქველმოქმედები და საზოგადო მოღვაწენი იყვნენ. ვახტანგ VI-მ „წარმომავლობით ტფილისის საპატიო მოქალაქეთა“ წოდება მიანიჭა მათ გვარს. დავით სარაჯიშვილი თავის წინაპრების კვალს აგრძელებდა. ჰაიდელბერგისა და ჰალეს უნივერსიტეტების დამთავრების შემდეგ იგი მევენახეობა-მეღვინეობის საფუძვლიან შესწავლას შეუდგა საფრანგეთში, სადაც დინტერესდა კონიაკის წარმოებით და საქართველოში ჩამოსვლისთანავე ააგო (1883-88 წწ.) კონიაკის ქარხანა, რომელიც სამამულო ნედლეულის ბაზაზე მუშაობდა. მალე მან გახსნა ლიქიორისა და არყის საწარმოებიც. დავით სარაჯიშვილის კონიაკი საერთაშორისო გამოფენებსა და დეგუსტაციებზე ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლით ჯილდოვდებოდა.

დავით სარაჯიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ყველა ეროვნული პროექტის ჩამოყალიბებასა და შექმნაში, რომელთა ჩამონათვალი ძალიან დიდია: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საისტორი-საეთნოგრაფიო საზოგადოება, სათავადაზნაურო ბანკი, სამუსიკო სასწავლებელი და კიდევ მრავალი სხვა. მისი ქველმოქმედების შედეგად მიიღო ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ განათლება რუსეთისა და ევროპის საუკეთესო სასწავლებელში.

სოლოლაკში, მაჩაბლის ქუჩაზე აშენებული სახლი დავით სარაჯიშვილმა ეკატერინე ფორაქიშვილთან ქორწინების 25 წლის იუბილეს მიუძღვნა. სახლი გახსნისთანავე იქცა ქალაქის კულტურული

ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრად. დიდი მეცენატი 1911 წელს ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. დავითის ანდერძის თანახმად, მთელი მისი ქონება ქართველი ერის განვითარებას უნდა მოხმარებოდა. სახლი კი თავის მეუღლეს — ეკატერინეს დაუტოვა. ეკატერინეს სიკვდილის შემდეგ სახლი 1918 წელს აუქციონზე გაიყიდა და მისი მფლობელი ცნობილი მრეწველი და მეცენატი აკაკი ხოშტარია გახდა, რომელმაც იგი ემიგრაციაში წასვლის წინ თავის სხვა უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად ქართველ ხალხს უანდერძა.

1917 წელს თბილისში „ცისფერყანწელთა“ თაოსნობით ჩამოყალიბდა „ქართველ მწერალთა კავშირი“, რომელმაც თავიანთი კლუბი კაფე „ქიმერიონში“ მოაწყო. 1921 წელს დავით სარაჯიშვილის სახლი ამ კავშირს გადაეცა. მალე მწერლებში მოხდა განხეთქილება და ბოლშევიკების მადიდებელ-მეხოტბე მწერლებისაგან ჩამოყალიბდა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია. 1932 წელს ჩატარებულმა მწერალთა ყრილობამ გააუქმა ფედერაცია, მასში შემავალი ორგანიზაციებით და შექმნა „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი“. XX ს.-ის 30-იანი წლებიდან დაიწყო „არასაბჭოურად“ მოაზროვნე მწერლების აქტიური დევნა. „ხალხის მტრების“ გამოვლენის მიზნით იმართებოდა კრებები, მწერლები სხდომებზე ერთმანეთს ასამართლებდნენ — კრების ოქმები კი უურნალ „ლიტერატურული საქართველოს“ ყოველ ნომერში იბეჭდებოდა. რეპრესიებს ემსხვერპლნენ უდიდესი ქართველი მწერლები და პოეტები: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი (თავი მოიკლა 1937 წლის 22 ივლისს ერთ-ერთი სხდომის მსვლელობისას), ვახტანგ კოტეტიშვილი. ბევრმა მწერალმა სასჯელი გადასახლებაში მოიხადა. რეპრესიები დიდხანს გრძელდებოდა და მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში შეწყდა. საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახლი მოპოვების შემდეგ მწერალთა კავშირის შენობას მწერალთა სახლი ენდოდა

მაჩაბლის 13 ნომერში მდებარე მწერალთა სახლი წლების მანძილზე მრავალი ისტორიული და კულტურული მოვლენის ეპიცენტრი იყო.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისტორია 1852 იწყება წლიდან, როდესაც თბილისში რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება დაარსდა. დაარსების ინიციატორი იყო რუსი მწერალი ვ. სოლოგუბი. მუზეუმი უდიდეს სამეცნიერო და შემგროვებლურ საქმიანობას ეწეოდა. აქ თავიდან სამი კაბინეტი ფუნქციონირებდა: ეთნოგრაფიული, საბუნებისმეტყველი და საისტორიო. ეთნოგრაფიული კაბინეტის ზედამხედველობა და მოწესრიგება რაფიელ ერისთავს დაევალა, რომელმაც შეადგინა სამუზეუმო კატალოგის ნიმუშები. 1864 წელს მუზეუმი დაიხურა, დაიკარგა შენობა და ნაწილობრივ გაიფანტა უნიკალური კოლექცია. ნაწილი კოლექციისა, ცნობილი ბუნებისმეტყველის — დოქტორ გ. რადეს ბინაზე გადავიდა, რომელმაც თავიდან დაარსა უკვე დამოუკიდებელი კავკასიის მუზეუმი. 1868 წელს მუზეუმს შეუერთდა საჯარო ბიბლიოთეკა და დაერქევა კავკასიის მუზეუმი და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა. მუზეუმმა ბინა დაიდო გოლოვინის პროსპექტზე მეფისნაცვლის სასახლის პირდაპირ. მისთვის აიგო ორსართულიანი შენობა, რომლის არქიტექტორი იყო ა. ზალცმანი. 1870 წელს შენობა საჯაროდ გაიხსნა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებამდე მუზეუმი ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულება იყო საქართველოსა და კავკასიაში. 1891 წელს დოქტორმა რადემ გამოსცა გზამკვლევი, რომელიც ამომზურავ ცნობას იძლეოდა მუზეუმის შესახებ. კავკასიის მუზეუმს კურირებდა რუსეთის საიმპერატორი მეცნიერებათა აკადემია. კავკასიის მუზეუმი, მიუხედავად დიდი დიაპაზონისა და საერთაშორისო აღიარებისა, არ წარმოადგენდა ეროვნულ მუზეუმს.

1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მუზეუმს საქართველოს მუზეუმი ეწოდა და ამიერიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ეროვნული სულიერებისა და მეცნიერების სამჭედლოდ იქცა. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ შეფერხდა მუზეუმის განვითარება, თუმცა 1928-29 წლებში მაინც მოხდა მასში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციების შეტანა. მუზეუმის კოლექციების გაზრდამ ახალი დამატებითი შენობის მშენებლობა მოითხოვა. (ჯერ კიდევ 1910 წელს არქიტექტორ კ. ტატიშჩევის მიერ გამზადდა ახალი პროექტი, რომელის მშენებლობა 1913 წელს დაიწყო, მაგრამ

ბოლომდე ვერ განხორციელდა). 1929 წელს აიგო ახალი მუზეუმი, სადაც ზომიერად იქნა გამოყენებული ქართული ტრადიციული ხუროთმოძღვრული დეტალები (არქ. ნ. სევერინი).

1930 წელს ჩატარებულ საკავშირო მუზეუმების ყრილობაზე მიღებული იქნა უცნაური გადაწყვეტილება, რომლითაც მუზეუმების მთავარ სამეცნიერო მიმართულებად კლასთა ბრძოლისა და სოციალური საკითხების შესწავლა დასახელდა. ამიტომ სამუზეუმო ნივთები უმნიშვნელოდ მიიჩნიეს. ჩათვალეს, რომ შეიძლებოდა მათი გაყიდვა და ამ თანხით სახელმწიფოს ეკონომიური უზრუნველყოფა. ამ განუკითხაობამ ბევრი მუზეუმი დააზარალა, მათ შორის საქართველოს მუზეუმიც. მაგალითად, გაიყიდა ბაგრატიონთა ძვირფასი თვლებით შემკული სამეფო საგვარეულო ოქროს გვირგვინი, რომელიც რუსეთის იმპერატორმა პავლე I დაამზადებინა და გამოუგზავნა ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს — გიორგი XII-ს.

ეროვნულ მუზეუმში თავმოყრილია მრავალი კოლექცია: ეპრაზიაში აღმოჩენილი უძველესი ადამიანის ნაშთები, უნიკალური არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთები, ბუნების ისტორიის ამსახველი მასალა, ქრისტიანული კულტურის მდიდარი ძემკვიდრება — ჭედური და ფერწერული ხატები, ჯვრები, ნაქარგობა, ტიხორული მინანქარი, პირველხარისხოვანი აღმოსავლური ძეგლები, ნუმიზატიკის მდიდარი კოლექცია, ანტიკური კოლხეთის ოქროსა და ვერცხლის ნატიფი სამკაულები, სხვადასხვა ძროის ქართველი და ევროპელი მხატვრების შესანიშნავი ნამუშევრები.

მუზეუმში XX ს-ის 20-იანი წლებიდან თავი მოიყარა ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა, რომელთა სამეცნიერო მოღვაწეობამ უდიდესი როლი შეასრულა ისტორიული და საბუნებისმეტყველო დისციპლინების განვითარებაში. მუზეუმის დირექტორი 1931 წ-დან გარდაცვალებამდე ივანე ჯავახიშვილი იყო.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ისე როგორც სხვა დანარჩენ მუზეუმებს, დიდი განსაცდელი დაუდგათ თბილისში დატრიალებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგად. თუმცა, მუზეუმის კოლექციები და ექსპონატები ძირითადად თანამშრომელთა თავგანწირვის შედეგად გადარჩა.

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

1916 წელს საქართველოში ევროპიდან მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე დაბრუნდა და დაიწყო ბრძოლა სამხატვრო და ხელოვნების მუზეუმების დაარსებისათვის. 1920 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით თბილისში ეროვნული სამხატვრო გალერეა დაარსდა, რომელიც განთავსდა ყოფილი სამხედრო მუზეუმის შენობაში. 1922 წელს გალერეა საზეიმოდ გაიხსნა საინტერესო ექსპოზიციით. ადგილი გამოიყო ხელოვნების მუზეუმისათვისაც, ეს გახდათ მეტების ციხის ყოფილი შენობა. მთავრობის დადგენილებით, მუზეუმში უნდა განთავსებულიყო თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების მუზეუმებიდან ჩამოტანილი ექსპონატები. აქ გადაწყდა ნ. ფიროსმანაშვილის ნამუშევრების მოძიების დაწყება. საბოლოოდ, მუზეუმში ფიროსმანის 105 ნამუშევარი განთავსდა. მუზეუმს კი ოდნავ მოგვიანებით ეწოდა „კულტურისა და ხელოვნების მუზეუმი მეტები“, რომლის დირექტორად 1939 წელს დაინიშნა შალვა ამირანაშვილი (ქართული ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი საქართველოში). მეორე მსოფლიო ომის დროს „მეტები“ გადაეცა სამხედრო უნიტებას და მუზეუმის კოლექციები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გადიტანეს. ნივთების უმრავლესობა საცავებში იყო შენახული. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ საფრანგეთიდან დაბრუნებული განძის უდიდესი ნაწილიც გადაეცა მუზეუმს, რამაც ხელი შეუწყო „ქართული ოქრომჭედლობის“ გამოფენის გახსნას. საგანძურში წარმოდგენილია ქართული ჭედური ხელოვნების უნიკალური ნიმუშები VII-XIX საუკუნეებისა. მუზეუმში წარმოდგენილია ახალი და თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების ნიმუშებიც.

ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა შალვა ამირანაშვილმა 1949 წლიდან ინტენსიური ბრძოლა დაიწყო მუზეუმისთვის ახალი შენობის გამოსაყოფად. ბრძოლამ მაღვე გამოიღო შედეგი. ქართული ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებს ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობა გადასცეს.

შენობა, რომელიც სასულიერო სემინარიას ეკუთვნოდა კლასიციზმის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, რომელიც მეცენატმა და შაქრის მნარმოებელმა ი. ზუბალაშვილმა არქიტექტორ მ. ბერნარდცის დაუკავეთა. შენობა იმდროინდელ თბილისში ყველაზე დიდი და ლამაზი იყო. როდესაც 1837 წელს რუსეთის იმპერატორი ნიკოლაზ I საქართველოში ჩამოვიდა, ზუბალაშვილი გახდა მისი პირადი მას-

პინძელი. წვეულებაზე მყოფმა საქართველოს ეგზარხოსმა შენობა სასულიერო სემინარიისთვის მოიწონა. იაკობ ზუბალაშვილმა ეგზარხოს უარი ვერ შეჰქადრა და მხოლოდ სამშენებლო მასალაზე გაღებული თანხის ანაზღაურება მოითხოვა. შენობაში სასულიერო სასწავლებელი განთავსდა 1905 წლამდე. სხვადასხვა დროს აქ სწავლობდნენ პლატონ იოსელიანი, გაბრიელ ქიქოძე, დიმიტრი ბაქრაძე, თედო უორდანია, იაკობ გოგებაშვილი, დანიელ ჭონქაძე, მოსე ჯანაშვილი და სხვები.

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში არაერთი გამოჩენილი მეცნიერი და ქართული კულტურის ცნობილი წარმომადგენელი მოღვაწეობდა. 1991 წლიდან იგი შალვა ამირანაშვილის სახელობისაა.

იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის მუზეუმი

სიონის ტაძრის მახლობლად „ქარვასლაში“ 1984 წელს თბილისის მუზეუმი განთავსდა. ქარვასლა შუა საუკუნეების ქალაქებში და შემდგომ პერიოდშიც სავაჭრო ქარავნების ღამის გასათევი და გასაჩერებელი ადგილის ფუნქციას ასრულებდა. ძველ თბილისში მრავალი ქარვასლა იყო. სიონის ტაძრის გვერდით როსტომ მეფემ ააშენა ქარვასლა. ამ დროს თბილელი ეპისკოპოსი ელისე საგინაშვილი დედოფალ მარიამის სულიერი მამა იყო. ელისე თბილელმა შეძლო მეფე-დედოფლის დახმარებით სიონის ტაძრის განახლება და როსტომ მეფემ გაუჩინა სიონს ყოველწლიური დახმარება, რომელიც ქარვასლის იჯარისგან შემოდიოდა. XVIII ს.-ს 20-იან წლებში თბილელმა ეპისკოპოსმა დომენტი III-მ ლეკთა და კონსტანტინე II-სგან ივარქემნილი ქარვასლა აღადგინა. აღდგენილ შენობას „თბილელის ქარვასლა“ ეწოდა. ერეკლე II-მ შენობა თავის შვილიშვილს დავით ბატონიშვილს გადასცა. „თბილელესი ქარვასლის“ მოპირდაპირედ იყო სხვა ქარვასლაც, რომელსაც „ბატონის ქარვასლას“ ეძახდნენ. იგი ერეკლე II-ის შვილის — თეკლას საკუთრება იყო. აღა მაჲმად ხანის შემოსევისას ქალაქი მთლიანად გადაინვა. დაინვა ბატონიშვილების ქარვასლებიც. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსებმა ბატონიშვილები გადაასახლეს, ქარვასლები კი გაყიდეს.

1820 წელს ტფილისელმა ვაჭარმა — გეურქ აღა-არწრუნმა „თბილელის ქარვასლის“ შენობა იყიდა ამიტომაა, რომ მას ხშირად არწრუნის ქარვასლას უწოდებენ. 1855 წელს აქ გაჩენილი ძლიერი ხანძრის შედეგად საჭირო გახდა მისი გადაკეთება. ქარვასლის 25

სარდაფში საქონლის საწყობები და პირუტყის სადგომი იყო, პირველ სართულზე მკერავთა და მენაღეთა სახელოსნოები, მეორე სართულზე კი მაღაზიებში ევროპული და აზიური ფართლეული და სხვა მოდური საქონელი იყიდებოდა. ბოლო სართულზე სასტუმრო ოთახები იყო განთავსებული, შიდა ეზოში კი შადრევანი და აუზი იდგა.

1912 წელს ქარვასლა ტფილისელმა ვაჭრებმა ძმებმა — აფრიკიანცებმა იყიდეს და მისი სიონის ქუჩის მხარეს არსებული ტრადიციული ფასადი მოდერნის სტილის ფასადით შეცვალეს. ქარვასლა თავის დანიშნულებას 1924 წლამდე ინარჩუნებდა. შემდგომ კი შენობა საწყობად იყო გამოყენებული.

1910 წელს კი დაარსდა თბილისის მუნიციპალური მუზეუმი, მაგრამ ექსპონატები დაკონსერვებული იყო ზუბალაშვილების უპოვართა სახლში. ამის შემდეგ მუზეუმმა რამდენიმეჯერ შეიცვალა ადგილსამყოფელი. იგი 1924-36 წლებში განთავსებული იყო წმინდა თეოდოსი ჩერნიგოველის ეკლესიაში (ამჟამად ვ. სარაჯიშვილისა და გრიბოედოვის ქუჩების შესაყარი). ყოფილი ეკლიანიხევის რუსული ეკლესია, რომელმაც ფუნქციონირება XX ს.-ის 20-იანი წლებიდან შეწყვიტა), 1936-84 წლებში მუზეუმი განთავსებული იყო სოლოლაკის ხეივანში (ყოფილი კომკავშირის ხეივანი). მიუხედავად ადგილმდებარეობის მადენი შეცვლისა, მუზეუმს მუდამ გამოფენილი ჰქონდა ექსპოზიციები, სადაც თბილისის ისტორიისა და ყოფის ამსახველი ექსპონატები იყო წარმოდგენილი. 1984 წლიდან თბილისის მუზეუმი ქარვასლის შენობაში განთავსდა. მუზეუმი გაიხსნა მრავალფეროვანი ექსპოზიციით. აღსანიშნავია აქ დაცული ცნობილი ქართველი მოცეკვავისა და ბალეტმეისტერის, საქართველოს სახალხო არტისტის იური ზარეცკვის უნიკალური კოლექცია, რომელიც მუზეუმს ანდერძის თანახმად გადაეცა. მუზეუმის ფონდებში 50 000-ზე მეტი ექსპონატი ინახება. ისინი ასახავს თბილისის ისტორიას ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულიდან დღემდე. აქ დაცულია არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, დოკუმენტური მასალა, უმდიდრესი ფოტოკოლექცია, ხალხური, გამოყენებითი და სახვითი ხელოვნების ნიმუშები, წარმოდგენილია თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებიც. მუზეუმის ფონდში ინახება დავით კაპანაძის მიერ უსასყიდლოდ გადაცემული მონეტების კოლექცია. 1986 წლიდან აქ, თანამედროვე ხელოვნების საგამოფენო დარბაზებში ეწყობა ქართველ და უცხოელ ხელოვანთა გამოფენები.

სმირნოვების მუზეუმი

გ. ტაბიძის 20 ნომერში ერთი ლამაზი სახლი დგას. მისი აშენება გრიგოლ თამამშევმა 1859 წელს წარმოშობით გერმანელ, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის არქიტექტორ ოტო სიმონსონს დაუკ-ვეთა. სიმონსონმა ააშენა საცხოვრებელი სახლი, სადაც ევროპული და ტრადიციული არქიტექტურა ერთმანეთს შეუსაბამა.

გრიგოლ თამამშევი პირველი გილდიის ვაჭარი და თბილისის საპატიო მოქალაქე გახლდათ, მისი დაფინანსებით აშენდა თბილისში პირველი თეატრ-ქარვასლა. თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახისთვის დიდმა ვაჭარმა და მეცენატმა ახალი სახლი ააშენა და მზითვად შეინიშვილ ლიზას გადასცა. ლიზა ცოლად გაყვა მიხეილ სმირნოვს, მთავარმართებლის მოადგილის საიდუმლო მრჩეველის, სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორის, სენატორ თავად მიხეილ ნიკოლოზის ძე სმირნოვის ვაჟს, რომლის დედა ალექსანდრა სმირნოვა-როსეტი (დედით ფრანგი, რომელსაც ბებია ეკატერინე ციციშვილი ჰყავდა) ნიკოლოზ I-ის საიმპერატორო კარზე სილამაზით განთქმული, იმპერატრიცა ალექსანდრა ფიოდოროვნას ფრეელინა იყო. მიხეილმა მშობლების გარდაცვალების შემდეგ მთელი ქონება თბილისში ჩამოიტანა. მათ შორის იყო დედის — ალექსანდრას ნივთები, XVIII-XIX საუკუნეების რუსეთისა და დასავლეთ ევროპის დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები, ქანდაკებები, აივაზოვსკის, ვინტერპალტერის, ზანკოვსკის, რემის, ბაიკოვის, პაევსკის, აკოფიანის, ნეიმანის, ჰოგარტის და სხვათა ნამუშევრები, ფაიფურის მნარმოებელი ცნობილი ქარხნების მიერ დამზადებული ჭურჭლის ნიმუშები (ძმებ კორნილოვების, კუზნეცოვის, ლიმოჟის, გარნერის და სხვა), უძვირფასესი ავეჯი (გამბისი, ბაუერი), მართლმადიდებლური ხატები. მუზეუმის კოლექცია მდიდარია იშვიათი და უნიკალური გამოცემებით ფრანგულ, იტალიურ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. მუზეუმში დაცულია ილია ჭავჭავაძის ბარათები მინერილი კოლა ერისთავისადმი, რომელიც თამამშევის მეორე შვილიშვილზე, ეკატერინეზე იყო დაქორწინებული. პიანინო, რომელზეც თბილისში სმირნოვების ოჯახში სტუმრობის დროს პეტრე ჩაიკოვსკი და რუბინშტეინი უკრავდნენ. მიხეილ სმირნოვი ცნობილი ბოტანიკოსი იყო და სწავლობდა საქართველოსა და კავკასიის ფლორას. სმირნოვების სახლის ხშირი სტუმრები იყვნენ სხვადასხვა დროს პ. ჩაიკოვსკი, ი. აივაზოვსკი,

ი. ჭავჭავაძე, ივ. ჯავახიშვილი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე და საზოგადოების სხვა ცნობილი წარმომადგენლები.

მიხეილს და ლიზას ერთადერთი შვილი — გიორგი ეყოლათ. გიმნაზიაში გიორგი ივანე ჯავახიშვილთან ერთად სწავლობდა. სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში გააგრძელა, სტაჟირება ლაიფციგში გაიარა და დაბრუნდა თბილისში, რათა შეესწავლა კავკასიის ეყოლოგია. გიორგიმ ცოლად მოიყვანა ევგენია ფონ შლეირი, რომელთაც ეყოლათ შვილი მიხეილი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ (1921 წ.) სმირნოვები თავიანთი საცხოვრებლიდან გვერდით სახლში გადაიყვანეს. ხოლო მათ სახლში მრავალი ოჯახი შეასახლეს, ფართო დარბაზები გადატიხრეს და შექმნეს კომუნალური ბინები. 1984 წელს მიხეილ სმირნოვმა დედასთან, ევგენია ფონ შლეირთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება და დიდი ბებიის დანატოვარი, გალაკტიონ ტაბიძის 20 ნომერში მდებარე ქონება, მწერალთა კავშირთან არსებულ ალექსანდრე პუშკინის ერთიან მემორიალურ კომპლექსს გადასცა. გარკვეული პერიოდის შემდეგ პუშკინის მემორიალი გაუქმდა და მის ადგილას საბიუჯეტო ორგანიზაცია „კავკასიური სახლი“ დაფუძნდა.

2010 წელს მემორიალის საზოგადოებრივი ორგანიზაციის სტატუსი სახელმწიფო მუზეუმის სტატუსით შეიცვალა. 2017 წლის „სმირნოვების“ სახელით ცნობილი შენობის ოთხ მთახში მუზეუმი ისევ გაიხსნა. „სმირნოვების მუზეუმი“ ერთადერთია თბილისის მუზეუმებს შორის, სადაც მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი გასულ XVIII-XIX საუკუნეების, ეპროპის მხატვრული კულტურის ნიმუშები.

გიორგი ჩიტაის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ლია ცის ქვეშ

ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელმა — აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ 1966 წელს კავკასიაში პირველი ეთნოგრაფიული მუზეუმი დაარსა ლია ცის ქვეშ. მუზეუმი წარმოადგენს საქართველოს მინიატიურულ მოდელს და ასახავს ქვეყნის მრავალფეროვან ეთნოკულტურას. მისი ტერიტორია მოიცავს 50 პექტარს და დაყოფილია 11 ზონად. მუზეუმის ექსპოზიციისთვის შერჩეული ტერიტორია ითვალისწინებს ქვეყნისთვის დამახასიათებელ გეოგრაფიულ თავისებურებას და ამიტომ ვერტიკალურ ზონალობაშია

დატერასებული. დაგეგმარების დროს გათვალისწინებულია საქართველოს კუთხეებისთვის დამახასიათებელი საკარმიდამო სახლების და სამეურნეო ნაგებობანის მრავალფეროვნება. როგორც გიორგი ჩიტაია აღნიშნავდა, „მუზეუმის მოცულობას ქვეყნის მხოლოდ გეოგრაფიული საზღვარი არ განსაზღვრავს, არამედ მის შიგნით არსებული, მკვეთრად ჩამოყალიბებული ლანდშაფტურ-გეოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული ზონები 37/1“ ამიტომ მუზეუმის ტერტორია დაყოფილია ზონებად, რაც გამოწვეულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს და ასევე მაღალმთიანი რეგიონების კლიმატურ-გეოგრაფიული სხვაობით, რამაც ხელი შეუწყო ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების ჩამოყალიბებას. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფისათვის დამახასიათებელი ობიექტები წარმოდგენილია ათ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ზონაში, რომელთაგან ხუთი აღმოსავლეთ საქართველოს წარმოაჩენს, ხუთიც — დასავლეთს. მუზეუმში ექსპონირებულია 70-მდე საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობა საქართველოს შემდეგი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონებიდან: სამცხე-ჯავახეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, აჭარა, სვანეთი, ქართლი, კახეთი. ერთი ზონა ეთმობა ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებს, რომელთა შორისაა V-VI სს. სიონის ბაზილიკა და აკლდამა, ძვ. წ. II ათასწლეულის დოლმენი აფხაზეთიდან.

მუზეუმში ქართული საცხოვრებელი სახლის სამი ტიპია განთავსებული: ერდოიანი სახლი, გვირგვინიანი დარბაზი და საჯალაბო სახლი, რომლის განვითარებული სახეა ოდა-სახლი. მაღალმთიანი რეგიონებისთვის დამახასიათებელი ციხე-სახლები მუზეუმის ტერიტორიაზე სვანური კოშკის სახითა წარმოდგენილი.

აღმოსავლეთ საქართველოს ზონაში წარმოდგენილი (ქართლ-კახეთი და სამცხე-ჯავახეთი) საცხოვრებელი სახლის უძველესი ფორმაა გვირგვინიანი დარბაზული სახლი, რომლის ორი ტიპია მუზეუმის ტერიტორიაზე განთავსებული — ერთდარბაზიანი, დიდი ზომის, წინ აივნით და დარბაზოვანი — კომპლექსური ნაგებობა, სადაც ერთადაა თავმოყრილი როგორც საცხოვრებელი, ისე სამეურნეო ნაგებობანი.

ერთ-ერთი უძველესი ქართული საცხოვრებელი ნაგებობის ტიპია დარბაზული სახლი, რომლისთვისაც დამახასიათებელია კერა, დედაბოძი და ერდოიანგვირგვინიანი გადახურვა. მუზეუმის ტერიტორიაზე ქართული დარბაზის იშვიათი ნიმუში სოფელ ყარალაჯიდან არის გადმოტანილი. ამ ტიპის შენობა საქართველოში

ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულში ყოფილა გავრცელებული. დარბაზის დედაბოძი შემკულია სხვადასხვა სიმბოლოებით, რომელიც ნაყოფიერებას, სიუხვესა და გამრავლებას გამოხატავს. დედაბოძი წარმოადგენს გვირგვინიანი გადახურვის საყრდენს. მუზეუმის ტერიტორიაზე სამცხე-ჯავახეთიდან ორი დარბაზული სახლია გადმოტანილი: სახლი სოფელ ჭაჭკარიდან, რომელშიც რვაკუთხა გვირგვინი ეყრდნობა ორ რიგად განლაგებულ ექვს ბოძს და სახლი ახალციხიდან, რომელსაც აქვს აივანი, საცხოვრებელი ოთახი, მაღალგუმბათიანი დიდი და პატარა დარბაზი. ახალციხის დარბაზოვან სახლს „მერცხლის ბუდურას“ ეძახიან. კახეთი მუზეუმის ტერიტორიაზე წარმოდგენილია სოფელ გიორგიწმინდას დარბაზული სახლით და იგი ერთადერთი ექსპონატია, რომლითაც შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ კახეთის საცხოვრებელ ნაგებობებზე.“ - გიორგიწმინდის დარბაზი“ ორბოძიანი დარბაზული საცხოვრებელია, აშენებულია რიყის ქვითა და კირით. თაღებისა და კარების საპირეებისთვის გამოყენებულია ქართული აგური. დედაბოძზე ამოკვეთილია საცხოვრებელი სახლის აშენებისა და გადახურვის თარიღები — 1850 და 1853 წლები.

დასავლეთ საქართველოს საცხოვრებელი სახლების სამი ტიპია წარმოდგენილი მუზეუმის ტერიტორიაზე: ძველი-ხულა სახლი დაუნანევრებელი სივრცით, საჯალაბო სახლი (ისლით გადახურული ორქანობიანი. ისლი მრავალწლოვანი ბალახია. იგი ხარობს ყველგან, განსაკუთრებით ბევრია ტენიან და ჭაობიან ადგილებში, არ ატარებს წყალს და აქვს შსანიშნავი თერმორეგულაცია. ასეთი ტიპის სახლში დიდი ოჯახის რამდენიმე თაობა (ცხოვრობდა), და ოდა სახლი, რომელიც ძირითადად XIX ს-იდან გავრცელდა და არის ორსართულიანი ბუხრით, აივნით, ფანჯრებით, საძინებლებით. ამ ტიპის სახლებში საჯალაბოც რჩება, როგორც სამზადი. სამეურნეო სათავსოები — ნალია (რომლის მრავალი ვარიანტია წარმოდგენილი მუზეუმის ტერიტორიაზე), საქონლის სადგომები გადატანილია საკარმიდამოს უკანა ეზოში.

მუზეუმის ტერიტორიაზე წარმოდგენილია მარანიც, სადაც მეღვინეობა-მევენახეობასთან დაკავშირებული ყველა ინვენტარი და ჭურჭელია თავმოყრილი. ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო პირობების მრავალფეროვნების შესაბამისად ტრადიციამ საქართველოში ნაირგვარი სახის მარანი შემოინახა, თუმცა მაინც ორი ძირითადი ტიპი გამოიყოფა; ღია და დახურული. ღია მარანი ღია ცის ქვეშ გამართული ჭურების ადგილსამყოფელია და გვხვდება იმერეთში,

რაჭაში, გურიაში — ჭურისთავი, ხოლო სამეცნიელოში მას ოლანგვე ენოდება, ამიტომ დასავლეთ საქართველოში ღია მარანს ჭურ-მარანს ეძახიან და იგი მეტწილად მაღალ ადგილას (დასამხრისზე) არის გამართული. დახურული მარანი ძირითადად მოიცავს ქართლ-კახეთს და ესეც გეოგრაფიული თავისებურებით აიხსნება. აქ ზომიერად ნოტიო და მშრალი სუბტროპიკული სტეპური ჰავაა; აქედან გამომდინარე, დახურულ მარანში ღვინო ზაფხულში დაცულია სიცხისგან, ხოლო ზამთარში ყინვა-სიცივის მავნე ზეგავლენისგან.

ღია ცის ქვეშ მუზეუმში ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლის გიორგი ჩიტაიას 120 წლის იუბლესთან დაკავშირებით 2010 წელს გაიხსნა დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მემორიალური კაბინეტი, სადაც თავმოყრილია მუზეუმის ისტორიის ამსახველი ფოტო, ვიდეო და საილუსტრაციო მასალები. გიორგი ჩიტაია ერთ-ერთი პერველთაგანია, რომელმაც ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგენეტიკური პრობლემების კვლევა დაიწყო. კაბინეტის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია ქართული ხალხური რეწვის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების და ქართული ხალხური ტანსაცმლის ნიმუშები. კაბინეტში წარმოდგენილია გიორგი ჩიტაიას პირადი არქივი და ასევე დიდი ქართველი მეცნიერების — ჯულიეტა რუხაძის, ალექსი რობაქიძის არქივები. საარქივო მასალების შეგროვებასა და დიდი მეცნიერის სახელის უკვდავყოფაში დიდი წვლილი შეიტანა გიორგი ჩიტაიას მოსწავლემ, ქართული ეთნოლოგიური სკოლის ერთ-ერთ-მა გამგრძელებელმა, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ფონდის დამფუძნებელმა და მუზეუმ-სახლის ექსპოზიციის ავტორმა ქ. თამილა ცაგარეიშვილმა.

მუზეუმი ღია ცის ქვეშ ქართველთა და ჩამოსული სტუმრების მნიშვნელოვანი კულტურული დასასვენებელი ადგილია.

კოჯრის ციხე

კოჯრის (აგარანის, აზეულას, ქოროლლის) ციხე თბილისთან ახლოს მაღალ მთაზე აუგიათ IX ს-ში დიდ საქარავნო გზაზე. ციხე იცავდა თბილისისკენ სამხრეთიდან მომავალ გზას. XI ს-ის 60-იან წლებში ალფ-არსლანი მეორე ლაშქრობის შემდგომ, საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ დაატყვევა განძის ამირა ფადლონი და „თავისად ალიხვნა ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აგარანი,“ ვახუშტიც ციხეს

ამ პერიოდში აგარანად მოიხსენებს. „დიდი თურქობის“ დროს, 1080 წლიდან, აგარანის ციხე კვლავ თურქ-სელჩუკთა ხელში აღ-მოჩნდა. 1118 წელს დავით IV-მ ლორეს თურქ-სელჩუკთაგან გათა-ვისუფლების შემდეგ აგარანის ციხეც აიღო და 1123 წელს, თბი-ლისის გათავისუფლების შემდეგ, ორბელებს უნდალობა. შემდგომ პერიოდში აგარათა ციხე დემნა უფლისნულისა და ივანე ორბელის აჯანყების შეთქმულების ადგილი იყო. მას შემდეგ, რაც გიორგი III დაამარცხა „ორბელთა აჯანყება“, ციხე მეფეს დაექვემდებარა. ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობით, დასწულებული თამარ მეფე თა-ვისი ამალით აგარათა ციხეში ნაჭარმაგევიდან გადმოიყვანეს. იგი აქვე აღესრულა.

როდის ან რატომ შეეცვალა ციხეს სახელი, ჩვენთვის უცნობია. XV ს.-იდან ციხე კოჯრის სახელით მოიხსენება და სოლოლაშვილე-ბის საგვარეულო საკუთრებას წარმოადგენს. 1488 წელს იაყუბ-ყაე-ნის თურქმანთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის მეთოვეებმა კოჯრის ციხეს ცეცხლი გაუხსნეს. სოლალაშვილების მცირერიცხოვანი მე-ციხოვნები ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ იძულებული შეიქნენ მტრისთვის შეეტოვებინათ იგი. „ხოლო ვითარცა გათენდა, ნახეს თათართა, ციხე უკაცური, შევიდეს შიგან და კაცი არა იპოვეს, მიჰყ-ვეს ხელი და დააქციეს“. 1625 წელს სოფელ მარაბდასთან ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ შაჳ აბას I-ის ლაშქართან, მეორე დღეს ომი კოჯრის მიდამოებში გაგრძელდა. კოჯრის ციხის მისადგო-მებთან გამართულ შეუპოვარ ბრძოლაში ქართველებმა დიდი ზია-ნი მიაყენეს ყიზილბაშებს. ამ ციხე-სიმაგრეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალური საქართველოსათვის. იგი კვეთ-და სომხეთ-საბრათიანოდან თბილისში მიმავალ ერთადერთ გზას. ამიტომაც მას დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველი მეფეები. რაც შეეხება სახელწოდება ქოროლლის, იგი უფრო მოგვიანებით — XVIII საუკუნეში გაჩნდა. მის შესახებ არსებობს ასეთი თქმულება: თურმე ქოროლლი ერთ აზერბაიჯანელ კაცს ერქვა, მას მამა ბრმა ჰყოლია და ამიტომ ქოროლლის, ანუ ბრმის შვილს ეძახდნენ. ამ კაცს თავის ქვეყანაში რაღაც დაუშავებია, გამოქცეულა და თავი „აზეულას“, ანუ კოჯრის ტყისათვის შეუფარებია, ამბობენ, განდევნილად ცხო-ვრობდა, ახლოს არავის იკარებდა და ბოლოს მიუდგომელი ციხის ქარაფიდან გადაეშვაო. ციხესაც მისი სახელი — ქოროლლი შეერქვა.

კოჯორი საზაფხულო რეზიდენციასაც წარმოადგენდა. ვახუშტი ქართლის აღნერისას გადმოგვცემს „ციხე აზეულასი და ან კოჯრისა, თხემთა ზედა კლდისასა. ამ ციხის სამხრით არს სასახლე მეფისა კო-

უორი. აღაშენა მეფემან როსტომ... დგებოდნენ ზაფხულსა მეფენი“. ი. ა. გიულდენშტეტი 1771-1772 წ. წ. საქართველოში მოგზაურობის დროს აღნიშნა, რომ „მეფეები წინათ, ზაფხულობით, იდგნენ მთაზე კოჯორთან, რადგან იქ სიცხეები ნაკლებია... რეზიდენციას სხვა მიზეზების გამო არ სტოვებდნენ“. XVII საუკუნეში კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორს აქ აუშენებია სასახლე და კარის საყდარი.

1921 წ. 16-25 თებერვალს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შორის ომის გადამწყვეტი ბრძოლა კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში მოხდა, ბოლშევიკების დაგეგმილი „ტფილისის ოპერაცია“ ახალგაზრდა იუნკრებმა თავიანთ თავზე აიღეს და სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლეს, რათა თბილისში მტერი არ შემოეშვათ.

კოჯორის ციხემ ბევრჯერ განიცადა რესტავრაცია. მას სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან მრგვალი ფორმის კოშკები ჰქონდა, რომლის კედლებმა დღემდე ნანგრევების სახით მოაღწია. კოჯორის ციხე დღეს მნიშვნელოვან ტურისტულ ზონას წარმოდგენს [24.1].

დიდგორის ველი

დიდგორი ქართველთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ეროვნული სიამაყისა და სახელმწიფოებრივი სიდიადის ადგილია. თბილისთან ახლოს ნალკა-მანგლისის თრიალეთის ქედზე ქართველთა დიდმა მეფემ — დავით IV აღმაშენებელმა საოცარი მარცხი აწვინა თურქ-სელჩუკთა გაერთიანებულ ლაშქარს. 1121 წლის 12 აგვისტო ისტორიაში შვიდა, როგორც „ძლევა საკვირველი“. დავით IV-მ გამეფებისთანავე გადადგა გარკვეული ნაბიჯები თურქ-სელჩუკთა ბატონობისგან საქართველოს გასათავისუფლებლად. 1120 წლამდე ყოველმხრივ განიმტკიცა მდგომარეობა, თურქთაგან თითქმის მთლიანად გაწმინდა ქვეყნის სამხრეთ რეგიონები და გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. ასაღები იყო თბილისი. თურქ-სელჩუკებმა შეკრიბეს კოალიციური ლაშქარი. ანტიოქიის სამთავროს კანცლერის — გოტიეს ცნობით, მოლაშქრეთა რიცხვი 60000-ს აღწევდა, ივ. ჯავახიშვილი კი თვლიდა, რომ ეს რიცხვი 300000 უნდა ყოფილიყო. დავითმა ბრძოლაში 55600 მოლაშქრე გამოიყვანა. ბრძოლის წინ მეომრებს სიტყვით მიმართა. ბრძოლა სამი ჟამი (საათი) გაგრძელებულა. მტერი სასტიკად დამარცხდა. ქართველთა ლაშ-

ქარმა თურქ-სელჩუკებს არ მისცეს საშუალება გაერთიანებისა და კონტრშეტევისთვის. დიდგორის ბრძოლის შემდეგ საქართველოს მეფეს თბილისისკენ გზა ხსნილი ჰქონდა. 1122 წელს დავითმა შემოიერთა თბილისი და სატახტო ქალაქი ქუთაისიდან კვლავ თბილისში გადმოიტანა.

დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებამ შესაძლებელი გახდა ქვეყნის საბოლოო გათავისუფლება. კიდევ უფრო გაიზარდა საერთაშორისო არენაზე საქართველოს ავტორიტეტი.

საქართველოს სახელმწიფოებრივი სიძლიერისა და ქართველი მეომრების უკვდავსაყოფად, დიდგორის ველზე 1991 წელს აღიმართა მემორიალი, რომელიც წარმოდგენილია ზარებითა და ქანდაკებით, სამწუხაროდ, აյ არ დგას დავით აღმაშენებლის ძეგლი რომელიც წამდვილად დაამშვენებდა ამ ადგილს. მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტუქტურის მოწყობა იგეგმება. დიდგორობის დღესასწაული ყოველი წლის 12 აგვისტოს იმართება.

ბეთანია

თბილისთან ახლოს, მდინარე ვერეს ხეობაში, ჯვარ-გუმბათოვანი ბეთანიის ეკლესია მდებარეობს.

ბეთანია წარმოადგენდა XII-XIII ს.-ში ერთ-ერთი დიდ ფეოდალური საგვარეულოს — ორბელების საძვალეს. ტაძრის შესახებ ისტორიული საბუთები თითქმის არ გვაქვს. ვახუშტი თრიოდ სიტყვით აღნიშნავს: “ლასტის ციხის ქვეით, სამხრით ყოვლად წმიდის მონასტერი ბეთანია, გუმბათიანი, მაგრას ადგილს, თამარ მეფის აღშენებული”. ძეგლის შესახებ ინფორმაციას ისევ ტაძრის არქიტექტურა და ფრესკები გვაძლევს. ოდესალაც მონასტრის ტერიტორია დიდი გალავნით იყო შემოზღუდული, ამაზე მეტყველებს გარშემო არსებული ქვიტკირის ლოდები. ძველი სავანიდან ჩვენამდე მოაღწია ღვთისმშობლის შობის გუმბათიანმა ეკლესიამ კარიბჭითა და საოცარი მოხატულობით, აგერთვე წმიდა გიორგის მცირე დარბაზულმა ეკლესიამ.

მთავარი ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანია. ტაძარს ორი შესასვლელი აქვს. დასავლეთ კიდეს მიშენებული აქვს კარიბჭე. მთავარ მორთულობას წარმოადგენს მოჩუქურთმებული სარკმლები და ფასადი. გუმბათის ყელში განლაგებული თორმეტი სარკმელი ტაძრის ინტერიერის განათების მთავარ წყაროს წარმოადგენს. ბეთანიის ღვთის-

მშობლის შობის ტაძარი, სავარაუდოდ, XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის დასაწყისში აიგო იმ ადგილას, სადაც X-XI საუკუნების პატარა ეკლესია იდგა. 1196 წელს იოანე ორბელის მეუღლემ — რუსუდანმა, მთავარი ტაძრის გვერდით მცირე ზომის წმინდა გიორგის ეკლესია ააგო. XIII საუკუნიდან მონასტერი უკვე სამეფო კუთვნილებას წარმოადგენდა.

ბეთანიის მოხატულობა, მიუხედავად დაზიანებებისა, საოცრად მდიდრულია. წარმოდგენილია ფერთა ფართო და დახვეწილი პალიტრა: მკვეთრი ალისფერი, იშვიათად მკვეთრი მუქი-ლურჯი ფერის ლილა-ქვა (ამ ფერითავა შევსებული თითქმის ყველა ფრესკის ფონი ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში), ოქრო — მეფეთა პორტრეტებზე. ტაძრის ჩრდილოეთ ფასადზე გამოსახულია თამარ მეფე მამასთან გიორგი III-სთან და შვილთან — ლაშა-გიორგისთან ერთად. ლაშა-გიორგის გამოსახულებას აქვს წარწერა — „გიორგი მეფეთ-მეფე და ძე თამარისი“. ყველა მათგანს თავზე გვირგვინი ადგას. თამარმა ლაშა თავის სიცოცხლეშივე — 1207 წელს თანამოსაყდრედ გაიხადა. საკურთხევლის კონქში წარმოდგენილი უნდა ყოფილყო „ვედრება“, რომლისგანაც მხოლოდ ტახტზე მჯდომი ქრისტეს ფიგურის ფრაგმენტებია შემორჩენილი. საკურთხევლის აფსიდის კედლებზე, კონქის ქვემოთ წინასწარმეტყველთა ფიგურებია მთელი ტანით გამოსახული გაშლილი გრაგნილებით ხელში, რომელზედაც ქართული წარწერებია, ცენტრში კი დავით წინასწარმეტყველია (მისი გამოსახვა ძველი გადმოცემითაა ნაკარნახევი, რომლის მიხედვით ქართველი ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად არიან მიჩნეულნი) [10.1].

ტაძრის ბრწყინვალე ნაწილია გუმბათის ყელი, სადაც თორმეტი სარკმელია გაჭრილი. გუმბათი რესტავრაციამდე ლორფინით (ქვის კრამიტი) იყო გადახურული, შემდეგ კრამიტით გადახურეს. ამჟამად ტაძარს თუნუქის სახურავი აქვს. გუმბათის მოხატულობა არ შემორჩენილა. ძირითადად მხატვრობა ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზეა. ტაძრის სამხრეთ კედელზე ბერის შესამოსელითა და ტაძრის მოდელით ხელში გამოხატულია ქტიტორის დიდი პორტრეტი — ეს არის სუმბატ მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი. იგი სამეფო კარის სხვა დიდებულებთან ერთად აუჯანყდა მეფე გიორგი III-ს. (ორბელთა აჯანყება). გადმოცემით, სიცოცხლის ბოლო წლები ყოფილმა დიდებულმა ბერმა სიმონმა (სუმბატ ორბელი) საგვარეულო საძვალეში — კარიბჭის ქვეშ მოთავსებულ აკლდამაში გაატარა და აქვე აღესრულა კიდეც.

ტაძრის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა. იგი სრულიად შემთხვევით, 1851 წელს გრიგოლ ორბელიანმა, ნადირობისას აღმოაჩინა. პოეტი ისე გააოცა ტაძრის სიღიადემ, რომ ლექსიც კი დაწერა: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. ძეგლის გასუფთავების შემდეგ, რაც მხატვარმა გ. გაგარინმა ითავა, გამოჩნდა თამარ მეფის ფრესკა. გ. გაგარინმა თავისი ხარჯებით აღადგინა როგორც თამარ მეფის ფრესკა, აგრეთვე დანარჩენი სხვა ფრესკებიც, გააკეთა მათი ჩანახატები.

XIX ს-ში ბეთანიაში მოვიდნენ ბერები, რომლებმაც დანგრეული ეკლესიის აღდგენა დაიწყეს. თავდაპირველად მოვიდა მღვდელ-მონაზონი სპირიდონი, რომელიც მარტო ცხოვრობდა მონასტერში, შემდეგ მას შეურთდა თოთხმეტი წლის გლეხი ბიჭი ვასილ მაისურაძე (შემდგომ უკვე არქიმანდრიტი იოანე) და მამა გიორგი მხეიძე. ბეთანიაში თანდათან აღდგა მონასტრული ცხოვრება. 1978 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მონასტერი აღადგინეს [19.1].

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

მცხეთა

თბილისის დასავლეთით, მტკვრისა და არაგვის შესართავთან საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა მდებარეობს. ხელ-საყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მსოფლიო სავაჭრო მაგისტრალის — აბრეშუმის გზის არეალში არსებობამ მნიშვნელოვანნილად შეუწყო ხელი მცხეთის გადედაქალაქებას. ქართული საისტორიო მნერლობა ქალაქის დაარსებას ქართველთა ეთნარქს — ქართლოსის შვილს — მცხეთოსს უკავშირებს: „და აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკვრისა და არაგვისასა და უწოდა სახელი თვისი მცხეთა [2.1] არქეოლოგიური მასალებით დგინდება, რომ მცხეთა და მისი მიმდებარე ვრცელი ტერიტორია ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. III-II ათასწლ.) მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, ხოლო ძვ. წ. I ათასწლეულში მომიჯნავე მიწების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა ქალაქად — დიდ მცხეთად — ქართლის (იბერიის) დედაქალაქად (ძვ. წ. IV-III ს.), რომელიც ორ ნაწილისგან შედგებოდა — „არმაზით კერძი ქალაქი“, „რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა და „მუხნარით კერძი ქალაქი“, რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროს მოიცავდა.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, როდესაც აზო თავის რვა სახლითა და მთავარი კერპებით გაცი და გაიმით წამოვიდა“არიან ქართლიდან“ „დაჯდა ძველ მცხეთას“ [2.2]. „ძუელი მცხეთის“ ადგილ-სამყოფელი ქართული წყაროების გათვალისწინებით არმაზი/არმაზციხე (იგივე ბაგინეთი) უნდა ყოფილიყო. ძველი მცხეთა გვაროვნული წყობის მესხურ პუნქტად მიაჩნია შ. მესხიას, ხოლო ახალი მცხეთა კი — იბერიულ-ქართულ ქალაქად და პოლიტიკურ ცენტრად [21.1]. მას შემდეგ, რაც ფარნავაზმა არმაზის კერპი დადგა ქართლის მთაზე, ძველი მცხეთა არმაზის სახელით მოიხსენიება. არმაზი თანდათან შენდებოდა და ძვ. წ. IV ს.-ის დასასრულსა და ძვ. წ. III ს.-ის დასაწყისში თანდათან წარმოიშვა არმაზის ციხე-ქალაქი თავისი შიდა ციხით [22.1]. უნდა აღინიშნოს, რომ ქართლის მთაზე ქართველთა ცხოვრება დაიწყო არა „არიან ქართლიდან“ გადმოსული


აზოს დროს, არამედ თარგამოსის ძე ქართლოსის თაოსნობით [11.1], ხოლო ქართლის სამეფო და მისი დედაქალაქი მცხეთა არსებობს ძვ. წ. IVსაუკუნიდან, როდესაც უკვე ჩამოყალიბებულია სახელმწიფო წყობა, არსებობენ საზოგადოებრივი კლასები, დაწინაურებულია სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და აღებ-მიცემობა{34.1]. „ქართლი“ ერქვა მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მთასა და მის სანახებს. ა. აფაქიძე თვლიდა, რომ მცხეთის წინამორბედი სახელი „ქართლი“ უნდა ყოფილიყო. არმაზი — „მოქცევაი ქართლისაის“ თანახმად იყო „ძველი მცხეთა“, სადაც არმაზის კერპის მარჯვნივ და მარცხნივ იყო აღმართულნი გაცისა და გაიმის კულტები. არმაზციხე (ბაგინეთი) ქართლის მეფეთა პირველი რეზიდენცია და იმავდროულად ქალაქის შიდაციხე — აკროპოლისი გახდა. (უკვე არმაზციხის ქალაქად გადაქცევის პროცესი ლეონტი მროველს ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან აქვს დაკავშირებული). ძვ. წ. III-I საუკუნეებში არმაზის მთაზე მშენებლობა გააფართოვეს ფარნავაზიანთა დინასტიის მომდევნო მეფეებმა: საურმაგმა, მირვანმა, ფარნაჯომმა და არტაგმა. არმაზციხის მოპირდაპირე მხარეს, მდინარე არაგვის მარცხენა სანაპიროზე მეფე ფარნაჯომმა მეორე ძლიერი ციტადელი ააგო — ზედაზენი და აღმართა კერპი ზადენი.

არმაზციხე (ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი მას არმოზიკედ იხსენიებდა) კოლხეთიდან, სომხეთიდან და ალბანეთიდან მომავალ გზებს აკონტროლებდა. ზადენის ციხე (იგივე წინამური, სტრაბონის მიხედვით სევსამორა) დარიალისა და არაგვის ხეობებით შემოსული ჩრდილოელი მომთაბარეებისგან იცავდა ქალაქს. „დიდი მცხეთის“ ცალკეულ უბანთა ციხეები, ამ ორ სიმაგრესთან ერთად, დედაქალაქის მთლიან სათავდაცვო სისტემას ქმნიდა. ქალაქს ჩრდილოეთიდან იცავდა ლართისკარ-ბებრისციხე, დასავლეთიდან — ციხე-დიდი-სარკინე, აღმოსავლეთიდან — ნაქულბაქევ-ზემო ავჭალის სიმაგრეები.

ძირითადად წინარეფეოდალური ხანის ქალაქების წარმოშობა დაკავშირებულია ციხეებთან და მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ცენტრებთან, სადაც ამავდროულად თავს იყრიდა ხელოსნურ-ვაჭრული მოსახლეობა [22.2].

მცხეთის უბნების: მცხეთა, არმაზციხე, მოგვთა უბანი, ურიათ უბანი, სარკინე, ლართისკარი, უკვე ქრისტიანული ხანის „მთავართა სანათლო“ ერთიანობაში ქმნიდა „დიდი მცხეთის“ ლართისკარის, ბებრისციხის, წინამურის (სევსამორა), სარკინეს, სამადლოს, ნასტაკისის სათავდაცვო ნაგებობებით.

ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა გაამაგრა ქალაქი, „მოზღუდა მცხეთა, და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი“ [2.1] და ქართლის მთაზე აღმართა კერპი არმაზი. კერპი იყო მეომარი სპილენძის ჯავშნით, ოქროს მუზარადითა და შუბით ხელში. კერპს ხელთ ეკავა გალესილი ხმალი. იგი წარმოადგენდა დუალურ ღვთაებას, რომელიც უზენაესი ღმერთის (ცის, ჭექა-ქუხილის, წვიმისა და მცენარეთა მბრძანებელი) და მეომარი ღმერთის ფუნქციებს ითავსებდა. ამ დროს მცხეთაში საკმაოდ აქტიური იყო სხვა რელიგიებიც, რასაც ადასტურებს ისტორიულ წყაროებში არსებული ცნობები ქალაქის უბნების შესახებ (მოგვთ უბანი, ურიათუბანი). ამიტომ არმაზის კერპის აღმართვა ფარნავაზისთვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე იყო, თუმცა ქრისტიანობის გავრცელებისთანავე არმაზის კულტი დავიწყებას მიეცა. ფარნავაზისა და მისი მემკვიდრეების დროს ქართულ წარმართულ პამთეონში ახალი კულტებიც დამკვიდრდა მცხეთაში: აინინა და დანინა, ზადენი. აშენდა თავდაცვითი და საკულტო ნაგებობანი. ამ პერიოდს განეკუთვნება არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი არმაზციხისა და პიტიახშის რეზიდენციის ნაგებობის ნამთები. არმაზი ციხის ფუნქციას ასრულებდა მცხეთის დედაქალაქობის პერიოდში. არმაზციხის გათხრებისას მიკვლეულია სამი ერთმანეთს მიყოლებული კულტურული ფენა. საფორტიფიკაციო კომპლექსი IV ს-ით და მომდევნო პერიოდით თარიღდება. შემორჩენილია გალავნის ნაშთები, კოშკები, ზღუდის შიდა ნაგებობები. კვლევებით დადგინდა, რომ არმაზციხე ორი ნანილისგან შედგებოდა: კარსნისხევისა და არმაზის მთასა და მტკვარს შორის არსებულ ტერასაზე გაშლილი ნაქალაქრისგან, რომელიც ამჟამად წარმოდგენილია სასახლის ან ტაძრის ტიპის სვეტებიანი დარბაზის ნაშთებით, მარნით, აბანოებით, წყალსადენით, სამარხებით [5.1]. სავარაუდოდ, არმაზისხევის სასახლე და საპიტიახშო უბანი IV ს-ში უნდა დანგრეულიყო. არმაზისხევის ერისთავთა სამაროვანის გათხრებისას აღმოჩნდა ორენოვანი წარწერა ე. წ. „არმაზის ბილინგვა“, რომელიც ბერძნულ და არამეულ ენაზეა შესრულებული (I-II ს.) აღმოჩენილია ასევე ერთენოვანი წარწერა-მონოლინგვა, სადაც მეფე ამაზასპია მოხსენებული (ჩვ. წ. აღ-მდე III ს.). აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლები მნიშვნელოვან ცნობებს წარმოადგენს ქართლის სახელმწიფოებრივი წყობის, პოლიტიკური ისტორიისა და ყოფა-კულტურის შესასწავლად. ამჟამად ტერიტორიაზე არქეოლოგიური საველე მუზეუმია.



ანტიკური პერიოდის მცხეთა. (გ. გამყრელიძე)

ანტიკური პერიოდის მცხეთა

დედაქალაქობის პერიოდის მცხეთა ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრი იყო. ამაზე მეტყველებს აღმოჩენილი რომაული, პართული, სასანიდური მონეტები. რომთან იბერიის სამეფოს აქტიური საგარეო ურთიერთობა ჰქონდა. მითრიდატული ომების დასასრულს, მითრიდატე ევპატორისა და სომხეთის მეფე ტიგრან II-ის და-

მარცხების შემდეგ მცხეთაში რომაელი სარდალი გნეუს პომპეუსი მოვიდა ძვ. წ. 65 წ.-ს. იბერიის სამეფოს შესაძლებლობები საკმაოდ მოკრძალებული იყო რომაელებთან შედარებით. ქართველთა მარცხით რომმა მაინც არ გააუქმა იბერიის სამეფო და არ ააოხრა ქალაქი მცხეთა, თუმცა პონტოს სამეფოს მარცხმა გზა გაუხსნა რომის აღმოსავლურ პოლიტიკას. ქართლი რომის პოლიტიკური მოკავშირე გახდა, რაც შემდგომ საუკუნეებშიც გაგრძელდა. ამას ადასტურებს | საუკუნის ე. წ. „ვესპასიანეს წარწერა,“ საიდანაც ვიგებთ, რომ რომის იმპერატორ ვესპასიანეს იბერთა მეფე მითრიდატეს-თვის ქალაქის ზღუდე გაუმაგრებია [25.1].

IV ს.-ში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების პერიოდს ემთხვევა წმინდა ნინოს შემოსვლა მცხეთაში და ქართველთა გაქრისტიანება. წმინდა ნინომ მცხეთაში კერპ არმაზის დღესასწაულის აღსანიშნავი რიტუალი იხილა. კერპმსახურების შემყურე წმინდანი ლოცულობდა და ევედრებოდა ღმერთს, მოევლინა სასწაული ამ ხალხისათვის და ეხსნა ისინი კერპმსახურების სიბნელისგან. წმინდა ნინოს სასწაულებმა მეფე მირიანი და ნანა დედოფალი ქრისტეს რჯულზე მოაქცია. 326 წელს ქართლში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა. ქრისტიანობის მიღებისთანავე მცხეთაში დაიწყო ქრისტიანული საკულტო წაგებობების მშენებლობა. მირიან მეფემ პირველი ქრისტიანული ტაძარი, წმინდა ნინოს მინიშნებით, იმ ადგილს ააშენა, სადაც „მეფეთა გონება მტკიცე არს“ [2.2] და „აღაშენა ეკლესია ქვემოი, სამოთხესა შინა“— ქრისტეს კვართის ადგილას. მცხეთა იერუსალიმის დარად იქმნებოდა.

ვახტანგ გორგასლის მეფობის (V-ს) დროს მცხეთას თბილისის სახით კონკურენტი გამოუჩნდა. თბილისის კარგმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ მოხიბლა მეფე და დაიწყო მშენებლობა ახალი დედაქალაქისა, რომლის „ზღუდენი განასრულა“ ვახტანგის შვილმა დაჩი უჯარმელმა. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის — ჯუანშერის თანახმად, VI ს-ის ბოლოსთვის სტეფანოზ ერისთავის მმართველობის დროს მცხეთა უკვე დასუსტებული ქალაქია, „მცხეთას მოაკლდებოდა და ტფილისი გაძლიერდებოდა, არმაზი აღოხრებოდა და კალა აშენდებოდა“ [2.3] თბილისი ქვეყნის დედაქალაქი გახდა, მაგრამ მცხეთა დარჩა რელიგიურ და საკათალიკოსო ცენტრად. მცხეთის სიახლოვეს ცამეტმა ასურელმა მამამ იოანე ზედაზნელმა და შიო მღვიმელმა მნიშვნელოვანი სასულიერო კერები დაარსეს.

არაბთა ბატონობის პერიოდში (მურვან ყრუს ლაშქრობების შემდეგ 735-738), მცხეთა უკვე ქალაქად აღარ იხსენიება, შემცირდა

მისი ტერიტორია. ძველ დედაქალაქში საეკლესიო ცხოვრება არც შემდგომ შეწყვეტილა. საუკუნეთა მანძილზე, ძნელბედობისა თუ ქართული სამეფოს სიძლიერის დროს, შენდებოდა და იხატებოდა ეკლესიები, მიმდინარეობდა ცხოველი სასულიერო და სამწერლო მოღვაწეობა. XIV ს.-ში მცხეთას დიდი ზიანი მაყენა თემურ ლენგის ლაშქრობებმა. მცხეთაში გაშლილი იყო ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშობა. ჩვენამდე მოღწეულია მცხეთის წიგნ-საცავის მრავალი მნიშვნელოვანი ნუსხა (მაგალითად, მცხეთური ხელნაწერი).

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ გატარებული ადმინისტრაციული დაყოფით მცხეთა დუშეთის მაზრის სოფლად იქცა, გაუქმდა ავტოკეფალია, მაგრამ სოფლად ქცეულ ქალაქს არ დაუკარგავს თავისი ისტორიული მისია, იგი ერის სულიერი ერთობის ქვაკუთხედად რჩებოდა და საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენაც 1917 წლის 25 მარტს მცხეთში — სვეტიცხოვლის ტაძარში მოხდა. მცხეთა ადმინისტრაციულად ჯერ დუშეთის მაზრაში შედიოდა, ხოლო შემდეგ თბისლისისაში. ცალკე რაიონად ჩამოყალიბდა საბჭოური მმართველობის დროს. მცხეთაში მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა მცხეთის ხელოვნებისა და ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი. ყოველი წლის 14 ოქტომბერს ტარდება სახალხო დღესასწაული „მცხეთობა“, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1991 წლიდან აღდგა.

მცხეთა საქართველოს იერუსალიმია, იგი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია და დაცულია იუნესკოს მიერ.

პომპეუსის ხიდი

მცხეთის ხიდი მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანსპორტო მაგისტრალის ნაწილს წარმოადგენდა საუკუნეების განმავლობაში; აქ თავს იყრიდა დარიალის ხეობიდან საქართველოს სამხრეთ საზღვრებამდე და შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო გზებიც. მტკვარზე გადებული ხიდი ელინისტური ეპოქიდან უნდა არსებობდეს, რასაც სტრაბონის ცნობებიც ადასტურებს [23.1].

ქართლის ცხოვრების თანახმად, იბერიის მეფე ფარნაჯომმა ძვ. წ. II-ი საუკუნეებში აღმართა ზადენის კერპი, დაარსა ქალაქი ნეკრესი, განამტკიცა ქალაქი მცხეთა [2.4].

ძვ. წ. 65 წელს გნეუს პომპეუსი პონტოს მეფე მითრიდატე ეპატორისა და სომხეთის მეფის ტიგრან II-ის დამარცხების შემდეგ ქართლისკენ გამოემართა. რომაელი ისტორიკოსის დიონ კასიუსის ცნობით, ქართლის მეფე არტაგმა პომპეუსთან მოსალაპარაკებლად ელჩი გაგზავნა, თავად კი ფარულად ალბანეთთან ერთად მის წინააღმდეგ საომარი ოპერაციისთვის მზადება დაიწყო. პომპეუსმა ეს შეიტყო, შეიჭრა იბერიის დედაქალაქში და მიადგა არმაზუიხეს. არტაგმა დატოვა რეზიდენცია და მტკვრის მეორე მხარეს გადავიდა მცხეთაში, მტკვარზე არსებული ხიდი კი გადაწვა, თუმცა პომპეუსს მალე დამორჩილდა და რომაელთა ჯარისთვის სანოვაგის მიწოდების და ახალი ხიდის აგების ვალდებულება აიღო. ხიდი აშენდა პომპეუსის ჯარისკაცების მიერ არტაგის სახსრებით. მალე არტაგსა და პომპეუსს შორის განახლდა მოლაპარაკება. პლუტარქე წერს, რომ ქართლის მეფემ რომაელ სარდალს ოქროს სარეცელი, მაგიდა და ტახტი უძღვნა. პომპეუსმა ქართლის მეფის ხელისუფლება ხელუხლებელი დატოვა და მას დაავალა კავკასიონის გასასვლელების გამაგრება. ხიდის სახელი ამ ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება.



პომპეუსის ხიდი

პომპეუსის ხიდის ყურში ქართლის მეფე ფარნაჯომს დაუსახლებია სპარსეთიდან ჩამოყვანილი მოგვები. სწორედ მათგან მიიღო ამ ადგილმა სახელწოდება „მოგვთაკარი“, ხოლო ხიდმა — „მოგვთა ხიდი“. მოგვთაკარი ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული უბანი იყო.

მცხეთაში მოსული წმინდა ნინო მოგვთა ხიდთან შეესწრო ცეცხლთაყვანისმცემელთა მსახურებას: „და ტიროდა წმინდა ნინო წარწყმედასა მას ზედა და იგლოვდა უცხოებასა თვისსა“ — გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრება“ [2.5].

ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს V საუკუნის II ნახევარში სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის სამზადისისას პომპეუსის, იგივე მოგვთა ხიდის თაღოვანი სარკმლებით განახლება და გაფართოება ჩატარდა. იოპან გიულდენშტეტმა საქართველოში მოგზაურობის დროს აღწერა მცხეთის საბაჟო ხიდი და დამცავი კოშკები (1771წ). ხიდი უკვე დაზიანებული ყოფილა და მისი მოხმარებისთვის აზნაური გედევანიშვილევი იღებდა საბაჟო გადასახადს, რომელიც ხიდის მოვლის საფასური იყო. ხიდი, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ დაზიანებული ყოფილა [1.1]. XIX ს-ში დაინგრა ხიდის სადარაჯო კოშკები, რის გამოც 1839-41 წლებში ახალი ხიდი იქნა აგებული. მის შუა საყრდენ ბურჯად, ფრანგმა იუინრებმა მცირე კლდოვანი კუნძული გამოიყენეს. აშენდა კაპიტალური, მაღალი, თაღოვანი, ოთხმალიანი ხიდი, რომელმაც 85 წელი იარსება. ხიდმა დაზიანებული სახით დღემდე მოაღწია. ზაჟესის მშენებლობასთან დაკავშირებით პომპეუსის ხიდი წყლით დაიფარა. სადგურში წყლის გაშვების შემდეგ შესაძლებელი ხდება ისტორიული მნიშვნელობის მოგვთა ხიდის (პომპეუსის ხიდის) დანახვა.

ბებრიციხე

არაგვის მარჯვენა ნაპრას, მაღალ მთაზე ბებრისციხე დგას. ციხე ადრე შუასაუკუნეებშია აგებული და ორნაწილიანია. მთავარ ციტადელს აკრავს დიდი ეზო, სადაც სამი კოშკი დგას. დღემდე შემორჩენილი ყველაზე დიდი კოშკი რამდენიმე სართულისგან შედგება. როგორც ჩანს, ციხეს თავდაცვით ფუნქციასთან ერთად საცხოვრებელი სახლის დანიშნულებაც ჰქონდა. კოშკებში შემორჩენილია ნიშებში მშვილდ-ისრისთვის განკუთვნილი ღრმა საბრძოლო ხვრელები, რათა მოისარს მარჯვედ სროლა შეძლებოდა. ხვრელების არსებობა ადასტურებს ციხის ადრეშუასაუკუნეებში აგების ფაქტს.

ციხის სახელთან დაკავშირებით არსებობს ლეგენდა: ოდეს-ლაც ეს მინა ეკუთვნოდა ვინმე თავად სიმონს, რომელიც გზისპირა ტერიტორიებს ფლობდა. მას ხეობის ვიწრო ადგილას აუგია სიმა-გრე და შიგ გზისმცველი ჩაუყენებია. თავადს ორი შვილი ჰყოლია — მაკრინე და მამუკა. მამის გარდაცვალების შემდეგ მამუკას დი-დაბლი გადასახადი დაუკისრებია ქვეშევრდომთათვის. მაკრინე გლეხებს გამოსარჩლებია და ძმისთვის უთხოვია გაეთავისუფლები-ნა ისინი გადასახადისაგან. გამძვინვარებულმა ძმამ მაკრინე კოშ-კში გამოამწყვდია. ერთ დღეს, როდესაც ყმებისათვის წყალწყალა საჭმელი მზადდებოდა, გამოჩენილან ყვავები და ქვაბში ჩაცვენი-ლან. ყმებს საჭმელი გადაუსხამთ, ამის შემხედვარე მამუკა გაბრა-ზებულა და გლეხებს დასაჭერად დადევნებია. უეცრად ქვაბიდან გველები ამოსულან და მამუკას შემოხვევიან. სასონარკვეთილი მამუკა ღმერთს შევედრებია: „ოღონდ მიხსენი და ეკლესიას აგი-გებო“. მხურვალედ ლოცულობდა ასევე კოშკში გამომწყვდეული მაკრინეც, რათა ძმა გადარჩენილიყო. ღმერთმა შეისმინა და-ძმის ვედრება. მაკრინე მონაზვნად აღიკვეცა, მამუკა კი — ბერად. რო-დესაც მაკრინე გარდაიცვალა, დასაფლავების დღეს მის ცხედარ-თან მივიდა თეთრწვერა მოხუცი, მიცვალებულს შუბლზე ეამბორა და ჩასჩურჩულა: „დაო ჩემო, ჩვენ შევასრულეთ ჩვენი აღთქმა“. ამ სიტყვების დასრულების თანავე მოხუცი ჩაიკეცა და სული განუტე-ვა, ამიტომ ეწოდება ციხეს „ბებრის ციხე“ [15.1].

ვახუშტის ცნობით, „მცხეთის ჩრდილოთ არის ციხე ბელტისა, ალაშენა არდამ ერისთავმან“ [4.1]. „ქართლის ცხოვრებაში“ ერთი საინტერესო ცნობაა დაცული, სადაც მოხსენებულია ასევე არდამ ერისთავი, რომელმაც „ალაშენა ქალაქი ზღვის-კარს და უწოდა სა-ხელი დარუბანდი... და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვითკი-რითა... ამანვე არდამ მოჰკიდა კირი-ზღუდე ციხესა არმაზისაა და აქეთ მტკუარამდის“ [2.6]. „ქართლის ცხოვრების“ ავტორი ლეონტი მროველი გვამცნობს, რომ არდამამდე ქართლში არ იცოდნენ შენო-ბათა ქვითკირით შენება, თუმცა მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ასე-თი ერისთავი უცნობია ისტორიისთვის.

ბებრის — იგივე ბელტის ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების დროს აღმოჩნდა ქვიშაქვითა და ალიზით ნაგები კედ-ლების წყობა, ანტიკური პერიოდის ჭურჭელი და ქვითა და ტალახით ნაშენი წრიული კედლის ნაშთი, რაც საკმაოდ საყურადლებო ფაქტია.

„ქართლის ცხოვრებაში“ ბებრის ციხესთან დაკავშირებით კი-დევ ერთი ცნობაა დაცული, საიდანაც ვიგებთ, რომ საქართველოს

მეფე დემეტრე I „ბელტის ციხეს მიიცვალა და გელათს წარიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა“ [2.7]. ბებრის ციხის ბელტის ციხესთან იდენტიფიცირება ნიკო მარს ეკუთვნის.

ანტიოქია

მცხეთის ერთ-ერთი უძველესი ტაძარია წმინდა სტეფანე პირველმონამის ეკლესია, რომელიც მტკვრისა და არაგვის შესართავთან, ვახტანგ გორგასლის პაპას — არჩილ მირდატის ძეს (V საუკუნის I ნახევარი) აუშენებია სპარსელების განდევნის შემდგომ — ნიშნად ღვთისადმი მადლიერებისა. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, არჩილმა განაცხადა მტერობა სპარსთა, გამოაჩინა ჯუარნი და მოკაზმა ეკლესიანი... აღაშენა ეკლესია სტეფანწმიდისა მცხეთას, კართა-ზედა არაგვსათა“ [2.8]. სტეფანე იყო ქრისტეს სამოცდაათ მოციქულთაგანი, პირველი ადამიანი, რომელმაც ქრისტესთვის სიცოცხლე განირა. მისი ქადაგებით სულ უფრო მეტი იუდეველი ხდებოდა ქრისტეს მიმდევარი, წმინდანი სავსე იყო დიდი მადლითა და უამრავ სასწაულსა ახდენდა. იუდეველებმა სტეფანე შეიძყრეს, ქალაქებრეთ გაიყვანეს და ქვებით ჩაქოლეს. გადმოცემის თანახმად, წმინდა სტეფანე 30 წლის იყო, როდესაც აწამეს. ქრისტიანულმა ეკლესიამ მას პირველმონამე უწოდა.

ანტიოქიის ტაძრის ზღურბლში ბერძნულენოვანი წარწერა გვამცნობს ტაძრის ხუროთმოძღვრის შესახებ. ხუროთმოძღვარი ყოფილა ბერძენი ოსტატი ავერლიოს აქოლიოსი — მცხეთის მთავარი ხუროთმოძღვარი და მხატვართუხუცესი [26.2]. ტაძრის ზღურბლში აღმოჩენილია ქვიშაქვის დიდი ფილა ბერძნული წარწერით და განეკუთვნება IV-V საუკუნეებს — „მე ვარ ანი და ჰოე. გააკეთა აქილევსმა“... (ფილა დაცულია მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმში). თუ რატომ ეწოდა ტაძარს ანტიოქიის სახელი, ჩვენთვის უცნობია.

ტაძარი სხვადასხვა დროს აშენებული ნაგებობისგან შედგება: VII-VIII საუკუნეების დარბაზული ეკლესისგან, კარიბჭისა და XVI-XVII საუკუნეების თავდაცვითი კოშკისგან, რომელზეც სათოფურების მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი. ანტიოქიის ტაძარი მურვან ყრუს შემოსევების დროს (735-738 წწ.) გადაიწვა. მოგვიანებით მოხდა ტაძრის აღდგენა. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით,

სტეფანწმიდის ტაძარი გადაეცა სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერს. ტაძარში წირვა-ლოცვა აღევლინება.

სვეტიცხოველი

მტკვრისა და არაგვის შესართავთან ქართული კულტურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი — 54 მეტრი სიმაღლის სვეტიცხოველია აღმართული. ტაძრის ისტორია განუყოფელია საქართველოს ისტორიული წარსულისგან.

სვეტიცხოვლის ტაძარი ნაგებია ნაცრისფერ-მოყვითალო და მოწვანო ქვიშაქვით და ტუფის კვადრატებით. ზოგიერთი არიტე-ქტურული ელემენტის ხაზგასმის მიზნით წყობაში გამოყენებულია ღვინისფერი და მწვანე ქვები, რაც განუმეორებელ ელფერს სძენს ტაძარს, რომელიც მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა ფერად წარმოდგება მზის სხივების დაცემის შედეგად.

სვეტიცხოველს სამი კარიბჭე ჰქონდა; ჩრდილოეთ და სამხრეთ კარიბჭეები XIX ს-ში ააფეთქეს. დღეს, ტაძრში მოხვედრა ორსართულიანი დასავლეთის კარიბჭითაა შესაძლებელი, რომელიც აგებულია 1029 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკ I-ის ბრძანებით. შესასვლელის თაღის ზემო ნაწილში, ქვისგან ნაკვეთი ხარის თავების სკულპტურული გამოსახულებებია. ხარი ადრებრინჯაოს ხანიდან მთელ საქართველოში გავრცელებული კულტია, რომელიც მიწათმოქმედების სიმბოლოს წარმოადგენს. წინაქრისტიანულ ტრადიციებში ხარი საქართველოში სხვადასხვა ეტაპზე მზის, მთვარის ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების ღვთაებას წარმოადგენდა, ხოლო ქრისტიანობაში მისი სიმბოლო შეერწყა წმინდა ბასილისა და წმინდა გიორგის სახისმეტყველებას. ხარის კულტი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ქრისტიანულ რელიგიაშიც შეაღწია [32.2]. შესაძლებელია, ხარი წარმოდგენილი იყოს, როგორც ერთ-ერთი მახარობელი (იოანეს გამოცხადების მიხედვით ხარი, ანგელოზი, ლომი და არწივი — ოთხი მახარებლის სახეებია).

სვეტიცხოვლის ტაძარს გარს აკრავს კვადრატული ფორმის გალავანი, რომელიც აგებულია 1787 წელს ერეკლე II-ის ბრძანებით, რასაც ადასტურებს სამხრეთის შესასვლელის თავზე ამოკვეთილი წარწერა, საიდანაც ირკვევა, რომ ერეკლეს ძველი გალავნის ფრაგმენტებიც გამოუყენებია ახალი გალავნის მშენებლობისას. რო-

გორც პ. ზაქარაია თვლის, გალავანი სვეტიცხოველს მას შემდეგ უნდა ჰქონოდა, რაც იგი ვახტანგ გორგასალმა საკათედრო ტაძრად გადააქცია. მურვან ყრუს ლაშქრობების შედეგად სვეტიცხოველი დაზიანდა და შესაძლოა, მისი გალავანიც მოინგრა, ვინაიდან არაა შემორჩენილი ძველი გალავნის ნაშთები [15.2]. გალავანი ორსართულინია და შედგება ბანის, სათოფეებისა და სალოდეებისგან. გალავანში ექვსი ცილინდრული და ორი ოთკუთხა კოშკია. გალავნის ეზოში დგას კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკ I-ის სასახლე, რომელიც XI ს-ით თარიღდება. არქეოლოგიური კვლევებიდან დადგინდა, რომ სასახლე დაშენებულია უფრო ძველ კულტურულ ფენაზე, არქეოლოგიური კვლევის დროს გამოვლინდა რიყის ქვის კედელი და IX ს-ის კერამიკული მასალა. კათალიკოსის სასახლე რამდენჯერმე იქნა გადაკეთებული და აღდგენილი. ბოლოს იგი როსტომ სანის (1633-1658 წწ.) მეფობის დროს შეაკეთეს. შემდგომ პერიოდში სასახლე მთლიანად დაიგრა. რესტავრირებულია სამხრეთ მხარე და დანარჩენი კი დაკონსერვებულია ცოკოლის სიმაღლეზე. გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მდებარეობს ქვის ორსართულინი შენობა, რომელიც წარმოადგენდა XVIII ს-ის ქართველი კათალიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის რეზიდენციას.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით I საუკუნეში იერუსალიმიდან მცხეთელმა ებრაელებმა — ელიოზ მცხეთელმა და ლონგინოზ კარსნელმა მცხეთაში უფლის კვართი ჩამოიტანეს. ელიოზს მისმა დამ, სიდონიამ კვართი გამოართვა, გულში ჩაიხუტა და მაშინვე სული განუტევა. სიდონია კვართთან ერთად დაკრძალეს. მის საფლავზე კედარი ამოვიდა. წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანობის ქადაგებისა და ქართლის მოქცევის შემდგომ ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა კედრის აღმოცენების ადგილას ტაძრის აგება გადაწყვიტა. კედარი მოკვეთეს და მისგან ტაძრის ასაშენებელი შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი სვეტი ტაძრის საფუძველში ჩააბრძანეს, მეშვიდე კი ჰაერში გაჩერდა და ადგილიდან ვერ დაძრეს. წმინდა ნინომ მთელი ღამე ლოცვაში გაატარა და დილით მოხდა სასწაული: ანგელოზის სახიანი ჭაბუკი გადმოვიდა ციდან, მისი შეხების შედეგად სვეტი განათდა, შეერწყა მიწას და მისგან მირონმა დაიწყო დენა. სვეტს უნიდეს სვეტი ცხოველი-ანუ ცოცხალი სვეტი, საიდანაც წარმოადგება ტაძრის სახელიც. მირიან მეფის მიერ აშენებეული ტაძარი ხისა იყო [2.9]. ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს V საუკუნის II ნახევარში, როდესაც ქართლის ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა, სვეტიცხოვლის ტაძარი საკათალიკოსო ცენტრი გახდა და

მისი პირველი ხის შენობის ადგილას აშენდა ქვის დიდი სამნავიანი ბაზილიკა. ჯუანშერის ცნობით: „მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტი ცხოველი“ [2.10].

ქართული მიწების გაერთიანებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის შემდგომ მისმა პირველმა კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ I-მა, ხუროთმოძღვარ არსუკიძეს ძველი სვეტიცხოვლის ადგილას ახალი, დიდი ჯვარგუმბათოვანი კათედრალი ააგებინა. ტაძრის ცენტრალური თაღის ქვეშ მოთავსებულია მარჯვენა მკლავის რელიეფური გამოსახულება გონიოთი, რომლის ორივე მხარეს წარწერაა: „ხელი მონისა არსუკიძისაი, შეუნდეთ“. ტაძრის კურთხევიდან მოყოლებული დღემდე სვეტიცხოველი არის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია.

1283 წელს საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელმაც სვეტიცხოვლის ტაძარი ძლიერ დააზიანა: „დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი, სახლნი... მცხეთის საყდარიცა დაიქცა“ [3.2], ჩამოიქცა გუმბათის ყელიც. ტაძარი გიორგი ბრწყინვალემ აღადგინა. სვეტიცხოველი ვახუშტის ცნობით „იავარ ჰყვეს სპათა ლანგთემურისათა“ [4.2]. თემურ ლენგისაგან დაქცეული ქვეყნის აღდგენა ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) დროს დაიწყო. მისი მეფობისას სვეტიცხოვლის ტაძარი კაპიტალურად შეკეთდა. XVII ს-ში როსტომ ხანის მეუღლემ — მარიამ დედოფალმა ტაძრის გუმბათი კვლავ აღადგინა [29.1].

ტაძრის გაღავნის კარიბჭის პორტალზე ამოკვეთილი XIX საუკუნის წარწერა გვამცნობს, რომ კარიბჭე განაახლა საქართველოს ეგზარქოსმა ვარლამმა. რუსული მმართველობის დროს ტაძრის ფასადები მოაინგრიეს. ეგზარქოსმა ეგვენი ბაჟენოვმა მისი ფრესკებიც კი შეათეთრებინა, რადგან არ უნდოდა ისინი ენახა იმპერატორ ნიკოლოზ I-ს, რომლის ჩამოსვლასაც ელოდნენ საქართველოში 1837 წელს. ქართული დაზიანებული კანკელი ჩაანაცვლეს მაღალი, ხის სამიარუსიანი რუსული არიქიტექტურისათვის დამახასიათებელი იკონოსტასით, რომელიც სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვრულ სახეს მთლიანად ცვლიდა (მოგვიანებით იგი ისევ ქართული ტიპის კანკელით შეიცვალა). XIX ს-ის 40-იანი წლებიდან დაიწყო ტაძრის რესტავრაცია და იგი პერიოდულად დღემდე მიმდინარეობს. სარესტავრაციო სამუშოების ჩატარების დროს აღმოჩნდა პირველი ხის ეკლესიის საძირკვლის ნაშთი, ვახტანგ გორგასლის დროინდელი ბაზილიკის კედლისა და ბურჯის მოჩუქურთმებული ნანილი, რომელიც მინითაა დაცული.

სვეტიცხოვლის გარე ფასადი და კარ-სარკმელთა მორთულობა ძირითადად ძველია და მდიდრული ორნამენტებითაა შემკული, თუმცა მაინც ეტყობა სხვადასხვა დროს შეკეთების კვალიც. ტაძრის დეკორატიულ მორთულობაში მნიშვნელოვანი ადგილი ფიგურულ რელიეფებს უკავია: ხარის თავს, ლომისა და არწივის გამოსახულებებს, მფრინავ ანგელოზებს. დასავლეთის ფასადზე სამფიგურიანი რელიეფია, სადაც წარმოდგენილია ქრისტე, რომლის მარჯვნივ განთავსებულია ანგელოზი სურით, ხოლო მარცხნივ — ანგელოზი სეფისკვერით. ეს არის ამაღლებისა და მეორედ მოსვლის კომპოზიცია. ამ კომპოზიციასთანაა კავშირში კედლის განაპირას არსებული მცენარეთა რელიეფური გამოსახულებები — სიცოცხლის ხე.

ტაძარში შესვლისთანავე თვალწინ იშლება გრანდიოზული სივრცე — გუმბათის ყელის თორმეტი სარკმლიდან უხვად იღვრება მზის სხივები. შესასვლელშივე, მარჯვნივ, ქვის სანათლავი ემბაზია, რომელიც ქართველთა გაქრისტიანების დროინდელი უნდა იყოს. ემბაზი ადრე მოოქროვილი ყოფილა. ტაძრის ზედა ნაწილში ყოფილა სამალავები, სადაც ავბედობის ჟამს თავს აფარებდნენ, მალავდნენ ტაძრის განძეულობასა და მდიდარ ბიბლიოთეკას. დაბლიდან კარგად მოჩანს ერთ-ერთი საიდუმლო სამალავში შესასვლელი, სადაც საფრთხის შემთხვევაში თოკის კიბით ჩადიოდნენ, რის შემდეგაც ხატით ფარავდნენ ღრმულს. საკურთხევლის მარცხენა მხარეს ქვის კიბეებია, რომლებსაც გუმბათზე ავყავართ [8.1]. ტაძრის ინტერიერში დგას მცირე ზომის გუმბათიანი ეკლესიის მოდელი, რომელიც უნდა გამოხატავდეს იერუსალიმის მაცხოვრის საფლავზე აღმართულ ტაძარს, რომელიც XV საუკუნისაა და ადრე კათალიკოსის საპრძანის წარმოადგენდა, თუმცა დღეს უკვე ამ მიზნით აღარ გამოიყენება, რადგან ახლა, კათალიკოსის კათედრას წარმოადგენს ტაძრის ინტერიერის ცენტრში მოთავსებული სავარძელი.

ტაძრის დასავლეთ ნაწილში, ძველი საყრდენი ბურჯის ადგილას, დგას თავად „სვეტიცხოველი“, უყელო გუმბათითა და აგურის პირამიდული სახურავით. აქ ინახებოდა სასწაულმოქმედი სვეტი. სვეტზე გამოსახულია სახარების სიუჟეტები და ქართლში ქრისტიანობის გავრცელების ამსახველი სცენები. სვეტის გუმბათის სფეროში ქრისტეა გამოსახული. თაღების კუთხეები მცენარეული ორნამენტებითაა მორთული. მხატვრობა შესრულებულია XVII ს-ში კათალიკოს ნიკოლოზ ამილახვრის თაოსნობით მხატვარ გრიგოლ გულჯავარას შვილის მიერ.

მელქისედეკ კათალიკოსის მიერ აშენებული ტაძარი მთლიანად იყო მოხატული, მაგრამ დღეს მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი, დანარჩენი კი გვიანდელია. ტაძრის გუმბათის სფეროში გამოხატულია ქრისტე მახარობლებით და დაზიანებული ბერძნული წარწერით. გუმბათქვეშ ბურჯზე გამოსახულია მარიამ დედოფალი (როსტომ ხანის მეუღლე) შვილთან ერთად. ტაძრის ერთი წარწერა, რომელიც ჩრდილოეთ კედელზე, თაღის აღმოსავლეთითაა იაკობის კიბის კომპოზიციასთან, გვამცნობს, რომ მხატვრობა შესრულებულია კათალიკოს იოანე დიისამიძის თაოსნობით (XVII ს-ის ბოლო). ტაძრის სამხრეთ კედელზე ფრესკული ეტლთა რკალია გამოსახული. ეტლს ძველ ქართულად ზოდიაქოს ნიშნებს უწოდებდნენ. ფრესკაზე თანმიმდევრობით განლაგებული თორმეტი ეტლი თორმეტი მოციქულის გამოსახულებით არის წარმოდგენილი, ხოლო ანგელოზები და ოთხი ცხოველი წმინდა წერილის გაცხადებაა: „და ყოველნი ანგელოზნი დგეს გარემოის საყდრისა... და ოთხთა მათ ცხოველთაისა... „...და პირველი იგი ცხოველი მსგავსი იყო ლომისა, და მეორე ცხოველი მსგავსი იყო კუროისა, და მესამე ცხოველსა აქუნდა პირი კაცისა, და მეოთხე მსგავსი არწივისა მფრინველისა“. დისკოს ცენტრში მაცხოვარს მარცხენა ხელში ნახევრადგაშლილი გრაგნილი უჭირავს და გარშემო ანგელოზთა დასია გამოსახული. ვარსკვლავების, მზისა და მთვარის კომპოზიციას ხსნის ბერძნულად შესრულებული წარწერა — „აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა. აქებდით მას ყოველნი ძალი მისნი, აქებდით მას ყოველნი ანგელოზნი მისნი, აქებდით მას მზე და მთვარი, აქებდით მას ყოველნი ვარსკვლავნი“. სამხრეთ კედელზეა გამოსახული საზღვაო თემატიკის ამსახველი აფრიანი ხომალდი ოქროსფერჯვრიანი მენამული ფერის დროშებით. სხვადასხვა ტიპის წყლის ცხოველები და თევზები, მითოლოგიური სირინოზები, ქალთვეზები, ზღვის ქარის პერსონიფიკაციები, აპოკალიფსური ფანტასტიკური ცხოველი ქალის შეიდი თავით, ავაზა დაწინწელული სხეულით. როგორც მკვლევარი მ. გაბაშვილი აღნიშნავს, აფრიანი ხომალდები ქართული დროშებით, საქართველოს, შავ ზღვასა და საერთაშორისო პოლიტიკაში არსებულ ვითარებას ასახავენ.

ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელზე გამოსახულია მოწამეობრივად აღსრულებული კახეთის დედოფალი ქეთევანი შვილი-შვილებთან — აღექსანდესა და ლევანთან ერთად. ჩრდილო-დასავლეთის სვეტის შიდა მხარეზე მოთავსებულია მამაკაცის ფიგურა ცხოველის თავით. ესაა დიდმოწამე ქრისტეფორე, რომელიც III ს.-

ში ეწამა ქრისტიანობისთვის. გადმოცემის თანახმად, ქრისტეფორე ლამაზი ჭაბუკი ყოფილა და მისი სილამაზე საცდური რომ არ გამხდარიყო, ღმერთს სთხოვა, რომ უსახურ-ექმნა იგი.

სვეტიცხოველი წარმოადგენდა ქართველ მეფეთა განსასვენებელს. ისტორიული წყაროების მიხედვით ტაძარში დაკრძალული უნდა იყოს დავით ულუ, დემეტრე თავდადებული, გიორგი VII, გიორგი VIII, ალექსანდრე დიდი, სიმონ I და სხვანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ ვახტანგ გორგასლის, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის საფლავებმა მოაღწიეს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ 14 ოქტომბერს დაწესებულია სვეტიცხოვლობა და ქრისტეს კვართის სადიდებელი დღესაწაული. სვეტიცხოველი იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

ჯვარი

მცხეთის აღმოსავლეთით, მტკვრისა და არაგვის შესართავთან, კლდოვან მთის წვერზე ჯვრის მონასტერი დგას. იგი მოხდენილადაა შერწყმული არაგვისა და მტკვრის ხეობების პეიზაჟთან. ქართველმა ხუროთმოძღვარმა არა მარტო მთის დამამთავრებელი კომპოზიცია მოძებნა, არამედ მან შეკრა ამ მიდამოების მთელი ლანდშაფტი [14.1].

ნინიდა ნინოს მიერ ქართლში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ დაიწყო საქართველოში ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა. მირიან მეფემ კლდოვან მთაზე ახლადმიღებული რელიგიის სიმბოლოდ ჯვარი აღმართა, რომელიც არა მარტო ქართველთა, არამედ მთელი კავკასიის მოსახლეობის თაყვანისცემის ადგილი გახდა. VI საუკუნის დასაწყისიდან სასანიდურმა ირანმა ქართლში მეფობა გააუქმა და ქრისტიანობის დევნა განაახლა. ირანელთა ეს წარმატება დიდხანს არ გაგრძელდა და მალე მთელ სამხრეთ კავკასიაში აჯანყებამ იფეთქა. ქართლში აჯანყებას სათავეში ჩაუდგა გუარამ ერისთავი, რომელსაც ბიზანტიის იმპერიატორი იუსტინიანე II ეხმარებოდა. ირანის შაჰმა პორმიზიდ IV-მ აჯანყება დაამარცხა, მაგრამ იძულებული გახდა, გურგენი ქართლის ერისთავად ეცნო. ბიზანტიის იმპერიატორმა კი მას ტიტული — კურაპალატობა უბოძა. გურგენ კურაპალატმა, ქრისტიანობის გაძლიერების მიზნით მირიან მეფის მიერ დადგმული ჯვრის ჩრდილოეთით პატარა ეკლესია აა-

შენა თაღოვანი შესასვლელით, ჯვაროვანი კამარით გადახურული. ეკლესიაში ჯვრის გამოსახულებიანი თაღოვანი ნიშით, რომელშიც სავარაულოდოდ კათალიკოსის ტახტი უნდა მდგარიყო [5.1].

VII საუკუნის დასაწყისში გუარამ კურაპალატის შვილის, სტეფანოზ I-ის დროს ქართლმა სრული დამოუკიდებლობა აღიდგინა და მის მიერ მოჭრილ მონეტაზე მაზდეანური სიმბოლოს ნაცვლად კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი გამოსახა, რომელსაც ქართულად საკუთარი სახელი წააწერა. სტეფანოზმა მცირე ტაძრის გვერდით ააგო ადრეფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი დიდი ტაძარი, რომელმაც სათავე დაუდო ჯვრის ტიპის ტაძრების მშენებლობას საქართველოში. შენობის ბირთვს შეადგენს კვადრატი, რომლის თავზეც აღმართულია რვაწახნაგოვან ყელზე დამყარებული გუმბათი. გუმბათია მთელი შიგა სივრცის დომინანტი და განსაზღვრავს ყველა სხვა ნაწილის ფორმასა და პროპორციებს. გუმბათის ყელზე მუხლმოდრეკილი ვედრების პოზაში გამოსახული ხუროთმოძღვრის რელიეფური ქანდაკება.

ტაძრის ფასადზე გამოსახულია სტეფანოზის სახლის წევრების: ძმის — დემეტრეს, შვილის — ადარნესესა და შვილიშვილის — ქობულ-სტეფანოზის რელიეფური ქანდაკება წარწერით. ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე გამოსახული მუხლმოდრეკილი სტეფანოზი რელიეფის წარწერაზე პატრიკიოსადაა წოდებული: „ჯუარო მაცხოვრისაო, სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შეინყალე“. ტაძარში შესასვლელ სამხრეთ ფასადზე ჯვრის ამაღლების სცენაა გამოსახული [29.2]. ტაძრის, ცენტრში დგას რვაწახნაგა ნაგებობა, რომელიც წარმოადგენდა ჯვრის კვარცხლბეკს. აქ იდგა მირიან მეფის მიერ დადგმული ჯვარი, რომლის გამოც აიგო ჯვრის დიდი ტაძარი“ [2.18]. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, მცხეთის მოპირდაპირე მხარეს, კლდის მაღალ მთაზე, ერთი ხე იდგა, რომელიც საოცარ სურნელს გამოსცემდა. ამ ხეს ხალხი სასწაულთმოქმედ ხეს ეძახდა, რადგანაც დაჭრილი ნადირი ან ფრინველი მის ფოთოლს თუ შეჭამდა, მაშინვე იკურნებოდა. „ვითარ ნათელი იღეს მეფემან, და დედოფალმან, და შვილთა მათთა და ყოველმან ერმან მაშინ დგა ხე ერთი ადგილსა ერთსა, კლდესა ზედა ბორცვსა შეუვალსა, და იყო ხე იგი მშუენიერი ფრიად და სურნელი“. მირიან მეფის ძემ რევმა ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევითა და ერის თანხლებით, სასწაულთმოქმედი ხე მოაჭრევინა და მცხეთაში წამოაბრძანა — „მის ხისაგან ჯერ არს შექმნდა ჯუარი პატიოსანი, რომელსა თაყუანის-ცეს ყოველმან სიმრავლემან ქართლისა-

მა“ [2.19]. წმინდა ხისგან დამზადდა სამი ჯვარი, ერთი აღიმართა მცხეთის ჯვრის ტერიტორიაზე, იქ, სადაც ქვის კვარცხლბეკი დგას ჯვრისთვის. მეორე — თხოთის მთაზე, იქ, სადაც მირიან მეფეს მზე დაუბნელდა და მესამე — უჯარმაში. ეს განმარტოებული ჯვარი, რომელიც მცხეთის არემარეს თავს დაჰყურებდა და ყოველი მხრიდან ჩანდა, დედაქალაქის მკვიდრთ ახალი, მათთვის ჯერ კიდევ იდუმალებით მოცული, სარწმუნოების ძალასა და უძლეველობას შთააგონებდა. მას მარტო ქართველები კი არ სცემდნენ თაყვანს, არამედ კავკასიის სსვა ქრისტიანი ერებიც [9.1].

ჯვრის ნაგებობას წყობაში ჩართული ჰქონდა ქვა წარწერებით, რომელშიც მოხსენებული არიან ქტიტორები (ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში). ტაძარში რამოდენიმე ოთახია: სამკვეთლო, სადიაკვნე და საქალებო. ერთ-ერთი ოთახის თავზე ქრისტეს ამაღლების სცენის რელიეფია გამოსახული. ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული მცირე ოთახი ერისმთავრის ოჯახის წევრებისთვის იყო განკუთვნილი. ტაძრის იატაკი ქვის კვადრატებითაა მოგებული.

ჯვრის ტაძარი თავდაპირველად მოუხატავი იყო, საკურთხევლის კონქი მოზაიკით უნდა ყოფილიყო მორთული. ინტერიერში შემორჩენილი მხატვრობის მცირე ფრაგმენტები მოწმობს, რომ ტაძარი გვიან მოუხატავთ. XVII-XVIII სს-ში, საქართველოში ლეკტა გახშირებული შემოსევების გამო, ჯვრის მონასტერს გალავანი შემოარტყეს. დღემდე შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები და ზღუდეში ჩართული ნახევრად დანგრეული კოშკები. 1997-1998 წლებში გალავანი ნაწილობრივ აღადგინეს. ჯვრის ეკლესიას ფასადთა პერანგის გათლილი ქვის მოვარდისფრო-ქვიშისფერი განსაკუთრებულ ჰარმონიას სძენს.

საქართველოში ჯვარგუმბათოვანი არქიტექტურის პირველი საუკეთესო ნიმუში — მცხეთის ჯვრის მონასტერი — შეტანილია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

სამთავრო

სამთავროს დედათა მონასტერი შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ბრნყინვალე ნიმუშია. ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა. სამონასტრო კომპლექსს განეკუთვნება გალავანი, რომელიც XIX საუკუნისაა, ძველი გალავნიდან შემორჩენილი XVIII საუკუნის კოშკი, XV-XVI საუკუნეების სამსართულიანი სამრეკლო

და წმინდა ნინოს ეკლესია (მაყვლოვანი). ტაძრის გუმბათის სფროში და კედლებზე შემორჩენილი მხატვრობა XVII ს.-ს განეკუთვნება [31.1].

ტაძრის აგების ზუსტი დრო უცნობია, თუმცა ვახუშტი მირიან მეფეს თვლის სამთავროს აღმშენებლად: „მირიანვე აღაშენა ეკლესია მაცხოვრისა ღვთაებისა, სამთავრო, ქვიტკირისა, გუმბათიანი, დიდშუენიერი“ [4.3]. ლეონტი მროველი კი ასე მოიხსენებს: „საკურთხეველი ზემოსა ეკლესიასა საეპისკოპოსო“ [2.11]. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების შემდგომ ვახტანგ გორგასალს აქ დაუსვამს ეპისკოპოსი. ისტორიული ცნობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ უკვე V ს.-ის II ნახევრისთვის ტაძარი საეპისკოპოსოა.

სამთავროს ტაძრის ტერიტორიაზე ქართველთა გაქრისტიანებამდე ქართლის ერისთავთა სამყოფელი და სამეფო ბალები ყოფილა. ქრისტინობის საქადაგებლად მცხეთაში ჩამოსული წმინდა ნინო სწორედ აქ — სამეფო ბალებში „სამოთხესა მას მეფისასა“ დასახლდა. წმინდა ნინო საქართველოში ჯავახეთის ზეგანით მოვიდა იმ დროს, როდესაც ქართველები კერპთაყვანისმცებმლები იყვნენ. მაყვლოვანში დასახლებულმა წმინდანმა მრავალი სასწაული მოახდინა. განკურნა სნეულებაში მყოფი ნანა დედოფალი, რომელმაც ამ სასწაულით ირწმუნა ქრისტე. წმიდა ნინომ მრავალი უძლური მოარჩინა. მირიან მეფემ წმინდა ნინოს შეწევნით იწამა ქრისტე და ქართველნიც გააქრისტიანა. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, მირიან მეფე ანდერძისამებრ დაკრძალულია“ ზემო ეკლესიასა, საშუალსა სუეტსა სამხრითსა, ჩრდილოთ-კერძო“ [2.20]. მირიანის გვერდით დაკრძალულია ნანა დედოფალიც. სამთავროს ფერისცვალების ეკლესიაში პირველი ქართველი ქრისტიანი მეფეების საძვალე ერთერთ წმინდა ადგილად ითვლება.

საქართველოში 1283 წელს, მონლოლთა ბატონობისა და მეფე დემეტრე II-ის მეფობის უამს, ძლიერი მიწიძვრა მოხდა. მიწისძვრის შედეგად ქვეყანამ უდიდესი ზარალი განიცადა. უამთააღმწერლის ცნობით, ალდგომის სიხარულის მომლოდინე ქვეყანას „რისხვით მოხედნა ღმერთმან... საფუძველითურთ შეიძრა ქუეყანა... დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი, სახლნი... მცხეთის საყდარიცა დაიქცა“ [3.2]. მცხეთის საყდარში სვეტიცხოველი იგულისხმება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ არც სამთავრო გადაურჩებოდა ასეთ დამანგრეველ მიწისძვრას — „ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დაუქვევარი“ [3.3]. ტაძრების აღდ-

გენა გიორგი V ბრწყინვალეს მეფობის უამს მოხდა. უამთა სიავის გამო სამთავროში გაუქმდა მონასტრული ცხოვრება.

საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ეგზარქოს თეოფილაქეს ათმა მონაზონმა თხოვნით მიმართა და გაუქმებული მონასტრული ცხოვრების აღდგენა ითხოვა. 1820 წელს ნინო ამილა-ხვრის წინამძღვლობით საფუძველი ჩაეყარა სამთავროს დედათა მონასტერს [32.1].

სამთავროს ტაძარში დაკრძალულია წმინდა ასურელი მამა აბი-ბოს ნეკრესელი, რომელიც VI საუკუნეში სხვა მამებთან ერთად ჩამოვიდა ქართველთა ქრისტიანობაში განსამტკიცებლად. ერთხელ, როცა მოგვები აიძულებდნენ ქართველებს, თაყვანი ეცათ ცეცხლისთვის, წმინდა მამამ ველარ მოითმინა, ცეცხლს წყალი დაასხა და ჩააქრო. მღვდელმთავრის ასეთმა მოქცევამ სპარსელები განარისხა. მათ შეიპყრეს აბიბოსი, სასტიკად ცემეს, ქვით ჩაქოლეს და ქალაქის გარეთ დაგდეს. ღამით რეხის მღვდლები და ბერები მივიდნენ და მღვდელმონამის ცხედარი სამთავისის მონასტერში დიდი პატივით დაასაფლავეს. ქართლის ერისთავის, სტეფანოზის დროს მისი უხრწენელი ნაწილები სამთავისიდან მცხეთის სამთავროს მონასტერში გადაასვენეს და წმიდა ტრაპეზის ქვეშ დაკრძალეს [28.1]^[2].

სამთავროს ტაძარში მოღვაწეობდა წმინდა ბერი მამა გაბრიელი. მამა გაბრიელი მცხეთის დედათა მონასტრის ტერიტორიაზე არსებულ კოშკში, მცირე კელიაში ცხოვრობდა. 1995 წლის 2 ნოემბერს არქიმანდრიტი გაბრიელი გარდაიცვალა. იგი ანდერძისამებრ დაკრძალულია ბერ-მონაზვნური წესით, ჭილოფეში გახვეული, მცხეთის დედათა მონასტრის სასაფლაოზე. არქიმანდრიტი გაბრიელის სისხლი, რომელიც ექიმმა-ქირურგმა ზურაბ ვარაზაშვილმა აიღო ანალიზის ჩასატარებლად — დღემდე უხრწენელია. მამა გაბრიელის საფლავზე ჩაუქრობელი კანდელიდან აღებულ ზეთს სასწაულებრივი კურნების მადლი აქვს. ფერისცვალების ტაძარში ღირსი მამა გაბრიელის სულიერი შვილის, არქიმანდრიტ კირიონის მიერ გაკეთდა წმინდა მამის ლუსკუმა. ძალიან ბევრი მომლოცველი მოდის ღირსი მამა გაბრიელის წმინდა ნაწილებთან, სადაც უამრავი სასწაული და კურნებები აღესრულება.

2. ისტორიულ-გეოგრაფიული ტოპონიმიკიდან ცნობილია სამი რეხა — ერთი წალკის მახლობლად, ორიც შიდა ქართლში — გორის მახლობლად და კასპის რაიონში, ლეხურას ხეობაში. სხვადასხვა მკვლევარები ქართლის მარზპანის რეზიდენციას და აბიბოსის წამების ადგილს ამ სამთაგან სხვადასხვა რეხაში ათავსებენ.

მონასტერში მრავალი სიწმინდე ინახება: სვეტიცხოვლის მორონდინარე სვეტის წმინდა ნაწილი, სამთავროს ივერიის ღვთის-მშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც 1912 წელს, ათონის ივერთა მონასტერში დაიწერა მღვდელ-მონაზონ პავლე ჯაფარიძის თხოვნით. აქვეა დაბრძანებული წმინდა ნინოს სასწაულმოქმედი ხატი, ხატი ტაძარს შესწირეს ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის — გიორგი XII-ის შვილიშვილებმა 1870 წელს.

მაყვლოვანი, წმინდა ნინოს ეკლესია

სამთავროს ტაძრის აღმოსავლეთით, იმ ადგილას, სადაც ქართველთა განმანათლებელი ჩუმად ლოცულობდა IV საუკუნეში, მეფე მირიანმა წმინდა ნინოს სახელზე ეკლესია ააშენა უგუმბათო, მცირე ზომის: „აღვაშენე ეკლესია მაყულოვანსა მას შინა ნინოსა“. ტაძრის ინტერიერი უხეშადაა მოხატული წმინდა ნინოს ამსახველი კომპოზიციებითა და სხვა სიუჟეტებით [31.2].

ქართლში მოსული წმინდა ნინო მცხეთაში, სამეფო ბალის მცველის სახლში ცხოვრობდა; საცხოვრისი რამდენიმე ხნის შემდეგ დატოვა და ქალაქის ზღუდის გარეთ დაბინავდა მაყვლის ბუჩქებიან ადგილას. სამი წლის განმავლობაში მაყვლოვანში მცხოვრებმა წმინდანმა ვაზის რტოთაგან თავის თმებით ჯვარი შეკრა და ფარულად ლოცულობდა. წმინდა ნინომ გაიცნო მცხეთელ ჰურიათა მღვდელი აბიათარი, მისი ასული სიდონია და კიდევ ექვსი დედა, რომელნიც მაღევე ქრისტეს რჯულზე მოაქცია, მაგრამ, რადგან მღვდელი არ იყო, ნათლისდების საიდუმლო არ ჩაუტარებიათ. ნინომ უფლისგან კურნების ნიჭი მიიღო. ის ჯვარცმული მაცხოვრის სახელითა და ვაზის ჯვრის მადლით კურნავდა სწეულთ.

XIX ს.-ს დასაწყისში, როდესაც მოხდა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის გაუქმება, დაიხურა დედათა მონასტრებიც. თავადის ქალმა ნინო ამილახვარმა ეგზარქოს თეოფილაქტესგან აიღო ნებართვა, რამდენიმე განდეგილ დედასთან ერთად აეგო სენაკები და სამთავროში დასახლდა. მონაზვნები მხოლოდ შემოწირულობებით ცხოვრობდნენ, სოფლის ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ და მცირე გასამრჯელოსაც იღებდნენ, ასე ჩაეყარა საფუძველი სამთავროს დედათა მონასტერს. 1827 წელს მონაზვნებს აღუდგენიათ წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია და 1828 წლის 14 იანვარს, წმიდა ნინოს ხსენების დღეს, მის სახელზევე უკურთხებიათ. ნინო ამილა-

ხვარი გარდაიცვალა 1839 წელს. იგი დაკრძალულია „მაყვლოვანში“, წმიდა ნინოს ეკლესიასთან. ქვაზე ამოკვეთილია წარწერა: „ლოდი ესე ჰეფარავს სავანესა თავადის ქაიხოსრო ამილახვრის ასულის მონიზონისა ნინასასა, რომელმაც დააარსა მონასტერი ესე 1820 წელს და გარდაიცვალა 1839 წელს თებერვალსა 11-ს“ [36.1].

მაყვლოვანის წმინდა ნინოს ტაძარი და მაყვლის ბუჩქები მრავალჯერ იქნა დარბეული და ამოძირკუული. საბჭოთა პერიოდში მუავაც კი ჩაასხეს, რათა ბუჩქს არ გაეხარა. მაყვლის ბუჩქი სასწაულად ხარობდა და დღესაც ახარებს და კურნავს წმინდა ნინოს ლოცვით სრულიად საქართველოს.

შიომღვიმე

მცხეთასთან ახლოს, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, უდაბნო ადგილას მცირე გამოქვაბულში „დაყუდებით“ დამჯდარა ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი — წმინდა შიო მღვიმელი, რომელიც წარმოშობით ანტიოქიიდან იყო და იზრდებოდა ლვითისმოსავ აზნაურთა ოჯახში. ჭაბუკობის პერიოდში წმინდა მამა იოანე ზედაზნელის მონაფეთა შორის ჩაირიცხა, ბერად აღიკვეცა და უდაბნოში ოცი წელი გაატარა მამა იოანესთან ერთად. უანგარო მოღვაწეობისა და მორჩილებისთვის მამა შიოს კურნების ნიჭი მიენიჭა. ლირსმა მამა იოანემ ზეგარდმო ჩვენება მიიღო და „ათორმეტი მონაფითურთ“ ივერიის ქვეყნის ქრისტეს სარწმუნოებაში განსამტკიცებლად ქართლისკენ წამოვიდა. ასურელი მამების პირველი შემოსვლა საქართველოში მოხდა VI საუკუნის I ხახევარში.

ამ პერიოდში ქართლი ირანის უღელქვეშ იმყოფებოდა. ძლიერდებოდა მაზდეანობა და მონოფიზიტური ქრისტიანობა. ასეთ რთულ პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ვითარებაში მოვიდა ასურელ მამათა ერთი ნაწილი ქართლში. მამებმა თავდაპირველად ზედაზნის მთაზე დაიდეს ბინა. კათალიკოს ევლავიოსისა და მამი იანეს კურთხევით წმინდა მამები სხვადასხვა კუთხეში წავიდნენ საქადაგებლად. შიო მღვიმელმა მცხეთის მახლობლად, სარკინეთის კლდეებში იპოვა მღვიმე და იქ დაიწყო მოღვაწეობა. ლეგენდის თანახმად მღვიმეში დაყუდებულ შიოს საკვებს მტრედები უზიდავდნენ ნისკარტით. დაყუდებულ ბერს ლვითისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი გამოეცხადნენ და ამ ადგილას სამონასტრო თემის დაარსება უწინასწარმეტყველეს — „იქმნეს უდაბნო ესე აღსავ-

სე კაცთა მიერ“ [28.2]. მალე უდაბნოში მრავალი ბერ-მონაზონი მოვიდა და აიგო იოანე ნათლისმცემლის ნახევრად მიწაში ჩაფლული ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია. მიუხედავად XI და XVIII საუკუნეების მინაშენებისა, ეკლესიამ დღემდე შეინარჩუნა თავისი თავდაპირველი სახე. 1010-1033 წლებში კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ I-მა ეკლესიაში გააკეთებინა კანკელი, რომელიც შედგება ოთხი მოჩუქურთმებული ფილისაგან. კანკელზე რელიეფური გამოსახულებებია — ძველი აღთქმის სქემა, ჯვარცმა, წმიდა სიმეონ მესვეტე და მართა, წმიდა შიომა და ევაგრეს შეხვედრა (მცხეთელი დიდებული, რომელიც წმიდა შიომ ბერად აღკვეცა). ეს რელიეფები შუა საუკუნეების ქართული სკულპტურის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს განეკუთვნება (დაცულია ხელოვნების მუზეუმში).

შიო მღვიმის სამონასტრო კომპლექსი სხვადასხვა დროს ტერასებად განლაგებული ნაგებობებისაგან შედგებოდა: შიო მღვიმელის თავდაპირველი სამყოფელი და სასაფლაო — ეკლესია, იოანე ნათლისმცემლის ტაძარი, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, ჯვრისამაღლების დარბაზული ეკლესია, მღვიმები ბერთათვის, რომელიც მტრის შემოსევების დროს საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. ბერები თავდაპირველად ბუნებრივ გამოქვაბულებს იყენებდნენ, ხოლო როდესაც გაიზარდა მონასტრის მამათა რიცხვი, თავად კვეთდნენ მღვიმებს. მღვიმები ჰორიზონტალურ მნიჭივს წარმოადგენს და თითოეულში 3-4 გამოქვაბულია. დაკავშირება ხის კიბეებით ხდებოდა [9.2].

იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მშენებლობის დასრულების შემდგომ მამა შიომ თავისი სულიერი მამის, იოანე ზედაზენელისა და საქართველოს კათალიკოსის ლოცვა-კურთხევით შეკრიბა მონაფეები, მისცა მათ წესი, დაუნიშნა წინამდოვრად ღირსი ევაგრე და მის მიერვე გათხრილ მღვიმეში განმარტოვდა. ევაგრე მხოლოდ კვირაობით ესაუბრებოდა მას. ღირსმა მამამ მღვიმის შესასვლელი ამოაშენებინა, მხოლოდ ვიწრო ხერელი დაატოვებინა, საიდანაც პურსა და წყალს თოკით აწვდიდნენ. ასეთ ღვანლში გაატარა 15 წელი და იქვე აღესრულა. ანდერძის თანახმად შიო მღვიმელი ამავე ადგილას დაკრძალეს. ვახუშტის თქმით, „არს მღვიმესა შინა საფლავი წმინდისა შიოსი სასწაულმოქმედი, რომელსა გარემოსა მისა ვერ იკადრებს მხეცნი შეჭმად პირუტყუთა მონასტრისათა“ [4.10]. XI ს.-ში შიო მღვიმის მონასტერი თურქ-სელჩუკთა შემოსევების შედევად იქნა დარბეული. საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ (1027-1072წ.) მონასტერს დახმარების მიზნით ტერიტორიები შესწირა. წმინდა

შიოს განსასვენებელ ადგილს კი ეკლესია დააშენა მონასტრის წინამძღვარმა მიქაელმა (1072-1123 წწ.) [31.3].

შიომღვიმის მონასტრის თავი შეაფარეს დავით IV-ის მოწინააღმდეგე ფეოდალმა ძაგან აბულეთისძემ და მისმა ძმამ ეპისკოპოსმა მოდისტოსმა. მეფისა და ქვეყნის ორგული ფეოდალები მონასტრის მამებმა მეფეს გადასცეს. მეფემ ერთგულებისთვის მონასტერი მთლიანად თავის საპატრიონოდ გამოაცხადა და ღვთისმშობლის გუმბათიანი ტაძარი ააგო. დავით IV-მ ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელობა არსენ იყალთოელს დაავალა და მონასტერს შეუვალობა და დიდალი ქონება უბოძა. თამარის ეპოქაში მონასტრის მამულები გაიზარდა და გამდიდრდა უხვი შემოწირულობებით. 1202 წელს თამარ მეფის ბრძანებითა და ანტონ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თაოსნობით შიო მღვიმეში წყალსადენი გაიყვანეს. 1225 წელს საქართველოში ჯალალ-ად-დინის ლაშქრობისას მონასტერი დაარბიეს ხვარაზმელებმა.

XV საუკუნეში გიორგი VIII-მ ერთგულების სანცვლოდ მონასტერი ზედგინიძე-ამილახვართა საგვარეულოს გადასცა. გადმოცემის თანახმად, იოთამ ზედგენიძემ გაიგო მეფე გიორგი VIII წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შესახებ და შესთავაზა მეფეს, რომ იმ დამეს თავად დაწვებოდა მის ლოგინში. მეფემ მიიღო იოთამის რჩევა. შეთქმულებს იოთამი მეფე ეგონათ და მოკლეს იგი. გიორგი VIII-მ დამნაშავენი დასაჯა, ხოლო იოთამის უფროს ვაჟს „მიუბოძა ციხენი და მამულნი და სპასპეტობა ქართლისა, მოურავობა გორისა და სასაფლაო სამთავისი და კარისა თვისისა ამილახორობა მსახურებისათს მამისა მისისა“ [20.1]. ამიტომ ამილახვრები შიო მღვიმის მონასტრის თავდადებული მშენებლები გახდნენ. შემდგომ საუკუნეებში მონასტრისთვის მზრუნველობა არ მოუკლია საქართველოს არც ერთ მეფეს.

XI-XIV საუკუნეებში შიო მღვიმის მონასტერში მიმდინარეობდა საგანმანათლებლო საქმიანობა, იწერებოდა და ითარგმნებოდა წიგნები. დღემდე შემორჩენილია აქ მოღვანე კალიგრაფების მიერ მხატვრულად გაფორმებული ხელნაწერები. მონასტრის ბიბლიოთეკაში ხელნაწერთა დიდი ფონდი არსებობდა. 1614-1618 წლებში შაჰ აბას I-ის ლაშქრობების დროს შიო მღვიმის მონასტერი სასტიკად იქნა აოხრებული და გაძარცვული; სავარაუდოდ, დავით აღმაშენებლის მიერ აგებული ტაძარიც მაშინ უნდა დანგრეულიყო. გადმოცემის თანახმად დამპყრობლებმა შიო მღვიმელის წმიდა ძვლები ირანში წაიღეს. იმ წელს სპარსეთში ჭირის ეპოდემიამ იფეთქა. შეშინებულ-

მა სპარსელებმა ამის მიზეზად წმიდა შიოს ნაწილებისადმი უპატი-ვცემულო დამოკიდებულება მიიჩნიეს და ისინი კვლავ მონასტერში დააბრუნეს. მტრისაგან დანგრეული მონასტრის საძირკველზე გივი იოთამის ძე ამილახვარმა ახალი სამნავიანი ბაზილიკა ააგო 1678 წელს, ხოლო მისმა შთამომავალმა გივი ამილახვარმა 1733 წელს ტა-ძარი ხელახლა შეაკეთა, იოანე ნათლისცმცემლის ტაძარში სარკმე-ლი გაჭრა, რითაც წმინდა შიო მღვიმელის განსასვენებელი ტაძარს დაუკავშირა.

ნადირ შაჰის ლაშქრობების დროს მონასტერი კვლავ იქნა დარ-ბეული და გაძარცული. ხშირად ქართველებიც ლებულობდნენ მონაწილეობას ამ ვანდალიზმში. ამდენი შემოსევების შედეგად მონასტერი დასუსტდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ შიომღვიმე ჯერ ქვათახევის მონასტერს დაე-ქვემდებარა, 1822-27 წლებში კი თბილისის ფერისცვალების ეკლე-სიას. XIX ს.-ის ბოლოსთვის მონასტერს ჩუტარდა რესტავრაცია, რომლის დროსაც მთლიანად განადგურდა ძველი მხატვრობა და შეიცვალა ტაძრის იერ-სახე. შიო მღვიმეში მოქმედი მამათა მონას-ტერია.

ზედაზენი

მცხეთის აღმოსავლეთით არის „მთა-ჯვარ ზედაძნისა“. ზედა-ზენზე სამონასტრო ცხოვრების დაწყებამდე მის სიახლოვეს ქარ-თული წარმართული პანთეონის ერთ-ერთი ძლიერი ზადენის კერპი აღუმართავს მეფე ფარნაჯომს ძვ. წ II ს.-ში — „შექმნა კერპი სახე-ლით ზადენ და ამართა ზადენს“ [2.4]. მირიან მეფე დიდი თაყვანს სცემდა წინაპართა ღმერთებს, როგორც “დიდთა ნაყოფთა მომცე-მელნი და სოფლის მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წვმისა მომცე-მელნი და ქუეყანისა ნაყოფთა განმზრდელნი ღმერთი ქართლისა-ნი, არმაზ და ზადენ“ [2.17]. საინტერესოა, რომ ამ კულტის შესახებ ხალხურმა რწმენამ არათერი არ შემოინახა, არ ჩანს არც ადამიან-თა და არც გეოგრაფიულ სახელებში. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ყველა წარმართული კერპი განადგურდა.

VI საუკუნეში საქართველოში მოვიდნენ ასურელი მამები, რათა ქართლში ქრისტიანობა განემტკიცებინათ. მამების წინამძღვალი იოანე იყო. ღირსმა მამამ განათლება ანტიოქიაში მიიღო, ახალგა-ზრდობაშივე ბერად აღიკვეცა და უდაბნოში დაიწყო მოღვაწეობა.

ერთხელ მას ღვთისმშობელი გამოეცხადა და ურჩია საქართველოში წასულიყო თავის რჩეულ მოწაფეებთან ერთად. ქართლში მოსული მამები თავდაპირველად ზედაზნის მთაზე დამკვიდრდნენ. ისინი მოკრძალებულად ცხოვრობდნენ და დროს გამუდმებულ ლოცვაში ატარებდნენ. იოანემ მამები სხვადასხვა მხარეს გაუშვა ქრისტიანობის საქადაგებლად, თავად კი ზედაზნის მთაზე დარჩა დიაკონ ილიასთან ერთად [28.3], რის გამოც ზედაზნელი ეწოდა.

იოანე ზედაზნელი ლრმა მოხუცებულობაში გარდაიცვალა და მისმა მოწაფეებმა და თანამოღვაწეებმა იოანე ჯერ თათა სტეფან-წმინდელის მონასტერში — ქასურის წმინდა გიორგის სამნავიანი ბაზილიკაში დაკრძალეს, რომელიც მდებარეობს ზედაზნის მთის ფერდზე, ტყეში. ხოლო შემდეგ, წმინდანის ანდერძის თანახმად, „დიდითა პატივითა აღიყვანეს ადგილსავე თვისსა და მითვე ლუსკუმითა დაასუენეს ნაწილი მისნი და შემდგომად მისსა აღაშენეს ეკლესია“. იოანე დასაფლავებული იყო მისთვის საგანგებოდ აშენებულ ეგვტერში. VIII საუკუნის 70-იან წლებში კათალიკოსმა კლემენტოსმა აქ ააგო სამნავიანი ბაზილიკა იოანე ნათლისმცემლის სახელზე და მასში ჩართო იოანეს ეგვტერი, როგორც ბაზილიკის ჩრდილოეთ ნავის შემადგენელი ნაწილი. კათალიკოსობამდე კლემენტოსი ჯერ ზედაზნის, ხოლო შემდგომ შიო მღვიმის წინამძღვარი იყო. ბაზილიკა ნაშენია რიყისა და ნატეხი ქვით. იოანე ზედაზნელის ლუსკუმა ერთი მესამედით საკურთხეველშია შეჭრილი. აქვეა წყლის აუზიც. ბერებს წყლის შორი მანძილიდან მოტანა უწევდათ. ტაძარში შემორჩენილია მხატვრობის ძლიერად დაზიანებული ფრაგმენტები. შემდგომ საუკუნეებში მონასტერი გამშვენდა და კეთილმოენყო. IX საუკუნის პირველ ნახევარში აქ აშენდა ბაზილიკის კარიბჭე, სადიაკვნე, „მარანი ქვითკირითა“. ეკლესიის სამი მხრიდან შემოვლებული გალავანი XVIII საუკუნით თარიღდება. ტაძარზე წარწერების უქონლობა არ გვაძლევს საშუალებას, დავადგინოთ ქტიტორები [6.1].

XI საუკუნემდე ზედაზნის ციხე და მონასტერი კახეთ-ჰერეთის სამეფოს კუთვნილებაში იყო. დავით IV-მ თურქ-სელჩუკთა მარბიელი რაზმების დამარცხების შემდეგ დაიწყო ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის კახეთ-ჰერეთის შემოერთებით, კერძოდ, ზედაზნის ციხით „წარულო კვირიკეს ციხე ზედაზნისა“. ერთი წლის შემდეგ კვირიკე გარდაიცვალა და გამეფდა მისი ძმისშვილი აღსართანი. XV საუკუნეში ზედგინიძეების საგვარეულოს გაძლერებისას საგურამოსა და ზედაზნის ტერიტორია მათ მფლობელობაში

შევიდა და მონასტერი ზედგენიძე-გურამიშვილების საგვარეულო საძვალე გახდა. 1705 წელს აქ სამონასტრო ცხოვრება დროებით შეწყდა. XVIII საუკუნეში აიგო სამრეკლო და ბერის საცხოვრებელი სენაკი. ამავე საუკუნეში ეკლესია განაახლა კათალიკოსმა დომენტიმ. XIX საუკუნეში ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის წინამძღვრობის დროს, კვლავ განახლდა სამონასტრო ცხოვრება. ეკლესია გადახურეს „რკინის სახურავით“, დასავლეთის კედელში გაჭრეს შესასვლელი, მოაწყვეს გასასვლელი საკურთხევლიდან სამკვეთლოში და სხვა. 1889 წელს ეკლესია შეაკეთა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ. 1915-22 წლებში მონასტერი გაპარტახდა. 1970-1971 წლებში ჩატარა აღდგენითი სამუშაოები, შეკეთდა აფსადები, შეიცვალა გადახურვა, გახსნეს იოანე ზედაზნელის საფლავი და დაადგეს ახალი ქვა, ინტერიერში შეკეთდა კედლები, მოანგრიეს ეკლესის გვიანდელი მინაშენები, ტერიტორია გაიწმინდა და კეთილმოიწყო, ნაწილობრივ შეკეთდა გალავანიც. ზედაზნის მამათა მონასტერი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლია.

წილკანი

შუასაუკუნეების საქართველოში წილკანი მთის ხეობაში შესასვლელი წინაკარი იყო. წილკუნელები ფშავის არაგვის ხეობაში — წინაფშავში მოსახლეობდნენ. მუხრანის ვაკეზე მდებარე თანამედროვე სოფელი წილკანი დასახლებულია გვიანბრინჯაოს ხანიდან. ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო ამ ისტორიული მხარის ეკონომიკურ დაწინაურებას. ქრისტიანობის გავრცელებამდე აქაური მოსახლენი წარმართნი იყვნენ. ქართლის ცხოვრებიდან ვგებულობთ, რომ წმინდა ნინო, ეპისკოპოს იოანეს-თან ერთად, მთის მოსახლეობის გასაქრისტიანებლად წავიდა, წობენს დადგა (დღევანდელი არაგვის მარცხენა მხარე ჟინვალთან) და იქიდან მოუწოდა „ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა“, მიეღოთ ჭეშმარიტი სარწმუნოება; „ხოლო მათ არ ინებეს ნათლისძება“ [2.21] და მეფის ერისთავმა „მცირედ წარმართა მახვილი... შემუსრა კერპნი მათნი“. მთიელთა გაქრისტიანების პროცესი დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა ეტაპობრივად. „უმრავლესნი კავკასიანნის“ გაქრისტიანება მირიან მეფის შვილის — ბაქარის დროს მოხდა და მან „აღაშენა ეკლესია წილკანისა“ [2.13].

იყო თუ არა დაარსებიდანვე წილკანი საეპისკოპოსო ტაძარი, წყაროების სიმცირის გამო ვერ ხერხდება, მაგრამ აქ უკვე VI ს.-ის დასაწყისში, 506 წელს, ქ. დვინის საეკლესიო კრების ოქმში ქართველ მღვდელმთავართაგან წილკნელი ეპისკოპოსი ენოქიც იხსენიება. ცოტა მოგვიანებით ევლავიოს კათალიკოსმა წილკნის ეპისკოპოსად თორმეტ ასურელ მამათგან ერთ-ერთი — ისე წილკნელი აკურთხა. ლირსი მამა, სხვა მამათა მსგავსად, სასწაულებს ახდენდა. მან მდინარიდან წყალი გამოიყვანა და ტაძრამდე მიიყვანა. ისე წილკნელმა მრავალი ხალხი მოაქცია ქრისტეს რჯულზე. წმინდა მამა წილკნის V-VI ს. მიჯნაზე ღვთისმშობლის სახელზე აგებულ სამნავიან ბაზილიკაშია დაკრძალული. მტრის შემოსევების შედეგად წილკნის ტაძარი დანგრეულა და იგი მოგვიანებით გუმბათიან ტაძრად გადააკეთეს. ტაძარი სხვადასხვა დროის სამ ნაგებობას აერთიანებს: დარბაზულ ეკლესიას, სამნავიან ბაზილიკასა და გუმბათოვან ტაძარს, რომლის ყელი თორმეტწახნაგიანია. ყოველი გადაკეთებისა და აღდგენის დროს შეიცვალა ტაძრის ინტერიერისა და ფასადების ორნამენტები. მიუხედავად იმისა, რომ ბაზილიკის დროინდელი ორნამენტები განიცდის სასანიდური ხანის ირანული კულურული ტრადიციების გავლენას იგი ეროვნულ ნიადაგზეა შესრულებული. ღვთისმშობლის ტაძრის გალავანი XVIII საუკუნეს განეკუთვნება, მის ყველა კუთხეში წრიული სათოფურებიანი კოშკებია განლაგებული.

წილკნის ეკლესიის უდიდესი სიწმინდეა უძველესი სასწაულმოქმედი ხატი — „წილკნის ღვთისმშობელი“. წმინდა ხატი ლუკა მახარებლის მიერაა შესრულებული ბეთლემის ბაგის იმ ფიცარზე, სადაც ჩვილი მაცხოვარი ინვა. ქართული წერილობითი წყაროებითა და ზეპირი გადმოცემით წმინდა ხატისგან აღსრულებული მრავალი სასწაულია ცნობილი. „წილკნის ღვთისმშობელი“ ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება, ხოლო წილკნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში წმიდა ხატის ასლია დაბრძანებული.

წილკნის საეპისკოპოსო ტაძარი ერთ-ერთ ძლიერ დომენს წარმოადგენდა, თუმცა პერიოდულად შედიოდა ხან ქართლისა და ხან კახეთის შემადგენლობაში. ქართველ მღვდელმთავართა შორის წილკნელებს მეცხრამეტე ადგილი ეკავათ დიპტიხით. მეფე-მთავრები დიდ დახმარებას უწევდნენ ტაძარს და სწირავდნენ მამულებს. [35-1] მას შემდეგ, რაც საქართველო სამეფოებად დაიშალა (XV ს-ის II ნახ.), ეპარქის ტერიტორიამ გარკვეული ცვლილებები განიცადა.

წილკნის სამწყსოს დიდი ნაწილი ალავერდის ეპარქიას დაექვემდებარა. XVI-XVII საუკუნეებში საქართველოში მტრის გამუდმებულმა თავდასხმებმა დასახლებული ტერიტორიებიდან ხალხის აყრა და გადასახლება გამოიწვია, დაეცა აეკონომიკა, დიდი ფეოდალები იტაცებდნენ ერთმანეთის მამულებს. შიდა და გარე მტრებთან ბრძოლისას საწილების საზღვრები შემცირდა. 1669 წელს დომენტი კათალიკოსოსა და მეფე ვახტანგ V შაჰნავაზის ბრძანებით შედგენილ სიგელში აღნიშვნილია არაგვსა და ქსანს შორის საწილკნოსთვის კუთვნილი ორმოცდათამდე სოფელი. ამ სიგელიდან ვიგებთ, რომ საწილკნო ჯერ კიდევ ძლიერ საეპისკოპოსოს წარმოადგენდა. რუსეთის მიერ საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმებით წილკნის საეპისკოპოსო ჯერ სამთავრისის, შემდეგ ნიქოზის ეპარქიას მიუერთეს. 1917 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, განახლდა წილკნის ეპარქიაც. ლვთისმშობლის მიძინების ტაძარი მოქმედი ტაძარია [31.4].

საგურამო

ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის ხერკისა და თეძმის ხევის ტერიტორიაზე „საგურამო ანუ თეზმის ხევი“ მდებარეობს. ისტორიულად ტერიტორია კახეთის საქორებიკოპოსოში შედიოდა VIII-IX საუკუნეებში. დავით IV-ის მიერ კახეთის შემოერთების შემდეგ, ამ მხარეზე კონტროლი საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ აიღო და ტერიტორიის ნაწილი სვეტიცხოველსა და შიო-მღვიმის მონასტერს უბოძა. თამარ მეფის დროს ხერკი კვლავ სამეფო სახლის გავლენის ქვეშ იყო, მისი ნაწილი კი სამოხელეოდ იყო გადაცემული. ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ (XV ს.) ხერკი კახეთის ერთ-ერთ სადროშოში შევიდა. კახთა მეფემ — ალექსანდრე I-მა ხერკის ნაწილი გურამ ზედგინიძეს უბოძა. ზედგინიძეთა საგვარეულოს სათავე ქვეყნისთვის მოწამეობრივად აღსრულებულმა იოთამმა დაუდო. თუმცა გვარის გენეალოგია უფრო ადრე ინყება. იოანე ბატონიშვილის ცნობით ძვ. წ. 65 წელს, პომპეუსის ქართლში ლაშქრობისას, ერთ-ერთი რომაელი მხედარი, რომელიც ქართლში დარჩა, არის ზედგინიძეთა წინაპარი. მისმა შთამომავლებმა ჯერ აზნაურის, ხოლო შემდეგ თავადის წოდება მიიღეს: „გვართა წარჩინებულებისა გამო მიიღეს თავადობა დროსა გიორგი მეფისასა წელსა ქრისტეს აქე 1150 და იწოდებოდნენ ზედგენიძეთ“. ზედგი-

ნიძეთა საგვარეულოს მრავალი განშტოება აქვს. ერთ-ერთი შტოა ამილახვრების შტო (ამირახორი სახელო იყო სამეფო კარზე). ისინი მდინარეების — რეხისა და მეჯუდის სანაპირო ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ და ახალდაბის ციხე, შიომღვიმისა და სამთავისის მონასტრები მათ საგვარეულო მფლობელობაში შევიდა. გურამიშვილების საგვარეულოს კი გურამ ზედგინიძემ ჩაუყარა საფუძველი და იმ ადგილს, სადაც იგი სახლობდა, გურამიანთკარი, იგივე საგურამო ეწოდა.

საგურამოს ტერიტორიაზე რამდენიმე დარბაზული ეკლესია დგას. თითქმის ყველა რიყის ქვითა ნაგები. ღვთისმშობლის ეკლესიაში, რომელიც სოფლის სასაფლაოზეა, შემორჩენილია ფრესკების ნაშთი. საგურამოს თავადი იყო დიდი ქართველი დიდაქტიკოსი დავით გურამიშვილი, რომელიც თავის პოემა „დავითიანშიც“ წერს: „მე ვიყავ ერთი თავადი მოსახლე გორისუბანსაო“. გორისუბანს საგურამოს ერთ ამაღლებულ ადგილს ეძახიან, სადაც დღესაც ჩანს ძველი ციხე-დარბაზის ნანგრევები. დავით გურამიშვილის ცხოვრება ტრაგიულად წარიმართა. ლეკთა თარეშისაგან შეწუხებული მოსახლეობა საგურამოდან გაიხიზნა და დავითის ოჯახიც ლამისყანაში გადავიდა საცხოვრებლად. თუმცა დიდი პოეტი ლეკებმა მაინც შეიძყრეს და დაღესტანში გადაიყვანეს. დავითი ტყვეობიდან გაიპარა და ასტრახანში შეუერთდა მოსკოვისკენ მიმავალ ქართლის მეფე ვახტანგ VI-სა და ქართველთა დასს. რუსეთში მოღვაწეობა ქართველთათვის წარუმატებელი აღმოჩნდა და ვახტანგ VI-ის გარდაცვალების შემდეგ დავით გურამიშვილი სამშობლოში ველარ დაბრუნდა. ქართველებმა მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობა. მათ 1738 წელს შექმნეს ჰუსართა ასეული, რომლის შემადგენლობაში მყოფთ შემდგომ მამულები დაურიგეს რუსეთის სხვადასხვა პროვინციებში, მეტწილად უკრაინაში. დავით გურამიშვილი აქტიურად იბრძოდა რუსეთის მიერ წარმოებულ ბრძოლებში, პრუსიასთან შვიდწლიანი ომში (1756-1763 წნ.). იგი ტყვედ შეუპყრიათ და 1759 დეკემბრამდე მჯდარა მაგდებურგის ციხეში. 1760 წელს პორუჩიკის ჩინის მქონე პოეტმა სამხედრო სამსახურს თავი დაანება და მეუღლესთან ერთად საბოლოოდ უკრაინაში დამკვიდრდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. დაკრძალეს მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ეზოში.

საგურამოში, გორისუბანში, დგას ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. 1863 წელს ილიამ თადეოზ გურამიშვილის ასულზე — ოლღაზე იქორწინა, რომელსაც მემკვიდრეობით საგურამო გადაეცა. ილია ჭავჭავაძემ თავდაპირველად ჰატარა ორსართულიანი ხის

სახლი ააშენა, ხოლო შემდეგ — სამსართულიანი აგურის შენობა მოჩუქურთმებული აივნებით, საიდანაც არაგვის ხეობის თვალწარმტაცი ბუნება იშლება. ილია თავად ხელმძღვანელობდა სახლის მშენებლობასა და კარ-მიდამოს მოწყობას. თავად დარგო ხეები. განსაკუთრებით უფრთხილდებოდა ასწლოვან ცაცხვის ხეებსა და ერთი დიდ ოთხასწლიან კაკლის ხეს; ნარგავები რომ არ დაზიანებულიყო, ილიამ სახლის დაგეგმარებაც კი შეცვალა. მუზეუმის ტერიტორიაზე დამხმარე სათავსოებიც არის, მაგალითად, სამოურავო ოთახი. სახლის მშენებლობა ილიას 40000 მანეთი დაუუჯდა, რის გამოც იგი ხუმრობდა კიდეც: ხალხი ჭკვიანს მეძახის და ეს რა დამემართა, ამ ფასად თბილისში ორ სახლს ავაშენებდიო.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ილიასა და ოლღას სახლი ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ მძლავრ კერას წარმოადგენდა. აქ იკრიბებოდნენ ცნობილი ადამიანები და ქვეყნის მომავალზე მსჯელობდნენ. ილია იყო **XIX** საუკუნის II ნახევრის საქართველოს უდიდესი მოღვაწე, ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და წინამძღოლი, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართველთა ცნობიერებისა და თვითშეგნების ჩამოყალიბებაში.

ილიას ძალიან უყვარდა საგურამო. ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს: „ილიას გაგიჟებით უყვარდა საგურამოს მამული და დიდი მეურნეობაც ჰქონდა მოწყობილი, იქ მან, პირველ ყოვლისა, მშენერი სასახლე აიშენა. მამული მართლაც შესანიშნავი იყო, ლამაზი მდებარეობით, ჰავითა და მოსავლით“. ილიას ხშირი სტუმრები იყვნენ აკ. წერეთელი, რ. ერისთავი, დ. ჩუბინიშვილი, ასევე ევროპელი მწერლები და პუბლიცისტები კარლ ლემან-ჰაუპტი, არტურ ლაისტი, მარჯორი უორდროპი („ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელი). ილიას სიცოცხლეშივე დაწესდა მისი სახელობის დღესასწაული „ილიაობა“, სადაც უამრავი ხალხი იყრიდა თავს. იყო დიდი მხიარულება. ილიაც თავის დღესასწაულს ხელვაშლილი ხვდებოდა, მართავდა დიდ ნადიმს.

XX საუკუნის დასაწყისში აქტიურად გაიქცერა საქართველოს ავტონომიის საკითხმა, რომლის მხურვალე მხარდამჭერი ილია იყო, მაგრამ მის წინააღმდეგ ქართველი სოციალ-დემოკრატები და ბოლშევიკები ილაშქრებდნენ. 1905 წელს ერთ-ერთმა ბოლშევიკმა (ფილიპე მახარაძე) ილიას წინააღმდეგ გამოაქვეყნა ცილისმწამებლური სტატია — „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, სადაც მისი დაკნინება და შეურაცხყოფა სცადა. მენშევიკები და ბოლშე-

ვიკები ერთობლივად დაუპირისპირდნენ ილიას იდეას — საქართველოს ავტონომიის საკითხს და მის მიერ შექმნილ ეროვნულ მოძრაობას. 1907 წლის 30 აგვისტოს საგურამოსკენ მიმავალ გზაზე, სოფელ წინამურთან ილია მოკლეს. ეს მკვლელობა მთელი ქართველი ერის წინააღმდეგ იყო მიმართული. ილია მეუღლე — ოლღა გურამიშვილი კი დაიჭრა. მან დახმარება იქვე მყოფ მეურმეებს სთხოვა და სანაცვლოდ ეკლესის აშენებას შეპირდა, თუმცა ეკლესის მშენებლობა ვეღარ მოახერხა.

ეკლესის მშენებლობა დაიწყო 2001 წლის 20 მაისს, იოანე ზედაზნელის ხსენების დღეს. ორი წლის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს კი ტაძარი აკურთხეს. მისი მოხატვა ილიას საიუბილეოდ დასრულდა.

ილიას მკვლელობის შემდეგ ოლღა გურამიშვილმა საგურამოს სახლი წერა-კითხვის გამარცელებელ საზოგადოებას გადასცა. აქ ჯერ დაწყებითი სკოლა ფუნქციონირებდა, შემდეგ კი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან კი აქ მწერალთა და ხელოვანთა დასასვენებელი სახლი იყო გახსნილი. გოგლა ლეონიძემ დიდი ღვაწლი გასწია და მოიძია ყველა ის ნივთი, რომელიც დღეს მუზეუმის ფონდშია დაცული. 1949 წელს, მთავრობის დადგენილებით, ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმი ოფიციალურად გაიხსნა.

მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილია მწერლის ნივთები, XIX საუკუნის ქართული კულტურის წარმომადგენელთა ფოტოპორტრეტები და ეპოქის ყოფის ამსახველი ფოტომასალები, ილიას ხელნაწერები, გაზეთები „ივერია“, „საქართველოს მოამბე“, XIX საუკუნის ქართული და უცხოური სახვითი ხელოვნების ნიმუშები, XVIII-XIX საუკუნეების გერმანული წარმოების დეკორატიული და საყოფაცხოვრებო ჭურჭელი.

საგურამოში დგას ილიას სიმამრის — თადეოზ გურამიშვილის მარანი, რომელიც XIX საუკუნეშია აშენებული და დახურული მარნის კლასიკური ტიპია. შენობა შედგება მარნის, დამხმარე სათავსოსა და დერეფნისგან. მარანს აქვს ორი კარი. ერთი — დიდი, სავარაუდოდ, მოსავლის შემოსატანად, მეორე — პატარა — ყოველდღიური ხმარებისთვის. მარანში სამი ორნამენტებიანი ბუხარია. დერეფანი ცხრა სვეტიანია. ილია ჭავჭავაძე ამ მარანში აყენებდა ღვინოს, რომელიც შემდგომ თავის სარდაფში გადაჰქონდა და მუხის კასრებში ასხამდა. აქ განეულ საქმიანობაზე დაყრდნობით დაწერა ილიამ შესანიშნავი ნაშრომი “ქართულად ღვინის დაყენება“.

კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ თაოსნობით გურამიშვილების მარანს ჩაუტარდა რესტავრაცია, აღდგა დაზიანებული ქვიტკირის დიდი საწნახელი, განახლდა შიდა და გარე სვეტები.

ქსნის ციხე

სარკინეთის მთაზე, მტკვრისა და ქსნის შესართავთან, სოფ ციხისძირის მიდამოებში მდგარ ციხეს ისტორიული საბუთები და ციხეზე არსებული წარწერები სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ — „მტკვრის ციხე“, „კონსტანტილაბათის ციხე“, „მტკვერის ციხე“. ხალხის მეხსიერებაში კი ციხე „ქსნის ციხის“ სახელითაა შემორჩენილი, და ის ქსნის ხეობის ბუნებრივ ჭიშკარს წარმოადგენდა. ბუნებრივ გარემოსთან და ლანდშაფტთან შერწყმული ციხე თავდაპირველად მუხრანბატონთა პირველი რეზიდენცია იყო და მისი აგება მოხდა XVI საუკუნეში, როდესაც ქართლის მეფემ დავით X-მ კახთა მეფის — ავგიორგის წინააღმდეგ თავის ძმას — ბაგრატს სთხოვა დახმარება. ბაგრატმა უმაღ აღმდენიშვილი გადმოგვცემს, რომ ავგიორგი დიდი ლაშქრით ციხეს მოადგა და სამთვიანი ალყის შემდეგ ბაგრატს ღვინო გაუგზავნა — „ხარ ძე მეფისა და არს უამი მრავალი, რომელ არ გისუამს. ან იხმიე“. ასეთ დაცინვაზე ბაგრატმა დაცინვით უპასუხა, ცოცხალი ორაგული გაუგზავნა, თან შეუთვალა: სამი თვე დგახარ ქსანზე და არ მიგირთმევია ცოცხალი თევზიო [4.12]. მალე ავგიორგი დარწმუნდა, რომ ციხეში სანოვაგის მარაგი დიდი იყო და უკან გაბრუნდა. 1513 წელს იგი მეორედ მოადგა ციხეს, ბაგრატმა დაამარცხა კახეთის მეფე, შეიძყრო და ქსნის ციხეში გამოკეტა [27.1].

ისტორიულ წყაროებში ამ ფაქტის შემდეგ XVIII ს-მდე ციხის შესახებ არანაირი ცნობა არ მოგვეპოვება. 1746 წელს ძლიერ დაზიანებული ციხე კონსტანტინე მუხრანბატონმა თითქმის ხელახლა ააგო, რის შესახებაც შესასვლელში არსებული წარწერა გვამცნობს. აქედან მოყოლებული ციხეს „კონსტანტილაბათის ციხეს“ უწოდებენ.

პირველი ციხე, რომელიც ბაგრატმა ააშენა 1511-1513 წლებში, მთის მაღალ წვერზე დგას და რიყის ქვითაა ნაშენი, ხოლო მეორე ფენაში აგურიცაა გამოყენებული. ციხის კოშკის კედლები ორი მეტრის სიგანისაა. კოშკი ხუთსართულიანია, სადაც მესამე საცხოვრებელი ყოფილა, დანარჩენი ყველა საბრძოლო, ხოლო მეხუთე ქონგუ-

რებიანი ბანი. კოშკის პირველ სართულზე ღრმა თაღოვანი ბუხარი და სათოფეებია. ქსნის ციხის მეორე ცილინდრული კოშკი ორსართულიანია. პირველ სართულზე ჩამარხულია ქვევრები, რომელთაც, სავარაუდოდ, იყენებდნენ, როგორც ღვინისთვის, ისე წყლისთვის. ციხეში შესასვლელი დეკორატიულად ყოფილა გაფორმებული. ი. გულდენშტედტი საქართველოში მოგზაურობის დროს ახალგორიდან მუხრანში გაჩერებულა და ქსნის ციხეს ციხისძირის ციხედ მოიხსენიებს [1.2].

ქსნის ციხე მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო შეიძა ქართლში, რომელიც მთლიანად კეტავდა ქსნის ხეობაში შემომავალ გზებს. ადგილმდებარეობიდან გამომდინარე სავარაუდოდ, ციხეს მნიშვნელოვანი ბრძოლები ექნებოდა გადატანილი, თუმცა მატიანე ამაზე დუმს და პირდაპირ ცნობებს არ გვაწვდის. ქსნის ციხე დღესაც დაზიანებულია და საჭიროებს რესტავრაციას.

მჭადიჯვარი

მდინარე ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე 1668 წელს დომენტი კათალიკოსმა მთავარანგელოზის სახელზე ეკლესია ააგო. ეკლესია გუმბათიანი იყო და აგურით ნაშენი. იგი გადახურული ყოფილა მოჭიქული კრამიტით. ეკლესიისთვის ციხე-გალავანი 1746 წელს კონსტანტინე მუხრანაბატონს აუგია თეიმურაზ II-ის მეფობის დროს. ამის შესახებ გვამცნობს გალავნის სამხრეთით არსებული შესავლელის თავზე მოთავსებული ნარწერა. ნარწერაში საუბარია ლეკების მიერ ქვეყნის მოოხრებასა და სოფლის გაუკაცრიელებაზე. მუხრანბატონი წერს: „ხელვყავ აღშენებად ციხისა ... რათა კაც-რიელ იქნას და დაეშენონ კაცთა“. ციხის აგების მიზანი სწორედ ლეკიანობის დროს მოსახლეობის ციხე-გალავანში სწრაფი შეხიზვნა იყო. ლეკიანობა მძიმე ტვირთად აწვა ქართლის სამფეოს და აურაცხელ ზარალს აყენებდა. ქართლ-კახეთის მეფეები — თეიმურაზ II და ერეკლე II ლეკიანობის წინააღმდეგ ყველა ღონეს ხმარობდნენ. აშენებდნენ და აახლებდნენ ციხეებსა და ციხე-გალავნებს. მოსახლეობაც ლეკიანობის დროს თავს ძირითადად ციხეებს აფარებდა. მჭადიჯვრის მოსახლეობის დაცვა სწორედ კონსტანტინე მუხრანბატონის ციხეს უნდა მოეხდინა. დღეს ციხე-გალავანი საკმაოდ დაზიანებულია და ბევრი რამის დადგენა შეუძლებელია, კერძოდ რასიმაღლის იყო, სად იყო განლაგებული სათოფურები და სალოდეე-

ბი. გალავანში ოთხი კოშკია, აქედან ერთი ეკლესიის ჩრდილო-და-სავლეთ კუთხეზეა მიდგმული და მასში გაჭრილი კარით ხდებოდა ტაძართან დაკავშირება. მეორე კარი კი გალავნის გარეთ გადიოდა. თუ გავითვალისწინებთ ეპოქისთვის დამახასიათებელ გალავნის ტიპებს, მჭადიჯვრის ციხე-გალავანს შესაბამისად ექნებოდა სა-ლოდეები და სათოფურები კოშკზე არსებულ ბანზე. დანგრეული ციხე-გალავნის დიდ ნაწილი ამჟამად საცხოვრებელ ნაგებობებს უკავია [15.3].

1754 წელს მჭადიჯვართან დიდი ბრძოლა გაიმართა. ამ პე-რიოდში დაღესტნებებმა მოაწყვეს რამდენიმე მსხვილი ლაშქრობა, რომლის ორგანიზატორი ხუნდანის მფლობელი ნურსალ-ბეგი იყო. დიდი ჯარით ნურსალ-ბეგი ჯერ კახეთს შეესია, მერე არაგვის საერისთაოში გადავიდა და ააოხრა, შემდეგ ძარცვა-რბევით ჩა-მოვიდა ქართლში და მჭადიჯვარის ციხე-გალავანს ალყა შემოარტყა. თეიმურაზი და ერეკლე თავიანთი ჯარებით დუშეთში შეხვდნენ ერთმანეთს. 16 აგვისტოს მეფეებმა მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი გაანადგურეს. ნურსალ-ბეგი გაიქცა. პაპუნა ორბელიანი გად-მოგვცემს „მათის ბრძოლით აღვის ტყე და ველი. ვინა მორჩა, მათი ცხენიც და იარაღიც ჩვენს ჯარს დარჩა“ [26.3]. ამ ბრძოლის შემ-დეგ შედარებით შესუსტდა ლეკიანობა, თუმცა იგი მაინც მთავარ პრობლემად რჩებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამუხრანოს სამი მთავარი სოფორტი-ფიკაციონ ნაგებობა: ქსნის ციხე, მჭადიჯვრისა და შიოსუბნის — იგივე მუხრანის ციხე-გალავანი დროის ერთ მონაკვეთშია აღდგე-ნილი და განახლებული კონსტანტინე მუხრანბატონის მიერ და მათ ქართლის მოსახლეობისა და თბილისისკენ მიმავალი გზის დაცვა ევალებოდათ.

მჭადიჯვრის კომპლექსი მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტო-რიული ძეგლია და საჭიროებს რესტავრაციას.

სამუხრანბატონო

საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიუ-ლი მხარე მუხრანი, დიდი მცხეთის გარეუბანს წარმოადგენდა. მისმა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ დიდი როლი შეასრულა იბერიის სამეფოს წარმოქმნაში, ხოლო შემდეგ კი საქართველოს სახელმწიფოს განვითარებაში. II-IV საუკუნეებში მისი ცენტრი ძა-

ლისი იყო. ძალისი იყო მცხეთიდან 20 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ნარევავის ორივე ნაპირზე მდებარე ანტიკური ქალაქი, რომელიც ძვ. წ. II ს.-ითა და ას. წ. IV-VII ს.-ით თარიღდება. ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლისას გამოვლენილია ტაძარ-სასახლისა და აბანოს კომპლექსი, მაღალმხატვრული იატაკის მოზაიკები როგორც სასახლის, ისე აბანოს ტერიტორიაზე. სასახლის კომპლექსში გამოვლენილია საძინებელი ოთახები, სათათბირო დარბაზი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ოთახები, ორგანულოფილებიანი საპირფარეშო კანალიზაციითა და წყალსადენით, დიდი მოცულობის საცურაო აუზი, რომელიც უკავშირდებოდა აბანოს. სავარაუდოდ, საცურაო აუზი და აბანო ერთ კომპლექსს ქმნიდა. ქალაქი ყველაზე კარგად განვითარებული იყო ას. წ. I-III ს-ში, ხოლო IV საუკუნიდან დაიწყო მისი დაქვეითების პერიოდი და VIII ს. 30-იან წლებში საბოლოოდ განადგურდა მურვან ყრუს ლაშქრობის დროს.

ვახტანგ გორგასლის დროს მუხრანი წილკნის საეპისკოპოსოს ცენტრი იყო. საქართველოში ფეოდალური პოლიტიკური ერთეულების არსებობის დროს, VIII-X საუკუნეებში, ეს მხარე გადავიდა კახეთის ქორეპისკოპოსების მფლობელობაში, რომლებმაც შემდეგ იგი თავიანთ ვასლებს — აბულეთისძეებს გადასცეს. დავით IV-მ ძაგან აბულეთისძეს ზედაზნის ციხესოთან ერთად მუხრანიც წაართვა და მას საკუთარი მმართველი „გამგე მუხრანისა“ დაუდგინა. საქართველოს სამეფოს დაშლამდე მუხრანი სამეფო სახლის კუთვნილება (დომენი) იყო.

XVI საუკუნის დასანცისიდან საქართველოში სამეფო ხელი-სუფლების დასუსტებას მსხვილ ფეოდალთა ძალაუფლების გაზრდა მოჰყვა, რის შედეგადაც სათავადოები აღმოცენდა. ერთ-ერთ ასეთ ძლიერ სათავადოს წარმოადგენდა სამუხრანბატონო, რომლის ჩამოყალიბება ქართლის მეფე დავით X-ს დროს მოხდა. ქართლის გართულებულ საგარეო პოლიტიკას შიდა მტრებიც ემატებოდა. კახეთის მეფე ავგიორგი (სახელი შეერქვა მას მერე, რაც მამა ალექსანდრე I მოკლა, ხოლო ძმას — დემეტრეს თვალები დასთხარა) ხშირად აწიოკებდა და არბევდა ქართლს. დავით X-მ საკუთარ ძმას — ბაგრატს მოსთხოვა, ბოლო მოელო კახთა თარეშისთვის. ბაგრატმა ძმას საუფლისწულო მამულად მოსთხოვა „მუხრანი... არა-გვსა და ქსნის ხევნი მთიულ-მოხევითურთ თვისსა მორჩილებასა ქვეშ“. ბაგრატმა, როგორც კი მეფისგან თანხმობა მიიღო, „აღაშენა მუხრანს ციხე მტკურისა [4.11]“. ეს ისტორიული ფაქტი დაედო საფუძვლად სათავადო სამუხრანბატონოს შექმნასა და ბაგრატიონე-

ბის გვერდით ახალი განშტოების ჩამოყალიბებას. სამუხრანბატონო გეოგრაფიულად ყველაზე დაუცველი ტერიტორია იყო, ამიტომ მას იცავდა ქსნის ხეობის ჩამკეტი — ქსნის ციხე, ჩრდილოეთიდან ქსოვრისი და დამპალა, აღმოსავლეთით არაგვიდან შემომავალ კარს კი წილკნის ციხე კეტავდა.

მუხრანბატონთა რეზიდენცია იყო შიოს უბანი, რომლის ცენტ-რად გადაქცევა სახლის უმცირესი შტოს წარმომადგენლის -კონსტანტინეს გამუხრანბატონების პერიოდიდან უნდა დაწყებულიყო. 1721 წლიდან მუხრანბატონებმა სამუხრანო დაკარგეს, მაგრამ მალევე დაიბრუნეს და შიოსუბანი კვლავ მუხრანის ცენტრი გახდა. XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან რეზიდენციასა და სათავადოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის სახელი — მუხრანი ეწოდა. მუხრანის დიდი ციხის ციტადელში წარმოდგენილია თავადის საცხოვრებელი ყველა ელემენტით: სასახლე, კარის ეკლესია, თავდაცვითი კოშკები, მარანი, ჭა და სხვა დამხმარე ნაგებობები, რომელთაგან ნანილმა მოაღწია დღემდე [15.3].

მუხრანის ციხე კვადრატული გეგმისაა და გალავნის შიგნით ცილინდრული ოთხი კოშკია, რომელთაგან ერთი ოთხსართულიანია, დანარჩენი სამი — სამსართულიანი. ყველაზე დიდ კოშკს „მამაბურჯვს“ უწოდებენ, აქედან ხდებოდა მიდამოების დაზვერვა, სიგნალის მიღება და გადაცემა. ციტადელის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში შემორჩენილია დიდი შენობის საძირკველი, რაც, სავარაუდოდ, მუხრანბატონების სასახლის ნაშთი უნდა იყოს. აქვე, კედლის გაყოლებაზე, გვხვდება დიდი მარანი, სადაც სხვადასხვა ზომის ორმოცდაათამდე ქვევრი იყო ჩაყრილი. ციტადელის გალავანი აუგია XVIII საუკუნის 30-იან წლებში მამაუკა მუხრანბატონს ლევან მუხრანბატონის დახმარებით, ვახუშტი კი გვამცნობს, რომ „შიოს უბანს... ოსმალთა აღაშენეს ციხე ქრისტესა ჩდლ (1730წ)“ [4.9]. შესაძლებელია, ციხის დამკვეთი ოსმალები იყვნენ და როდესაც მოხდა მათი განდევნა ქართლიდან, ახლად აგებული ციხე დაზიანდა. 1756 წელს ციხე მეფის სახლთუხუცესმა კონსტანტინე მუხრანბატონმა განაახლა, თაღლოვანი ჭიშკრის თავზე არსებული წარწერა (ინახება ეროვნულ მუზეუმში) გვამცნობს, რომ გალავანი მას თავისი სახსრებით — „საფასითა ჩემითა“ აუშენებია.

მუხრანბატონები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურსა და კულტურულ საქმიანობაში. XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან რუსულმა მმართველობამ სამუხრანბატონო გააუქმა და მუხრანბატონებმა სასახლე ციხის გარეთ ააგეს [30.1].

მუხრანში მუხრანბატონების ორი მნიშვნელოვანი სასახლე დგას. ერთი, რომელიც ნიკო ბურს აუშენებია 1899-1902 წწ. სამსარ-თულიანი ნაგებობაა და ძლიერ დაზიანებულია. საინვენსტიციო ფონდის ცნობით მოხდება სასახლის აღდგენა-რესტავრაცია. ნიკო მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელია. იგი ევროპაში ინგლი-სისა და ბურების ომის დროს მოხვდა და მოხალისედ წავიდა ამ ომში ინგლისის წინააღმდეგ საპრძოლველად. ბურების დამარცხების შემდეგ ნიკო ინგლისელებმა დაატყვევეს და წმ. ელენეს კუნძულზე გადაასახლეს. გადასახლებიდან ნიკო ბური საქართველოში დაბ-რუნდა, სადაც ბოლშევიკების მოსვლისას დაკარგა მთელი ქონება, ქალიშვილები ირინა და ნატალია საფრანგეთში გაგზავნა, თვითონ კი თავისი ცხოვრების ბოლო წლები სამშობლოში უკიდურეს სი-ლარიბეში გაატარა. მან თავისი თავგადასავალი აღნერა წიგნში „ბურებთან“. ნიკო ბური გარდაიცვალა თბილისში 1933 წელს.

მუხრანის განაპირას დგას ბაგრატიონ-მუხრანელთა კიდევ ერთი სასახლე, რომელიც XIX საუკუნის II-ნახევარშია აშენებუ-ლი და ეკუთვნოდა რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტ ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონს. ივანე ფლობდა დიდი ფართი მქონე სამეურნეო მინას. საფრანგეთში მოგზაურობისას მან ცოდ-ნა გაიღრმავა მეღვინეობა-მევენახეობაში და სამშობლოში დაბრუ-ნებულმა 1876 წელს საფრანგეთიდან მოიწვია მეღვინე ემირ ჟანი, დაიხმარა ცნობილი ქართველი მეღვინე ზ. ჯორჯაძე და მუხრანში ღვინის ქარხანა ააგო. ქარხანაში ღვინო ევროპული წესით ყენდე-ბოდა. 1889 წელს პარიზში, სოფლის მეურნეობის საერთაშორისო გამოფენაზე, ივანე მუხრანბატონის ღვინომ — „მუხრანელმა“ ოქროს მედალი მოიპოვა, თავად ივანეს კი საფრანგეთის მმართვე-ლობაშ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ოფიცრის ორდენი გადასცა. ივანე მუხრანბატონის სასახლეს ღვინის ქარხანა გვი-რაბებით უკავშირდებოდა. სასახლეში იყო სამეჯლისო დარბაზი, მისაღები და საძინებელი ოთახები მრავალი გადასვლებით, ღია და დახურული აივნებითა და ტერასებით. ივანე მუხრანბატონი 1895 წლის 11 მარტს, 85 წლის ასაკში, საკუთარ მამულში მოულოდ-ნელად გარდაიცვალა. იგი მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს. ივანეს გარდაცვალების შემდეგ სასახლე გაიყიდა. ბოლშევიკების დროს კი სხვადასხვა დანიშნულების ნაგე-ბობად იქნა გამოყენებული. სასახლე დაინგრა და გაიძარცვა. ივა-ნე მუხრანბატონის მამულში კულტურულ-ისტორიული მემკვიდ-რეობის ფართო პროექტი განახორციელა სამეღვინეო კომპანია

„შატო მუხრანმა“. მუხრანის ტერიტორიაზე ისევ გაშენდა ვენახები, აღდგა სასახლე. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები შვიდი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. გარემომ ნელ-ნელა პირვანდელი სახე დაიბრუნა, 2011 წლიდან კი „შატო მუხრანში“ ტურიზმის განვითარება დაიწყო.

ანანური

მცხეთის ჩრდილო -აღმოსავლეთით, საქართველოს სამხედრო გზაზე გვიანფეოდალური ხანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია ანანური, სადაც თავმოყრილია საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი.

ანანური არაგვის ერისთავთა საკუთრებას და მთავარ ფორმოსტს წარმოადგენდა, თუმცა არ იყო ერისთავთა საძვალე და რეზიდენცია, რადგან აქ არ იყო სასახლე და საცხოვრებელი ნაგებობანი, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში კომპლექსში არსებული თავდცვითი კოშკები საცხოვრებლის ფუნქციასაც ასრულებდა.

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ XV საუკუნის ბოლოდან, არაგვის საერისთავო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ობიექტად იქცა და ცალკე სათავადოდ ჩამოყალიბდა ცენტრით დუშეთში, მის მთავარ ციხეს კი ანანური წარმოადგენდა. XVII საუკუნიდან სამეფო ხელისუფლების დასუსტებასთან ერთად გაძლიერდა არაგვის საერისთავო და სრული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყო. ქართლის მეფეებმა — როსტომ ხანმა, ვახტანგ V-მ და გიორგი XI-მ სამხედრო ექსპედიციებიც მოაწყვეს არაგვის ერისთავების დასამორჩილებლად, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. XVIII საუკუნიდან ქართლში სამეფო ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, კვლავ დადგა საკითხი არაგვის საერისთავოს სამეფო ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოქცევის შესახებ. მეფეს მხარს ადგილობრივი მთიელები უჭერდნენ. 1743 წელს მომხდარი აჯანყების შედეგად არაგველებმა ერისთავები — ოტია და ბეჟანი ამოხოცეს და მმართველად მეფე თეიმურაზ II მიიწვიეს. არაგვის საერისთავო გამოცხადდა სამეფო მამულად (დომენად), რომელსაც ერეკლე II-ის შვილები — ვახტანგი, შემდეგ ლევანი და ბოლოს ალმასხანი მართავდნენ. რუსეთის მიერ საქართველოში სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ არაგვის საერისთავო ანანურის მაზრის უფროსს დაუქვემდებარეს.

ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი შედგება გალავნის ქვედა და ზედა ციხის, ცილინდრული და ოთკუთხედი კოშკების, ხევსურული კოშკის (რომელიც ითვლება ყველაზე ადრინდელ ნაგებობად (XIV-XV სს.), ღვთისმშობლისა და ღვთაების ეკლესიების, ეკლესია „მცურნალის“, სამრეცლოს, საკნისა და წყალსაცავისგან. ანანურის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ი. გიულდენ-შტედტი, რომელიც მას ქალაქთა რიცხვს მიაკუთვნებს, აღნერს აქ არსებულ ტაძარს და ჩამოთვლის იქ დაკრძალულ პირებს — ჯიმშერ ჩოლოყაშვილსა და გიორგი ერისთავს [1.3].

ანანურის ციხის გალავანი სხვადასხვა დროსაა შეკეთებული. ციხე სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზაზე მდებარეობდა. ამ გზით ხდებოდა დაკავშირება ვეძათხევის გავლით მცხეთა-თბილისთან, ჩრდილოეთით კი მთიულეთთან, ხევთან და ჩრდილო კავკასიასთან. ციხეში შესასვლელი სამხრეთიდანაა. ვინაიდან შესასვლელს განსაკუთრებული დაცვა სჭირდებოდა, საყარაულო კოშკს სალოდე და სათოფებიც ჰქონდა. ჭიშკრის კოშკი ორსართულიანია. ანანურის ანსამბლში გამოიჩინება კოშკი „შეუპოვარი“, რომელიც დაგეგმარებითა და მასშტაბებით სხვა კოშკებისგან განსხვავდება. იგი შვიდსართულიანი სამკარიანი რთული ნაგებობაა.

ანანურს ისტორიულად დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული როლი ეკისრებოდა. 1723 წელს აქ თავს აფარებდნენ კახეთის უფლისნული თეიმურაზი და კახელები, რათა თავი დაეცვათ ლეპთა და ოსმალთა გამუდმებული თავდასხმებისგან. ციხის აღება არ იყო მარტივი. XVIII საუკუნეში ანანურის ციხე თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ეს მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა. 1792 წელს, როდესაც ერეკლე II-მ სამემკვიდრო კანონი გამოსცა, აღმოსავლეთ საქართველოს ციხეთაგან შვიდი ციხე გამოჰყო, მათ შორის ანანურიცაა მოხსენებული. 1795 წელს, აღა-მაჟმად ხანთან კრწანისის ბრძოლის წაგების შემდეგ, მეფე ერეკლემ ანანურის ციხეს შეაფარა თავი.

ცენტრალურ გუმბათოვანი ღვთისმშობლის ეკლესია ტაძარზე არსებული წარწერის თანახმად, 1689 წელს აუგიათ ტაძარი ბარძიმ ერისთავის დაკვეთით, აუშენებია ქაიხოსრო ბალსარაშვილის. ბარძიმი იყო მსაჯულთუხუცესი, შვილი ოთარ ერისთავისა და ძმა გიორგი ერისთავის. ვახუშტი („აღწერა სამეფოისა საქართველო-სი“) ტაძრის აღმშენებლად სწორედ გიორგის ასახელებს: არაგვის კიდეზე არს ანანური, ძველად იყო ეკლესია მცირე, არამედ წელსა ქრისტესა ჩლდ (1704 წ.) აღაშენა გიორგი ერისთავმან ეკლესია გუმ-

ბათიანი დიდი“ [4.4]. ამ შემთხვევაში ტაძარზე არსებული წარწერა უფრო სანდოა და საინტერესოა; წარწერაში არაა მოხსენებული გიორგი. ვახუშტისვე სიტყვები რომ მოვიშველიოთ“ ესე ბარძიმი იყო ამაყი თავხედი, კადნიერი და არარაიდ ვინმე ჩნდა“. ბარძიმ ერისთავი 1691 წელს გარდაიცვალა. როდესაც ქართლის მეფე გიორგი XI ირანიდან დაბრუნდა და დაუპირისპირდა ერეკლე | ნაზარალიხანს, ბარძიმი ეახლა მას, შენდობა სთხოვა და გაჰყვა კახეთის შემოსამტკიცებლად. ბრძოლის დროს ბარძიმი მოკლეს და სავარაუდოდ, დაკრძალეს „მღვიმელისა საფუძვლითურთ“ აშენებულ ანანურში. ვახუშტის ცნობას ციხის გიორგი ერისთავის აღმშენებლობის შესახებ ვერ უგულებელვყოფთ და სრულიად დასაშვებია, რომ გიორგი ერისთავმა ქვედა ციხე ააგო [13.1].

ღვთისმშობლის ეკლესიის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის მცირედი ფრაგმენტები წმინდა ასურელი მამების გამოსახულებით. ზედა ციხის აღმოსავლეთ და დასავლეთ კიდეში დგას დარბაზული ეკლესია “მკურნალი“ და “ჯვარ-გუმბათოვანი ღვთაების ტაძარი“, რომელიც XVI საუკუნის II ნახევრით თარიღდება [10.1]. „ღვთაების “ინტერიერში ქვით ნაგები სალხინობელია, რომელზეც ვრცელი წარწერაა, და ირკვევა, რომ იგი აუგია 1674 წელს ანა-ხანუმ აპაშიძეს მდივანბეგ ედიშერ ერისთავის საძვალედ. თუმცა არაგვის ერისთავებს საძვალედ განკუთვნილი ჰქონდათ არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ციცაბო კლდეზე არსებული ბოდორნას ეკლესია, რომელიც დაინგრა და 1717 წელს განახლდა.

ანანურის დიდგუმბათოვან ეკლესიასა და „მკურნალს“ შორის მიწისქვეშა რვაკუთხა დიდი საკანია. ზედა ციხის ტერიტორიაზევე წყალსაცავი, რომელიც ორი ავზისგან შედგება. სასმელი წყლის მიღება მიწაში ღრმად ჩაწყობილი თიხის მიღებით ხდებოდა. ციხისთვის ეს წყალსადენი საკმარისი არ იყო და მეორე წყალსადენიც ააშენეს. ზედა ციხის ცენტრში დგას ხევსურული კოშკი, რომელიც ოთხსართულიანია და XIV-XV საუკუნეებით თარიღდება. სართულები ერთმანეთს კიბით უკავშირდებოდა. ანანურის ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრის ოთხივე ფასადის კომპოზიცია ხუროთმოძღვრის ინტერპრეტაციითა შექმნილი, თუმცა იმეორებს ტრადიციულად შუა ფეოდალური ხანის ძეგლებისთვის დამახასიათებელ სტილს [16.1].

უინვალჰესის მშენებლობამ, სხვა მნიშვნელოვან კულტურულ მეკვიდრეობასთან ერთად, ანანურის კომპლექსი კინაღამ იმსხვერპლა. დაგუბებული წყლის შედეგად სოფლებისთვის დამახასიათებელ სტილს

ეკლესიებით, წყლით დაიფარა. ანანურის გადასარჩენად გზა გადატანილი იქნა მთის ფერდობზე.

ანანურის კომპლექსი თავისი უნიკალური ხედებით ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელიც მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. კომპლექსი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაშია.

ქოროლო და ცეცხლისჯვარი

მთიულეთში, თეთრი არაგვის მარცხენა მხარეს, ხადისწყლის ხეობაში „მაღალსა კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითვე ჩდილით არს ციკარა“. ხეობის უკვე დაცლილი სოფლები ნახევრად ალპურ ზონაშია განლაგებული. ზამთარში ხეობა თოვლით იკეტება და წყდება გარესამყაროს, ზაფხულში კი იხსნება. ხეობაში გაქვავებული ვულკანია, რომლის ძირიდან თერმული წყლები ამოდის და მას ადგილობრივები „ვეძას წყალს“ ეძახიან. წლების წინ ამ ვულკანის თავზე იდგა ეკლესია, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ოსებმა დააანგრიეს, მათ ასევე მოიპარეს ხატი. ახლა მხოლოდ ამ ეკლესის კედლების ნანგრევებია შემორჩენილი. ვახუშტი ხატოვნად გადმოგვცემს ხეობის სილამაზეს და დასძენს: „ადგილი კლდოვანი და სამოც კოშკოვანი [4.5]“. ამ მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ ხადას ხეობაში მრავალი ციხე-კოშკი იყო. ამას ადასტურებს ასევე, „ძეგლი ერისთავთაში“ დაცული ცნობა. XIV ს.-ის დასაწყისში საქართველოს მეფე დავით VIII-სა და შალვა ქვენიფერელს შორის მომხდარი დაპირისპირებისას, შალვა ხადას ხეობაში იბრძოდა. მოარღვია ოცდახუთი ციხე და ცხრა ციხე აიღო. ეს ცნობები ადგილობრივის მოსახლეობის მეხსიერებამაც შემოინახა. უამთა სვლამ და მტრის გამუდმებულმა შემოსევებმა მრავალი ციხე-სიმაგრე დაანგრია. ქოროლო ხადას ხეობის შუა საუკუნეების დროინდელი სოფელია, სადაც გადიოდა ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა. ამ გზის დაცვა და მტრის შემოსევის დროს ბარის მოსახლეობის შეფარება ადგილობრივ მოსახლეობას ევალებოდა. მთიულეთი ძველად სამეფო (სახასო) ხელისუფლების საკუთრება იყო და მას მეფის მოხელენი განაგებდნენ. სამეფო ხელისუფლების დასუსტების შემდეგ არაგვის ერისთავებმა მთიულეთი შეიერთეს. თეიმურაზ II-ის მიერ საერისთაოს გაუქმების შემდეგ მთიულეთი კვლავ სახასოდ გამოცხადდა. ჩამოყალიბდა მლეთის

სამოურავო და ქოროლო მისი ცენტრი გახდა. სოფელში მრავალი კოშკია: მაგარციხე, ორცხის ზედა და ქვედა კოშკი, მიდელაურების ციხე ეკლესით. ყველა ჩამოთვლილი ზურგიანი კოშკია. ამ ტიპის კოშკების გავრცელების არეალი შიდა ქართლია V-X საუკუნეების ჩათვლით [15.5]. ზურგიანი კოშკის თავისებურება ისაა, რომ იგი ერთ მხარეს სწორკუთხაა, ხოლო მოპირდაპირე მხარეს — ნახევრადწრიული. ზურგიანი კოშკი აუცილებლად ფერდობზე შენდებოდა. ქოროლოს ციხეები ძირითადად X-XI საუკუნეებს გაენერუტვნება. მიდელაურების ფიქალით ნაგები დარბაზული ეკლესია გვიანშუასაუკუნეებისაა. ქოროლოს მნიშვნელოვანი ძეგლია ღვთისმშობლის ეკლესის კომპლექსი, რომელიც შედგება ზურგიანი კოშკისა და დარბაზული ეკლესისგან. კომპლექსი მდებარეობს მაღალი მთის კალთაზე, ქარაფის პირას და განეკუთვნება X-XI საუკუნეებს. ეკლესია ნატეხი ქვითა და ფიქალითაა ნაგები. ინტერიერი შვიდი თაღოვანი სარკმლითაა განათებული. ფასადებზე ლავგარდინი გაფორმებულია ჯვრებითა და ეკლესის მშენებლობის ამსახველი რელიეფური სცენებით: ქალების მიერ მშენებლებისთვის საკვების მოტანა, დუღაბის შემზადება-გადატანა, ქვის თლა, ხარებით ტვირთის გადაზიდვა და ქტიფორის (აღმშენებლის) გამოსახულება. კოშკი დაზიანებულია. შემორჩენილია ორი სართული და მესამე სართულის კედლების ნაწილი.

ცეცხლისჯვრის კომპლექსი ხადას ხეობის ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილზე, მაღალ მთაზე დგას. მასში შედის ეკლესია, ზურგიანი კოშკი და საცხოვრებელი სახლი. კომპლექსი IX-X საუკუნეებს განეკუთვნება. ეკლესია დარბაზულია. კედლებზე XVI-XVII საუკუნეების მოხატულობის ფრაგმენტებია. ზურგიანი კოშკი მოგვიანებითაა მიღმული ეკლესიაზე. პარმენ ზაქარაიას ეს კოშკი ყველაზე ორიგინალურად მიაჩნია, რადგან მისი სიგრძე 5 მეტრია, ხოლო წვერი 2X4 მეტრი. კოშკი იმდენად ვინროა, რომ საცხოვრებელად არ გამოიყენებოდა. მისი დანიშნულება ხეობისა და გზისთვის თვალყურის დევნება იყო. დაცლილ ხადას ხეობაში ბევრი სალოცავია და დღესასწაულების დროს მოსახლეობა ისევ ბრუნდება მამა-პაპისეულ ფუძეზე მათ აღსანიშნად.

ლომისა

ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზე, სოფელ მლეთის სამხრეთით, მაღალ მთაზე ლომისას წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია — „თხემსა ზედა არს ეკლესია წმიდის გიორგისა, წოდებული ლომისა. არამედ უგუმბათო არს და არიან მრავალნი ხატნი და ჯუარნი ოქრო-ვერცხლისანი, დახიზნულობით [4.6].“ ეკლესია IX-X საუკუნეებს განეკუთვნება და ნაგებია ნატეხი ქვით. ლომისის ტაძრის მუხის კარს გადაკრული აქვს რეინა, რომელზეც ამოკვეთილია თვრამეტსტრიქონიანი ხუცური წარწერა, საიდანაც ირკვევა კარის შემჭედი ისტატების, პურისა და რეინის შემომწირველთა ვინაობა. წარწერა XVI-XVII საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. კარს ოთხ მწკრივად რგოლები დაუყვება. ტაძრის მცველი რგოლებს ფეხზე აყენებდა, ქურდი რომ არ შეპარულიყო. კარს თუ ვინმე მიადგებოდა და წვალებას დაუწყებდა, რგოლები ცვიოდა და ხმაური ჩაძინებულ მცველს აღვიძებდა. თუკი მცველი დღისით დატოვებდა ეკლესიას, რგოლებს ისე აწყობდა, რომ უკან დაბრუნებულს შეემჩნია, ვინმე ხომ არ მიჰყარებოდა ტაძრის კარს [30.2].

ლომისას წმინდა გიორგის კულტი წინაქრისტიანული ხანის ქართველთა უძველესი სარწმუნოებიდან იწყება. ტაძრის სახელწოდება, ხალხური გადმოცემით, ლომა-ხარს (ლომისას) უკავშირდება. ლომი კავკასიის ტერიტორიაზე დიდი ხანია აღარ ბინადრობს, მაგრამ ფოლკლორსა და სიცოცხლის ხის ქართულ ვარიანტებში ხშირია მისი გამოსახულებები. თავდაპირველად ლომი ცეცხლოვან მზეს განასახიერებდა, მაგრამ სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებასთან ერთად მისი სინკრეტიზაცია მოხდა ხარის კულტთან და ის მთვარის ღვთაებას დაუკავშირდა. ლეგენდებსა და რიტუალებში ლომისა მონადირე, მხედარი ღვთაებაა, რაც მის არქაულ ბუნებაზე მიუთითებს. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მთვარის ტაძრის ადგილზე ქრისტიანული ეკლესია აუგიათ. ლომისას წარმართული კულტის ნიშნები კი წმინდა გიორგის დაუკავშირდა. ლომისობის დღესასწაული აღდგომის მე-7 კვირის ოთხშაბათს იმართება და მოძრავია. ამ დღეს მლეთაში ძველად მლოცველები მთელი აღმოსავლეთ საქართველოდან იკრიბებოდნენ. თანამედროვე ეპოქაში ლომისობაზე მთელი საქართველოს მოსახლეობა ცდილობს მოხვედრას. საცალფეხო ბილიკისა და ძნელად გასავლელი გზის მიუხედავად, მომლოცველთა ნაკადი ყოველწლიურად მატულობს.

ლომისას სალოცავთან დაკავშირებით მრავალი ლეგენდაა შემონახული ხალხურ ყოფაში. გადმოცემის თანახმად, ტაძარში სასწაულმოქმედი წმინდა გიორგის ხატი იყო დაბრძანებული. ჯალალ ად-დინის ლაშქრობის დროს ხვარაზმელებს ტაძარი დაურბევიათ და ხატიც წაულიათ. ხვარაზმელებს დიდი უბედურება დაატყდათ თავს, რაც საქართველოდან წამოღებულ ხატს დააპატიჟდათ თავს, რაც საქართველოდან წამოღებულ ხატს დააპატიჟდეს. იგი ცეცხლში ჩააგდეს დასასვავად, მაგრამ იქიდან ამოფრინდა და თეთრი ხარის რქებზე დაბრძანდა. ხარი და ხატი ადგილიდან მას შემდეგ დაიძრნენ, როდესაც სულტანმა საქართველოდან წაყვანილი ყველა ტყვე გაათავისუფლა. გათავისუფლებული ქართველები ყველა შესვენების ადგილას წმინდა ხატის სახელზე ნიშას აგებდნენ. საბოლოოდ ხატი დამკვიდრებულა მლეთის მთაზე, სადაც ახლა სალოცავია. მას ევედრებოდნენ შვილიერებას, თვალის სინათლესა და ა. შ. ამჟამად სასწაულმოქმედი ხატი დაკარგულია. გადმოცემით, ხატი დეკანოზებს გადაუმაღავთ და მის სანაცვლოდ მისი მსგავსი სხვა ვერცხლის ხატი მოუჭედინებიათ.

ტაძარში დღესაც ინახება დიდი რკინის ჯაჭვი. არსებოსბ წესი, რომლის თანახმადაც თუ ვინმეს რამე აღქთმა აქვს დადებული წმინდა გიორგის წინაშე, ან რამეს ევედრება მას, ჯაჭვს კისერზე იდებს და სამგზის ლოცვით უვლის ტაძარს გარს. ჯაჭვთან დაკავშირებითაც არსებობს ლეგენდა. გადმოცემით, წმინდა გიორგიმ გადაარჩინა ერთი ტყვე ქალი, რომელსაც კისერზე ედო დიდი ჯაჭვი. ქალმა მადლობის წინად ჯაჭვი ლომისას ეკლესიაში აიტანა. მეორე ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ჯაჭვი მლეთის მთაზე ამოუტანია რომელილაც დადიანის ქალიშვილს, რომელსაც დიდი ცოდვები ჰქონია ჩადენილი. ცოდვათა მონანიების მიზნით ქალს აღთქმა დაუდევს უფლის წინაშე, რომ საკუთარ ქედზე დაიდებდა ჯაჭვს უფლის სადიდებლად, წმიდა გიორგის მეოხებით და ამ მძიმე ტვირთით ფეხშიშველი ავიდოდა სალოცავში. მართლაც, ქალიშვილს აღუსრულებია ეს აღთქმა და მისთვის უფალს წმინდა გიორგის მეოხებით მიუტევებია ცოდვები. ამის შემდეგ ჯაჭვი წმიდა გიორგის ეკლესიაში დარჩა და იმ დროიდან მოყოლებული მოსახლეობა (ქრისტიანიც და არაქრისტიანიც) უფლისა და წმინდა გიორგის თაყვანისცემის წინად ცდილობს ამ რიტუალის გამეორებას.

ლაშარის ჯვარი და თამარლელე

უნინვალიდან აღმოსავლეთით მდებარე გზას ფშავის არაგვი მიუყვება. ფშავი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა და მას ძველად ხევსურეთთან ერთად ფხოვი ეწოდებოდა. არაგვის სათავიდან მდინარე ორწყლამდე უკანაფშავის თემია, ხოლო ორწყალს ქვემოთ — მაღაროსკარის თემი — წინა ფშავი. უკანაფშავი ფშაველთა უძველესი საცხოვრისია, რასაც ადასტურებს აქ არსებული თემების სალოცავები. უკანაფშავში სულ თორმეტი თემი და ამდენივე სალოცავია. თუმცა ადგილობრივები თვლიან, რომ თხუთმეტი სალოცავი აქვთ, ყველა ხატს თავის საბრძანისი გააჩნია და ისინი წმინდა ადგილებს წარმოადგენენ. სახატო კომპლექსი იფნისა და მუხის ტყეებით არის გარშემორტყმული და ითვლება წმინდა ტყედ, სადაც ხის მოჭრა აკრძალულია. აქვეა დაცული ურთხელის — უთხოვარის ტყეც. ტყეში ურთხელის მოჭრის აკრძალვის ტრადიცია თამარ მეფის სახელს უკავშირდება. უკანაფშავის სათემო დღესასწაულები პეტრე-პავლობის მეორე კვირიდან იწყება და მარიამობის მარხვის დასაწყისამდე გრძელდება. როგორც აღვნიმენთ, ყველა თემს თავისი სალოცავი აქვს, თუმცა არსებობს საერთო სალოცავები — თამარ დელე, კვირიას სალოცავი და ლაშარის ჯვარი. უახლესი კვლევები ადასტურებს, რომ ფშავის სათემოს — რელიგიური ტრადიციები თანამედროვე ყოფაში ძველი წესების დაცვით აღესრულება. ჯვარ-ხატების მი-დამოებში დაარსებული თემები თითქმის ცარიელია. მოსახლეობა გადასახლებულია ბარში, მაგრამ დღესასწაულზე აუცილებლად ყველა სალოცავში იკრიბება. რიტუალებს დღესაც ხევისბერი ასრულებს. სალოცავებია მათურასა და უძილაურთაში, მუქოსა და გოგოლაურთაში, ცაბაურთასა და გომენარში. ადგილობრივების გადმოცემით, გომენარში ძველად ბერების ორმოცამდე გამოქვაბული ყოფილა. ხატ-სალოცავებს თავიანთი ხატ-ჯვრები და ქონება გააჩნდათ [25]. ზემოხსენებული რელიგიური დღესასწაულების ჩატარების ტრადიცია განსხვავებულია კანონიკური ქრისტიანული ღვთისმსახურებისგან და წარმართულ ელფერს ატარებს. მთის დიდი მკვლევარი — ვერა ბარდაველიძე თვლიდა, რომ კანონიკურ სწავლებას მოკლებული ადგილობრივი მოსახლეობა ზეპირი მეხსიერებით გადასცემდა ცოდნას თაობიდან თაობას.

ხმელიგორის მაღალ მთაზე დაბრძანებული ლაშარის ხატია, რომელიც ქვის გალავნით არის შემოსაზღვრული და იქ ხევისბრე-

ბის გარდა შესვლა არავის შეუძლია. ხატის გალავნის გარეთ აშენებულია ხატის სასანთლე, სადაც ასვენია წმინდა გიორგის ხატები და ჯვრები. აქ ხევისბერები მლოცველთ ამწყალობებენ, სანთლებს ანთებენ და საკლავსაც კლავენ. ხატის გალავანში მოთავსებულია თუნუქის გუმბათიანი ფიქალით ნაშენი საზარე ორი ზარით, რომელზეც არსებული წარწერა გვამცნობს, რომ ერთი ზარი 1628 წელს არის შენირული ლაშარის ხატისადმი, ხოლო მეორე ზარი ხატისთვის ზურაბ არაგვის ერისთავის შვილიშვილს შეუწირავს.

ფშავში არსებობს თქმულება, რომლის თანახმადაც ზურაბ არაგვის ერისთავი რამდენჯერმე ეცადა ფშავის დაპყრობას, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომ მან ლაშარისჯვრის შემუსვრა გადაწყვიტა. თქმულების თანახმად, ხმელიგორაზე ოქროს ჯაჭვით ზეცაზე მიბმული ბერმუხა მდგარა, მასზე მუხის ანგელოზი ადიოდა და ჩამოდიოდა. ზურაბმა იცოდა მუხის ამ მფარველი ანგელოზის ძლიერება და გადაწყვიტა მუხის მოჭრა და ანგელოზის მოშორება, რათა შემდეგ ფშაველები ადვილად დაემარცხებინა. ზურაბის ლაშქარი მუხას შეესია და მის მოჭრას შეუდგა, მაგრამ ცულის ყოველ დარტყმაზე ატეხილი ნაფოტი მუხას ისევ ზედ ეკვროდა და ხე კიდევ უფრო ძლიერდებოდა. ბოლოს ერთ უკანაფშაველს, გვარად აფციაურს, ხატისთვის უღალატნია. მისულა ზურაბთან და უთქვამს, თუ მუხას კატის სისხლს წაუსვამთ, ანგელოზი მიატოვებსო. არაგვის ერისთავმა ამ ხერხით ხე კი მოჭრა, მაგრამ ფშავი მაინც ვერ დაიმორჩილა. ცოდვის მოსანანიებლად ერისთავმა ლაშარის ხატს ზარი შესწირა. საზარე შენობა ძველისძველია და თორმეტი თემის ნაშენია.

ლაშარობა დღეს ლაშარის ხატიდან გადადის მლოცველ-მოხატენი თამარლელეს ხატში, რომელიც მოპირდაპირე მთაზე მდებარეობს. თამარლელისკენ მიმავალი ტყიანი ბილიკის გაყოლებაზე კვირიას ხატია მოთავსებული თავისი საზარეთი და საბერო-სალუდეთი. თამარის ხატი ფშავში ძლიერ სალოცავად ითვლება. მასზე განსაკუთრებით ქალებილოცულობენ. თამარის ხატი წინათ მდიდარ სალოცავად ითვლებოდა. მას ჰქონდა თავისი მამულები და ზვრები, რომლის ცხვარ-საქონელს ხატის კაცები და ქალები უვლიდნენ. თამარის ხატობა იწყება პეტრე-პავლობის მარხვის დასრულებიდან პირველივე სამშაბათ დღეს. ლაშარიდან ჩამოსულ მლოცველს აქ ხდება ფშავის-ხევიდან მოსული მხვენარი და შუადღისას ხევისბერები იწყებენ საკლავ-საწირავის დამწყალობებას. ფშაველთა სალოცავებში ქალები არ შედიან, მათ არც წმინდა ე. წ. ხატის ტყეში შესვლის უფლება აქვთ. არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად

ამ ადგილებში თამარი ყოფილა დაკრძალული. აქ ადრე ცხოვრობდა გაბიდოურების გვარი, რომელიც გადასახლდა ხოშარაში და ადგილ-მამულები თამარ მეფის სახატედ გადააქცია [7.1]. თანამედროვე კვლევების საფუძველზე დგინდება, რომ წარსულში არსებულ წეს-ჩვეულებათა ჩატარების კრიტერიუმები არ სეცვლილა და იგი კვლავ მკაცრად განსაზღვრულია [39]

თამარლელე და ლაშარის ჯვარი მნიშვნელოვანი რელიგიურ-საკულტო ცენტრებია საქართველოს მთის მოსახლეობისთვის.

ჩარგალი

წინაფშავში — მაღაროსკარის თემში მდებარეობს სოფელი ჩარგალი. სოფლის ცენტრში რიყისა და ნატეხი ქვისგან ნაგები ერთსართულიანი მოკრძალებული სახლი დგას. ამ სახლში 1861 წელს სოფლის მღვდლის — პავლე რაზიკაშვილის მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა ლუკა რაზიკაშვილი, რომელსაც პეტერბურგში სწავლისას მისმა თუშმა მეგობარმა, დიმიტრი ცისკარიშვილმა ვაჟა ფშაველა შეარქვა. ფშავ-ხევსურეთში „ვაჟა“ კარგ ბიჭს, ვაჟკაცს ნიშნავდა. ლუკა რვა წლამდე სოფელში იზრდებოდა.

ვაჟა სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში. 1877-1879 წლებში თბილისის ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ კი გორის სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარიაში, რომელიც 1882 წელს დაამთავრა. ერთხანს სოფლის სკოლაში მასწავლებლობდა, 1883-84 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელიც იყო, მაგრამ ხელმოკლეობის გამო მალე მიატოვა უნივერსიტეტი და სამშობლოში დაბრუნებული ჯერ შინამასწავლებლად, შემდეგ დიდი თონეთის სკოლის მასწავლებლად მუშაობდა.

1888 წლიდან პოეტი ჩარგალს დაუბრუნდა. ცხოვრობდა ჩვეულებრივი გლეხის ცხოვრებით — ხნავდა, თესავდა, უვლიდა საქონელს. ფშავის ზამთრის გრძელ ლამეებში წერდა ლექსებს, პოემებსა და მოთხოვნებს. ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა მთიელ ახალგაზრდა მწერალს. როდესაც ვაჟა პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა, ილიასთან მივიდნენ ძმები ყიფშიძეები და შესთავაზეს, ვაჟას ფული ვუშოვოთ და გერმანიაში, ბერლინის უნივერსიტეტში გავგზავნოთ სასწავლებლადო. ილიას შუბლშეჭმუხვნით უთქვამს: „ბატონებო, ვაჟა პეტერბურღიდამ ეგებ ბედმაც დააბრუნა, ახლა

გერმანიაში უპირებთ გაგზავნას? ძლიერ კარგი, მაგრამ იცით კი, რა გამოვა? თავი გაანებეთ, — გერმანიაში, იქნებ არაფერი გამოვიდეს, უკეთეს შემთხვევაში ფილოსოფიას დაეწაფება, მაშინ ფანდურს მაღლა, ჭერში შესდებს. ვაითუ, ვერც ფილოსოფოსად ივარგოს, ფანდურიც სამუდამოდ დაემსხვრას. მაგას პონორარი დაუნიშნეთ, ისევ მთაში წავიდეს და სწეროს — თავისებური ფანდურის ჟღერით დაგვატკბოს“. ვაჟა-ფშაველა თავის ნაწარმოებებს ძირითადად „ივერიას“ აწვდიდა. იბეჭდებოდა „დროებაში“, „ჯეჯილში“, „კვალში“, „მწყემსში“. ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ სამუშაოდაც მიიწვია, მაგრამ იქ მხოლოდ სამი დღე იმუშავა. მეოთხე დღეს გადაწყდა, ვაჟასთვის თვეში ხუთი თუმანი დაენიშნათ ხელფასად, მას კი ყოველ თვეში რაიმე ნაწარმოები უნდა ჩამოეტანა. ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა 1915 წლის 27 ივლისს თბილისში და დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი 1961 წელს გაიხსნა მისი დაბადების 125 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ყოველ წელს, 29 ივლისს, ჩარგალში ვაჟა-ფშაველას სახელობის სახალხო დღესასწაული — „ვაჟაობა“ იმართება. პირველი ვაჟაობა ლაფანცურში გაიმართა; იდეა სოფლის მკვიდრს — ზამბილ ციგროშვილს გაუჩნდა. „ვაჟაობისთვის“ დაიხატა ვაჟა-ფშაველას პორტრეტი, რომელიც დღესაც დღესასწაულის ერთ-ერთ სიმბოლოდ ითვლება. „ვაჟაობის“ დღესასწაულზე ტრადიციულად სპორტული და კულტურული ღონისძიებები ტარდება. იმართება ხალხური რევნის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა. წარმოდგენილია ტრადიციული ფშაური სამზარეულო — დამბალხაჭოთი და ხინკლით. ჩარგლიდან არაგვის მარჯვენა ნაპირის გაყოლებაზე საკრებულოს ცენტრთან მაღაროსკარი მდებარეობს. აქაც, როგორც მთელ მთაში, მრავალი კუტურული ძეგლია. მაღალი მთის თხემზე ნასოფლარ კარტანასთან X-XI საუკუნეების ნახევრად დანგრეული დარბაზული ეკლესიაა. მას ამკობს შირიმით გაწყობილი კანკელის საფუძველი. აქვეა შუასაუკუნეების სწორკუთხა დაზიანებული კოშკი. მაღაროსკარში XIX საუკუნის ხარანაულთა წმინდა გიორგის „ თავისუფალი ჯვრის“ ტიპის გუმბათიანი ეკლესიაა. იგი აღდგენილი და რესტავრირებულია.

თვალივი

ფშავის არაგვის მარცხენა მხარეს, გორამალალას მთაზე, მდებარეობს თვალივის ხუროთმოძღვრული კომპლექსი. ადგილობრივი მოსახლეობა თვლის, რომ თვალივი კომპლექსს იმიტომ დაარქვეს, რომ იგი თვალივით გადაჰყურებს მთელ ხეობას და აკონტროლებს შემოსულ მტერ-მოყვარესო.

სამონასტრო კომპლექსში შედის წმინდა გიორგის ეკლესია, კოშკი, მცირე ეკლესია, საცხოვრებელი ნაგებობა და გალავანი. წმინდა გიორგის ეკლესია ხარჭაშნელ ეპისკოპოსთა მთავარი ტაძარი ყოფილა და ისტორიულ საბუთებში XIII საუკუნიდან მოიხსენიება. ხარჭაშნელთა ეპარქია მოიცავდა ერთო-თიანეტს, ფშავებურეთსა და თუშეთს. 1265 წლის შემდეგ, როდესაც მონღლოლებმა მოახერეს კახეთი და მთელი ივრისპირეთი, სწორედ ეს მონასტერი იქცა საეპისკოპოსო საკათედრო ტაძარად. ვარაუდობენ, რომ მისი პირველი ეპისკოპოსი იყო ღრმად მოხუცებული ლაშა-გიორგის პირადი მოძღვარი, რომელმაც თავის აღზრდილს ჯვარი ველისციხელ ქალთან თვალივში წმინდა გიორგის ეკლესიაში დასწერა. ეკლესია გალავნით შემოზღუდულია და VIII-IX საუკუნეებსს განეკუთვნება. XIV საუკუნეში ტაძარი გადააკეთეს და მას სამრეკლო მიუშენეს.

ტაძრის ინტერიერში საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნულია კანკელით, რომლის თავზე შემორჩენილია მოხატულობის ნაწილი — ვედრების კომპოზიციითა და მოციქულთა, ან წმინდანთა გამოსახულებებით. სულ კანკელზე თხუთმეტი გამოსახულებაა, რომელიც დაზიანებულია და კარგად არ ჩანს. საინტერესოა, წარმოადგენს თუ არა ეს თხუთმეტი გამოსახულება ფშაველთა თორმეტით თემის თხუთმეტ სალოცავს? ამისი დადგენა ვერ ხერხდება ფრესკების ძლიერი დაზიანების გამო. ტაძრის შესასვლელში, მოზრდილ ფილაზე ასომთავრული წარწერის ფრაგმენტებია შემორჩენილი. ხალხური გადმოცემით, კრწანისის ბრძოლის შემდეგ ერეკლე II ამ ეკლესიაში ამოსულა, ულოცია და მერე აქედან გადასულა კახეთში. გალავანშემოვლებულ კომპლექსში გალავანზე მიდგმული მცირეზომის ძლიერ დაზიანებული დარბაზული ეკლესიის ნანგრევებია. ასევე ძლიერ დაზიანებულია ოთხსართულიანი კოშკი, რომელსაც ფართო თაღოვანი შესასვლელი აქვს. კოშკის მეოთხე სართული მონგრეული, ხოლო დარჩენილი შენობა შუაზეა გახსნილი თაღოვან შესასვლელამდე. ეკლესიის სამრეკლოზე ასასვლელი კიბეები კი დაუზიანებელია. კომპლექსი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი

ძეგლია და მას აღდგენა ესაჭიროება. გალავნის ჩრდილოეთ კედელთან მთლიანად დანგრეული საცხოვრებელი ნაგებობაა, რომლის მხოლოდ გეგმის კონტურია შემორჩენილი.

თვალივის მცხოვრებლები ძველად დადიოდნენ ხმალას სალოცავში, რომელიც სოფლიდან სამი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. გვიანი შუასაუკუნეების კომპლექსი თითქმის დანგრეულია. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს ზენა მხარს უწოდებს. მათი ვე თქმით ძველად სალოცავში ქვევრებიც იყო, ღვინო კი კახეთიდან მოჰკონდათ ფშავლებს [39].

თვალივის კულტურის ძეგლები დაზიანებულია, შესასწავლია და საჭიროებს არქეოლოგიურ კვლევებს.

შატილი და მუცო

ხევსურეთი დამოუკიდებელ მხარედ ისტორიულ საბუთებში XV საუკუნიდან მოიხსენიება. ხევსურები ემორჩილებოდნენ მხოლოდ სამეფო ხელისუფლებას და ძირითადი ვალდებულება სამხედრო ბეგარა იყო. ხევსურებს სოციალური სტრუქტურაც ერთგვაროვანი ჰქონდათ, არ ცნობდნენ ოფიციალურ სამართლს და ყველა საკითხს ჩვეულებითი სამართლით წყვეტდნენ. ხევსურები ეგზოგამიური მენატლიტეტით გამოირჩეოდნენ და ბევრი გვარი არ ჰქონდათ. მათ სინკრეტული ხასიათის სარწმუნოებაში შერწყმული იყო წინაქრისტიანული და ქრისტიანული ელემენტები.

ხევსურთა ძირითადი სალოცავი გუდანის ჯვარია, რომელიც წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. ძლიერ სალოცავად ითვლება ასევე წმინდა გიორგის სახელობის ხახმატის ჯვარიც, რომელიც ქალების მფარველადაა მიჩნეული. მას ქალები შვილიანობას შესთხოვდნენ. ხახმატის ჯვარი საქონლის მფარველ ღვთაებადაც ითვლებოდა, ამიტომ ხატში ბატყანს ან ციკანს კლავდნენ.

ზემოჩამოთვლილ სალოცავთა გარდა ხევსურებს კიდევ ბევრი სალოცავი აქვთ: ანატორისჯვარი, ფუძისანგელოზის, ადგილისდედის. ამ ხატ-ანგელოზებს ყველას თავიანთი საბრძანისი ჰქონდათ, რომელსაც დღესაც დიდ თაყვანს სცემენ ხევსურები [17.2].

ხევსურეთს კავკასიონის მთავარი ქედი ორ ნაწილად ყოფს: რაგვისა და მისი შენაკადების ხეობებში პირაქეთა ხევსურეთია, სადაც გადადის არხოტ-როშკის გადასასვლელი გზა. როშკასთან ახლოს სოფელი კორშაა, სადაც 2015 წელს დაფუძნდა „არაბულების ხელო-

ვნების სახლი-არტკაუსი”, რომლის მიზანს წარმოადგენს ხევსურე-თის არამატერიალური კულტურის ძეგლების გადარჩენა და პოპუ-ლარიზაცია. „არაბულების არტკაუსი” ანარმოებს თანამედროვე ტანისამოსს ტრადიციული ორნამენტებით, ასევე, ნაქარგ-ნაქსოვ სუვერინებს, ხისა და მინის ნივთებსა და სამკაულებს. 2016 წელს ზაფხულში აქ გაიხსნა ტრადიციული რეწვის საზაფხულო სკოლა, სადაც ადგილობრივი ბავშვები და ხევსურეთში ჩამოსული ქართ-ველი და უცხოელი სტუმრები სწავლობენ ქარგვას, ქსოვას, ხეზე ჭრას, მინანქარს.

ასსა-არღუნის სათავეებთან პირიქითა ხევსურეთია, სადაც შა-ტილელები და არხოტელები მოსახლეობენ. პირიქითა ხევსურეთი ისტორიულად სასაზღვრე ზოლი იყო და ამიტომ დამცავ ზღუდეს აქ არსებული ციხე-სიმაგრეები წარმოადგენდნენ. ჩრდილოეთით მოსახლე ჩეჩინებთან მტრული დამოკიდებულების, რთული გეო-გრაფიული და კლიმატური (გარე სამყაროსთან თვეობით მოწყვეტა მთების ჩაკეტვის გამო) პირობების შესაბამისად ხევსურეთში ჩამო-ყალიბდა დასახლებათა ტერასული განლაგება. უნდა აღინიშნოს, რომ კონსტრუქტით პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთის საცხო-ვრებელი ნაგებობანი განსხვავებულია. პირაქეთა ხევსურეთისთვის დამახასიათებელია ქორედი ანუ კალოიანი (ბანიანი) სახლი. ასეთი ტიპის სახლი სამსართულიანია (სამთვლიანი) და აერთიანებს ეზოს, სენეს (რძის პროდუქტების შენახვა-დამზადების ადგილი), კალოს (პურის სალენი ადგილი ზამთრობით), ჭერხოს (მამაკაცთა სად-გომი). პირიქითა ხევსურეთში გვხვდება კალოიანი სახლებიც და ციხე-კოშკებიც რომლებიც ჰორიზონტალურ და გვირგვინისებური სახურავითაა გადახურული.

პირიქითა ხევსურეთის ციხე-სოფლის უნიკალურ ტიპს წარ-მოადგენს შატილისწყლისა და არღუნის შესართავთან მდებარე სოფელი შატილი, რომელსაც მცირე ტერიტორია უკავია და მიუ-ვალი კლდის კეზზე მდებარეობს. შატილი ძეველად სასაზღვრო პუნ-ქტის როლს ასრულებდა და იცავდა საქართველოს ჩრდილო-აღ-მოსავლეთ კარს. სოფელს ძეველად ტერასულად განლაგებული ოთხი უბანი გააჩნდა: ქავჩი, შუა და ზემო სოფელი, ზეუბანი. ერთი შენობის ბანი ზემოთ მდგომი სახლის ეზოა და სახლებს შორის დარჩენილი ვიწრო ბილიკებითა და ტერასებით მთელი სოფლის შემოვლა შეიძლება. სოფლის ასეთი განლაგება თავდაცვითი საჭი-როებით იყო განპირობებული. ციხე-სახლები და კალოიანი (ბანია-ნი) სახლები ნაშენია ფიქალით, ნატეხი და რიყის ქვით. ხევსურები

მამა-პაპისეულ სახლებს ქვიტკირს უწოდებენ. სვეტებივით აზიდული ქვიტკირის სახლები ერთი შეხედვით მნახველზე მთლიანი ციხის შთაბეჭდილებას ახდენს. სოფელს შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა. სახლში პირველი სართული გომური იყო, მეორე — საცხვარე (საქონლის სადგომი), მესამე და მეოთხე სართულები საცხოვრებელი და მეხუთე — თავდაცვითი დანიშნულების მქონე. სართულებს შორის დაკავშირება ხდებოდა ჭერში გაჭრილი ხვრელებით. საცხოვრებელ ოთახში მოწყობილი იყო კერა, რომელზეც საქვაბეჯაჭვი იყო ჩამოკიდებული. აქ იდგა ოჯახის უფროსის სკამი, სავარძელი და სხა საყოფაცხოვრებო ნივთები. მეხუთე სართულს ზაფხულობით დასაძინებლადაც იყენებდნენ. გადახურვა ბანიანი იყო და ყოველ მხარეს თითო ან ორი ჩარდახი ჰქონდა. გიორგი ჩიტაია თვლის, რომ შატილი საქართველოს ხელისუფლების მიერ დაარსებული ციხე-სოფელი უნდა იყოს, სადაც ჩაასახლეს ჭინჭარაულები, იმ დროს, როცა ქვეყანას ჰყავდა ძლიერი ხელისუფლება და აფართოებდა ტერიტორიებს კავკასიის ქედის გადაღმა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთაში არსებული ციხე-კოშკები, ხშირ შემთხვევაში, არ იყო სახელმწიფოს მიერ აშენებული და მათ ადგილობრივები თავიანთი სახსრებით აშენებდნენ [15.6]. შატილში შემორჩენილია სოფლის საფიხვნო, რომელიც წარმოადგენდა სახალხო კრების მსგავს ადგილს, სადაც საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა ხდებოდა. შატილში მოსახლეობის შემცირება რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ დაიწყო. მთის ხალხი ვერ ურიგდებოდა რუსების ბატონობას. 1804, 1812 წლების რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აჯანყებები მთილების შეუპოვარი ბრძოლის მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. შატილში შამილის თავდასხმაც მომხდარა. გადმოცემის თანახმად, „შამილს შემოუთვლია: არას გერჩით, გზად გაგვატარეთ და თავისუფლებას გიბოძებთო. ქვეყნის ერთგულ შატილელებს შამილისთვის შეუთვლიათ უარი. განრისხებული კავკასიელი მებრძოლი დიდი ჯარით შემოსევია შატილს, მაგრამ სოფელი მედგრად დამდგარა და ვერ აუღია“ [33.3]. საქართველოს მთას მსახვრალი ხელი კომუნისტებმაც დაატყვეს და დარჩენილი მოსახლეობა ბარში გადასახლეს. მთის კანონის ამოქმედებამ და ქვეყანაში ტურიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო მოსახლეობის მამა-პაპისეულ ადგილებში დაბრუნებას. შატილს სიცოცხლე დაუბრუნდა. გაიხსნა საოჯახო ტიპის სასტუმროები. მნახველები შატილს ზამთარ-ზაფხულ სტუმრობენ.

შატილიდან თორმეტ კილომეტრში, არდოტის ხეობის შუა წელზე, მაღალი კდეების თავზე, წამომართულია სოფელი მუცო, რომელიც უძველესი დროიდან წარმოადგენდა ერთ მთლიან სათავდაცვო სისტემას ჩრდილოეთიდან საქართველოსკენ მომავალ გზაზე. ციხე-სოფელი სამ ტერასაზეა განლაგებული, ნაშენია ფიქალითა და დუღაბით. მიუხედავად იმისა, რომ მუცოელები განთქმული მეომრები და მონადირეები იყვნენ, სოფელი 1769 წელს მაინც გადაუნვამს მტერს, ხოლო 1840 წელს შამილის რაზმების შემოსევების შედეგად მუცოში ცხოვრების კვალი წაიშალა და აღარ განახლებულა. სოფლის ჩრდილოეთით დგას შვიდი მეტრის სიმაღლის თორლვაის კოშკი, რომელიც შუა საუკუნეებს განეკუთვნება. კოშკის პიველი სართული სამალავისთვის იყო განკუთვნილი, მეორე და მესამე — საცხოვრებლად, ხოლო მეოთხე — სათავდაცვო იყო. სოფლის შუა ტერასაზე ჩოლოყაანთ კოშკია, ხოლო ქვედა ტერასაზე ბორჩაშვილების ციხე სახლი დგას, ნაგები გვიან შუასაუკუნეებში ნატეხი ქვით. მესამე ტერასაზე ბროლისკალოს წმინდა გიორგის სახატეა. იგი შუა საუკუნეების ძეგლია და შედგება დარბაზისა და საჯარე-საგან (მეთემეთა შესაკრებელი ადგილი). სოფლის მკვიდრნი მთავარანგელოზის ბროლისკალოს ხატზეც ლოცულობდნენ და ხატის-თვის მოძღვნილ საგანძურს იცავდნენ [30.3]. გადმოცემით, მხოლოდ ორმა კაცმა იცოდა საიდუმლო საგანძურის ადგილსამყოფელი. საგანძური და დროშა მხოლოდ ხევსურთა უდიდეს დღესასწაულზე — „ათენგენობაზე“ გამოჰქონდათ. ჩამოატარებდნენ მედროშენი ზანზალაკებიან დროშას, მუხლს მოიყრიდნენ მის წინაშე ხატის ყმები, გამორჩეულ საკარგყმოს ლუდით სავსე „ხატის თასებს“ ჩამოურიგებდნენ და იმათ მოსაგონარს სვამდნენ, ვინც სამშობლოსათვის დასდო თავი. მერე დაწყებულა ქამიანობა (შავი ჭირის ეპიდემია) და საიდუმლოს გასანდობად ლირსეული ახალგაზრდის ძიებაში საგანძურისა და დროშის სამალავების მცოდნებმა საიდუმლო საფლავში თან წაიღეს. ასე დარჩა ლეგენდად მუცოს მიუგალ კლდეებში დამალული განძი და დროშა. მუცოელებს სჯერათ, რომ განძს ვერავინ იპოვის, ვიდრე მუცოს მფარველი ხატი თავად არ ამოარჩევს ლირსეულს და ძილში არ უჩვენებს მის ადგილსამყოფელს.

ლეგენდის თანახმად საგანძური დღესაც მუცოს ახლოს, მაღალ მთებშია დაცული.

სოფლის განაპირას გვერდზე გადახრილი და კუთხეჩამონგრეული შეთეკაურთ (ჩოლოხათ) ციხეა, რომელსაც ერთი ლეგენდა უკავშირდება: სოფლის მკვიდრი შეთეკაურები ხუთი ძმანი

ყოფილან, ერთ-ერთი ძმა კოჭლი ყოფილა და ამიტომ მას ჩოლოხას ეძახდნენ. ძმებმა ციხე რომ ააგეს, მრუდე გამოუვიდათ, ჩოლოხას დააბრალეს და სახლიდან გააგდეს. ჩოლოხა ახმეტაში გადასულა და იქ ერთ მემამულესთან მსახურობდა პატიოსნად. კარგი სიტ-ყვა-პასუხისა და საქმიანობის გამო მემამულემ ჩოლოხას მიწის ნაკვეთი აჩიქა. აქედან წარმოდგება სავარაუდოდ ჩოლოხაშვილების-ჩოლოყაშვილების გვარი.

პირიქითა ხევსურეთის ციხე-ანსაბლები ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლებია. საქართველოს ყველაზე სავალალო მდგომარეობაში მყოფ ისტორიულ ძეგლთა სიაში შემავალ მუცოს 2014 წლიდან რეაბილიტაცია ჩაუტარდა მშენებლობის ძველი მეთოდის გამოყენებით, რათა შენარჩუნებულიყო მისი ისტორიული იერსახე. მუცოში მუზეუმ-ნაკრძალია მოწყობილი. მუცოს რეაბილიტაციის პროექტმა, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის სფეროში ევროპის უმაღლესი პრიზი — ევროპა ნოსტრას 2019 წლის ჯილდო მოიპოვა.

მდინარე თერგი და თრუსოს ხეობა

თრუსოს ხეობა^[3] და მდინარე თერგის ბუნებრივი გარემო გამორჩეულია იშვიათი ეგზოტიკურობით. ბუნებრივი მრავალფეროვნება, მინერალური წყლების სიმრავლე, მრავალი ეკლესია, სხვადასხვა ფორმისა და ტიპის ცას აზიდული კოშკები ხეობას განსაკუთრებულ ელფერს სძენს. ხეობაში კოშკები ისეა განლაგებული რომ ერთი ციხიდან მეორე ციხის დანახვა შესაძლებელი ყოფილიყო სასიგნალო გადაცემისთვის. ყველა კოშკის დათარიღება რთულია, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს საბრძოლო კოშკები სასროლი იარაღის გავრცელებამდე ბევრად ადრეა აგებული. თრუსოს ხეობა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან მდებარეობს. ის გარშემორტყმულია თოვლიანი ჭიუხებით. მოიპოვება მინერალური

3. თრუსო შიდა ქართლის მთანეთის იტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას მდინარე თერგის სათავიდან ყაშარა/კასარამდე. შედიოდა არაგვის საერისთავოში. თრუსოლები გერგეთის სამების ყმებად ინერგებოდნენ. სულხან-საბას განმარტებით „დრუსო არს ზღუდე ქვის კოშკიანი, დიდ და კეთილად ნაშენი“. XVIII ს.-ში თრუსოში მიგრირდნენ ოსები და ხეობას „კუდი კომ“ დაარქვეს. ოსი მეცნიერები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თრუსოს ხეობა ოსების კუთვნილებაა, თუმცა არცერთ ისტორიულ დოკუმენტში და ტოპონიმში ასეთი გეოგრაფიული ერთეული არ ფიქსირდება.

მუავე წყლები. თრუსოს ხეობა დღეს მოიცავს მდინარე თერგის ხეობას კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე. მთავარ წყალგამყოფ ქედსა და ხოხის ქედს შორის, უღელტეხილ თრუსოდან — სოფელ კობამდე, სოფლების განლაგება ძირითადად ხეობის მარცხენა მხარესაა. ხეობის სოფლები — მნა, ნოგყაუ, ოქროყანა, ქეთრისი, აბანო, ზაქათგორი, დესი, სუატისი, კარატყაუ, ბურმასიგი, ცოცოლთა, გიმარა, ტეფი, რესი მოსახლეობისგან ძირითადად დაცლილია. ისტორიულად თრუსოს ხეობა მოიცავდა ტერიტორიას მდინარე თერგის სათავიდან კასრი კარამდე და რამდენიმე სოფელს აერთიანებდა (რესი, ტეფი, გუსალთა, ჯიმარა, ბურმასიგი, ზაქათგორი, აბანო, ქეთრისი, დესი, ყარათყაყ, დესი, სუათისუ, წონოლთა). ამ სოფლების შესახებ ცნობები დაცულია რუსეთის მიერ XIX ს.-ში შედგენილ სამხედრო რუკაზე. თრუსოს ხეობაში XVII ს.-დან ინტენსიურად დაიწყო ოსი მოსახლეობის ჩამოსახლება და საუკუნეების განმავლობაში ისინი ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასთან ერთად მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. ამჟამად ხეობა თითქმის მთლიანად დაცლილია მოსახლეობისგან; სოფელ ოქროყანაში ერთადერთი ოსი ქალბატონი ცხოვრობს და რამდენიმე ოჯახია ჩამოსახლებული სოფელ გარბანიდან. ხეობის სოფლებში მრავლადაა შემორჩენილი ტაძრები, საჯვარ-ხატე ნაგებობანი, ციხე-კოშკები.

თრუსოს ხეობის ერთ-ერთი ლამაზი სოფელია ქეთრისი, რომელიც ზღვის დონიდან 2010 მეტრზე მდებარეობს, სოფლის სახელი მომდინარეობს სიტყვა „კეთრიდან“. აქ, სავარაუდოდ, ძველად კეთროვანთა შესაკრები ადგილი ყოფილა. კეთროვანები სოფელ აბანოში არსებული თერმული წყლებით იკურნებოდნენ. ქეტრისის მთაზე აღმართულია, თორმეტი მოციქულის სახელობის მამათა მონასტრი. მონასტრის ტერიტორიაზე აღდგენილი იქნა ყოვლად-წმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. 2014 წელს აბანოს დედათა მონასტიდან აქ გადმოსვენებული იქნა უხრნელი სხეული მღვდელ იოსებისა და დაკრძალეს ტაძრის ეზოში. ქეთრისში ექვსართულიანი კოშკია (13მ), რომელიც ფიქლითაა ნაგები. კოშკის შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. კოშკს სართულებს შორის გადახურვა ჩაქცეული აქვს.

ქეთრისთან ახლოს მდებარეობს სოფელი აბანო, რომელსაც სახელი აქ არსებული თერმული წყლებიდან გამომდინარე დაერქვა. აბანო ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა. სოფელზე გადიოდა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი გზის ერთ-ერთი განშტოება. აბანო ისტორიულად ხევს ეკუთვნოდა და

ქსნის საერისთაოში XIV ს-დან, ხოლო XVI-XVIII ს-ში კი არაგვის საერისთაოში შედიოდა. სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, აბანოს თავისი თავდაცვითი სამი კოშკი ჰქონდა (ისინი დაზიანებულია), აქვე შემორჩენილია სოფლის მთავარი სალოცავი, დარბაზული ეკლესია, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტერი, რომელიც 1820 წელს აკურთხეს წმინდა გიორგის სახელზე [33.1]. მოგვიანებით ტაძარი განაახლა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ, რასაც გვამცნობს ტაძრის შესასვლელის თაღზე არსებული წარწერა, რომლის თანახმად 1889 წელს ტაძარზე მიწერილი იქნა სოფელ კარტსოფლის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი. ტაძარს ქონდა საკუთარი ბიბლიოთეკაც, რომელიც შედგებოდა 182 წიგნიდან და ფონში ქართულ და რუსულენოვანი წიგნები იყო ძირითადად. 1909 წლიდან აქ არსებობდა სამრევლო სკოლა. მოგვიანებით ტაძარი დანგრეული იქნა. ადგილობრივთა ცნობით, ტაძარი რუსებმა ააფეთქეს. სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით ტაძარი აღდგა ღვთისმშობლის მიძინების სახელზე და დაარსდა დედათა მონასტერი. 2014 წელს ტაძრის ეზოში აღმოჩნდა მღვდელ იოსების საფლავი. სხეული უხრწნელი იყო და შემოსილი გახლდათ საბერო მანტიითა და და ხელთ ეპირა საბერო ჯვარი. სახეზე ჰქონდა ორი ნაიარევი — ერთი ხიშტით მიყენებული, მეორე — ტყვიით. გადმოცემის თანახმად, აქ მოღვაწე ბერები უამრავ სასწაულს აღასრულებდნენ.

აღსანიშნავია თრუსოს ხეობის სოფლებიდან ზაქაგორის ციხე-სიმაგრეთა შემორჩენილი ნანგრევები, რომელიც რელიეფთან-საოცრადა შეწყმული. აღნიშნული სოფელი ხეობის ერთ-ერთი უძველესი დასახლება იყო და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თრუსოს ხეობის სათავდაცვო სისტემაში. სოფელი ზაქაგორი სამეფო ხელისუფლების კუთვნილება იყო. აქ არსებული ნაგებობანი XIII-XIV ს.-ს განეკუთვნება. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ქართლში გაძლიერებულმა სათავადო სისტემამ ხევის ტერიტორიის სოფლები დაპირისპირების ობიექტი გახადა ქსნისა და არაგვის ერისთავებს შორის. სოფელი მნე ხეობის სამოურავოში შედიოდა და ძირითადი მოსახლეობა ქართული იყო, თუმცა XIX ს.-დან აქ მოჭარბება დაიწყო ოსმა მოსახლეობამ, მაგრამ ვერ დაფუძდნენ, აიყარნენ XX ს.-ს 40-იან წლებში და სოფელი ნასოფლარად იქცა. ზაქაგორი შედგება კოშკებიან, ერთი კოშკური სახლებისა და ნატეხი ქვით ნაგები ორსართულიანი სახლებისგან. გაუკაცრიე-

ლებული ნასოფლარის ისტორიული ძეგლები აღდგენას ელოდება. მიუხედავად იმისა, რომ ხეობაში არსებული სოფლები დაცარიელებულია, სამონასტრო ცხოვრების გამოცოცხლებამ თრუსოს ხეობას



ზაქაგორი

ახალი სიცოცხლე შემატა. აღსანიშნავია, რომ ხეობა მნიშვნელოვან ტურისტულ ადგილს წარმოადგენს. საოცარი რელიეფი, ტრავენტინები, უძირო ტბა, ჰიდროკარბონატული მინერალური წყლები, ისტორიული ძეგლები მნახველს აღაფრთოვანებს.

თრუსოს ხეობაში სათემო სალოცავებიც მრავლადაა შემორჩენილი და ისინიც, მსგავსად კოშკებისა და ქრისტიანული ტაძრებისა, მთის წვერზეა აგებული ძნელად მისადგომ ადგილას. სალოცავისაკენ მიმავალ რთულსა და დამდლელ გზაზე არსებულ ნიშებთან მორწმუნები დროდადრო ისვენებდნენ და ლოცულობდნენ. ისინი, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ადიოდნენ მთის წვერზე, დღე-სასწაულს მთავარ სალოცავში არსებულ ნიშთან აღნიშნავდნენ. მთაში ნიშების დაარსება მრავალ თქმულებებასთან არის დაკავშირებული.

სიონი, ფანშეტი, სნო

თერგის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს სოფელი სიონი, რომელიც ხევის ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა. სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ხევს სამხედრო-ადმინისტრაციული მოხელე განაგებდა და მას ერქვა „სიონის ერისთავი“, რომელიც საქართველოს სამეფო კარს ექვემდებარებოდა. სამეფო ხელისუფლების დასუსტებისა და ხევზე არაგვის ერისთავთა უფლებების გავრცელების შემდეგ სიონის ერისთავებს არ დაუკარგავთ თავიანთი სახელი. არაგვის საერისთაოს გაუქმების მერე სიონი უშუალოდ მეფისწულებს დაექვემდებარა. სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მაღალ კლდეზე აღმართული სიონის ციხეა, რომელმაც არაერთხელ შეასრულა დიდი როლი მტრის წინააღმდეგ შეუდრეკელ ბრძოლაში. 1804 წლის მთიულეთის აჯანყების მონაწილენი სიონის ციხეში გამაგრდნენ. დიდი ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარმა ციხე აიღო. სიონის კოშკი ხუთსართულიანია და პირველი სართული ძალიან მაღლიდან იწყება. ოთხ სართულს ქვის გადახურვა ჰქონდა, მეხუთე კი ბანი იყო, კოშკს მცირე ზომის სარკმლები აქვს. მაღალ ჰლატოზე მდგარი სიონის კოშკი საუკუნეების განმავლობაში დარაჯობდა გასასვლელ გზას. კოშკთან ახლოს სამნავიანი ბაზილიკაა გალავნით, რომლის აღმშენებლობა მეფე თამარის სახელს უკავშირდება. ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. ტაძარში უამრავი სიწმინდე იყო დაცული, მათ შორის ღვთაების ჯვარი და პატარა ძველი გატეხილი ზარი, საძჭოთა მმართველობის პერიოდში თითქმის ყველა სიწმინდე დაიკარგა. ტაძრის ერთ-ერთი სიწმინდეა ე. წ. თამარის ჯვარი, რომელიც 1693 წელს არაგვის ერისთავს ბაადურსა და მის მეუღლეს — ქაიხოსრო ციციშვილის ქალიშვილს — თამარს ტაძრისთვის შეუწირავს. სოფელი სიონი თავად წარმოადგენს ისტორიულ ძეგლს თავისი აკლდამებით, სალოცავებით, გამოქვაბულებით (ზემოგორის ქოხი), ციხე-კოშკებით.

სოფელი ფანშეტი მდინარე თერგის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს; იმ ადგილას, სადაც თერგს სნოს წყალი ერთვის, აგებულია საყარულო კოშკები, რომელსაც მდინარის სანაპიროს დაცვის ფუნქცია ჰქონდა. ფანშეტში ორი კოშკია — ერთი მაღალ მთაზე და მეორე ქვემოთ, სოფლის ტერიტორიაზე. მთაზე მდგარი კოშკი გამოირჩევა მაღალმხატვრული ღირებულებით. სოფელი ორი საგვარეულოს — ჩონიაშვილებისა და სამქანაშვილების კოშკის გარშემო იყო დასახლებული. ჩონიაშვილების ციხე-სახლი XVII

საუკუნისაა, ორსართულიანი სახლი ციხეზე მოგვიანებითაა მიშენებული. კოშკი ოთხსართულიანია და სადარაჯოდან კონტროლდებოდა ხეობაში გამავალი გზა. ფანშეტში შემორჩენილია კულტურის მრავალი ძეგლი, ძირითადად საცხოვრებელი „სახიზრები“, რომელიც მეზობელი სოფლებიდან ავტედობის დროს გადმოსული მოსახლეობისთვის თავშესაფარს წარმოადგენდა. აქვეა ე. წ. „ცოდვილთ ქოხები“, სადაც ბეთლემის სავანის ბერები იზამთრებდნენ ხოლმე. კომპლექსი ბაზალტის ქანიან კლდეშია გამოკვეთილი და სამიარუსიანია. ფაშენტის მოსახლეობა კავთის წმინდა გიორგის დღესასწაულობდნენ, სალოცავი მაღალ მთაზე მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დღესასწაულს ლომისობის მეორე კვირის ბოლოს აღნიშნავენ. [33.2]

სტეფანწმინდიდან რვა კილომეტრის დაშორებით, მდინარე სნოსწყლის ხეობაში მდებარეობს სოფელი სნო. სნოს, იმავე აჩხოტის ხეობით საცალფეხო ბილიკი გადადის ხევსურეთში. სოფელი სნო წარმოდგენილია ქართული კულტურული მემკვიდრეობის მრავალი ძეგლით, ესენია: დარყის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც მთის წვერზე დგას. ეკლესიას აქვს ზურგიანი კოშკი, რომელიც ძლიერ დაზიანებულია და შემორჩენილია მხოლოდ ოთხი მეტრის სიმაღლის ყრუ კედლები, კვირელვთისშვილების ნიში და ნადარბაზევის ეკლესია. სოფლის განაპირას კი მდებარეობს ღუდუშაურთა ციხე, რომელიც XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ხევის მოურავის — შიომლა ღუდუშაურის დაკვეთითაა აგებული. მას ქართულ ციხე-სიმაგრეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ვახუშტის თქმით „ციხე ღუდუშაურისა მცირე, არამედ ფრიად მაგარი. ამ ხევიდამ გარდავალს გზა გუდამაყარს“ [6.14]. ღუდუშაურებმა XVII საუკუნის პირველ მეოთხედში არაგვის ერისთავების წყალობა დაიმსახურეს და პრივილეგირებულ მდგომარეობასაც მიაღწიეს. XVIII საუკუნეში სნოს ციხეც არაგვის ერისთავთა კუთვნილებას წარმოადგენდა. 1731 წელს ბარძიმ არაგვის ერისთავი პეტერბურგში მყოფ ვახტანგ VI-ს ატყობინებდა ქვეყანაში ლეკთა შემოსევის ამბავს სნოსა და არშას ციხეებზე. ამ შემოსევის შესახებ ერთი ხალხური გადმოცემაცაა შემონახული: გახურებულ ბრძოლაში სნოს ციხის მეთოვეებს წამალი შემოლევიათ და სროლაც შეუწყვიტავთ. ლეკები კი ციხეს თანდათან უახლოვდებოდნენ თურმე. ეს ამბავი არშის მეციხოვნეებმა გაიგეს და თოფის წამლის მიწოდება განიზრახეს. ამ დროს ამოვან ავსაჯანს უთქვამს: რა წყალობის გაღება შეუძლია ჩემზე თემს, რომ მე სნოს ციხეს წამა-



სნოს ციხე

ლი მოვაშველოო. ამაზე თემს უპასუხნია: „რომ ჩვენ ვალად დავი-დებთ რათა შენთვის და შენი შთამომავლობისათვის ჩვენს თემში ქალი უთხოვარი იყოს და სუფრა უწევარიო.“ ე. ი. მის შთამომა-ვლობას ქალი საცოლედ არსად არ დაეჭიროს და სუფრაზე ყველ-გან უკითხავად მივიდესო.“ ამოვანი ამაზე დათანხმებულა, იარაღი აუსხამს და ერთი გუდა წამალი ზურგზე აუკიდია. ამოვანს ლეკის ჯარის ბანაკში გაუვლია, მაგრამ ის ლეკებს ვერ უცვნიათ, რადგა-ნაც ამოვანს ლეკური ტანისამოსი სცმია. ამოვანი სნოს ციხეში შე-სულა და მეომრებისათვის თოფის წამალი გადაუცია, შემდეგ ისევ არშის ციხეში მშვიდობით დაბრუნებულა. სნოს ციხეს ჩქარა ომი განუახლებია და დამარცხებული ლეკებიც გაქცეულან [16.3].

თექვსმეტი მეტრის სიმაღლის კოშკი პირამიდული ფორმისაა და კარები ექვსი მეტრის სიმაღლეზე აქვს. ციხე გეგმით წრიულია. მასში მოხვედრა აღმოსავლეთის კარიდანაა შესაძლებელი, ფასა-დებზე კი ჯვრები აქვს გამოსახული. ციხის გალავანი მორღვეულია, სამხრეთ-აღმოსავლეთით მცირე მონაკვეთია შემოსაზღვრული. კლდეზე საფეხურებია გამოკვეთილი. სავარაუდოდ, აქ იყო წყალზე ჩასასვლელი კარები. ხევში სნოს ციხეს სტრატეგიული ადგილი ეკავა, იგი ძველად მნიშვნელოვანი ისტორიული ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზას დარაჯობდა და აკონტროლებდა. სოფელ სნოში რა-მოდენიმე მნიშვნელოვანი სალოცავია: დარყის წმინდა გიორგის ეკლესია, სადაც გიორგობის დღესასწაულს აღნიშნავდნენ (ძვ. სტ. 23 აპრილს) [33-3] და სათემო სალოცავი სპარსანგელოზისა. სალო-ცავი ზღვის დონიდან 4000 მეტრზე მდებარეობს ძნელად მისადგომ ადგილას. არსებობს გამონათქვამი, რომ ამ ადგილას შეფარებული დაჭრილი ჯიხვი ხელშეუხებელია და თუ მტრისგან გამოქცეული დევნილი ამ ადგილს მიაღწევდა, ის თავისუფალი რჩებოდა. ად-გილობრივი მოსახლეობა სპარსანგელოზის სალოცავს უწმინდესად თვლის. ძველად აქ მოხევეები ღამისთევით ადიოდნენ. სპარსან-გელოზის დღესასწაულს ათინოგენობასაც ეძახიან. ამჟამად დღე-სასწაული იმართება ხალხმრავლობით ნიშმინდორასთან აუცილებ-ლად ორშაბათს — აღდგომიდან 98 დღის შემდეგ.

2007 წელს სოფელ სნოში იკურთხა წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი.

სოფელში ფუნქციონირებს სასტუმრო „სნო“, საიდანაც შემო-სული თანხები სოფლის განვითარებასა და მოსახლეობის პრობლე-მების მოგვარებას ხმარდება.

ხევის კულტურულ-ისტორიული ძეგლები შეწყმულია პუნქტივ გარემოსთან, მნახველთა ინტერესს წარმოადგენს და არის მნიშვნე-ლოვანი ტურისტული ზონაა.

ბეთლემი

მყინვარწვერის ფერდობზე, ზღვის დონიდან 4100 მეტრზე შუა საუკუნეებში ჩვენს ნინაპრებს ბეთლემის მონასტერი გამოუკვე-თავთ. ხალხური გადმოცემით, ის წმინდა გიორგის საბრძანებე-ლი ყოფილა და როცა ქვეყანას უჭირდა, მაშინვე გამოაგელვებდა თეთრ ცხენს და წინ მიუძღვდა ქართველობას ბრძოლის ველზე.

ვახუშტი აღნიშნავს: „ბეთლემსა გარნა საჭიროდ ასავალი არს, რა-მეთუ არს ჯაჭვი რკინისა გარდმოკიდებული ქვაბიდამ... კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ და ან ცარიელი“. [4.12] ეს მონასტერი წარმოადგენდა საეკლესიო სიწმინდეებისა და განძის საცავს. XVIII საუკუნის ბოლოს აქ ცხოვრობდა იოსებ მოხევე, რომელიც ასულა ბეთლემის მონასტერში, იქ დახვედრია აპრაამის კარავი და უფლის აკვანი. არსებობს გადმოცემა. რომ ეს სიწმინდეები იოსებ მოხევეს შემდეგ ერეკლე II-ისთავის გადაუცია. თუმცა არავინ იცის შემდგო-მი ბედი ამ მნიშვნელოვანი სიწმინდეებისა. ბეთლემის სამონასტრო კომპლექსის შექმნის დროიდანვე მყინვარნვერი და მისი შემოვარე-ნი „წმინდა ადგილად“ გამოცხადდა. XVIII ს.-ს ბოლოს აქ მოღვაწეობ-და ადგილობრივი მკვიდრი მარკოზ სუჯაშვილი, რომლის გარდაც-ვალების შემდეგ ბეთლემში ღვთისმსახურება შეწყდა [33,2].

ბეთლემის გამოქვაბულის ქვემოთ, კლდის ძირში, 3732 მეტრზე მდებარეობდა წმინდა ნინოს მიერ დაარსებული მონასტერი, რომე-ლიც ამჟამად ნანგრევებადაა ქცეული. მონასტრის ნგრევის მიზეზი ზვავი ან კლდის ჩამოშლა უნდა ყოფილიყო. არქეოლოგიური მასა-ლების მიხედვით, იგი X-XI საუკუნეებს მიეკუთვნება. მადლმოსილი ყოფილა ეს ადგილი. ხალხური რწმენით, ამ ადგილის ახლომახლო ნადირობას ვერავინ ბედავდა, რადგან ეშინოდათ — ბეთლემი და-გვაპრმავებსო. ხალხს სწამდა, რომ დაკოდილი ნადირი (რომელიც ხელშეუხებლად ითვლებოდა) ხატის ძალით იკურნებოდა. მოხე-ვები ბეთლემის ორ ძლიერ ხატს ეთაყვანებოდნენ — „მყინვარის წმინდა გივარგის“ და „ბეთლემის ყოვლადწმინდას“. ახალშექრინილ ვაჟსა და პატარძალს პირველად ბეთლემის ყოვლადწმინდის ნიშ-თან ალოცებდნენ ხოლმე [30.5]. ბეთლემის სამონასტრო კომპლექსი შედგებოდა ეკლესის, ქვაჯვარის, „ამირანის ნაქოხარისა“, „ბერე-ბის აბანოს“, „მარიამ წმინდანის საბრძანისითა“ და „ნაბერალნით“. ამ უკანასკნელს იყენებდნენ საძოვრებად. გადმოცემის თანახმად, აქ მდგარა მცირე ზომის ეკლესია, საცხოვრებელი სახლები და ქვის ჯვარი. ადგილობრივ მცხოვრებთა რწმენით, ჯვარი აქ ანდრია პირ-ველნოდებულს დაუდგამს. [31.6] ჯერ კიდევ XIX ს.-ში ბეთლემის სამონასტრო კომპლექსი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა და აქ ბერები ცხოვრონდნენ. ამას ადასტურებს არქეოლოგიური მა-სალა. თუმცა 1913 წელს სამთო საზოგადოების ექსპედიცია ჩატარ-და მყინვარნვერზე, ბეთლემში საყდარი და სენაკები დანგრეული დახვედრიათ. მყინვარნვერის კალთაზე მრავალი ღვიმე და გამო-ქვაბული დღეს ნანგრევებადაა ქცეული. ჯერ კიდევ XX ს.-ს 30-იან

წლებში სერგი მაკალათიამ მონასტერი ნანგრევებად მოიხსენია და აქ აღმოაჩინა სამსტრიქონიანი ხუცური წარწერა. მოგვიანებით, 1947 წელს, ცნობილმა ალპინისტმა ლევან სუჯაშვილმა მყინვარ-წვერის ფერდობზე პირველმა შეამჩნია ბეთლემის გამოქვაბული და ჩამოშვებული ჯაჭვი. ამავე წელს შეიქმნა ბეთლემის შემსწავლელი ჯგუფი. 1948 წელს ალექსანდრე ჯაფარიძის ალპინისტთა ჯგუფმა ბეთლემის გამოქვაბულში შეაღწია. ექსპედიციების ჩატარების შედეგად აქ აღმოჩენილ იქნა X-XI საუკუნეების სხვადასხვა საეკლესიო და საყოფაცხოვრებო ნივთები. ბეთლემის ეკლესიაზე აღმოჩენილი წარწერის ფრაგმენტები, ვახუშტის მიერ მოხსენებული რკინის ფირფიტებით შექმედილი კიბე, ჯაჭვი, ვერცხლის ხატი და საეკლესიო ინვენტარი სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. [42,1]. საექპედიციო მასალების დღიური დაცულია ალ. ყაზბეგის სახელობის სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდში. ბელემზე კვლევითი მუშაობა კვლავ გაგრძელდა და ჩატარდა რამდენიმე ექსპედიცია, რომელმაც დაამოწმა 10 ნაგებობის ნანგრევი: სხვადასხვა ზომის რამდენიმე ნაგებობა, რომელიც სათვალთვალო დანიშნულების უნდა ყოფილიყო, ნაგები იყო ადგილობრივი ნაშალი ქანების დაუმუშავებელი ქვებით მშრალი წესით. შეიქმნა აღმოჩენილი სმონასტრო კომპლექსის ტოპოგრაფიული სქემა.

1999 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, მყინვარწვერზე მთამსვლელთა დახმარებით ავიდნენ სასულიერო პირები მთავარეპისკოპოს ნიკოლოზის წინამდლოლობით და იქ წმინდა სამების მცირე ტაძარი დადგეს. ალუმინის კონსტრუქცია დამზადებულია თბილისის საავიაციო ქარხანაში. ტაძარი საკმაოდ პატარაა, 20 კაცამდე ეტევა. რთულად მისასვლელი გზის მოუხედავად ბეთლემი მოგზაურთათვის ინტერესს არ კარგავს.

გერგეთის სამება

თერგის ხეობაში, მყინვარწვერის ფონზე, საქართველოს მთიანეთში ერთადერთი გუმბათოვანი ტაძარი — გერგეთის სამებაა აღმართული. ვახუშტი ხატოვნად გამოგვცემს — „მყინვარის კალთასა ზედა, მონასტრერი სამებისა, გუმბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად... მშვენიერნაშენი, შვენიერს ადგილს“ [4.7]. ვახუშტისავე ცნობით, საუკუნეების განმავლობაში აქ ესვენა ქართველთა ქრის-

ტიანობის მთავარი სიმბოლო — წმინდა ნინოს ჯვარი. გერგეთის სამება არა მარტო ხევისა და მთიულეთის, არამედ ჩრდილოკავკასიელ ქრისტან მთიელთა კულტურულ-რელიგიური ცენტრი იყო. ტაძრის აგებასთან დაკავშირებით არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმად, მეფეები ვერ შეთანხმდნენ, თუ სად უნდა აეშენებინათ სამების ტაძარი. მაშინ ერთმა მცხეთელმა ბერიკაცმა შესთავაზა მეფეებს, დაეკლათ საკლავი და ხარის სამგორველი (მერჯის ნაწილი) სადმე ქალაქის განაპირას დაეგდოთ. მის გამოსახრავად მოსული ყორანი სადაც სამგორველს დააგდებდა, სამებაც იქ უნდა აეგოთ. მართლაც მოფრინდა ყორანი, გაიტაცა სამგორველი, ხალხი უკან გაეკიდა ყორანს, რომელმაც მაღალ მთაზე დააგდო ძვალი და იქვე გამოხრა. გადაწყდა, ტაძარი აქ აეშენებინათ. მშენებლობისთვის მასალა ხარებით აუტანიათ სოფლიდან, კალატოზებისთვის წყალს მეცხვარები ეზიდებოდნენ. წყაროს დღესაც „კალატაის წყაროს“ ეძახიან.

გერგეთის ტაძრის ზუსტი აგების თარიღი უცნობია. არ ვიცით ტაძრის აგების ინიციატორი და მშენებელი. სამების დათარიღება ხერხდება ტაძრის მხატვრულ-ისტორიული ანალიზის საფუძველზე და XIV საუკუნეს განეკუთვნება. ტაძრის აგება და გიორგი ბრწყინვალის მიერ შექმნილი კანონთა კრებული „ძეგლიდება“ მთიანეთში სამეფო ხელისუფლების გავლენის გაზრდას ისახავდა მიზნად. გერგეთის სამების მოვლა-პატრონობა გიორგი ბრწყინვალემ დააკისრა ადგილობრივ მცხოვრებთ, რომლებიც „სამების საყდრისშვილებად“ იწოდებოდნენ. ამ პატივს მომდევნო საუკუნეებშიც სოფელ გერგეთის მკვიდრთ, საქართველოს სხვა მეფეებიც უმტკიცებდნენ. ტაძარში დაიწერა „მატიანე სულთა“, რომელიც XV-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და ხევისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალას წარმოადგენს.

გერგეთის სამება ცენტრალურ გუმბათოვანი ნაგებობაა. მას გრანდიოზულობას სძენს ადგილმდებარეობის საერთო ხედი. ტაძრის ფასადები მორთულია ჩუქურთმებით. სარკმლებზე (ჩრდილოეთ ფასადი) მედალიონებია. ტაძრის შიდა კედლები თლილი ქვითაა შემოსილი და მხატვრობის კვალი ამჟამად არ იკითხება. როგორც კვლევებმა დაადასტურა, არც აშენების დროს უნდა ყოფილიყო აქ მხატვრობა [16.2]. XV-XVI საუკუნეების I ნახევარში ტაძრის-თვის მიუშენებიათ კამაროვანი სათავსი, რომელიც კარიბჭის როლს ასრულებს. მოგვიანებით სათავსს მიაშენეს კედელი, რომელიც ხევის უხუცესთა სათათბიროდ — „საბჭდეოდ“ იქცა. გერგეთის სამებას შემოვლებული აქვს გალავანი, რომელიც ძველი გალავანის

საძირკველს მიჰყება. გერგეთის სამებაში ბერ-მონაზვნული ცხოვ-რება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აღდგა. დაწესდა გერგეთის ყოვლადწმინდა სამების დღესასწაული, რომელიც ყოველი წლის 16 ივნისს აღინიშნება. გერგეთის სამება საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებისა და ქართული კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეული ხუროთმოძღვრული ძეგლია. თავად სოფელი გერგეთი ხევის ერთ-ერთი ძველი დასახლებაა და ჩართული იყო ხევის თავდაცვით სისტემაში. კოშკები და სახლები ნანგრევების სახითაა შემორჩენილი, ზოგან კი დღესაც ამაყად დგას უამთასვლას გამოვლილი დედაბოძი.

დარიალის კარიბჭე

კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე მდებარე საქართველოს კარიბჭე — დარიალის კარი, უძველესი დროიდან დღემდე ჩრდილოეთან დამაკავშირებელ მთავარ გზას წარმოადგენდა და წარმოადგენს. ანტიკურ ხანასა და შუასაუკუნეებში დარიალს საქართველოსთვის სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გზით პერიოდულად ხდებოდა შემოჭრა კავკასიონის გადაღმა მომთაბარე სხვადასხვა ტომებისა: ალან-ოსების, სკვით-სარმატების, ჰუნ-ხაზრების, ამიტომ დარიალის ჩაკეტვით დაინტერესებულნი იყვნენ როგორც საქართველოს ხელისუფალი, ისე წინა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში გაბატონებული დამპყრობლები, რომლებიც ხშირად აწყობდნენ ლაშქრობებს მის დასაუფლებლად, რაც საქართველოში მათ ასევე ხშირ შემოსვლას უწყობდა ხელს. ამის გამო საქართველოს სამეფო კარი და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარე-ხევი კავკასიონის გზის დაცვას ციხესიმაგრეთა მთელი სისტემით ახორციელებდა. ჯერ კიდევ ძვ. წ. IV-II საუკუნეებში ფარნავაზიანთა დინასტიის წამომადგენლები მტკიცედ ფლობდნენ დარიალის გამოსასვლელებს და ჩრდილო-კავკასელ მთელებთან კარგ ურთიერთობაში იყვნენ. ისტორიული ხევი ფარტოდ რომ იყო ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კარგად წარმოაჩენს დაბა ყაზბეგში აღმოჩენილი „ყაზბეგის განძი“ (ძვ. წ. VI-V ს.-ს) აქემენიდური ხანის ხელოვნების ნიმუშებით, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთებით.

ძვ. წ. 65 წელს, პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ, იბერიის მეფეს დაევალა ჩრდილოეთის გადმოსასვლელების გამაგრება. „ქართ-

ლის ცხოვრებაში“ დარიალის კარების გამაგრების ფაქტი და აქ ციხის არსებობა არ დასტურდება ვახტანგ გორგასლამდე, თუმცა მეფე ამაზასპის ამბის გადმოცემისას ნახსენებია „გზა დვალეთისა“ [2.14]. დვალეთი იყო საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, რომელიც ქართლის სამეფოს შექმნისთანავე მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ვახტანგის ცნობით, „დარიალა არაგვს აღმოსავლით, კიდესა ზედა, მეფის მირვანის მიერ. შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზრთა და ოვსთათვის, რათა უმისოდ ვერლარა ვიდოდნენ [4.8]. აქვე ყოფილა მეფეთა სასახლე-მოსასვენებელი — „ოდეს გაილშქრიან ოვსეთად, მუნ დადგიან“. ისტორიულ ხევზე გამავალი მთავარი გზის დაცვა და გამაგრება ვახტანგ გორგასლის დროს — V საუკუნის II ნახევრიდან კიდევ უფრო გაძლიერდა, „შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩვენ დარიანისად უწოდთ და აღაშენა მას ზედა გოდოლნი მაღალი“ [2.15]. ციხის მცველებად ვახტანგმა ადგილობრივი მთიელები დაადგინა. ხევის ტერიტორიაზე ანტიკური და ფეოდალური ხანის ქართული და უცხოური წყაროები ადგილობრივ მთიელებად წანარ-სანარებს მოიხსენიებენ და დარიალის მოსახლეებად მიიჩნევენ (კლავდიოს პტოლემაიოსი, თომა არწრუნი, იოანე დრახსკანაკერტეცი და სხვა). მთიელი წანარების კახეთში ჩასახლების შემდეგ ეს ტერიტორია ხევად იწოდება. დავით IV-ის მმართველობის დროს — 1118 წელს მან „აღიხვნა ... კარი დარიალისა და... შექმნა გზა მშვიდობისა“ [2.16].

მონლოლთა გამოჩენის შემდგომ, XIII საუკუნიდან, ოქროს ურდოსა და საილხნოს შორის არსებული პოლიტიკური დაპირისპირების შედეგად ხევის თავდაცვითი სისტემა მოიშალა, შესუსტდა სამეფო ხელისუფლების გავლენა. მეფე დავით VI-მ, რომელსაც როთული დამოკიდებულება ქონდა საილხნოსთან, გადაწყვიტა, მისთვის დაეპირისპირებინა ოქროს ურდო და ამ მიზნით დარიალის კარების გახსნა გადაწყვიტა. დავითმა ამ მოქმედებით დროებით გაიმაგრა პოზიციები, თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელდა. მეფე გიორგი V-ეს დროს საქართველო გათავისუფლდა მონლოლთა უდლისგან და ხევში კვლავ აღდგა მეფის ხელისუფლების გავლენა. თემურლენგისა და თოხთამიშის დაპისრისპირების დროს თემურ ლენგმა რამდენჯერმე დალაშქრა არაგვის ხეობა. როდესაც მან, 1401 წელს შამქორის ზავი დადო გიორგი VII-სთან, ზავის მესამე მუხლი ქართველებს პირდაპირ ავალდებულებდა, ჩაეკეტათ სამიმოსვლო გზები (მათ შორის დარიალზე გამავალი გზაც). საქართველოს ფეოდალური დაშლის

პერიოდში ისტორიული ხევი სამეფო სახლის ხელდებული იყო, XVIII ს.-ს ბოლოს ქართლ-კახეთის უკანასკნელმა მეფემ — გიორგი XII-მ დარიალის კარის დახმობა გადაწყვიტა რუსეთთან ურთიერთობის განვითარების მიზნით, მაგრამ მალე ეს განზრახვა შეცვალა.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ დარიალის ხეობის აქტუალობა გაიზარდა, ვინაიდან იგი საქართველოს გუბერნიასთან სამხედრო გზით დამაკავშირებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი გახდა, რის გამოც თანდათან გაიზარდა საგუშავო და გზის გადამკეტი ციხე [37.1]. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით, რუსეთის ხელისუფლებამ დარიალ-არაგვის გზაზე დაიწყო გამტარი გზის მშენებლობა, რომელმაც „საქართველოს სამხედრო გზის“ სახელი მიიღო. სამხედრო გზის დააწვა შეკეთება-გაფართოება და ჯარის სურსათით უზრუნველყოფა მძიმე ტვირთად ხევის მოსახლეობას. რაც გახდა მიზეზი 1804 წლის მთიულეთის აჯანყების დაწყებისა.

დარიალის ხეობიდან იწყება საქართველო. ამ გზის დაცვას დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ხეობა ჩაკეტილი იყო დარიალის ციხით, რომელიც „თამარის ციხის“ სახელითაა ცნობილი. თუმცა ციხეს მეფე თამართან არაფერი აქვს საერთო. ამ ციხეს მ. ლერმონთოვმა ლექსი მიუძღვნა, რომლის შემდეგ დაერქვა კიდეც დიდი მეფის სახელი. დღეს ამ ციხის ნანგრევებია შემორჩენილი, სადაც კარგად ჩანს სხვადასხვა ეპოქის სამშენებლო ფენები. ციხეს შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა და ამავე მხარეს იყო მდინარეზე ჩასასვლელი საიდუმლო გვირაბიც, საიდანაც ციხე წყლით მარაგდებოდა [16.4]. დღესდღეობით მდინარე თერგის მარცხენა მხარეს მაღალ მთაზე მდგარი ციხის „ძნელად ასაღები“ კედელი აღარა შემორჩენილი და მხოლოდ ნაგრევები მეტყველებს მის წარსულსა და დიდებაზე.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსებმა ამიერკავკასიისაკენ მომავალ მთავარ გზაზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ციხე სწორედ დარიალის ძველი ციხის ადგილას ააგეს. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ დარიალის დასაცავად 1918 წლის 27 მაისიდან 15 ივლისამდე დიდი ბრძოლები გადაიტანეს მოხევეებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ. „დარიალის მცველები“ ვალიკო ჯუდელის გვარდიასთან ერთად, რუსი ბოლშევიკებისგან საქართველოს დამოუკიდებლობას იცავდნენ.

დარიალის ხეობაში მოქმედებს ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტი, რომელიც 2006 წლის 8 ივლისიდან რუსეთის მხარემ

გაურკვეველი ვადით დაკეტა. 2010 წელს საზღვრის ამ მონაკვეთის გახსნის შეთანხმებას საქართველომ და რუსეთმა შვეიცარიის შუა-მავლობით მიაღწიეს.

დარიალის ციხის მოპირდაპირედ, მდინარე თერგის მარჯვე-ნა მხარეს, კლდოვან მთაზე 2005 წელს საქართველოს კათალი-კოს პატრიარქმა — უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ახალი სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა აკურთხა. უწმინდესმა ქა-დაგებისას აღნიშნა, რომ „საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხი ელოდებოდა დღეს, რომ აქ, საქართველოს კარიბჭეში წმიდა მთავარანგელოზების, მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ტაძა-რი აშენებულიყო. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, უფრო მე-ტად — სულიერი თვალსაზრისით. მთავარანგელოზები მიქაელი, გაბრიელი, რაფაელი და სხვები არიან მფარველნი ყოველი ადამია-ნებისა და საქართველოსი.“

2011 წელს გაიხსნა მთავარანგელოზის ტაძარი და იურთხა ტაძრის პირველ სართულზე განთავსებული ასი ათასი მონამის ეკლესიაც. დარიალის ხეობაში მამათა სამონასტრო კომპლექსში საბოლოოდ სულ 12 ეკლესია აშენდება. საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვრზე მდებარე დარიალის სამონასტრო კომპლექ-სი მნიშვნელოვანი რელიგიური და კულტურული ცენტრია.

დარიალის კარიბჭეში აშენებული სამონასტრო კომპლექსი მცველია საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებისა.

წყაროები და ლიტერატურა

თავი I. თბილისისა და მისი შემოგარენის კულტურლ-ისტორიული ძეგლები

1. გიულდენშტეტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. 1. გ. გელაშვილის გამოცემა. თბ; 1962, 1-49/2-84;
2. ევლია ჩელები „მოგზაურობის ნიგნი“, რედაქცია: ი. აბულაძე, ვლ. ფუთურიძე, ს. ყაუხჩიშვილი და სხვ. ; უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ. ნ. XXVIII) ტ. 2. ნაკვეთი 1, მეცნიერება, 1971.1-43;
3. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი თარგმნა და შესავალითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ. თბ; 1969, 1-66/2-66/3-64;
4. ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. I თბ; 1955 ნ. 1-გვ. 139/2-205/3-222/4-223/5-227-228/6-342/7-334/8-367/9-205/10-130/11-222/12-16;
5. ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილი რედ. ტ. II თბ; 1959 ნ. 1-366/2-24/3-126/3-272/4-496;
6. ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. IV თბ; 1973 ნ. 1-336/2-336/3-199/4-439/5-335/6-335/7-338/8-329/9-335/10-329;
7. არველაძე ბ, ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში თბ; 2016 ნ. 1-40, 42/2-44, 46/3-47/4-25/5-28, 33/6-46/7-26,28/
8. ბარდაველიძე ვ. ღვთაება ბარბარ-ბაბარ. თბ; 2006, 1-7-9;
9. ბერიძე ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 ნ. თბ; 1960, 1-14, 15/2-64;
10. ბერიძე ვ, ქართული ხელოვნება. ნ.1 1-117;
11. ბერიძე ვ. „XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება“, 1994ნ, 1-25;
12. ბერიძე თ. და აღმოცენდა თბილისი. თბ; 1977 ნ. 1-10/2-72/3-34/4-34-35/4-45-46/5-140/6-68;
13. ბერიძე თ. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია; თბ; 1977 ნ, 1-34, 35;
14. ბერძენიშვილი ნ. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ; 1965;
15. გვათუა ნ. ძველი თბილისის აბანოების ისტორიიდან. ისტ-ეთნ. მუზეუმის შრომები, ტ1. 1-98, 99;

16. გუნია ირ. „მცხეთა-თბილისის ეპარქიის ტაძრები“, 2002 წ.1-67;
17. ეთნოლოგიური თბილისი, რ. თოფჩიშვილი, თ. გვიმრაძე. 2017. 1-15/2-130/3-128/4-166/5-117;
18. ზაქარაია პ. ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია. თბ; 2002წ, 1-38-40;
19. ზაქარაია პ. ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII სს. თბ; 1990, 1-57, 59;
20. თამარაშვილი მ. ისტორია კათალიკოსობისა ქართველთა შორის. თბ; 2011წ , 1-106, 107/2-17, 18;
21. თბილისის ისტორია. ტ. 1. თბ; 1990. 1-გ74/, 2-217/3-206/3-394, 395/4-408/5-436,439/6-48;
22. თბილისი, ენციკლოპედია. 2002 წ. 1-22/2-230-231/3-633/4-695/5-347;
23. კარბელაშვილი პ. ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში. ისტორიული მიმოხილვა.1902 წ. 1-34/2-53;
24. კენკებაშვილი თ. კოჯვის ისტორია, თბ; უნივერსალი, 2009,
25. კვირკველია თ ძველი თბილისი, თბ; 1984, 1-13,14/ს;
26. მესხია შ. საისტორიო ძეგლები. თბ; 1982 ტ1. 1-250/2-217/3-251-252;
27. მორჩილაძე ა. ქართულის რვეულები. XIX საუკუნის სურათები. 2013. 1-43, 44;
28. ნინიძე დ. თბილისის დომინიკელთა მონასტრის ისტორიისთვის. შოთა მესხიას საიუბილეო კრებული. თბ; 2006.1-225,226;
29. რელიგიები საქართველოში ,რედ. ზურაბ კიკნაძე, ტოლე-რანტობის ცენტრი, საქ. სახალხო დამცვ. ბიბ-კა. - თბილისი, 2008;
30. საქართველოს ისტორია. ტ. I 2003 წ.1-353-356/
31. საქართველოს ისტორია. თბ; 2008 ტ. II, 1-87/ 2-352 /3-324;
32. საქართველოს პატრიარქები. გვ. 111 თბ; 2000 წ. 1-112/2-175;
33. ქართველ წმინდანთა ცხოვრება. თბილისი-ათენი, 2003 წ.1-45;
34. ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. I თბ; 1955.
35. ქართული პროზა. იოანე საბანისძე. აბო თფილელის მარტვილობა, თბ; 1982.1-140/2-140/3-140/
36. ქუთათელაძე მ. თბილისის ტაძრები, ტ. I, თბ; 2010. 1-16, 21/2-7, 14/3-445,/4-54,65/5-546,5/6-254,258;
37. ჩიტაა. გ. შრომები ტ. 3. თბ; 2001 წ. 1-141;
38. შოშიაშვილი ქ. ქართველ ებრაელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა/სადისერტ. ნაშრ/2002 წ.1-24, 25;
39. ძნელაძე მ. თბილისის წმინდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა

ეკლესია. თბ; 2014, 1-14;

40. ძნელაძე მ. ტფილისელი მკურნალის სახლი დედაციხიდან. თბ; 2018 წ. 1-22-23;

40. ძნელაძე მ. სადრაძე ვ. ძველი ქართული აბანოები, თბ. 2014 წ. 1-74/2-80;

41. ძნელაძე მ. თბილისის კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესია. თბ. 2014. 1-15;

43. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, გრიშაშვილი ი., თბ. 1928, 1-7/2-76/3-66/4-67;

44. ჭიჭინაძე ზ. ქართველთ ისრაელნი საქართველოში, თბ 1990 წ, 1-4/2-32;

45. ყიფიანი გ. ძველი თბილისის ზოროასტრული ტაძარი. თბ 2009 წ. 1-5-6/2-17;

46. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №13, 1999 წ.;

47. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №15, 1999 წ.;

48. „დროება“. 1884 წ. №207;

49. „დროება“. 1897წ. №136;

50. უურნალი „დროშა“. 1951 ბერიძე ვ, თბილისის ხიდები, 1-18;

51. უურნალი „მადლი“ №16 (58), 1992 წ.;

52. უურნალი „ისტორიანი“, 2014 წ. 09.;

53. უურნალი „ჯვარი ვაზისა“ №3, 1988 წ.

თავი II. მცხეთა-მთიანეთის კულტურ-ისტორიული ძეგლები

1. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, თბ; 1962. გერმანული ტექსტი ქართული თარგმნითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილიმა, 1-59/ 2-98/3-271;

2. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. I თბ; 1955წ. 1-25/2-111/3-223/4-29/5-88/6-13/7-367/8-40/9-114/10-198/11-118/12-29/13-131/14-55/ 15-156/ 16-336/17-106/18-119/19-123/20-130/21-125;

3. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. II თბ; 1959 წ. 1-278/2-278/3-278/

4. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. I. V თბ; 1973 წ. 1-351/2-275/3-348/4-354/5-355/6-355/7-357/8-358/9-353/10-350/11-393/12-393, 394;

5. ამირანაშვილი შ. ჯვარის დიდი ტაძარი მცხეთაში ქართული ხელოვნების ისტორია. თბ; 1971 წ. 1-125, 129;
6. აფაქიძე ა. მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ; 1959 წ. 1-9;
7. არჯევანიძე ი. თბილისის უახლოესი მიდამოები, თბ; 1940 წ. 1-31, 40;
8. ბარდაველიძე ვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისნტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, 1-31, 39;
9. ბერიძე ვ. სვეტიცხოველი. თბ. ; 1969. ძეგლის მხატვრულ-ისტორიული დახასიათება;
10. ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ; 1974 წ. 1-104/2-28;
11. ბერიძე ვ. XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება. თბ. ; 1983.1-145;
12. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, 1990. 1-207;
13. ბერძენიშვილი დ. ნარკვევები, 2006 წ.;
14. გვასალია ჭ. არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. V. - თბ;1975.1-71;
15. ზაქარაია პ. არაგვისა და თერგის ხეობა. თბ;1972, 1-13,15;
16. ზაქარაია პ. ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია, თბ; 2002 წ. 1-67/2-501/3-403/4-343/5-527/6-486;
17. ზაქარაია პ. ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII სს. 1990 წ. 1-223,226/ 2-206/ 3-280/4-64;
18. თოფჩიშვილი რ. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ; 2017. 1-162/2-99;
19. ითონიშვილი ვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა. 2001 წ.;
20. ითონიშვილი ვ. ხანდოს ხევი, 2003 წ.;
21. მეტრეველი რ. დიდნი საქმენი, თბ; 1978.1-201, 202;
22. მესხია შ. საისტორიო ძიებანი ტ. I თბ;1982, 1-224;
23. მესხია შ. საისტორიო ძიებანი ტ. II თბ; 1983, 1-61/2-70;
24. ნიკოლაიშვილი ვ. სიხარულიძე ა. მცხეთის ძველ (პომპეუსის) ხიდი. 2002წ, 1-1;
25. ოჩიაური ა. „ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ (ფშავი), თბ; 1991.;

26. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I თბ; 1971, 1-346;
27. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბ; 1973, 1-127/2-125/3-346;
28. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ; 1973, 1-345/2-422;
29. საქართველოს წმინდანები, თბილისი-ათენი, 2003 წ. 1-105/2-108/3-103;
30. საქართველოს სულიერი საგანძური, წ. I. თბ; 2005. 1-174, 180/2-13,17;
31. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა ტ. II, 2004 წ. 1-280/ 2-386/3-278/4-436/5-44;
32. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. 5, თბ; 1990, 1-254/2-255/3-319/5-265/4-339-342;
33. სტეფანენმინდისა და ხევის ეპარქიის ისტორია. შემდგ, ბერდიაკონიკონსტანტინე (ლურსმანაშვილი). 2018 წ. 1-498/2-275/3-312;
34. ყაუეხიშვილი თ. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. წილკანი. თბ; 2004.1-213, 214;
35. ჩიტაია გ. შრომები. ტ II, თბ; 2000. 1-37/2-257/ 3-305;
36. ჩიტაია გ. შრომები ტ V, თბ; 2001, 1-39;
37. ჯავახიშვილი ივ. ტ XI, თბ; 1998;
38. ჭანიშვილი გ. სამთავრო, წმინდა წინოს დედათა მონასტერი,თბ; 2008.1-252;
39. წითლანაძე ლ. „დარიალის ციხე“, ძეგლის მეგობარი, №.27-28, გვ. 62-67, თბ.; 1971 წ.
41. ისტორიანი. #10, 2018 წ.
42. კსუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები (ფშავი). 2016 წ.
43. კსუ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები (ხევი) 2019 წ.;

Resume

The work “Cultural Heritage of Tbilisi and Mtskheta-Mtianeti ” is dedicated to the public interested in the Georgian history and culture and its aim is to become their trustworthy guide urgently necessary in times of globalization.

The purpose of the book is to introduce this short guide – anthology to the Georgian readers, and help tourists, guides and the public in general, to get the information about the Georgian historic monuments and their uniqueness, their past and present. We believe that we will contribute to the identification and popularization of Georgia’s true history.

Georgia is the country of the world’s oldest civilization. Georgian culture is the treasure of the world culture. Over the course of centuries, the history of Georgia has acquired a self-styled and unique standards due to the country’s difficult geo-political problems and permanent struggles and, as a result of the constant contacts with foreign nations, its culture became rich and unique.

Georgians had close ties with the biggest nations of the Old East- the Urartians, the Assyrians, the Hittites, later – with the Greeks and the Roman Empire, Armenia, Byzantium, Arabia, Turkey, Mongolia, Persia. This is proved by the foreign historic sources – the excellent material for the studies of Georgian history. It should be noted that, despite the hard historical processes, Georgian culture was never restricted, rectilinear or narrow – it always combined the best of both the Western and the Eastern worlds, the proof of which are Georgia’s unique literature, folklore, architecture, science, poetry.

The existence of the state of Georgia in the difficult geographic area slowed the process of the political and cultural development of the country many times. The fall of the Byzantine Empire was especially hard as Georgia, after the occupation of the Black Sea by the Ottomans, became completely isolated from Europe and left to the Muslim world. This led to the disintegration of the country, followed by a nearly forty-year struggle for regaining freedom and individuality. This battle went on with certain gradations and it finally ended with the annexation of Georgia by Russia. The permanent wars ended and the peace was established; though its price was high.

For 117 years Russia has been purposefully pursuing the Russianization of Georgia, fighting Georgian language, writing, Georgian Church. In this hard struggle the Georgian nation was able to maintain its cultural heritage, its traditions, Christian faith – the tokens defining its identity.

The Revolution of February 1917 was first followed by the revival of the autocephaly of the Georgian Church, lost back in 1811 and then – by declaring of the independence of Georgia in 1918. Unfortunately, the first Georgian Independent Republic was occupied by Soviet Russia in 1921 and Georgia became part of the Soviet Union. April 9, 1991, Georgia declared its independence on the basis of the conducted Referendum- of the Georgian people's will, which was followed by opening of the closed borders. The door was opened for all those interested in visiting our country. The country's unique material and spiritual culture, habitual traditions, cuisine, resorts became available for the foreign citizens. It is noteworthy that today Georgia faces many challenges and represents the sphere of interest of the foreign partners. UNESCO expresses its special interest in Georgian culture by included its cultural monuments in the World's Cultural Heritage List.

Georgia is a country of distinct traditions in terms of ethnic and religious diversity. Different nations and confessions have lived here since the ancient times. The tolerant nature of Georgians and their attitude towards other ethnic groups are well illustrated by the architectural monuments throughout the country which are the parts of Georgia's cultural-historical heritage. From this point of view Tbilisi – the capital of Georgia and one of the oldest cities in the world is unique. It is in Tbilisi where merging of the multicultural and religious diversities is clearly expressed. Orthodox, Gregorian, Muslim, Catholic churches, Jews and Yezidis temples rub shoulders here.

Based on the above said, this work deals special attention to the historical and cultural monuments of Tbilisi as well as to the brief history of the city, to its ethno-cultural and ethno-confessional links formed over the centuries. Tbilisi was a developed economic center in different epochs due to its favorable location. To our great concern, only a small part of the historical monuments of Tbilisi is preserved. The existing residential and public buildings are mainly of the XIX c.

This stylistic change of the city clearly indicates the political, social and economic changes having taken place in Georgia.

The work also reviews the samples of clerical and secular architecture of Mtskheta and East Georgia, with their multi- staged development, as well as the defensive structures of the highlands of Eastern Georgia, which add special colouring to the historical-ethnographic areas located at the Caucasus Ridge.

The increased interest towards the country on the Europe-Asia highway has led to increasing of the tourism potential. It should be noted that the

history of Georgia was constantly falsified in the periods of the Russian Empire and Communist Regime, disinformation and wrong interpretation of the events spread. Multi-ethnicity and our tolerance have created a good ground for the separatist people to capture the Georgian monuments and thus, have caused certain misunderstandings and embarrassment.

The monuments presented in this work have been studied and researched by the scientists. Each of them has a long history connected with the definite facts. Our goal was the compilation of the existing scientific research materials and to make the Georgian cultural heritage widely known to and popularized for the society.

Tbilisi

Tbilisi has been the capital of Georgia's capital since V c.

Tbilisi with its convenient strategic location, the closeness of the country to the leading regions (from economic and political point of view), led Vakhtang Gorgasali – King of Iberia, to the decision to move the capital from Mtskheta to Tbilisi.

According to the legend, the territory of Tbilisi was covered with the forest. One day Georgian King was hunting and wounded a pheasant which, after having fallen into a hot spring, healed herself and escaped from the hunters. Another legend tells: During hunting King's hawk caught a pheasant which fell into a hot spring and was cooked in it.

Vakhtang King of Iberia was amazed at seeing the place and ordered to found a town there. Long before the King Vakhtang Gorgasali times, there must have been a settlement in the place of Tbilisi, which has been proved by many archaeological discoveries of the Early, Middle and Late Bronze Ages.

Tbilisi has been a settled place since 1st century BC. This is confirmed by the existence of the Roman Bath, IV c. wine cellar. It proves that there was a big settlement. It is worth mentioning that on the road map of the 4th Century drawn by the Roman Geographer Castorius, so-called "Peutinger Tabula", where, between the settlement and the towns, near Armazi Fortress, there is the station "PHILADO" which is a distorted form of "TPILDA". Tbilisi was known as "Tiflis" (Arabian – Persian form) in the ancient times. In 1936, by the government decree the city was named "Tbilisi".

In the Georgian historical sources, Tbilisi was first mentioned in the 60s of IV c. when Sassan Iran fought for the political domination. During

the reign of King Varaz-Bakur the Sassans built a fortress there, which they turned into their residence opposite the Georgian kings' residence – Mtskheta. Transition of the capital from Mtskheta to Tbilisi, carried out by King Vakhtang Gorgasali in the second half of V c., was conditioned by the social, economic and political factors. Vakhtang's son King Dachi completed the construction of the city. The transition of the capital was followed by the rise of the population and the arrival of the nobles and the Royal Court in the city. Later, when the Iranians abolished the reign of Georgian king in Kartli (30s of VI c.), Tbilisi still maintained the position of the political center of Kartli, where the Iranian official-Marzpan was sitting. The Georgians gained the right to have their Erismtavari (Duke) in II half of the 6th century and the first of them was Guaram, who received the Byzantine Court Title "Curapalat". At this time the cathedrals of Sioni and Anchiskhati were constructed in Tbilisi. After the ending of the rule of Persia, the Byzantine Emperor Herakle the Caesar and Khazars raided Tbilisi and they were soon followed by the Arabs. This was the hardest times in the history of Georgia and Tbilisi. During the Arabs rule Tbilisi was also the residence of Kartli Dukes.

In IX century, the Arabs punitive expeditions in Kartli, dictated by the separatist tendencies of Arab Amirs, started and were designed to regain the Caliphate's influence. In 853 Bugha the Turk, fought against Amira Sahak, on 5 August he set the fire to the city, captured and beheaded Amira Sahak. According to the Arabian historian Al Tabari report 50 thousand people were killed in the city.

In X century when a united Georgian state was formed, King Bagrat III (975-1014) failed to abolish the Tbilisi Emirate. The case was continued by a strong Eristavi Liparit Baghuashi during the reign of Bagrat IV (1027-1072), although the Dukes opposing the Liparit, made Bagrat to cease the siege of Tbilisi and all these worsened by appearing the Seljuk-Turks and the issue of reuniting Tbilisi with the state was postponed again. After weakening of the Arab Caliphate and the death of the last Tbilisi Amir, twelve monks ruled the city.

Tbilisi was made an independent city-community. In 1122 David IV Agmashenebeli fought for Tbilisi, regained it (he was opposed by the local Muslim population) and made it not only Georgia's but also the Caucasus center. In this multi ethno-confessional city all the national and religious rights were observed. The area of the city was expanded to the nearby villages. Tbilisi became one of the largest cities in the Asia Minor.

In XIII century Georgia experienced hard times. The country was first invaded by the Khorasam Shah – Jalal Ad-Din and then by the Mongols with their one-hundred-year reign, which ended in the times of reign of Giorgi V-Brtskinvale-The “Magnificent” (1318-1345) of Georgia. Tbilisi regained its previous looks. The country strengthened and also regained the lost international recognition. However, the rise of the country was suspended by Timur Lung (1386-1403) invasions.

